პედაგოგიურ-პედოლოგიური სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი

გ. გოგუაძე

პოლიტექნიკური სკოლის დიდაქტიკა

ნაწილი I

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1934
სასწ.-პედაგოგიური ხელოვნება

37
გ. 68 —პ.

ტექრედაქტორი: ვ. გ ო რ გ ა ძ ე
კორექტორი: ზ. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი
ჯადაეცა წარმოებას 8-X—33
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/I—34
სტ. ქ. 62×94. ს. ნ. ფ. 38.000
მთავლიტის რწმ. № ა—1220
ტირაჟი 5000. შეკვ. № 788
სახელგაზის I სტ. პლ. პრ. № 91.

1. სწავლების მეთოდების პრინციპული საფუძვლები.

საბჭოთა სკოლამ ისეთი თაობა უნდა აღზარდოს, რომელიც შეძლებს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარებას. ახალი კაცი და ახალი მასები სტიქიურად, „მისით“ ვერ აღიზრდებიან. აქ აუცილებელია მიზანშეწონილი და მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული აღმზრდელობითი მუშაობა. მთელი პედაგოგიური პროცესი კომუნისტური აღზრდის მიზნებს ექვემდებარება— შინაარსით, ფორმით, ორგანიზაციით. ჩვენი პედაგოგიური პროცესი პრინციპულად მთლიანი და ერთიანია კომუნისტური აღზრდის ერთიან მიზანთან შეფარდებით. პედაგოგიური პროცესის მეცნიერული ოსტატობის დაუფლება უდიდესი მნიშვნელობის და გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც ჩვენმა მასწავლებლობამ სასწრაფოდ და სრულად უნდა გადასწყვიტოს.

კომუნისტური აღზრდის მიზნების თვალსაზრისით დააყენა და გადასწყვიტა ლენინმა საკითხი იმის შესახებ, თ უ რ ა უ ნ დ ა ვ ა ს წ ა ვ ლ ო თ დ ა რ ო გ ო რ უ ნ დ ა ვ ა ს წ ა ვ ლ ო თ. კომკავშირის მე-3 ყრილობაზე ლენინმა ძირითად ამოცანად ახალგაზრდობას კომუნიზმის შესწავლა დაუსახა, მაგრამ შესწავლა იმ გზით, რომ „შეგეძლოთ კაცობრიობის მთელი ცოდნის ღება ისე, რომ კომუნიზმი არ იყოს ისეთ რამედ, რაც დაგისწავლიათ, არამედ იყოს ისეთად, რაც აზროვნებაში დაგიმუშავებიათ, იყოს იმ დასკვნებად, რომელნიც აუცილებელნი არიან თანამედროვე განათლების თვალსაზრისით... ჩვენ არ გვწამს სწავლა, აღზრდა და განათლება, თუ ის მარტო სკოლაშია ჩაკეტილი და მოწყვეტილია ბობოქარ ცხოვრებას... ახალაზრდობას შეუძლია შეისწავლოს კომუნიზმი მხოლოდ იმ გზით, თუ თავის სწავლის, აღზრდის და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტარიატისა და მშრომელთა უწყვეტ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ“.

ლენინი გადაჭრით უარყოფს კომუნისტობის შესაძლებლობას იმის გარეშე, თუ მეხსიერებას არ გავამდიდრებთ კაცობრიობის მიერ მიღწეული ცოდნით, კაცობრიობის მიერ დაგროვილი გონებრივი

სიმდიდრიდან თუ არ ამოვკრეფთ და არ შეეიარაღდებით იმ ცოდნით, რაც გამოსადეგია კომუნიზმისათვის და „რომელთა შედეგს წარმოადგენს თვით კომუნიზმი“.

აქ ამომწურავადაა გარკვეული სწავლების როგორც შინაარსის, ისე მეთოდების პრინციპული მხარე.

საკითხი — რა და რისთვის უნდა ვასწავლოთ — არკვევს საკითხს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ. მათი დაშორება და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესახებ საკითხის დაყენება შეცდომა იქნება, რადგან შესასწავლის შინაარსის თავისებურობით განისაზღვრება შესწავლის საშუალებათა, შესწავლის მეთოდების თავისებურებაც — ამაშია შესასწავლის შინაარსისა და მისი შესწავლის ფორმის ერთიანობა. კომუნიზმისა და მისი თვალსაზრისით კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნათა მთელი სიმდიდრის შესწავლა განსხვავებულ მეთოდებს თხოულობს. კომუნისტური განათლება და აღზრდა, ლენინის მოძღვრების მიხედვით, მუშათა კლასის ბრძოლით უნდა იყოს გამსჭვალული, ამ ბრძოლაში და ამ ბრძოლისათვის უნდა აღიზარდონ ნამდვილი კომუნისტები. პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე დამყარებული „ჩვენი სკოლა ახალგაზრდობას უნდა აძლევდეს ცოდნის საფუძვლებს, აძლევდეს კომუნისტურ შეხედულებათა შემუშავების უნარს, უნდა აქცევდეს ახალგაზრდებს განათლებულ ადამიანებად“ — ამბობს ლენინი. ახალი მიზნებისა და ახალი ამოცანების გადაწყვეტას შესაფერი საშუალებანი და მეთოდები უნდა შეეუფარდოთ. ძველი სკოლა ახალგაზრდობას აზეპირებინებდა და წრთვნიდა, როგორც ამას თხოულობდა მაშინ არსებული წყობილების ერთგულისა და მორჩილის მომზადების ამოცანები. ბურჟუაზიული სკოლა განათლების და აღზრდის ბურჟუაზიულ მიზნებთან შეფარდებულ მეთოდებს ემყარება.

სასწავლო-მუშაობის მეთოდების საკითხი მწვავედ დგას ჩვენი სკოლის წინაშე. საბჭოთა პედაგოგიკაში დაშვებულ შეცდომა-დამახინჯებათა მოზრდილი ნაწილი სწავლების მეთოდებს ეხება. ბურჟუაზიული სკოლის მეთოდების უკრიტიკოდ გადმონერგვა საბჭოთა სკოლის ნიადაგზე, ზოგი მეთოდის გაუნივერსალება, ამა თუ მეთოდის „გატარების“ თვითმიზნად გადაქცევა, მეთოდების გამოთიშვა საბჭოთა სკოლის ძირითად ამოცანებისაგან და ა. შ. — ყველა ეს ჩვენს სკოლაში საკმაო სიფართით იყო გავრცელებული.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენს სკოლას თვისობრივადაც უდიდესი მუშაობა აქვს ჩატარებული და დიდი გამოცდილება დაგროვილი, საბჭოთა სკოლის მეთოდიკა ჯერ კიდევ არ გვაქვს საკმაოდ და-

მუშავებული, მისი გამოცდილება არ არის მეცნიერულად შესწავლილი. სკოლის მუშაობის მეცნიერული თეორია გარკვეულად ჩამორჩა სკოლის პრაქტიკას და ეს გარემოება სიძნელეს ქმნის სკოლის მუშაობის მაღალი თვისებისათვის ბრძოლაში.

იშვიათი არ არის შემცდარი შეხედულება მეთოდზე, როგორც სასწავლო მუშაობის მხოლოდ გარეგან მხარეზე, თითქოს ის მხოლოდ ტექნიკური საშუალება იყოს. მეთოდი პედაგოგიური პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. „საბჭოთა სკოლებში უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა აქტიური მეთოდი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალისტური მშენებლობის მომქმედ და ინიციატივის მქონე მონაწილეთა აღზრდას“ — ვკითხულობთ ც. კ. 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილებაში. ც.კ. ისტორიული დადგენილება სწავლების მეთოდის კრიტერიუმად კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტას აყენებს. მეთოდს გარკვეული აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა აქვს. აღვზარდოთ ახალი ადამიანი — კაპიტალიზმის ნაშთებისაგან გაწმენდილი შეგმებით, დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით და კომუნისტური მორალით შეიარაღებული, მცოდნე და ყოველმხრივად განვითარებული, ინიციატივის მქონე, მოაზროვნე და ძლიერი მებრძოლი სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად — ასეთი ადამიანის მომზადების თვალსაზრისით უნდა იქნას შემუშავებული, არჩეული და გამოყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდები. ამაში მდგომარეობს სწავლების მეთოდების პედაგოგიურ-პოლიტიკური მხარე. ამიტომ არის ანტიპროლეტარული და ანტიპარტიული კომუნისტური აღზრდის საქმეში ბურჟუაზიული სკოლის მეთოდების უკრიტიკოთ და უცვლელად გადმოტანა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბურჟუაზიული სკოლის მოწინავე და ზოგი, შეცვლით ჩვენთვის გამოსადეგი, ელემენტიც ეშმაკისეულად გამოკაცხადოთ და ერთი ხელის მოსმით უარვყოთ.

ჩვენს პოლიტექნიკურ სკოლაში ისეთი მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც „ძველი სწავლების, ძველი ზეპირობის და ძველი წრთვნის ნაცვლად“, უზრუნველყოფენ: მოსწავლეთა მტკიცე მეცნიერული ცოდნის საფუძვლებით შეიარაღებას, კომუნისტურ შეხედულებათა შემუშავების უნარის განმტკიცებას, მომზადებას „სოციალიზმის მშენებლობის ყოველმხრივად განვითარებულ მონაწილეთა, რომელნიც აკავშირებენ თეორიას და პრაქტიკას და ფლობენ ტექნიკას“. დასისტემებული მეცნიერული ცოდნა მოსწავლემ უნდა შეიძინოს შეგნებულად, გააზრებით, ძლიერი ინტერესით, მოქმედებით

და არა მექანიკური გაზეპირებისა და წრთვნის გზით. ამასთანავე — სწავლების მეთოდმა მოსწავლეები უნდა ავარჯიშოს დამოუკიდებელ მუშაობაში და უზრუნველყოს მათი მომზადება შემდგომი დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ცოდნის ძიება-შეძენისათვის.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სირთულე, შესასწავლი მასალისა და შესაძენ ცოდნა-ჩვევათა მრავალნაირობა, მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკი და პედაგოგიური მუშაობის სხვადასხვა პირობები მრავალგვარი მეთოდის და სასწავლო მუშაობის მრავალგვარი ხერხის გამოყენებას თხოულობს. ერთი რომელიმე მეთოდის ერთადერთ მეთოდათ აღიარება შეცდომა და დანაშაულია. ყოველი ცალკე მიზნის მიღწევას და ყოველი ცალკე განსხვავებული ამოცანის გადაწყვეტას მისთვის შესაფერი, მისივე შინაარსის თავისებურობიდან გამომდინარე მეთოდი უნდა შეეფარდოს. ც.კ. დირექტივაც სხვადასხვა ახალ მეთოდზე ლაპარაკობს.

მაგრამ სასწავლო მუშაობის მეთოდების ნაირნაირობა და მრავალგვარობა არ უნდა იქნას გაგებული როგორც ეკლეკტიზმი, არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს საბჭოთა სკოლის კარი ღია უნდა იყოს თუნდაც პრინციპულად განსხვავებული და მოწინააღმდეგე მეთოდებისათვის. კომუნისტური აღზრდის პრინციპულად ერთიანი ამოცანების გადაწყვეტა ისეთივე პრინციპულად ერთიანი (და არაერთის) მეთოდების მომარჯვებას მოითხოვს. ახალგაზრდობაში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავება, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერულად, ე. ი. მატერიალისტურ-დიალექტუკრად შეცნობა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბჭოთა სკოლაში ყოველგვარი მეცნიერული ცოდნა, რა დარგიდანაც არ იყოს იგი, და მოსწავლეთა ყოველგვარი მოქმედება, მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული, მატერიალისტურ-დიალექტიკური მსოფლმხედველობის შემუშავებისაკენაა მიმართული. მთელი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა მატერიალისტურ-დიალექტიკას უნდა დაემყაროს, როგორც შემეცნებისა და მოქმედების ერთადერთ მეცნიერულ მეთოდს. მხოლოდ ამ გზით უზრუნველეყოფთ მარქსისტულ-ლენინური ანუ დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებას, რომლითაც სოციალიზმის შენების ყოველმა აქტიურმა და შეგნებულმა მონაწილემ უნდა იხელმძღვანელოს თავის შრომასა და ბრძოლაში. ამიტომ სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში გამოსაყენებელი ყველა მეთოდი და ხერხი შესასწავლი მოვლენების მეცნიერულათ შეცნობის ამოცანას უნდა ემსახურებოდეს და მარქსისტულ-ლენინურ

მეთოდოლოგიას ემყარებოდეს. მხოლოდ ეს მხარე გვაქვს მხედველობაში, როდესაც ხაზს ვუსვამთ საბჭოთა სკოლის მეთოდების პრინციპულ ერთიანობას მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე. საბჭოთა სკოლაში სწავლების ყოველმა მეთოდმა უნდა უზრუნველყოს შესასწავლი მოვლენების დიალექტიკური შეცნობა. მაგრამ პრინციპული ერთიანობის ნიადაგზე სასწავლო მუშაობის მეთოდები განსხვავებულია შესასწავლი მასალის ნაირნაირობის (მაგ, სხვადასხვა სასწავლო საგანი), მოსწავლეთა ასაკის სხვადასხვაობის, პედაგოგიური მუშაობის პირობების თავისებურობის და სხვათა მიხედვით ასეთი უნდა იყოს თვით სასწავლო მუშაობის მეთოდების მომარჯვება, რამაც მოსწავლეს უნდა შეათვისებინოს მეცნიერების საფუძვლები, მეცნიერულად შეაცნობიოს სინამდვილე და აღჭურვოს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარით კომუნიზმის ასაშენებლად. საბჭოთა პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში, როგორც აღვნიშნეთ, ადგილი ქონდა ზოგი მეთოდის ერთადერთ მეთოდათ გამოცხადების მცდარ ტენდენციას. ასეთები იყო, მაგალითად, კვლევითი მეთოდი, ლაბორატორულ-ბრიგადული მეთოდი და ა. შ. ეს ტენდენცია იქითკენ იყო მიმართული, რომ ერთადერთი მეთოდით შეეცვალა ყველა დანარჩენი და ამ შემცდარი გზით ვითომდა უზრუნველეყო საბჭოთა სკოლის პედაგოგიური მუშაობის პრინციპულად ერთიანი ხასიათი.

დიალექტიკური მატერიალიზმი რევოლუციონური მსოფლმხედველობაა. ის მეცნიერული თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის ერთიანობით ხასიათდება.

„ფილოსოფოსები ასე თუ ისე მხოლოდ არკვევდენ სამყაროს, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ის გარდავქმნათ“ — ამბობს მარქსი. მოვლენათა მეცნიერული შეცნობა უაზრო და შეუძლებელიც არის რევოლუციონური პრაქტიკის გარეშე, — ისე, როგორც რევოლუციონური პრაქტიკა უძლურია მეცნიერული თეორიის გარეშე.

„თეორია საბოლოოდ მხოლოდ ნამდვილი მასიური და ნამდვილი რევოლუციონური მოძრაობის პრაქტიკასთან კავშირში ყალიბდება“.

„კომუნიზმის წიგნური ცოდნა შრომისა და ბრძოლის გარეშე კომუნისტური ‘ ბროშურებიდან და ნაშრომებიდან არაფრად არ ღირს“, — მიგვითითებს ლენინი.

„თეორია უსაგნოა, თუ ის რევოლუციონურ პრაქტიკას არ უკავშირდება... პრაქტიკა ბრმად იქცევა, თუ ის რევოლუციონური თეორიით არ იშუქებს გზას“ — ამბობს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. სტალინი.

პრაქტიკა თეორიის შემოწმებისა და გაღრმავება-განმტკიცების ერთადერთი კრიტერიუმი და საშუალებაა. ამიტომ სწავლების მეთოდიც ისეთი უნდა იყოს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესში მოწაფის მუშაობას თავით და ხელით (მარქსი) და ადგილს არ დაუთმობს დოგმატიზმის გაბატონებას. სწავლების შეთოდი ისეთი უნდა იყოს, რომელიც მოსწავლეებს შეაიარაღებს მეცნიერული ცოდნის მკვიდრი საფუძველებით, განუმტკიცებს ცოდნის ძიებისა და სოციალიზმის შენების პრაქტიკაში მისი გამოყენების ინტერესსა და უნარს.

საბჭოთა სკოლაში პედაგოგიური მუშაობა მეცნიერული თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის დიალექტიკურ ერთიანობას უნდა დაემყაროს. „წარმოებითს შრომასთან სწავლების შეერთება ისეთ საფუძველზე უნდა ტარდებოდეს, რომ მოსწავლეთა მთელი წარმოებითი შრომა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნებს ექვემდებარებოდეს... პოლიტექნიკური სკოლის იდეის უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს ყოველგვარი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ სკოლის გაპოლიტექნიკურება მოწყდეს მეცნიერებათა სისტემატურად და მტკიცედ შეთვისებას, განსაკუთრებით — ფიზიკის, ქიმიისა ლა მათემატიკის, რომელთა სწავლება მტკიცედ განსაზღვრულ და ზუსტად დამუშავებულ პროგრამებს უნდა ემყარებოდეს და მტკიცედ დადგენილი განრიგებით ტარდებოდეს“, — ასეთია ც.კ. დირექტივი.

მოსწავლეთა საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომა, დაყენებული იმ ნიადაგზე, რომ ვიწრო სამეურნეო მოსაზრება კი არ იყოს მისი ამოსავალი, არამედ თავის ყოველ ცალკე ნაწილში და ყოველ ნაბიჯზე მეცნიერული ცოდნის შეძენა-შემოწმებას და კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით საჭირო განწყობა-ჩვევათა შეთვისებას ემსახურებოდეს — კომუნისტური აღზრდის განუყრელი ელემენტია. მოსწავლეთა საზოგადოებრივ-წარმოებითს შრომაში პირველ რიგში და უმთავრესად ის გვაინტერესებს, თუ რა პედაგოგიური ღირებულება აქვს მას, რა ცოდნას და რა ჩვევას აძლევს ის მოსწავლეებს.

სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების საკითხები კიდევ მეტ დაკონკრეტებას მოელიან. აქაც აუცილებელია სკოლების დიდი გამოცდილების მეცნიერულად შესწავლა და მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო დებულებათა და პრაქტიკულ მითითებათა მიცემა იმის შესახებ, თუ მეცნიერებათა საფუძვლების დაზუსტებულ პროგრამებზე მუშაობასთან ერთად, — მოსწავლეთა ასაკის, საგნის თავისებურობათა და პედაგოგიური მუშაობის პირობების მიხედვით — საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომის რა სახეები იქნას არჩეული

(პედაგოგიურად მეტი ღირებულების მქონე) და ჩატარებული და როგორ განვახორციელოთ თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება ისე, რომ მოსწავლე შრომის ყოველ სახეს შეგნებულად უდგებოდეს, იცოდეს—რას, როგორ და რისთვის აკეთებს, რომ მეცნიერული თეორია პრაქტიკის საფუძველზე მოწმდებოდეს, ივსებოდეს და ღრმავდებოდეს. სკოლის პრაქტიკაში ამ საკითხის გადაწყვეტა თეორიისა და პრაქტიკის დიალექტიკური ერთიანობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას უნდა დაემყაროს. სწავლების მეთოდის საკითხი არ შეიძლება განხილული იქნას დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის. გარეშე. არსებობენ ანტიმარქსისტულ-ანტილენინური შეხედულებანი, რომელნიც შემეცნების თეორიას თიშავენ დიალექტიკური მატერიალიზმისაგან. ენგელსი კი ლაპარაკობს ობიექტიური სამყაროს დიალექტიკური განვითარების კანონებზე და ჩვენი აზროვნების დიალექტიკური განვითარების კანონებს ობიექტური სამყაროს დიალექტიკური განვითარების შეგნებულ ანარეკლად თვლის. ლენინის განმარტებით, მატერიალისტური დიალექტიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის „ყველა ბუნებრივ, სოციალურ და სულიერ ნივთთა განვითარების კანონებს". მაშასადამე, როდესაც დიალექტიკის კანონებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს როგორც ობიექტური სამყაროს განვითარების კანონები, ისე შემეცნების კანონებიც.

სწავლების და შემეცნების საშუალებით, უცოდინარობის ნაცვლად, ცოდნა უნდა მივიღოთ. საგანი თავისთავად უნდა ვაქციოთ საგნად ჩვენთვის, ობიექტური სამყაროს დიალექტიკური პროცესი შეგნებულად უნდა ავსახოთ აზროვნებაში და მოვლენები შევიცნოთ ისე, როგორიც ისინი სინამდვილეში არიან.

შემეცნების მიზანია მოგვცეს თავის მატერიალურობის საფუძველზე ერთიანი და განვითარების პროცესში მყოფი სამყაროს ისეთი ანარეკლი, ისეთი ასახვა, რომელიც ობიექტური სინამდვილის ადეკვატური იქნება.

შემეცნების საკითხებში მარქსიზმი-ლენინიზმი ანარეკლის თეორიის თვალსაზრისზე დგას. აზრი ტვინის ფუნქცია არის. ჩვენს გარეშე და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული მატერიალური სამყაროს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე მოქმედების შედეგად ჩვენ ვიღებთ შეგრძნებებს და ცნებებს. მარქსის დებულებით —იდეალური არის ადამიანის თავში გადაყვანილი და გადამუშავებული მატერიალური. გარეგანი ობიექტური სამყაროს ზემქმედება ჩვენზე ჩვენი აქტივობის პირობით — ცოდნის ერთადერთი წყაროა: „იმის გარეშე,

თუ არა შეგრძნებათა მეშვეობით, ნივთიერებისა და მოძრაობის არავითარი ფორმების გაგებაᲐ ჩვენ არ შეგვიძლიან“—წერს ლენინი. მაგრამ შეგრძნებანი ჯერ კიდევ არ ქმნიან შემეცნებას — საჭიროა მათი გადამუშავება, საჭიროა გრძნობათა ორგანოების მეშვეობით ათვისებულის აზროვნებაში გატარება და გაზოგადება. შემეცნების ამოცანაა მოვლენათა არსების შეცნობა. აზროვნებაში შეგრძნებათა გატარება — გადამუშავების შედეგად ვიღებთ შემეცნების უმაღლეს საფეხურს — ცნებებს. ცოცხალი, კონკრეტი შეცნობიდან აბსტრაქციისაკენ და აზროვნების შედეგების სისწორის პრაქტიკით შემოწმებისაკენ — ასეთია მარქსისტულ-ლენინური შემეცნების გზა. შემეცნება ისტორიული მოვლენაა. თავის პრაქტიკის საფუძველზე კაცობრიობა უმეცრებიდან შემეცნებისაკენ მიდის, უსრულო ცოდნიდან სრული და ზუსტი ცოდნისაკენ. შემეცნების პროცესი — დიალექტიკური პროცესია, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე ვითარდება.

„ადამიანის აზროვნებაში ბუნების ასახვა გაგებული უნდა იქნას არა „მკვდრად“, არა „აბსტრაქტულად“, მოძრაობისა და წინააღმდეგობის გარეშე, არამედ მოძრაობის მუდმივ პროცესში, წინააღმდეგობათა წარმოშობა-გადაწყვეტის პროცესში“ — ამბობს ლენინი.

მაგრამ ობიექტური სამყაროს დიალექტიკური პროცესის ასახვა ადამიანის აზროვნებაში არ არის ვიწრო ემპირიული პროცესი, განსაზღვრული მხოლოდ შეგრძნებით და წარმოდგენებით, როგორც მექანისტებსა და მომენშევიკო-იდეალისტებს გონიად. „შემეცნება არის ადამიანის მიერ ბუნების ასახვა, მაგრამ ეს არის არა მარტივი, არა უშუალო, არა მთლიანი ასახვა, არამედ პროცესი აბსტრაქციების, ფორმულირებათა, კანონებისა, წარმოდგენათა წარმოშობის და ა. შ. აზროვნება, რომელიც კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე ადის, არ შორდება ჭეშმარიტებას, თუ ის სწორი არის, პირიქით — მასთან მიდის.

ცოცხალი ჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ — ასეთია ჭეშმარიტების, ობიექტიური სინამდვილის შემეცნების გზა“ — წერს ლენინი.

ჩვენს აზროვნებაში სინამდვილის სწორად ასახვა განვითარებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესის შედეგია.

შემეცნების ანალიზის დროს, მეტად მნიშვნელოვანია იმ დიალექტიკური პროცესის სწორად გაგება, რომლის სახით მოცემულია თვით შემეცნება ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე მატერიის მოქმედებით მიღებულ შეგრძნებიდან დაწყებული — დასრულებული აზრით

გათავებული, სწორად გაგება იმ პროცესის, რომელიც მოცემული გვაქვს შემეცნებაში ცოცხალი ჭვრეტიდან დაწყებული აბსტრაქციის სიმაღლით გათავებული.

რა კავშირია სწავლების მეთოდისა და შემეცნების დიალექტიკური პროცესის შორის?

როდესაც მოსწავლეებს შევასწავლით ამა თუ იმ მოვლენას, ჩვენს ამოცანას შეადგენს აღებული მოვლენა „თავის თავად“ ვაქციოთ მოვლენად ბავშვისათვის, ობიექტური სინამდვილე შევაცნობიოთ ისე, როგორიც ის არის, გარე სამყაროს დიალექტიკური პროცესი მოსწავლის აზროვნებაში ავსახოთ შემეცნების დიალექტიკური პროცესის გზით. ამ თვალსაზრისით სწავლების მეთოდი არის მეტად მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს სინამდვილის სწორად არეკლვას ცნობიერებაში. მეთოდი ის გზაა, რომლითაც მოწაფისათვის უცნობს მისთვის ცნობიერად ვაქცევთ, რომლის მეშვეობით ობიექტური სამყაროს დიალექტიკურ პროცესს სინამდვილის შესაფარდათ ავსახავთ აზროვნებაში.

სწავლების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როგორ „შევახვედროთ პირისპირ“ შესასწავლი ობიექტი და შემსწავლელი სუბიექტი, როგორ მოვაწესრიგოთ შესასწავლი ობიექტის მოქმედება შემსწავლელზე — მის გრძნობათა ორგანოებზე, როგორ გამოვიწვიოთ სრული გაღიზიანება, სრული და საღი შეგრძნება და ასე — უწყვეტი პროცესის გზით — მოსწავლის მოქმედიანობის (აქტივობის) საფუძველზე, რომ ის ამუშავებდეს, უკავშირებდეს, აზროვნობდეს და შეგნებაში ატარებდეს, ემპირიულს ლოგიკურად არჩევდეს, აზოგადობდეს, ცოდნის სისწორეს პრაქტიკით ამტკიცებდეს და ამ გზით მიდიოდეს ნამდვილ ცოდნამდე.

ამგვარად სწავლების ყველა მეთოდი, შესასწავლი მასალის შინაარსის თავისებურობის, მოსწავლეთა ასაკისა და სხვა პირობათა მიხედვით, შემეცნების კანონებს უნდა დაემყაროს. ამიტომ ვლაპარაკობთ, რომ სწავლების მეთოდის საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც მარქსისტულ-ლენინური ლოგიკა და შემეცნების თეორია. თქმულიდან აშკარაა, რომ სწავლების მეთოდების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მატერიალისტურ-დიალექტიკურ ფილოსოფიის გარეშე. ეს გარემოებაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დებულებას, რომ მასწავლებელი არ არის ნამდვილი მასწავლებელი საფუძვლიანი მარქსისტულ-ლენინური მომზადების გარეშე.

სწავლების მეთოდების არჩევის დროს, შემეცნების დიალექტიკური პროცესის გათვალისწინებასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული: ბავშთა სვადასხვა ასაკის შემეცნების თავისებურობა,—მაგალითად, მცირე ასაკის ბავშვებს ახასიათებს უმთავრესად კონკრეტულობა, საგნობრივობა და ამიტომ აქ სწავლებაში უფრო მეტი ადგილი თვალსაჩინოებას უნდა დაეთმოს. თვალსაჩინოება და კონკრეტულობა ზედა ასაკშიც მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ მოზრდილი ასაკის მოსწავლეებს გაზოგადებისა და აბსტრაქციის უნარი უფრო ძლიერი აქვთ და ეს გარემოება განაღდებას უნდა პოულობდეს სწავლების მეთოდში.

მაგრამ არც მარტო ასაკის მიხედვით შეიძლება ბავშვთა შემეცნების თავისებურობის შესახებ ერთი შაბლონური დებულების დადგენა და მით უცელელად ხელმძღვანელობა ყველა პირობაში. ანგარიში უნდა გაეწიოს ბავშვთა გარემოს —მათის ოციალური გარემოს თავისებურებას, იმ საზოგადოებრივ პრაქტიკას, რომლის გარემოცვაში ბავშვი იმყოფება. სასწავლო მუშაობის მეთოდები შესწავლილი უნდა იქნან საბჭოთა პედოლოგიის თვალსაზრისით, რომ ამ გზით გამოირკვეს სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა სოციალური გარემოცვის პირობებში სხვადასხვა მეთოდის ეფექტიანობა და პედაგოგიური ღირებულება.

პედოლოგიას ამ დარგში ჯერ ძლიერ ცოტა აქვს გაკეთებული—სასწავლო მუშაობის მეთოდების პედოლოგიური ანალიზისათვის მას ჯერ ხელიც არ მოუკიდია.

ამგვარად, სასწავლო მუშაობის მეთოდები შესწავლილი და დადგენილი უნდა იქნან კომუნისტური განათლებისა და აღზრდის ამოცანების, შესასწავლი ობიექტის შინაარსის ხასიათის, შემეცნების მეცნიერული კანონებისა და სხვადასხვა ასაკის შემეცნების პროცესის თავისებურობათა თვალსაზრისით.

იმ უდიდესი როლის მიხედვით, რომელიც მიკუთვნებული აქვს სასწავლო მუშაობის მეთოდების საკითხს პედაგოგიურს მუშაობაში, საბჭოთა სკოლაში გამოსაყენებელი სასწავლო მეთოდები შემდეგ მოთხოვნილებებს უნდა უპასუხებდენ:

1. კომუნისტური აღზრდისა და დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავების ამოცანებიდან ამოდიოდენ, სოციალიზმის მშენებლობის ყოველმხრივად მომზადებული, მომქმედი და ინიციატივის მქონე ადამიანის აღზრდის ამოცანებს ნაყოფიერად ემსახურებოდენ;

2. უზრუნველყოფდენ პედაგოგიური პროცესის ორივე მთავარი მხარის — მასწავლებლის და მოსწავლის — აქტივობას, რომ მასწავლებელი სწავლა-აღზრდის ცენტრალური ფიგურის წამყვან როლს ასრულებდეს, იმავე დროს მოსწავლეც ხალისით და ინტერესით მუშაობდეს, აზროვნობდეს, ეძებდეს, იკვლევდეს, შეგნებულად იძენდეს ცოდნას, — პედაგოგიურ პროცესში იყოს არა მარტო ობიექტი, არამედ სუბიექტიც, რომელიც, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, აქტიურ მონაწილეობას იღებს თავის სწავლა-აღზრდის საქმეში;

3. უზრუნველყოფდენ მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას და ამასთანავე დამოუკიდებელი სწავლისა და მუშაობის უნარის შემუშავება-განმტკიცებას;

4. ხელს უწყობდენ თეორიის დაკავშარებას სოციალისტურ მშენებლობასთან და მოსწავლეს უნვითარებდენ ასეთი დაკავშირების ინტერესსა და უნარს; ხელს უწყობდენ სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის განხორციელებას და „სწავლების შეერთებას წარმოებითს შრომასთან ისეთ საფუძველზე, რომ მოსწავლეთა მთელი საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომა სკოლის სასწავლო და აღმზრდელობითი მიზნებს ექვემდებარებოდეს";

5. ხელს უწყობდენ მოსწავლეში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შეგნებისა და ჩვევის შემუშავება-განმტკიცებას, კომუნისტური მორალის აღზრდას და უზრუნველყოფდენ სასწავლო — აღმზრდელობითს მუშაობაში ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობის ფორმების ისეთ შეხამებას, რომელიც ერთერთ საიმედო გზად იქცევა ძლიერი ინდივიდის აღსაზრდელად ძლიერი კოლექტივისტური შინაარსით.

ასეთია ის თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდენ საბჭოთა სკოლის სასწავლო მეთოდებს — აქტიურ მეთოდებს.

პედაგოგიურ ლიტერატურაში ადგილი ქონდა და ახლაც აქვს მეთოდების კლასიფიკაციის სხვადასხვა ცდას. იყო ასეთი დაჯგუფებაც: პასიური (უმოქმედო) და აქტიური (მომქმედი) მეთოდები. ასეთი დაჯგუფება არ შეიძლება მართებულად ჩავთვალოთ. საუკეთესო მეთოდის აქტივობაც იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ, სად, რისთვის და როგორ იყენებს მას — საბრლოოდ მასწავლებელი აქაც გადამწყვეტია: უმართებულო გამოყენებით შეიძლება მეტად აქტიური მეთოდი პასიურად და უვარგისად იქცეს, ხოლო კარგი ოსტატი — მასწავლებლის ხელში ე.წ. პასიური მეთოდიც გააქტიურდეს და გამოსადეგი გახდეს. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა სკოლაში არ

შეიძლება ადგილი ქონდეს მეტაფიზიკასა და დოგმატიზმზე დამყარებულ მეთოდს, რომელიც მიმართული იყო შეუგნებლისა და უვარგისის მექანიკურად გაზეპირებისა და მონა-მორჩილის აღზრდისაკენ. საბჭოთა სკოლის სასწავლო მოთოდები ყველა აქტიური უნდა იყოს შეგნებული დისციპლინისა და ინიციატივის საფუძველზე—სხვანაირად არც უნდა წარმოვიდგინოთ დიალექტიკურ მატერიალიზმზე დამყარებული, მარქსისტულ-ლენინური მხოფლმხედველობის შემუშავებისა და სოციალიზმის მშენებლობის ყოველმხრივად განვითარებულ მონაწილეთა აღზრდისაკენ მამართული მეთოდი. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს ჯერ კიდევ არ იყვენ დარჩენილი ძველი სკოლისა და მისი უვარგისი მეთოდების მომხრენი და თითქოს შეიძლებოდეს ბრძოლის შენელება პოლიტექნიკური სკოლის შენების საქმეში უმთავრესი — მემარჯვენე — საშიშროებისა და იმავე ოპორტუნისტული ჭაობიდან აღმოცენებულ „მემარცხენეობის“ წინააღმდეგ.— პირიქით, აქ შეუნელებელი სიფხიზლე და სიმტკიცე გვმართებს მარქსისტულ-ლენინური პოლიტექნიკური სკოლის შენებაში ორ ფრონტზე ბრძოლის სადარაჯოზე.

პედაგოგიურს მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეთოდის ამორჩევას და გამოყენებას ისე, რომ მან სწავლა-აღზრდის საქმეში მეტი შედეგი მოგვცეს. არ არის კარგი და აქტიური მეთოდი თავის თავად — ყველა პირობაში, დროისა და სივრცის გარეშე. მეთოდი კარგია მაშინ, როდესაც ის პედაგოგიური მუშაობის კონკრეტი პირობებისათვის არის შერჩეული და მათთან მორგებული. მაგ., ლაბორატორული მუშაობა კარგია, მაგრამ კარგია სათანადო სასწავლო მოწყობილობის, დროის, მოსწავლეთა ასაკის და მომზადების, საგნის ხელსაყრელი თავისებურობისა და კარგი ხელმძღვანელობის პირობებში,—წინაალმდეგ შემთხვევაში, უადგილოდ გამოყენებული, ის უვარგის მეთოდათ იქცევა და საწინაალმდეგო შედეგებს მოგვცემს. და პირიქით: სიტყვიერი მუშაობა სწავლებაში ნაკლებ აქტიურად არის ცნობილი, მაგრამ მომზადებული მასწავლებლის ხელში და თავის ადგილზე გამოყენებული —ცოცხალი სიტყვა აქტიურ ხასიათს მიიღებს და სწავლების ერთერთ მნიშვნელოვან და ნაყოფიერ საშუალებათ იქცევა.

შესაფერი მეთოდის არჩევა-გამოყენების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

1. **შესასწავლი დისციპლინების** თავისებურობა: მაგალითად, მხატვრული ლიტერატურა, ენა, ბიოლოგია, მათემატიკა, ისტორია, ქიმია და სხვ. არ შეიძლება დავაყენოთ უცვლელად ერთი და იმავე

მეთოდით: ზოგს უფრო მეტად სწავლების სატყვიერი ფორმა უდგება, ზოგისათვის უფრო შესაძლებელი და აუცილებელია მოვლენების დემონსტრაცია და მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა ხელსაწყოებზე, ზოგს კიდევ უფრო გამოადგება ექსკურსია და ა. შ.

სწავლების მეთოდებსა და ხერხებში განსხვავებას ერთი საგნის ფარგლებშიც აქვს ადგილი დასამუშავებელ საკითხების თავისებურებათა და მოსწავლეების მომზადებისა და ასაკობრივი განსხვავების გამო. მაგალითად, გეოგრაფიული ელემენტების შესწავლის დროს, უშუალოდ დასაკვირვებლად მისაწვდომ ტერიტორიაზე და შორეულ ტერიტორიაზე, რომელთანაც უშუალოდ დაკავშირება სკოლისათვის შეუძლებელია, სხვადასხვა მეთოდი და ხერხი უნდა იქნას გამოყენებული. ანდა ბიოლოგიაში: ბევრი საკითხი ექსპერიმენტულად დამუშავდება, მაგრამ, მაგალითად, ასეთი საკითხები, როგორიცაა სიცოცხლის წარმოშობა და მისი განვითარება და სხვ. — აქ ექსპერიმენტით სკოლაში მაინცდამაინც დიდი არაფერი გაკეთდება.

2. **მოსწავლეთა ასაკი და მათი მომზადების დონე:** ბავშვის აზროვნება კონკრეტულია. ბავშვის აზრი, — მით უმეტეს — უმცროს ასაკში, — საგანს, სახეს ემყარება. განყენებული, აბსტრაქტული აზროვნება მისთვის ძნელია. ამიტომ მოსწავლეებთან მუშაობაში ფართო ადგილი უნდა დაეთმოს თვალსაჩინოებას, მოვლენებისა და ფაქტების უშუალოდ შესწავლას.

მაგრამ კონკრეტულობა და საგნობრიობა სწავლებაში არ უნდა იქცეს პრიმიტიულ — „მხოხავ" ემპირიზმად, არამედ მოსწავლეთა ასაკსა და მომზადებასთან შეფარდებით, მკაცრად საფუძვლად უნდა დაედვას მარქსისტულ-ლენინური ლოგიკური აზროვნების შემუშავებას, „კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ", დაკვირვებისა და ცდის მონაცემი ლოგიკურ აზროვნებაში უნდა შემოწმდეს და გადამუშავდეს. მაგალითად, უშუალო შთაბეჭდილება მოსწავლეს ეუბნება, რომ მზე უვლის დედამიწას, მაგრამ შერჩეული ფაქტების ლოგიკურმა ანალიზმა წინააღმდეგში უნდა დაარწმუნოს. განხილული ფაქტების ნიადაგზე მოსწავლეები, მათი მომზადების დონის მიხედვით, ყოველთვის უნდა აკეთებდენ დასკვნებს და ახდენდენ სწორ განზოგადებას. აღნიშნულის მიხედვით—სწავლების ფორმები კონკრეტული უნდა იყოს და შეფარდებული მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურობასთან და მომზადების დონესთან. სად მეცნიერული ლექცია და საუბარია გამოსადეგი, სად გაშლილი თვალსაჩინოება და კონკრეტი განმარტებანი და ა. შ.

3. **პედაგოგიური პროცესის სასწავლო ბაზის მდგომარეობა**— კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, სასწავლო მეურნეობა, სასწავლო ნივთებისა და ხელსაწყოების რაოდენობა და სხვ. სკოლის სასწავლო მოწყობილობის მიხედვით, ის მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული, რომელიც მოცემულ პირობებში უკეთეს შედეგებს მოგვცემს: სკოლაში თუ სასწავლო ხელსაწყოების საკმაო რაოდენობაა — კარგ შედეგებს მოგვცემს პროგრამული სიკითხის ლაბორატორულად დამუშავება, თუ ხელსაწყოები არაა და შესაძლებელია მხოლოდ ჩვენება, მაშინ დემონსტრაციით უნდა დავკმაყოფილდეთ.

4. **საგნისათვის გამოყოფილი დროის ბიუჯეტი:** ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების საკითხის გადაწყვეტა იმახედაცაა დამოკიდებული, თუ საპროგრამო მასალის დასამუშავებლად რამდენი დროა ჩვენს განკარგულებაში მოცემული. ცოდნისა და ჩვევათა სიმტკიცის ხარისხი იმდენად უფრო მაღალია, რამდენადაც უფრო აქტიური მეთოდით არის მასალა დამუშავებული. მაგ., მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან საგნის კურსის სისტემატურად დამუშავების საფუძველზე თუ ფართოდ იქნება გამოყენებული მოსწავლეთა მუშაობა ლაბორატორიაში, სახელოსნოებში, მიწის ნაკვეთზე, მოეწყობა ექსკურსიები და სხვ. - შედეგი უეჭველად უკეთესი იქნება, მაგრამ ამას დროც მეტი ესაჭიროება. ამიტომ—იმ აუცილებელი პირობით, რომ საგნის მთელი სისტემატური კურსი საფუძვლიანად და სრულად იქნას დამუშავებული მოცემული დროის ფარგლებში—კურსის ცალკე ნაწილებისათვის შესაფერი მეთოდებიც უნდა იქნას გამოყენებული.

პედაგოგიური პროცესის ნაყოფიერება ორივე მხარის აქტივობის შედეგია: მასწავლებლის აქტივობისა და, მასწავლებლის სისტემატური ხელმძღვანელობით, მოსწავლის აქტივობის. სწავლების მეთოდს ორი მხარე აქვს, რომელთაგან ერთი მასწავლებლისკენაა მიმართული, ხოლო მეორე — მოსწავლისაკენ. სწავლების მეთოდით მასწავლებელი ასწავლის,– ცოდნას აძლევს მოსწავლეს, ხოლო მოსწავლე—ცოდნას ითვისებს.

ც. კ. 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილებაში ამომწურავი სიცხადით არის მითითებული ის ძირთადი მეთოდები, რომლებსაც მასწავლებელი უნდა იყენებდეს. ასეთებია: ცოდნის სიტყვიერი გადაცემა, წიგნზე მუშაობა, დამოუკიდებელი წერითი ვარჯიშობა, მუშაობა კაბინეტში, ლაბორატორიაში და სახელოსნოში, თვალსაჩინოება, ექსკურსიები

და სხვ. ყველა ეს მეთოდი მცოდნე და გამოცდილი მასწავლებლის ხელში უაღრესად აქტიურ ხასიათს მიიღებს.

მაგრამ აქ მაინც ზოგად მეთოდებთან გვაქვს საქმე: დასახელებული მეთოდები, — ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად,—მრავალი დისციპლინის მიმართ უნდა იქნან გამოყენებული (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ენის, მათემატიკის და ა. შ.) თითოეული საგნის მიმართ ეს ზოგადი მეთოდები სპეციფიკურ იერს იღებს, მაგრამ მაინც ზოგადია,—ისეთი ზოგადი, რომელნაც თითოეული საგნის სისტემატიური კურსის შინაგანი ლოგიკა, მისი თანამიმდევრობა, მისი კერძო მეთოდიკა უნდა გამოავლინოს და გაატაროს. როცა მასწავლებელი, სიტყვიერი საშუალებით, მოსწავლეებს აწვდის ცოდნას მათემატიკიდან ან ისტორიიდან, ანდა, როცა მოსწავლეები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ამუშავებენ საკითხებს ფიზიკიდან და ბიოლოგიიდან საგანგებოთ მოწყობილს ლაბორატორიებში, ორივე შემთხვევაში სიტყვიერი და ლაბორატორული მუშაობა ზოგადია, მაგრამ ერთია სიტყვიერი მეთოდის შინაგანი მხარე ისტორიის გაკვეთილზე და სხვაა მათემატიკის გაკვეთილზე, სხვადასხვაა ლაბორატორიაში მუშაობის შინაგანი მხარე ფიზიკაში და ბიოლოგიაში—სხვადასხვაა ინდენად, რამდენადაც განსხვავდებიან დასახელებულ მეცნიერებათა შინაარსი და მათი კერძო მეთოდიკა.

საგნის სწავლებაში მისი კერძო მეთოდიკა ძირითადია. სხვა გზა არ არსებობს. ამიტომ სწავლების ახალი ზოგადი მეთოდების საფუძვლიანად გაცნობა და იმავე დროს თვით. საგნისა და მისი კერძო მეთოდიკის დაუფლება ჩვენი მასწავლებლობის გადაუდებელი ამოცანა და მოვალეობაა — აქ განსაკუთრებულად უნდა გავუსვათ ხაზი **საგნის ცოდნას**,—ამის გარეშე მეთოდიკაზე ლაპარაკი ზედმეტია.

„სადღა გაქვთ ახალი მეთოდები? დალტონპლანმა, კომპლექსებმა, პროექტებმა, ბრიგადულ-ლაბორატორულმა მეთოდმა, საუბედუროდ გვიან, — მაგრამ მაინც განისვენეს მეთოდებისა საფლავსა შინა. და აბა ყველა ეს — სიტყვიერი გადაცემა, თვალსაჩინოება, ლაბარატორული მუშაობა და ექსკურსია ხომ კარგი ხნის ბებერურხუნა მეთოდებია“—ერთერთ კონფერენციაზე მომხსენებელს მეთოდების შესახებ ასეთი შენიშვნა გაუკეთეს.

ც. კომიტეტმა 1931 წ. 5 სექტემბერის დადგენილებით აღიკვეთა სკოლაში მეთოდური პროექტორობა და ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც სკოლის პრაქტიკაში არ არიან შემოწმებული: მაგრამ იგივე დადგენილება მახვილად აყენებს საკითხს უკან დაბრუნე-

ბის — სქოლასტიკურ — ბურჟუაზიული სკოლისა და მისი მეთოდები-საკენ დაბრუნების — ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ შეუნელებელი-ბრძოლის შესახებ. თუ ჩვენთვის რაიმე გამოსადეგი გააჩნია ბურჟუა-ზიულ პედაგოგიკას — მას გამოვიყენებთ, მაგრამ გამოვიყენებთ ჩვენე-ბურად, გადემუშავებით, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა აღზრ-დის ამოცანებთან შეფარდებით. კაპიტალიზმის „მთლიანი ფრონ-ტით“ კრიზისის პირობებში ბურჟუაზიული პედაგოგიკაც კრიზისს გა-ნიცდის და ზოგჯერ საშუალო საუკუნოების სკოლის აჩრდილსაც კი მისდევს — როგორც ვიცით, ჰიტლერის გერმანიაში უკვე კანონდება საშუალო საუკუნეების ტრადიციები. ბურჟუაზიის ზოგი მოწინავე პედაგოგი (მაგალითად, ამერიკელი პედაგოგები — **დიუი, ტორნდაიკი, კილპარტრიკი** და სხვები) ეძებენ ბურჟუაზიული აღზრდის პროცესის რაციონალიზაციის გზებს, ცდილობენ გააუმჯობესონ მეთოდები და ამით უკეთ მიაღწიონ ბურჟუაზიულ — კლასობრივი აღზრდის მიზნებს. ბურჟუაზიული პედაგოგიკის მუშაობას მეტი ყურადღებით, მაგრამ იმავე დროს მეტი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, კრიტიკული თვალსაზრისით და სასტიკი გაცხრილვით გადმოვიღოთ და გადავა-მუშაოთ ყველა ელემენტი, რაც კომუნისტური აღზრდისათვის იქნება გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მასწავლებლობა სუსტად იც-ნობა თანამედროვე ბურჟუაზიულ პედაგოგიკას, ახალგაზრდა მა-სწავლებლობა პირდაპირ უმწეოა პედაგოგიკის ისტორიაში. ეს აძნე-ლებს ძველის შეგნებულად გამოყენებას, აძნელებს ძველისა და ახ-ლის გარჩევას. ისტორიზმი პედაგოგიკაშიც უნდა დავიცვათ. პედა-გოგიკის ისტორიის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს ყველა მას-წავლებლისათვის.

მართალია, თვალსაჩინოებას, ლაბარატორულ მუშაობას, სახე-ლოსნოებს, ექსკურსიას და ა. შ. თანამედროვე ბურჟუაზიული სკო-ლაც იყენებს და უფრო ძველი დროის სკოლაც იყენებდა. თან ჩვენც ვიყენებთ, მაგრამ ვიყენებთ ჩვენებურად — კომუნისტური აღზრდის ერთერთ საშუალებათ. ჩვენი პედაგოგიური პროცესის ძირითადად გან-სხვავებული მიზანი და შინაარსი სულ სხვა სახეს აძლევს მუშაობის ყოველ მეთოდს, რომელიც, როგორც ზემოდ აღნიშნეთ, ცალკე — გან-ყენებულად — არ განიხილება, არამედ განიხილება იმასთან ერთად, **რისთვის ვასწავლით** და **რას ვასწავლით**.

მეთოდი გარკვეულ მიზანს ექვემდებარება. მისი ღირსება ამ მიზნის მიღწევის მიმართულებით მიღებული შედეგებით განისაზღვრე-ბა. რა განსხვავება აქვს, მაგალითად, ჩვენს ექსკურსიას, რომელსაც

საბჭოთა სკოლა აწყობს სოციალისტური მრეწველობის გიგანტებში, სოციალისტურ მინდერებზე ან ბუნებაში მარქსისტულ-ლენინური ცოდნის მისაღებად იმ ექსკურსიასთან შედარებით, რომელსაც ატარებდა ძველი სკოლა ან ატარებს თანამედროვე ბურჟუაზიული სკოლა მონასტრების და სხვა „წმინდა“ ადგილების შესასწავლად — რელიგიური აღზრდის მიზნით? აქაც ექსკურსია ეწოდება და იქაც, მაგრამ შინაარსეული განსხვავება, ორგანიზაციაზე რომ არ ვთქვათ, მათ შორის ისეთივე დიდია, როგორიც კომუნისტური და ფეოდალურ-ბურჟუაზიული აღზრდის მიზნებისა და შინაარსის შორის.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს იმისათვის, რომ უკვე დადგენილ და საბჭოთა სკოლაში გამოსადეგ მეთოდებს დავეუფლოთ და მოვიმარჯვოთ ისინი, როგორც სოციალიზმის მშენებლობის მომქმედი და ინიციატივის მქონე მონაწილეთა აღზრდის საიმედო საშუალება. მაგრამ მარტო ამაზე ვერ გავჩერდებით. ჩვენი მშენებლობის და კულტურის ზრდის გიგანტურ ტემპებთან ერთად აღზრდის პროცესის თვისობრივი ზრდაც გვმართებს. საბჭოთა სკოლის მეთოდიკის შემდგომი განვითარება და მაღალ საფეხურზე აყვანა აუცილებელია. ამ საქმეში ჩვენი მასური სკოლის დიდი გამოცდილების მეცნიერულად შესწავლას უნდა დავეწაფოთ. ამ დარგში ძლიერ ჩამოვრჩით: ჩვენს სკოლას, რომელიც „პრინციპულად სხვანაირი გახდა“, დიდი გამოცდილება და დიდი ფაქტიური მასალა აქვს დაგროვილი, მაგრამ მას ჯეროვანად არ ვიცნობთ, საღი და მისაბაძი ნიმუშები, რაც უეჭველად აევრია, ჯერ კიდევ არაა შესწავლილი და გამოყენებული. ამ დიდ საქმეს დაუგვიანებლად უნდა მოვუაროთ კვლევითი-სამეცნიერო დაწესებულებათა, პედაგოგიური სასწავლებლებისა და მასური სკოლის მონაწილეობის ფართოდ გამოყენებით. სტაბილური პროგრამები, სტაბილური სახელმძღვანელოები და სასწავლო მუშაობის მეთოდები სკოლის პრაქტიკაში მეცნიერულად უნდა იქნას შესწავლილი და გაუმჯობესებული.

რამდენიმე სიტყვა მასწავლებლებზე, რომელმაც ყველაფერს უმდა „შეაბას ეჟვანი“. ის პედაგოგიური პროცესის ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და უდიდესი პასუხისმგებლობის მატარებელია ბავშთა მოსახლეობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. „ყოველ სკოლაში ყველაზე მთავარი ლექციების იდეურ-პოლიტიკური შინაარსია. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? მხოლოდ და მხოლოდ ლექტორთა შემადგენლობით. ვერავითარი კონტროლი, ვერავითარი პროგრამები აბსოლუტურად ვერ შეცვლიან იმ მიმართულებას, რომელიც ლექტორთა შემადგენლობით განისაზღვრება“ — წერს ლენინი. პოლიტ-

განათლების თათბირზე 1920 წ. ლენინი ამბობდა: „ახლა ჩვენ უნდა ავღზარდოთ მასწავლებელთა ახალი არმია, რომელიც მეიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პარტიასთან, მის იდეებთან, გამსჭვალული უნდა იყოს მისი სულით, უნდა მიიზიდოს მუშათა მასები, გამსჭვალოს ისინი კომუნიზმის იდეებით, დააინტერესოს იმით, რასაც აკეთებენ კომუნისტები". ცნობილია ლენინის ანდერძი იმის შესახებ, თუ რა დიდ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი საბჭოთა მასწავლებელი, — კომუნისტური აღზრდის საქმეში უდიდესი როლის შემსრულებელი. ც. კ. ისტორიული დადგენილებანი სკოლის საკითხებზე მტკიცე დირექტივს იძლევიან მასწავლებლის მნიშვნელობისა და როლის ყოველგვარი შემცირების ცდის გადაჭრით აღკვეთის შესახებ.

მაგრამ მასწავლებლის როლისა და აქტივობის ზრდა ერთი წუთითაც არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ის მოსწავლის აქტივობის უარყოფის ხარჯზე უნდა მიმდინარეობდეს. პირიქით, მასწავლებლის აქტივობის ზრდა მოსწავლეთა სასწავლო აქტივობის ზრდის პირობათ უნდა იქცეს. მასწავლებელი თავის როლს მაშინ დასძლევს და პედაგოგიური პროცესის ცენტრალური ფიგურის წამყვან მოვალეობას მაშინ შეასრულებს, როდესაც ის ამ დიდი საქმისათვის მზად არის — მზად არის მარქსისტულ-ლენინური ცოდნით, იმ საგნის საფუძვლიანი ცოდნით, რომელსაც ასწავლის, მზად არის მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის კარგად მომარჯვებით, მზად არის საბჭოთა სკოლაში გამოსადეგი მეთოდებისა და თავის საგნის კერძო მეთოდიკის მტკიცე ცოდნით. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დამყარებას დიალექტიკურ მიტერიალიზმზე, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებაზე, რომლის საგანს წარმოადგენს „ყველა ბუნებრივ, სოციალურ და სულიერ მოვლენათა განვითარების კანონები" — მხოლოდ ისეთი მასწავლებელი შესძლებს, რომელიც თვითონ არის აღზრდილი მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე.

და პირიქით: მეთოდების გააქტივებას, მეთოდის შერჩევას და შეგნებულად გამოყენებას იქ, სადაც ის ყველაზე მეტ შედეგს მოგვცემს, მეთოდების შემოწმებას და სკოლის მუშაობის პრაკტიკაში შესწავლას ვერ შეძლებს მასწავლებელი — ხელოსანი, ვერ შეძლებს ისეთი მასწავლებელი, რომელიც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე არ ფლობს კომუნისტური აღზრდის „მეცნიერებას და ტექნიკას". სკოლის პრაკტიკაში ერთი რომელიმე მეთოდის გაუნიერსალება ხშირად მასწავლებლის მოუმზადებლობის შედეგია,

რომ მასწავლებელი არ იცნობს სკოლის მუშაობის მეთოდიკას, რომ მას არ გააჩნია „მეთოდური არსენალი“.

ამიტომაც არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანა პედაგოგიური ინსტიტუტისა და პედ ტექნიკუმების მუშაობის იმ ნიადაგზე დაყენება, რომ ისინი პედაგოგიური ოსტატობით კარგად შეიარაღებულ მასწავლებლობას უშვებდენ. ამიტომ გვმართებს საინსტრუქტორო მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე აყვანა და ყოველდღიურს მუშაობაში მასწავლებელთა უზრუნველყოფა მეთოდური ხელმძღვანელობით.

თეორიულსა და პრაქტიკულ პედაგოგიურ მუშაობაში ბევრ გაუგებრობას ქმნის მეცნიერულად დამუშავებული პედაგოგიური ტერმინოლოგიის ჯერ კიდევ უქონლობა, მით უმეტეს — ქართულში. ეს. კერძოდ, მეთოდების საკითხებსაც ეხება. ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარებიან ასეთი ტერმინები: პრინციპი, პეთოლი, მეთოდიკა, დიდაქტიკა, ხერხი, სისტემა, მეთოდოლოგია.

ადამიანის შეგნებული მოქმედებს, შეგნებული ქცევის მიმართულება და ხასიათი ამა თუ იმ სახელმძღვანელო აზრს იმყარება.— ამ ძირითად სახელმძღვანელო აზრზე ანუ **პრინციპზე** ამყარებს ადამიანი თავის მოქმედების მიზნის დასახვას, მის საშოქმედო გზის არჩევას და თვით მოქმედებასაც. მაგალითად, დებულება — სკოლა, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის იარაღია — ჩვენთვის პრინციპულ საფუძველს წარმოადგენს ისეთი მიზნის დასახვამდეს, როგორიცაა ჩვენს სკოლაში ახალგაზრდობის კომუნისტურად მოზიდვა.

დასახული მიზნის მისაღწევად ამ მიზანთან შეფარდებულ საშოქმედო გზას ან **მეთოდს** ეირჩევთ (ბერძნული სიტყვაა, ქართულად— **გ ზ ა**). მაგრამ მეთოდის არჩევის დროს აგრეთვე ვხელმძღვანელობთ პედაგოგიური და პედოლოგიური პრინციპით. მაშასადამე, სწავლა-აღზრდის მეთოდი აღზრდის მიზანს უნდა უპასუხებდეს და იმავე დროს ბავშვის ასაკობრივ თავისებურობასაც აკმაყოფილებდეს. ყოველი შეგნებული მოქმედების **პ ი რ ვ ე ლ** მთავარ მომენტს **მიზანი** შეადგენს, ხოლო მეორეს—**მეთოდი** (მიზნის მიღწევის საშუალება). მეთოდი არის მიზნის მისაღწევად პრინციპულ საფუძველზე თანამიმდევრობით განხორციელებული მოქმედება. საბჭოთა სკოლაში სწავლების მიზანია მოსწავლეთა მტკიცედ შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლებით. სწავლების მეთოდმა, ე. ი. სასწავლო მოქმედების ყველა რგოლისა და ნაბიჯის ერთიანობამ, უმდა, უზრუნველყოს ამ მიზნების სრულად მიღწევა. მეთოდურ მუშაობაში ყოველ ცალკე საფეხურს, ცალკე რგოლს **ხ ე რ ხ ს** უწოდებენ. ყოველ მეთოდში ვარჩევთ გარკვე-

ული თანამიმდევრობით დალაგებული და გამოსაყენებელი ხერხების რიგს. მაგალითად, წერაკითხვის სწავლების მეთოდში ვარჩევთ ასეთ ხერხებს: მოძრავი ასოებით სიტყვების აწყობა, სიტყვის ჩაწერა, ახალი და ნაცნობი სიტყვების შედარება და ა. შ. ანდა კიდევ, როცა ბუ-ნების მეტყველების კაბინეტში მასწავლებელი დასამუშავებელი საკი-თხის შესახებ წინასწარ, აძლევს მოსწავლეებს ცოდნას, იყენებს სუ-რათს, უჩვენებს ცდას, შემდეგ მოსწავლეებს აკეთებინებს და ავარ-ჯიშებს, მუშაობის შედეგებს ჩააწერინებს, ჩაახატვინებს და სხვ.—აქ მეთოდში გამოყენებულ ხერხებთან გვაქვს საქმე. როგორც ვთქვით, მე-თოდში სხვადასხვა ხერხი დასამუშავებელი მასალის მიხედვით — შერ-ჩევით, თანამიმდევრობით უნდა იქნას გამოყენებული. მექანიკურად აღებული და პრინციპულად განსხვავებული ხერხები არ ქმნიან მე-თოდს.

სისტემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ვიღებთ მთლია-ნობაში დასახული მიზნის განსორციელებისაკენ მიმართულ-პრინცი-პებს, მეთოდებს, ხერხებს, მუშაობის ორგანიზაციის ფორმებს. მაგა-ლითად, მთელი პედაგოგიური პროცესი საბჭოთა სკოლაში კომუნის-ტური აღზრდის მიზნისაკენ მიმართული მთელი სისტემაა მასში შე-მავალი ყველა ელემენტით.

სწავლებას ჩვენ ვამყარებთ პრინციპების, მეთოდების დი ხერ-ხების მთლიან სისტემაზე. რამდენადაც ზოგად მეთოდებთან გვაქვს საქმე, იმდენად სასწავლო მუშაობის ზოგად მეთოდიკაზე ანუ **დიდაქტიკაზე**. ვლაპარაკობთ. ყოველ ცალკე სასწავლო დისციპლინას აქვს თავისი პრინციპების, სწავლების შინაარსის და მეთოდების სი-სტემა ანუ კერძო მეთოდიკა. ჩვენ საგნის კერძო მეთოდიკაზე ვა-მახვილებთ ყურადღებას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს სწავლა-განათლების ზოგადი მეთოდიკის ანუ დიდაქტიკის მნიშვნელობის მეტ-ცირებას. ზოგადი მეთოდიკა კერძო მეთოდიკების მეცნიერული ანა-ლიზის საფუძველზე იქმნება, კერძო მეთოდიკების ყველა პრინციპულ და პედაგოგიური ღირებულების მქონე მომენტებს შეიცავს და პრინ-ციპულ მთლიანობაში აყალიბებს. ამ გზით დამუშავებული და მეცნიე-რულად შემოწმებული ზოგადი მეთოდიკა თავის მხრივ კერძო მეთო-დიკის განვითარება-გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვან როლს ას-რულებს.

მეთოდოლოგია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მეცნიერება შემეცნების (ბუნების, კაცობრიობის ისტორიისა და აზროვნების გან-ვითარების კანონების) და მოქმედების მეთოდების შესახებ. მარქსის-

ტულ-ლენინური მეთოდოლოგია დიალექტიკური მატერიალიზმია. დიალექტიკურ მატერიალიზმზე, როგორც ერთადერთ ზოგად მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე, ცალკე მეცნიერებათა კერძო მეთოდოლოგია ჩამოყალიბდა, მაგალითად, ისტორიის მეთოდოლოგია (ისტორიული მატერიალიზმი), ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგია, მათემატიკის მეთოდოლოგია, პედაგოგიკის მეთოდოლოგია და ა. შ. ცალკე მეცნიერების მეთოდოლოგია ზოგადიდან (დიალექტიკური მატერიალიზმიდან) გამომდინარეობს და მოცემული მეცნიერული დისციპლინის შინაარსის სპეციფიკას ეფარდება.

საბჭოთა სკოლის მეთოდიკა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე მუშავდება.

II. ცოტა ისტორია სწავლების მეთოდების შესახებ.

მოკლედ შევეხოთ სწავლების მეთოდების განვითარების საკითხს. ფეოდალური საზოგადოების სამრევლო და სხვა სკოლებში დოგმატიურ-სიტყვიერი მეთოდი სუფევდა. (აქ ასწავლიდენ გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას.) სიტყვიერი მეთოდის ცალკე სახეები და ხერხები იყო: მასწავლებლის ბრძანება, თხრობა, მსჯელობა, ქადაგება-ჩაგონება. მასწავლებელი მთქმელი იყო, მოსწავლე — მსმენელი. ოთახი, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა, **აუდიტორიად** იყო წოდებული (ლათ. **აუდირე** — ქართულად **სმენა**). სწავლებაში საუბარს ადგილი არ ჰქონდა, რადგან ის მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნებისა და აქტივობის მომენტს აძლევს, რაც მაშინ, გაბატონებული კლასის ინტერესების თვალსაზრისით, დაუშვებელი იყო, მით უმეტეს, რომ სკოლებში მოსახლეობის „ქვედა ფენების" ბავშვები სწავლობდენ და მათი აღზრდა მონამორჩილებაში ფეოდალური სკოლის მთავარ ამოცანას შეადგენდა. მასწავლებელი თუ მიმართავდა კითხვების დასმას — მხოლოდ იმისათვის, რომ მოსწავლეთაგან უკვე გაზეპირებული პასუხები მიეღო და დამახსოვნება შეემოწმებინა. რასაც იზეპირებდენ, უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეებს არ ესმოდათ—ხშირად არც მასწავლებლებს. ნაირ-ნაირი ცრუმორწმუნეობა და ათასგვარი სისულელე შეადგენდა შესწავლის საგანს. სახელმძღვანელოებს მოსწავლეები მთლიანად იზეპირებდენ, ასე, რომ „გამოცდებზე შეეძლო არა თუ ზეპირად

თქმა, არამედ შეეცევით თქმაც“ (რაბლე). მაშინდელი სახელმძღვანელოები, მაგალითად, ასეთი რამეებისაგან შესდგებოდენ:

„ფრინველი ფენიქსი. დიდებულს ინდოეთში არის ფრინველი, ფენიქსად წოდებული. მის შესახებ წინასწარმეტყველი დავითი ამბობს 91 ფსალმუნში: მართალო, აყვავდები, ვითარცა ფენიქსიო. ეს ფრინველი—ერთბუდოვანია, არ ყავს არც მეგობარი, არც შვილები—მარტოდ ცხოვრობს თავის ბუდეში. საკვებად ის დაფრინავს ლიბანის კედრებთან და იქ თავის ფრთებს სურნელოვანებით ავსებს, ამიტომაც მუდამ საამო სუნი სდის. როცა დაბერდება—აფრინდება ზევით, ჩამოაგვს ცეცური ცეცხლი, დაეშვება, წვავს თავის ბუდეს და თითონაც იწვება, მაგრამ ფერფლიდან ისევ იშვება, როგორიც იყო—ისევ თავისებურად და თვისებებით“.

ან კიდევ:

„ბალენა—ზღვის თევზია. მისი სიგრძე 60 საჟენია, განი—30 საჟენი. როცა თამაშობს—ლრიალებს, როგორც წმაგი მსეცი. ცხვირზე მას თითქოს ორი დიდი საკვამლე მილი ქონდეს აღმართული. როცა ამოისუნთქავს და წყალს ამოისვრის, შეუძლია გემი ჩაძიროს, თუ ის ახლოს მიცურავს“.

„ასიდი—ბალახია, რომელსაც ავი სულები გაურბიან, ეს ინდოეთის ქვეყნებში სარობს“.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი შინაარსის იქნებოდა სამუალო საუკუნეების ბუნებისმეტყველება, თუ უკვე „ბამოცოცხლების“ ხანაში მოწინავეთ ცნობილი კონრად გესნერი ლამურას ასე აგვიწერს:

„ალბერტი ამბობს, რომ ამ ფრინველს, ოფოფის მსგავსად, ზამთარში სძინავს, როგორც გვასწავლიან ოფოიკანუსი და ჰოროასტრი. ლამურას განდევნა შეიძლება ცეცხლანთებული ნაკელის წეხჩოლებით. ლამურებს ეზიზღებათ ხე—ნეკერჩხალი. ამიტომ ამ ხის ფოთოლი რომ დაიკიდოს კარებსა და ფანჯრებზე, არც ერთი ლამურა არ შემოფრინდება ოთახში, როგორც ალნინნაველ პლინიუსი და აფრიკანუსი. ყარყატი და ლამურა მტრები არიან, რადგან ლამურა ერთი შეწყობით უფუტეებს ყარყატს კვერცხებს, თუ ბუდეში არ ძევს ნეკერჩხალის ფოთლები, რომლებიც, როგორც ადასტურებენ ელიანი, პილი და ჰოროასტრი, ეზიზღებათ ლამურებს. იტალიაში არის შხამიანი ჭიანჭველების ერთი ჯიში. ამ ჭიანჭველებს საშინელად ეზიზღებათ ლამურას გული, როგორც საერთოდ ყველა ჭიანჭველას—ამბობს პლინიუსი. ამიტომ ჭოტები, რომ თავის ბარტყებისგან ჭიანჭველები გარეკონ, ბუდეში ლამურას გულს სდებენ, როგორც

გვასწავლის ოპიანე. ლამბრას სხეულის რომელიმე ნაწილი რომ დავდვათ ჭიანჭველების ბუდეზე, ერთი მათგანიც არ შეეა შიგ, როგორც ამბობს ორესი. შებინდებისას ბრიალა ხანალი რომ გამოიტანოთ, ლამპრა ეკვება მას და სასიკვდილოდ დაჭრილი ძირს ვარდება. ალია თუ ანდგურებს რომელიმე ქვეყნის მოსავალს—საკმარისია ამ ქვეყნის უმაღლეს ხეზე გამოიკიდოთ ლამპრა, რომ ალიამ ერთბაშად დასტოვოს ის ადგილები".

აღვილი გასაგებია, რომ ასეთი „სიბრძნის" შესასწავლად მხოლოდ სიტყვა, დოგმატიკა, სქოლასტიკა გამოდგებოდა. ცოდნის წყაროდ არა სინამდვილე, არა დაკვირვება, ცდა და აზროვნება იყო მიჩნეული, არამედ ავტორიტეტებზე ლაპარაკი, საეკლესიო წიგნები, ავტორიტეტების დამტკიცებული ბერგამენტები. ბავ., ისეთი ნარტივი საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენი თითი აქვს ძალს, ამ რამდენი კბილი ცხენს—ნაშინდელი მეცნიერები ძველი ავტორიტეტების ნაწერებში იქექებოდენ და თვლიბით ეძებთ ამ ...ეარავის არ მოუვიდა თავში—თითონ ეცადათ და ...ბულიყვნენ. სწავლების მეთოდიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ძირძველ საეკლესიო წიგნების დამოუკიდებელი აზრი და ...ავტორიტეტებისათვის დაეთრგუნა. ბატონობდა სიტყვა, ფორმა ნაცვალი შინაარსის გარეშე. სწავლების დოგმატური მეთოდი ისეთ „კონკრეტულ" საშუალებას ემყარებოდა, როგორიცაა ...ეგეტი საუნაგლო წლის განმავლობაში შოლტების ისეთი დიდი ...ოდენობა იყო საჭირო, რომ სკოლების საშუალებით მოპარაგებული ...ები ...ად ...ოდათ (სკოლა წელიწადში ერთხელ ...ოდა დიდ ზეიმით საეკლესიოთ ტყეში... შოლტების მოსატანად.) და ...ოს ...ეობას ბეგარად ...ოდათ დადებული სკოლებში შოლტების წლიური მარაგის ...ებით ...ზიდვა..

„...ასაკე ბავშვი ...ბრძნა ...ინა — ...ეს ...ინა ...ბრძნისა შენისასა... თუ გიყვარს ...ე შენი—...ეს ...ეანი, რამეთუ ...ა შენ ...ინა"—ასეთ ...ეგებია იძლევა ...ული „...ოსტროი" (მე-10 საუკ.) სწავლა-...ში ...ეზიკური ...ის შესახებ.

ერაზმე როტერდამელი (1467—1536) მოუმობს, რომ მისი დროის მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი სკოლებში წარმატებას ცემით, მუქარით და ...ეგებით აღწევსო.

ეს დოგმატურ-უკვალური მეთოდი ესაბამება მაშინდელი გაბატონებული კლასის მიერ სკოლის წინაშე დასმულ მიზნებს და წავლა-აღზრდის შინაარსს: როგორც აღვნიშნეთ, მაშინდელ სკოლებში

ასწავლიდენ არა წარჩინებულთ-წარჩინებულნი თავიანთ შვილებს ოჯახში ზრდიდენ და უზომოდაც ანებივრებდენ, როგორც მომავალ ბატონებს,—არამედ „დაბალი ფენების“ ბავშვებს, რომელნიც უნდა აღეზარდათ მორჩილებაში. ყმის „უმაღლეს ზნეობაზე“, ღვთისა და ქვეყნის ძლიერთა შიშში და ერთგულობაში. უნდა შთაეგონებიათ და შეესისლხორცებიათ რელიგია, ტრადიციები და ძველი შეხედულებანი, გაბატონებული კლასის იდეოლოგია და მორჩილების წესები. ასეთი სწავლა-აღზრდის შესაფერი მეთოდი იყო ჯოხზე დამყარებული მშრალი სიტყვა — დოგმატიზმი. მასწავლებელი აქ მთქმელია, მოსწავლე კი მსმენელი—ცოდნას უმთავრესად ყურით იძენს.

საზოვადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე სწავლების მეთოდის საკითხში უკვე წინგადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს ვხედავთ: სწავლების სიტყვიერ ფორმას — საგნობრივობა, **თვალსაჩინოება** ემატება.

„ველებსა და სხვა ბალახიან ადგილებში ისინი (მასწავლებელი და მოსწავლე) ათვალიერებენ ხეებსა და მცენარეებს, ადარებენ, რაც მათ შესახებ წიგნებში დაუწერიათ ძველებს, და მცენარეებით სავსე ხელებით ბრუნდებიან შინ... ისინი დადიან აგრეთვე აფთიაქში და იქ ეცნობიან ნაყოფს, თესლებს, ფესვებს, ფოთლებს... სადილის შემდეგ აკეთებენ ათასგვარ ლამაზ გეომეტრიულ იარაღებს და ფიგურებს, იყენებენ ასტრონომიულ ფორმულებს... შუალამეს, დაძინების წინ, მიდიან გაშლილ ადგილზე, რომ დაათვალიერონ ცა, დააკვირდენ კომეტებს---თუ არის, ვარსკვლავების ფიგურებს, სახეს, ადგილმდებარეობას, დაჯგუფებას... ზოგჯერ ათვალიერებენ, თუ როგორ ადნობენ მეტალებს და ასხამენ იარაღს, დადიან ოქრომჭედელთან, ქვის მჭრელებთან, ფულის მჭრელებთან, ათვალიერებენ საფეიქრო სახელოსნოებს, საათების, სარკეების, ღებვის სახელოსნოებს, სწავლობენ მრეწველობას და გამოგონებას სხვადასხვა ხელოსნობაში“... ასე აგვიწერს თავად-აზნაურული პედაგოგიკის წარმომადგენელი **ფრანსუა რაბლე** (1483—1553) სწავლების შინაარსსა და მეთოდიკაში მკაფიოდ გამომჟღავნებულ ცვლილებებს. ხელოსნურ-კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება და ბურჟუაზიის მოლონიერება, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა, უცხო საგნების, უცხო ენებისა და ახალ ზნე-ჩვეულებათა შემოსვლა, ახალი იდეები და სხვადასხვა მეცნიერული მიღწევა—ყველა ეს მოითხოვდა ცვლილებათა შეტანას აღზრდის სისტემაშიც. „ზეპირად ცოდნა—კიდევ არ არის ცოდნა... გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ საკლასო ოთახები ყვავილებით და მწვანით ყოფილიყო დამშვენებული და არა

-გასისხლიანებული შოლტების ნატეხებით... თვით შესავლიდან იმით უნდა დავიწყოთ, რომ მასწავლებელის მზრუნველობაზე მინდობილ მოსწავლეს, მისი ძალისა და უნარის მიხედვით, მივცეთ საშუალება გაიცნოს და გაარკვიოს ნივთები, ზოგჯერ დავეხმაროთ მიღწევაში, ზოგჯერ კი მივანდოთ — თითონ ეძიოს გზა... ჩვენ იმით ვაქცევთ მოსწავლეს მონისებურად და მხდალად, რომ აღარ ვაძლევთ თავისუფლებას თითონ გააკეთოს რამე თავის „ინიციატივით“ — უკვე ახალს პირობებში ამბობს დეგრადაციის გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის მეორე წარმომადგენელი **მონტენი** (1533—1592 წ.). უკვე აღარ კმაროდა მარტო ტრადიციების, ათასგვარ „ცრენორწმუნეობათა და ძველი დოგმების გაზეპირება, აღარ კმაროდა ვარჯიშობა იმის მტკიცებაში, თუ რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის წვერზე, როგორც წინა პერიოდში იყო, არამედ საჭირო გახდა რეალური სინამდვილის მეტი ძიება მუხებსა და წიფლებში, ცასა და მიწაში, როგორც ამას მოითხოვდა იმ ეპოქის გამოჩენილი ჩეხი პედაგოგი — **კომენსკი** ახალი კლასის — ბურჟუაზიის იდეოლოგი პედაგოგიკაში და დიდაქტიკის საფუძველმდებელი (მისი „უ დ ი დ ე ს ი დ ი დ ა ქ ტ ი კ ა, შ ე მ ც ვ ე ლ ი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს — ყ ვ ე ლ ა ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ვ ა ს წ ა ვ ლ ო თ“). ახალგაზრდა ბურჟუაზიის წინაშე საწარმოო ძალთა განვითარება მახვილ ამოცანად დაისვა. სწავლა-აღზრდის საქმეს ამ ამოცანისთვის ანგარიში უნდა გაეწია. „ცოდნა არის ძალა და ძალა არის ცოდნა... სამარცხვინო იქნებოდა კაცობრიობისათვის, ინტელექტუალური სამყარო (ე. ი. გონებრივი სიმდიდრე) რომ დარჩეს ძველი დროის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, — მაშინ, როდესაც მატერიალური სამყაროს დარგი — ქვეყნები, ზღვები და პლანეტები — უზომოდ გაფართოებული და შეცნობილია“, — ამბობს ახალგაზრდა ბურჟუაზიის ფილოსოფოსი **ფრ. ბეკონი** (1561 — 1626). რომელიც ფილოსოფიის საფუძვლად აღიარებს არა თეოლოგიას, ეთიკას ან მეტაფიზიკას, როგორც იქამდე იყო, არამედ ფიზიკას, ე. ი. ბუნებისმეტყველებას.

„ცოდმა ნამდვილად — ნიშნავს მიზეზობრივი დამოკიდებულების ცოდნას“ — ამბობს ბეკონი, რომელიც უარყოფს საშუალო საუკუნეების სქოლასტიკურ დავას, უარყოფს აზროვნებაში „კერპებს“, და ქმნის ინდიქტიურ ლოგიკას. ბეკონი დაკვირვებას, შედარებას, ექსპერიმენტს აღიარებს ცოდნის საფუძვლად, მოითხოვს ბუნების შესწავლას მასზე გაბატონებისათვის — ყველაფერი ეს შეესაბამებოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიის ინტერესებს და ამოცანებს. ცვლილებები აღზრდის მიზნებსა და შინაარსში მოითხოვს ცვლილებებს

სწავლების მეთოდებშიც, მოითხოვს მოსწავლის მეტ აქტივობას. მარტო სიტყვა აღარ კმარა და სწავლებაში შემოდის — თვით საგანი, მოდელი ან სურათი. ეუსს იკიდებს საგნობრივი სწავლება.

კომენსკი (1592—1670) გარკვეულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ „სწავლება ყოველთვის გრძნობიდან გამომდინარეობდეს, რომ სწავლება იწყებოდეს საგნობრივ დაკვირვებიდან და არა სიტყვიერი ბსჯელობიდან საგანთა შესახებ", რადგან, კომენსკის თქმით, „ნივთი — სხეულია, სიტყვა — სამოსელი, ნივთი — ბირთვია, სიტყვა — ქერქი და ჭურჭელი".

საერთო განათლების გეგმაში კომენსკი სავალდებულოდ ითვალისწინებს „ბუნყარის საერთო გეგმის. სტიქიათა ძალის, ცხოველების, მინერალების, მცენარეების, ადამიანის სხეულის აგებულობის შესწავლას, მაგრამ შესწავლას ისე, რომ... „წმ. წერილს ემორჩილებოდეს" და შესწავლას „ბოლოდ იმის, რაც ამკარად სასარგებლოა". ცოდნის სისწორის კრიტერიუმად რელიგიის ფინანვის და ეიწრო უტილიტალისტური შეხედულების ბიუაედავად, კომენსკიმ მისი დროისათვის ვალკვეულად მოწინავე მეთოდური დებულებანი წამოაყენა. „ბავშვირება თვის არსებობისათვის ითხოულობს თვალს, დაკვირვების საგანს და სინათლეს. დაკვირვების საგნები მოსწავლეს უნდა დაეახლოვდეს. ოქროს წესია ბოსწავლეთათვის ყველაფერი, რაც კი ბესაძლებელია, გრძნობით იქნას ათვისებული: ხილვადი — მხედველობით, ხმენადი — სმენით, ყნოსვადი — ყნოსვით, გემოვანი — გემოთი, მეხებითი — შეხებით. და თუ შეიძლება რაიმე ერთდროულად რამდენიმე გრძნობით იქნას ათვისებული — ერთდროულად უნდა იქნას რამდენიმე გრძნობასთან მიტანილი. ადამიანის გრძნობები ადრე უნდა გაიხსნას ნივთების დასაკვირვებლად, რადგან ხოელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბევრი უნდა შეიცნოს, გამოსცადოს და შეისოელოს" — ამბობს კომენსკი.

სწავლებაში თვალსაჩინოებისა და კონკრეტობის საკითხი, როგორც დავინახეთ, კომენსკიმდეც იყო დასმული, მაგრამ კომენსკიმ მას დასაბუთება მისცა და მისი გამოყენების მეთოდური მხარე ისე დაამუშავა, რომ ჩვენს დროშიც არ არის ნნიშენელობას .მოკლებული: „იმ ნივთების ნაგიერობას, რომელთა შოვნა შეუძლებელია; სწავლებისათვის საგანგებოდ დამზადებული მოდელები და სურათები გასწევენ... ადამიანის სხეულის აგებულობა. ჩემის აზრით, შეიძლება მშენენიერად იქნას შესწავლილი თვალსაჩინოდ, რომ ჩონჩს გავუკეთოთ ტყავისაგან და მატყლით გატენილი კუნთები, აგრეთვე ნერვები, ვენები, არტერიები, ფილტვები,

ვული, ელენთა. ღვიძლი, კუჭი და ნაწლავები. ყველა ნაწილს სწორი მდებარეობა და სიდიდე უნდა ქონდეს, აგრეთვე მათზე უნდა იყოს დაწერილი სახელწოდება და დანიშნულება. ასეთ მოდელზე მოსწავლეს რომ უჩვენო და აუხსნა ცალკე ნაწილები, ის ადვილად მიხვდება და გაიგებს საკუთარი სხეულის აგებულობას. ამგვარი თვალსაჩინო სელსაწყოები ცოდნის ყველა დარგისათვის უნდა იქნას დამზადებული სკოლაში გამოყენების მიზნით. მართალია, მათი დამზადება შრომასა და სახსრებს მოითხოვს, მაგრამ ყველა ეს გადაჭარბებით იქნება ანაზღაურებული მათი სარგებლობით". იმის მიუხედავად, რომ „უდიდესი დიდაქტიკა" მე-17 საუკ. პირველ ნახევარში დაიწერა, კომენსკის მითითება სასწავლო ბაზის გაძლიერების შესახებ დღესაც აქტუალური საკითხია. კლასი, რომელსაც კომენსკი წარმოადგენს, აღზრდაში, თავის დროის და ინტერესების მიხედვით, შედარებით ბოწინავე იდეებს აყენებს. ის ბურჟუაზიის თავისუფლებისათვის იბრძვის, მას ინიციატივის მქონე და მოძრავი ადამიანი ესაჭიროება. ასეთი ადამიანის აღზრდის თვალსაზრისით კომენსკი ვერ ურიგდება სწავლებაში შოლტის მეთოდიკას: „ეე გადაჭრით ვდგევარ იმ თვალსაზრისზე, რომ როზგი და ჯოხი, მონობის ეს იარაღები, სრულიად შეუფერებელნი არიან თავისუფალი ადამიანებისათვის. მათ სკოლაში სრულიად არ უნდა ქონდეს ადგილი, განდევნილი უნდა იქნან სკოლიდან" — წერს იგი.

თვალსაჩინოება — საგნობრივი სწავლების მეთოდთან ერთად დამყვანი **კითხვების** ანუ **ევრისტული** მეთოდი შემოვიდა (სოკრატეს მეთოდათ ცნობილი). ეს მეთოდი მოსწავლეს მეტი თვითმოქმედების პირობებში აყენებს: მასწავლებლის მიერ მოფიქრებულად დასმულ კითხვებზე მოსწავლეები, უკვე მიღებული ცოდნის საფუძველზე, ეძებენ, ადარებენ, მსჯელობენ, აზროვნებენ. ამით სკოლაში ფეხს იდგამს გონებრივი მუშაობის — მაშინდელ დროსთან შეფარდებით — უფრო მაღალი ფორმა.

მსხვილი ბურჟუაზიის იდეოლოგი **ჯონ ლოკი** (1632 — 1704) უარყოფს თანდაყოლილ — ცდამდე და ცდის გარეშე — იდეებს და დაკვირვებას, ცდას, გრძნობათა ორგანოების მუშაობას აღიარებს ცოდნის წყაროდ (tabula rasa). უნდა ვიფიქროთ — თანდაყოლილი იდეების უარყოფაში გამოძახილს პოულობს ბურჟუაზიის ბრძოლა არისტოკრატიის წინააღმდეგ — იმ არისტოკრატიის, რომელიც ყოველთვის ყოყოჩობდა ვითომდა თავისი თანდაყოლილი „კეთილშობილობით, გვარიშვილობით, რჩეულობით — რომელიც ყოველი საშუალებით ამკვიდრებდა იმ აზრს, თითქოს მას ახასიათებს მართვის, ბატონო-

ბისა და ბრძანებლობის თანდაყოლილი „მადლი“ და უნარი. „ბავშვის ცნობისმოყვარეობა არის მისწრაფება ცოდნისაკენ... ბავშვები მოგზაურები არიან, რომლებიც ახლად მოსულან უცხო ქვეყანაში, რომელსაც არ იცნობენ. ბავშვები — უცხოელები არიან, რომლებიც ყველაფერს უნდა გაეცნონ... ბავშვის მხრივ კითხვის დროს დაუშვებელია მისი შეწყვეტა ან შერცხვენა, არამედ საჭიროა პასუხის გაცემა — გასაგებად, მისი ცოდნასა და ასაკთან შეფარდებით“, — ამბობს ლოკი.

წვრილი ინდუსტრიალური წარმოების განვითარებასთან ერთად, იზრდება სწავლების პროცესში მოსწავლეთა მოძრაობითი ელემენტების გაძლიერების მოთხოვნილება. ბურჟუაზია სკოლას ამოცანად უყენებს ისეთი ადამიანის აღზრდას, რომელსაც არა მარტო თვალსაჩინოების გზით შეუძენია წარმოდგენა საგნებსა და მოვლენებზე, არამედ შრომის პროცესებიც ექნება შეთვისებული, ეცოდინება — **რისგან** და **რა, რა იარაღებით** და **როგორ** კეთდება.

კამპანელადან და **ტომას მორიდან** დაწყებული აღზრდის თვალსაზრისით ხელოსნური შრომის საკითხებს ეხებიან და ამუშავებენ: კომენსკი ლოკი, პესტალოცი და შემდგომი პერიოდის ბურჟუაზიული პედაგოგები. სწავლებაში მოძრაობითი ელემენტების შეტანა პირველ ხანებში ხატვით, ძერწვით, ხაზვით და ხელგარჯილობის სხვადასხვა სახით მყღავნდებოდა და შემდეგ ნამდვილი ხელოსნური შრომის სახე მიიღო. ტ. **მორი** (1479—1535) თავის „უტოპიაში“ ასწერს ბავშვთა სწავლა-აღზრდას, სადაც ფართო ადგილი აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის თეორიულად შესწავლას — სკოლაში ხოლო პრაქტიკულად — მინდვრებზე. სოფლის მეურნეობის გარდა, მორი ბავშვისათვის სავალდებულოდ აღიარებს ერთი რომელიმე ხელობის ცოდნას.

ინგლისში მე-17 საუკ. შემოიღეს ტერმინი „შრომის სკოლა“. უკვე გაბატონებული ბურჟუაზია თავის ინტერესის თვალსაზრისით აყენებს საკითხს შრომითი სწავლა-აღზრდის შესახებ. **ჯონ ლოკი** საჭიროდ აღიარებს რომელიმე ხელობის შესწავლას — დურგლობის, ხარატობის, მებაღეობის და სხვ.

დემოკრატიული აზროვნების წარმომადგენელი ინგლისში **ჯონ ბელერსი** (1654 — 1725) თავის „ყველა სასარგებლო ხელობისა და სოფლის მეურნეობის მუშათა კოლეჯის პროექტში“ ანვითარებს იდეებს იმის შესახებ, რომ „ხელგარჯილობას სარგებლობა მოაქვს, ის ჭკვიანს ბრძენად აქცევს, ნებისყოფას აწრთობს და ჭიშმარიტებაში ანმტკიცებს... შრომა ზეთს უმატებს ცხოვრების ლამპაში, ხოლო

აზრი ანთებს მას". მარქსი შენიშნავს ბელერისის შესახებ, რომ მას „უკვე მე-17 საუკუნის მიწურულში სრული სიცხადით ქონდა შეგნებული თანამედროვე აღზრდის 'მოსპობის აუცილებლობა".

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის ბურჟუაზიის იდეოლოგი **ჟ. ჟ. რუსო** (1712 — 1778) თავისუფალი აღზრდის თეორიის საფუძველმდებელი, ბავშვის თვითმოქმედებას, აქტივობას სწავლების ძირითად პრინციპად აღიარებს. „შას (ბავშვს) სურს ყველაფერს შეეხოს, ყველაფერი სინჯოს — არ გადაეღობოთ ამ მოუსვენარ მისწრაფებას, რადგან ის აძლევს ბავშვს საჭირო ცოდნასა და უნარს. ასე სწავლობს ის—იგრძნოს სითბო, სიცივე, სიმაგრე, სირბილე, სიმძიმე, სსეულების სიმსუბუქე, გაარჩიოს სიდიდე და ფორმა" და ა. შ. აქეღან გამოსული, რუსო ჯეროვანად აფასებს გრძნობათა ორგანოების კულტურის განვითარების ამოცანას. იგი ცოდნის წყაროდ მოძრაობას თვლის: „მხოლოდ მოძრაობის საშუალებით ვიგებთ, რომ ჩვენგან განსხვავებული ნივთები არსებობენ, მხოლოდ ჩვენი საკუთარი მოძრაობის საშუალებით ვითვისებთ სივრცის იდეას" — ამბობს რუსო. მისი შეხედულებით, სწავლა-აღზრდა შრომას—ხელოსნურ შრომას—უნდა ემყარებოდეს. ხელოსნური შრომა გონების გამდიდრებისაკენ უნდა იყოს მიმართული, რათა ამ გზით აღიზარდოს ადამიანი, რომელიც „თავის თავს მხოლოდ ხელოსნად თვლიდეს — სინამდვილეში კი ფილოსოფოსი გამოდიოდეს".

თავის სოციალური უტოპიის გამო (ისე, როგორც რუსო) პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე გადასული და ამ დარგში ნაყოფიერად მომუშავე შვეიცარიელი პედაგოგი **ჰენრიხ პესტალოცი** (1746—1827) თავის ხანგრძლივ პედაგოგიურ მოღვაწეობაში ანხორციელებს ახალი პედაგოგიკის იდეებს. ანვითარებს ზოგადი მეთოდიკის საკითხებს, ქმნის ცალკე დისციპლინების მეთოდიკებს და ნეიგოფის სკოლაში ცდილობს პრაქტიკულად განახორციელოს ხელოსნური შრომისა და სწავლების დაკავშირება, თუმცა ეს ცდა შემცდარ მოსაზრებებზე იყო აგებული: პესტალოცის აზრით ბავშვების შრომას მთლიანად უნდა შეენახა სკოლა.

შრომითი სწავლა-აღზრდის იდეებს თავგამოდებით ანვითარებენ სოციალისტ-უტოპისტები: **შ. ფურიე** (1772 — 1837), **სენ-სიმონი**, და განსაკუთრებით **რ. ოუენი** (1771—1858). ამ უკანასკნელის ცდა დაკ მიღწევები სწავლებისა და მსხვილი მანქანური წარმოებითი შრომის დაკავშირების დარგში მარქსმა მომავალი აღზრდის სისტემის ნასახად აღიარა.

გერმანელი ფსიქოლოგი და პედაგოგი. **იოჰან ჰერბარტი** (1775 — 1841), ჩკვეთრად გამომჟღავნებული რეაქციონური პედაგოგიკის მთელი ხისტემის შემქმნელი, დეტალურად ამუშავებს „**ჭლმზრდელობითი სწავლების**“ საკითხებს. სწავლა-აღზრდაში ჰერბარტი აქტივობას ძირითად მომენტად აღიარებს, მაგრამ ეს აქტივობა ცალმხრივია, მხოლოდ ინტელექტუალური — მოქმედიანობა, შრომა გამორიცხულია. სწავლების მეთოდს ჰერბარტი ფსიქოლოგიურ საფუძვლს უდებს (შესასწავლის აღქმა, ასოციატური დაკავშირება, წარმოდგენათა სისტემის შექმნა, ახალი ცოდნის შეძენისათვის ნიადაგის მომზადება; ინტერესი, ყურადღება, დასწავლა და სხვ.) მანვე დაამუშავა ბურჟუაზიულ სკოლაში გაკვეთილის ორგანიზაციის საკითხი. ჰერბარტს ეკუთვნის „დამსახურება“ კაპიტალისტური პედაგოგიკის პერიოდში ნაირნაირი სასკოლო სასჯელის რთული სისტემის შექმნაში (კარცერი, დაჩოქება, უსადილოდ დატოვება, გაკვეთილიდან გაძევება და სხვ.).

თანამედროვე გერმანელ პედაგოგ **კერშენშტეინერს** (დ. 1854), უკიდურეს რეაქციონერ — ფაშისტს, - ხელოსნური შრომა სკოლაში შეაქვს, როგორც ერთ-ერთ დამატებითი საგანი (მუშაობა ხეზე, მეტალზე და სხვ.). მისი შეხედულებით, შრომითი აღზრდის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ „მოამზადოს სახელმწიფოსათვის გამოსადეგი მოქალაქენი, რომლებიც წინ აღუდგებიან“ კონსტიტუციის გზით სახელმწიფოს დემოკრატიზაციას და ბრბოს ბატონობის განხორციელებას“.

ბოლორობის პრინციპი შემდეგ თანდათან სასწავლო საგნებშიც გადადის და თავისებურ დასაბუთებას პოულობს გერმანელი ბურჟუაზიული პედაგოგის **ლაიხ** (1862 — 1926) შრომებში, როგორც „მოქმედიანობის ძირითადი პედაგოგიური პრინციპი“.

კაპიტალისტური ინდუსტრიის მოწინავე ქვეყანაში — ჩრდილოამერიკის შეერთებულ შტატებში — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის თანამედროვე ფილოსოფოსი — პრაგმატისტი და პედაგოგი **ჯონ დიუი** (დ. 1857) საკითხს აყენებს იმის შესახებ, რომ სწავლასა და აღზრდას საფუძვლად წარმოებითი შრომა და თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის გაცნობა უნდა დაედვას, მაგრამ გაცნობა ისეთი შინაარსით და ისეთი მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის შეგნებაში იმ შეხედულების განმტკიცებას, რომ, — დიუის სიტყვებით — „დემოკრატიის იდეალი — კლასობრივი ინტერესების აცილებაში, მათ ნაცვლად — საერთო დაინტერესების განმტკიცებაში, საერთო ცხოვრების გაუმჯობესებასა და ჯგუფთა (წაიკითხე კლასთა — გ. გ.) შომის ურთიერთობის განვითარებაში მდგომარეობს“.

საწარმოო ძალების ზრდამ, კაპიტალისტური მსხვილი წარმოების გაფართოებამ, ეკონომიური ქსელის გართულებამ, კრიზისებმა და ბაზრის მახინიზაციებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ და სხვ. მეტი გამჭრიახობა და ორიენტაცია, მეტი ინიციატივა და დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარიანობა მოითხოვა. ბურჟუაზიულ პედაგოგიკასა და სკოლაში ამ გარემოებამ სწავლების **ფორმალური კვლევითი მეთოდის** სახით პოვა გამოძახილი. გარკვეულად დაისვა საკითხი **ლაბორატორული** მუშაობის შესახებ (ლათ. **ლაბორარე**—ქართ. მ უ შ ა ო ბ ა). ეს მეთოდი ყველა სხვა მეთოდის არსებითს ელემენტებს შეიცავს, მაგრამ მისი სპეციფიკური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას შესასწავლი საკითხის გამოკვლევაში—ამისათვის საჭირო მასალის შეგროვებაში, მუშაობის გეგმის შედგენაში, საკითხების დამუშავებაში და დასკვნების გამოტანაში. ბურჟუაზიული აღზრდის მიზნებთან შეფარდებით. ეს მეთოდიც მოსწავლის დამოუკიდებელ მუშაობას, კვლევას და დასკვნებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ბურჟუაზიული აღზრდის შინაარსის ფარგლებს არ აშორებს. ბურჟუაზიული კვლევითი მეთოდის დანიშნულება იყო ბურჟუაზიისათვის გამოსადეგი, უფრო მოქნილი და მოძრავი ადამიანის აღზრდისათვის ხელის შეწყობა. მოსწავლის კვლევითი და დამოუკიდებელი მუშაობის ბურჟუაზიული გაგება, თავისუფალი აღზრდის წვრილ-ბურჟუაზიულ იდეებთან ერთად, ნიადაგს უმზადებს ამერიკელი მასწავლებლის **ე. პარკჰერსტის** მიერ დამუშავებულ **„დალტონ-პლანს“**, რომლის მიხედვით მოსწავლე თითონ უნდა სწავლობდეს და იზრდებოდეს, თითონ იყოს პედ. პროცესის ცენტრი. „დალტონპლანის“ ფესვები იტალიელ ბურჟუაზიულ პედაგოგის **მონტესორის** (დ. 1870) შეხედულებიდან მომდინარეობენ.

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ბურჟუაზიული პედაგოგიკა ლამობს სწავლისა და აღზრდის ისეთი მეთოდების გამონახვას, რომლებიც მეტი ნაყოფიერებით უზრუნველყოფენ აღზრდას ბურჟუაზიის ერთგულების ნიადაგზე, ხელს შეუწყობენ ახალგაზრდობის გამსჭვალვას ბურჟუაზიის ინტერესებით და იდეოლოგიით. ბურჟუაზიული პედაგოგიკა საკითხს აყენებს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა მცირე ასაკიდანვე იქნას ჩაბმული ბურჟუაზიის პრაქტიკულ ცხოვრებაში, პატარაობიდანვე შეისისლხორცოს ბურჟუაზიული პრაქტიციზმი და დოლარის ინტერესი. „დოლარის კეთება უნდა შეეძლოს მოწაფეს, რომელსაც სკოლა აქვს გავლილი“ — ამბობს ამერიკელი ბურჟუაზიული პედაგოგი **კილპატრიკი**. ამ მიმართულებით ამერიკული ბურჟუაზიული პედაგოგიკა (**დიუი, კილპატრიკი, კოლინგსი** და სხვე-

ბი) „პროექტების მეთოდს“ აყენებს—მეთოდს, რომელიც მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისებისა და გონებრივი განვითარების საკითხს ამცირებს და პირველ რიგში ბურჟუაზიულ პრაქტიციზმს აყენებს. აქაც აშკარად ჩანს ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატისა და მშრომელთა წინააღმდეგ.

ჩვენ აქ არ ვუდგებით პედაგოგიკის და, კერძოდ, სწავლების მეთოდების განვითარების ფაქტორთა (ბაზისის თუ ზედნაშენის ხასიათის) მეტად რთული კომპლექსის აღნიშვნას და ანალიზს — ცალკე მეთოდის წარმოშობის, განვითარებისა და უარყოფის თვალსაზრისით,—მხოლოდ გაკვრით აღნიშნეთ განვითარების რამდენიმე ეტაპი ბურჟუაზიული პედაგოგიკის ხაზით.

სწავლების მეთოდიკა გზა და გზა იცვლება, წინა ხანის მეთოდებიდან ინარჩუნებს და შეცვლილად იყენებს ახალ პირობებთან და ახალ საფუძვლებთან შეფარდებით გამოსადეგ ელემენტებს, განვითარების პროცესში იძენს ახალ ელემენტებს და იღებს ახალ იერს კლასობრივობის ნიადაგზე — გაბატონებული კლასის განათლებისა და აღზრდის მიზნების თვალსაზრისით.

მეცნიერული სოციალიზმის საფუძველმდებელნი — **მარქსი** (1818-1883) და **ენგელსი** (1820-1895) პროლეტარული აღზრდის საკითხებსაც მათთვის ჩვეულებრივი სიღრმით ამუშავებენ. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა, რადგან ისინი პროლეტარიატს ამზადებდენ კლასობრივი ბრძოლებისათვის, სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობისათვის. მარქსი და ენგელსი თავიანთ შრომებში მრავალჯერ აშუქებენ პროლეტარული განათლებისა და აღზრდის არა მარტო პრინციპებს და ამოცანებს, არამედ მეთოდურ მხარეებსაც.

„...ასაკთან შეფარდებით ბავშვთა სამუშაო დროის სასტიკად განსაზღვრის და ბავშთა დასაცავად სხვა ღონისძიებათა გატარების პირობებში, წარმოებითი შრომის ნაადრევი შეერთება სწავლებასთან ერთერთი უძლიერესი საშუალებათაგანია თანამედროვე საზოგადოების გარდასაქმნელად“ — ამბობს მარქსი. და კიდევ: „ვინც სკოლაში მხოლოდ ნახევარ დღეს ატარებს, ის ყოველთვის ფხიზელია, ყოველთვის აქვს სწავლის ხალისი და უნარი. შრომის სისტემა, სკოლასთან შვთავსებული, ერთი მეორის შემდეგ მეცადინეობის ორივე სახეს დასვენებად აქცევს და, მაშასადამე, ის ბავშვთათვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე მუშაობის ერთი რომელიმე სახის განუწყვეტლობა“. შრომასთან სწავლების შეერთება მარქსს პროლეტარული აღზრდის ძირითად პრინციპთაგანად აქვს მიჩნეული. სწავლებაში ამ პრინციპის სწორად გატარება აძლიერებს ბავშვის ინტერესს, ზრდის მასში სწავლის უნარს

და აღმზრდელობითს მუშაობაში მეტ ნაყოფიერებას უზრუნველყოფს. „მოქმედობს რა გარეგან ბუნებაზე და უცვლის რა მას სახეს, ადამიანი ამავე დროს თავის საკუთარ ბუნებასაც ცვლის“—ამბობს მარქსი. „ხელის, მეტყველების ორგანოების და ტვინის შეერთებულად მუშაობის გამო არა თუ ცალკე ინდივიდებმა, არამედ ადამიანებმა საზოგადოებაშიც უფრო რთული ოპერაციების შესრულების და უფრო მაღალი მიზნების დასახვისა და მიღწევის უნარი შეიძინეს... მაგრამ ხელის განვითარების პარალელურად თავიც ვითარდებოდა, ცნობიერება ისახებოდა... ბუნების კანონების შეცნობის სწრაფად ზრდასთან ერთად ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებანიც იზრდებოდნენ. მარტო ხელის საშუალებით ადამიანები ვერ შექმნიდნენ ორთქლის მანქანას მასთან ერთად და, ნაწილობრივ მისი მეშვეობით, ტვინიც რომ არ განვითარებულიყო“—წერს ენგელსი.

აქ ამომწურავადაა დახასიათებული ბუნების შეცნობა—შეცვლის და ადამიანის განვითარების პროცესი. ობიექტური სინამდვილის შეცნობის მთავარ საშუალებებათ დასახელებულია შრომა, მეტყველება და აზროვნება.

მოყვანილი დებულებანი — ცოტა მრავალთაგან — მეცნიერულ ამოსავალს წარმოადგენენ პროლეტარიატისათვის გამოსადეგი სწავლების მეთოდების დამუშავება—დასადგენად.

პარიზის კომუნამ პირველი დღეებიდანვე დააყენა საკითხი განათლების მთელი სისტემის პროლეტარიატის პრინციპებზე აგების შესახებ. კომუნისაგან სკოლების მიმართ გაცემულ განკარგულებაში ვკითხულობთ: „ბავშვების თვალებს მოაშორეთ ყველაფერი, რითაც ასე დიდხანს გვატყუებდენ. ამიერიდან სკოლაში ადგილი არ უნდა ქონდეს ჯვრებს, წმინდანების ქანდაკებებს, რელიგიური შინაარსის წიგნებსა და სურათებს. თეთრი ან შავი ფერადებით დაფარეთ რელიგიური წარწერები და შესცვალეთ საკაცობრიო ლოზუნგებით, როგორიცაა: თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, ძ მ ო ბ ა, შ რ ო მ ა, ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა, რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა“. კომუნამ დააყენა საკითხი სწავლების წარმოებითს შრომაზე დამყარებისა და ადამიანის ყოველმხრივად განვითარების შესახებ, მაგრამ მისი არსებობის 72 დღე ძლიერ მოკლე იყო იმისათვის, რომ ამ დარგში თვალსაჩინო პრაქტიკული რამ გაკეთებულიყო.

მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულ პრინციპულ საფუძვლებზე ლენინმა (1870-1924) დაამუშავა და შემდგომ ეტაპზე აიყვანა დიალექტიკური მატერიალიზმი—მთლიანად და, კერძოდ, როგორც—შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორია. ლენინმა მთელი სიცხადით გაარ-

კია შემეცნების დიალექტიკური პროცესის საკითხი, რაც მკვიდრ ნიადაგს წარმოადგენს საბჭოთა სკოლაში გამოსადეგი მეთოდებისათვის, რომელნიც საბოლოოდ სინამდვილის შესახებ დასისტემებული მეცნისრული ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღების საქმეს ემსახურებიან. ცოდნის შეძენასა და აზროვნებაში არა პრიმიტიული ემპირიზმი, არამედ კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ მიგვითითებს ლენინი. არა უაზრო ზეპირობა და მოსწავლეთა წრთვნა, არამედ კომუნიზმისათვის გამოსადეგი მეცნიერული ცოდნის შეგნებულად შეთვისება. მეცნიერული ცოდნის სისწორე პრაქტიკამ უნდა შეამოწმოს, დაადასტუროს და განამტკიცოს. „ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის პირველ და ძირითად თვალსაზრისად უნდა იქცეს. პროფესორული სქოლასტიკისა და უსასრულო ტყუილების უკუგდებით მას აუცილებლობით მატერიალიზმამდე მივყავართ“ — ასე განსაზღვრავს ლენინი პრაქტიკის როლს შემეცნების პროცესში. მაგრამ ის არ კმაყოფილდება ზოგადი მეთოდოლოგიური საკითხებით და ხშირად პროლეტარული აღზრდისმ ნიშვნელოვა საკითხებს უბრუნდება: — „შეუძლებელია მომავალი საზოგადოების იდეალის წარმოდგენა ახალგაზრდობის სწავლების წარმოებითი შრომასთან შეერთების გარეშე: არც სწავლება წარმოებითი შრომის გარეშე, არც წარმოებითი შრომა პარალელურად სწავლების გარეშე არ შეიძლება დაყენებული იქნან იმ სიმაღლეზე, რომელიც საჭიროა ტექნიკის თანამედროვე დონისა და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობის მიხედვით“ —წერს ლენინი ჯერ კიდევ 1897 წ. ამავე აზრს იგი ანვითარებს და მის განხორციელებას უკვე პრაქტიკულ ამოცანად აყენებს პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის შენების პერიოდში — ახალი თაობისა და მასების კომუნისტურად აღზრდა-გარდაქმნის თვალსაზრისით: „ძველი კაპიტალისტური საზოგადოებიდან დარჩენილ ბოროტებისა და უბედურობათა შორის ერთეერთი, ყველაზე დიდთაგანი, ეს არის წიგნის გათიშვა პრაქტიკული ცხოვრებისაგან... ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს კომუნიზმი ისე, რომ თავის სწავლისა და განათლების ყოველი ნაბიჯი დაუკავშიროს პროლეტარიატის უწყვეტ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ. შრომისა და ბრძოლის გარეშე კომუნიზმის წიგნური ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან არაფრად არ ღირს, რადგან ის თეორიისა და პრაქტიკის ძველი გათიშვის გაგრძელება იქნებოდა“. ლენინი არ იძლევა მარტო საერთო პრინციპებს იმის შესახებ, თუ რა უნდა ვასწავლოთ და როგორ უნდა ვასწავლოთ, არამედ მან პოლიტექნიკური სკოლის შექმნისა და პოლიტექნიკური სკოლის

მუშაობის გაშლილი პროგრამაც დასახა. „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როდესაც შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ ცოდნის სიმდიდრით, რაც კაცობრიობას დაუმუშავებია... ჩვენი სკოლა ახალგაზრდობას ცოდნის საფუძვლებსა და კომუნისტურ შეხედულებათა შემუშავების უნარს უნდა აძლევდეს...

ყოველი პირობის გარეშე ამოცანად იქნას დასახული პოლიტექნიკურს განათლებაზე დაუყოვნებლივ გადასვლა ანუ, უფრო მართებული იქნება- პოლიტექნიკური განათლების დარგში ამჟამად მისაწვდომი ნაბიჯების დაუყონებლივი განხორციელება, სახელდობრ:

ა) მახლობელ ელექტრო სადგურის დათვალიერება იქ ლექციების მოწყობით და რიგი ცდების დაყენებით ელექტრობაზე, შესაძლო პრაქტიკულ მუშაობათა შესრულებით. ახლავე დამუშავდეს დეტალური პროგრამები—ერთი დათვალიერების, 5-10 ლექციის და ა. შ.

ბ) იგივე კარგად დაყენებულ თითოეულ საბჭოთა მეურნეობაში.

გ) იგივე კარგად დაყენებულ ქარხანაში და სხ.“

ამ რამდენიმე დებულებიდან ცხადად ჩანს ლენინის მიერ განსაზღვრული პროლეტარული აღზრდის მიმართულება, მისი შინაარსი და განხორციელების ძირითადი მეთოდები. ისეთ დეტალზედაც კი იძლევა ლენინი ზუსტ მეთოდურ მითითებას, როგორიცაა საწარმოში ტექნიკური ხასიათის ექსკურსიების ჩატარება.

კომუნისტური პარტიის პროგრამა საბჭოთა სკოლას მასების კომუნისტური აღზრდის ძირითად კერად აღიარებს. „პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, — იმ პირობათა შემზადების პერიოდში, რომლებიც კომუნიზმის სრულად განხორციელების შესაძლებლობას ქმნიან, სკოლა არ უნდა წერმოადგენდეს კომუნიზმის იდეების მხოლოდ ზოგად გამტარებელს, არამედ მშრომელთა ნახევრად პროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებზე პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი გავლენის გამტარებელი უნდა იყოს ისეთი თაობის აღსაზრდელად, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარებას“—ასეთი სიცხადით და გარკვეულობით იძლევა დირექტივს კომუნისტური პარტიის პროგრამა. აქ საბჭოთა სკოლის გამაგრების და მისი მუშაობის შინაარსის უმაღლეს საეხურზე აყვანის პრინციპული საფუძველია წამოყენებული და დასაბუთებული.

კომუნისტური პარტიის პროგრამა საბჭოთა სკოლის ერთერთ უმთავრეს პრინციპად აღიარებს სწავლების შეერთებას საზოგადოებ-

რივ—წარმოებითს შრომასთან და ამ გზით კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივად განვითარებული, წევრების აღზრდის უზრუნველყოფას.

ამრიგად საბჭოთა პედაგოგიკას, მარქსიზმ-ლენინიზმის სახით, ქონდა და აქვს პრისციპულ-იდეოლოგიური საფუძვლები, ჰქონდა და აქვს მარქს-ენგელს-ლენინის მიერ მოცემული უდიდესი პედაგოგიური მემკვიდრეობა, რომელზედაც მას უნდა დაემუშავებია და დაეკონკრეტებია კომუნისტური აღზრდის მისტემის შემადგენელი ელემენტები. მაგრამ საბჭოთა პედაგოგიკის სადარაჯომ ვერ გამოიჩინა საკმაო იდეოლოგიური სიფხიზლე. ამიტომ გახდა შესაძლებელი საბჭოთა პედაგოგიკის სარბიელზე მემარჯვენე შეხედულებათა, მექანისტურ—ბურჟუაზიული კომპლეკსურობის, მისი „შეშლილი კომპლექსებით“, ბურჟუაზიული ლაბორატორული „სისტემის“, სიტყვიერი პოლიტექნიზმის და სხვათა შემოპარება. ამიტომ გახდა შესაძლებელი სკოლის „მოკვდომის“ ანტიმარქსისტულ-ანტილენინური თეორიის განავარდება მთელი მისი ამალით“, სადაც შედიოდენ: ბურჟუაზიული „პროექტების მეთოდი“, თავისუფალი აღზრდის წვრილ-ბურჟუაზიული თეორია, მასწავლებლის მნიშვნელობისა და როლის გაქარწყლება, სკოლის—წარმოების საამქროდ გადაქცევის თეორია, მეცნიერებათა შეთვისების საკითხების მოხსნა და ბურჟუაზიულ-პრაგმატისტული პრაქტიციზმით გატაცება, მეთოდური პროექტორობა, მეთოდების—მიზნად გადაქცევა და ა. შ. ლაბორატორიულ-ბრიგადული მეთოდის გაუნივერსალების სახით შეცდომა იმის შემდეგაც კი განმეორდა, რაც ც. კ. 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილებამ გადაჭრით აღკვეთა სწავლების რომელიმე მეთოდის გაუნივერსალება და დირექტივი მოგვცა, რათა პოლიტექნიკურ სკოლაში ისეთი მეთოდები გამოვიყენოთ, რომლებიც ხელს შეუწყობენ სიციალისტური მშენებლობის მეცნიერულად მომზადებულ და აქტიურ მონაწილეთა აღზრდას.

III. სწავლების მეთოდების ფსიქო-პედოლოგიური საფუძველი.

დებულებამ იმის შესახებ, რომ მასწავლებელი პედაგოგიური პროცესის ცენტრალური ფიგურაა, ერთი წუთითაც არ უნდა დაჩრდილოს და არ შეასუსტოს მეორე დებულება,—სახელდობრ, რომ მთელი პედაგოგიური პროცესის მიზანი და დანიშნულება ბავშვის კომუნისტური აღზრდა არის, რომ სკოლა, მასწავლებელი, პროგრამები, მეთოდები და მთელი პედაგოგიური მუშაობა ბავშვის აღზრ-

დის მიზნებს ექვემდებარებია საბჭოთა მასწავლებლის ამოცანა იმაში მდგომმრეობს, რომ აღზრდაში წამყვანი როლი ითამაშოს, პედაგოგიური პროცესის ყველა ელემენტის და ყველა საშუალების სწორად მომარჯვებით და გამოყენებით ბავშვის კომუნისტურად აღზრდა უზრუნველყოს. მასწავლებლის როლისა და პასუხისმგებლობის სიდიდე ბავშვის კომუნისტურად აღზრდის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. ბავშვი გარემოსთან ურთიერთობის ნიადაგზე იზრდება, გარემოს ზემქმედებას და გავლენას განიცდის და თითონაც აქტიურია გარემოს მიმართ. აქ მასწავლებლის, როგორც აღზრდის პროცესის ხელმძღვანელის, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გარემო და სინამდვილის შესახებ ბავშვს მეცნიერული ცოდნა მისცეს, ობიექტიური სამყარო სწორად ასახოს მოსწავლის ცნობიერებაში და მოსწავლეში შეიმუშაოს ისეთი თვისებები, რომლებიც კომუნიზმის დამმყარებელი ადამიანისათვის აუცილებლად საჭიროა. აღზრდის პროცესში ბავშვი გარეგანი ზემქმედების ქვეშ იმყოფება—ამდენად ის აღზრდის ობიექტია. მაგრამ იმავე დროს გარემოსთან ის აქტიურ ურთიერთობაში შედის,—უნდა შედიოდეს, თითონაც მოქმედობს—ამდენად ის პედაგოგიურ პროცესში სუბიექტიცაა. ამგვარად მასწავლებლისა და აღმზრდელის ამოცანა არის შესასწავლი საგანი და მოვლენა და შემსწავლელი სუბიექტი ისეთ ურთიერთობაში შეიყვანოს და ისე »შეახვედროს« ერთმანეთს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილი მეცნიერული ცოდნის შეძენა და მის საფუძველზე ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის შემუშავება. ცოდნა სოციალიზმის მშენებლობისათვის სასარგებლო ქცევაში უნდა გამომჟღავნდეს. მასწავლებლის ხელში სწავლების მეთოდმა შესასწავლი ობიექტის და მოსწავლის შორის ისეთი ურთიერთობა და ისეთი „კონტაქტი“ უნდა დაამყაროს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ შეთვისებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლების მეთოდი თავის მთლიანობაში ერთსადაიმავე დროს უნდა გამომდინარეობდეს აღზრდის მიზნიდან, შესასწავლი მასალის ხასიათიდან და მოსწავლის შემეცნების ასაკობრივი თავისებურობიდან და ა. შ. — მხოლოდ ისეთი მეთოდი იქნება ნაყოფიერი. მოსწავლემ ცოდნა ისეთ ფორმებში უნდა შეიძინოს, რომელნიც უზრუნველყოფენ ცოდნის შეთვისებას ინტერესით, ყურადღებით და შეგნებით, უზრუნველყოფენ ცოდნის განმტკიცებას მეხსიერებაში და მის გამოყენებას ქცევაში. სწავლების მეთოდს ყოველთვის უნდა ქონდეს მკვიდრი მეცნიერული ფსიქო-პედოლოგიური საფუძველი.

ა. სტიმულირება

სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტიმულს, — რომ მოსწავლეს ცოდნის შეძენის, მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლების, განვითარების მაღალ საფეხურზე ასვლის და პროლეტარიატის რიგებში სოციალისმისათვის ბრძოლის ძლიერი ინტერესი და მისწრაფება ქონდეს.

მოსწავლის მუშაობა ინტერესით და მონდომებით სწავლების მეტი შედეგების პირობა არის. როცა მოსწავლე ინტერესით მუშაობს, მას აღარ უნდა „თრევა — ჩიჩინი" — თითონ ეძებს, იბრძვის ცოდნისათვის, მას არ სცალია უქმად სამყოფად, წესრიგის დასარღვევად. ამიტომ მოსწავლის სტიმულირებას სწავლებაში, მისი ინტერესის შესწავლას და გაძლიერებას მასწავლებელი ყოველთვის დიდი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს.

როდესაც ბავშვი სკოლაში მოდის, მისი სოციალური გარემოს კლასობრივობის მიხედვით, მას თავისებური ინტერესი ახასიათებს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ბავშვის ინტერესი, მის კონკრეტ სახეებში, შეძენილი და აღზრდის შედეგია. ის იცვლება განვითარების ასაკობრივი საფეხურების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პედოლოგიამ ჯერ კიდევ ვერ მოგვცა ბავშვის ინტერესის ასაკობრივი განვითარების ანალიზი კლასობრივობის თვალზაწრისით. ბავშვის ინტერესის აღსებული კლასიფიკაცია აბსტრაქტულ „საშუალო ბავშვზეა" აგებული (კლაპარედი და სხვ.) და ძლიერ მდარე ღირებულებას წარმოადგენს. ინტერესი პედაგოგიური ზეკმედებით იცვლება და იზრდება. ბავშვის ინტერესის და ხასიათის შესწავლის დროს ამოსავალ თვალსაზრისათ უნდა იქნას მიჩნეული მისი უახლოესი სოციალური გარემოს კლასობრივი ხასიათი. მოსწავლის ინტერესის შესწავლამ, ინტერესის ხასიათისა და გამომწვევ ფაქტორების სწორმა ანალიზმა მასწავლებელს უნდა გაუადვილოს ინტერესის შეცვლა, მისი განწყობის გაძლიერება სწავლისა და აღზრდის ამოცანების მიმართულებით, მოსწავლის ინტერესის მომარჯვება ღრმა და საფუძვლიანი შემეცნებისათვის. „შეჰვედრილი სიძნელე, თუ ის დაუძლეველი არ არის, არა თუ ახშობს — პირიქით, უფრო მეტ ყურადღებას იწვევს, მონდომებისათვის მეტ სტიმულს იძლევა" — ამბობს კილპატრიკი. ინტერესისა და განწყობის გაძლიერების საქმეში გამოყენებული უნდა იქნას ბავშვის ცნობისმოყვარეობა, კვლევისა და შემოქმედების ინტერესი.

ინტერესის გამოწვევა და საჭირო მიმართულებით მისი გაძლიერება პირველ რიგში პედაგოგიური მუშაობის სათანადოთ დაყენების

შედეგია: შეიძლება მასწავლებელმა საგნის ღრმა ცოდნით, შისი ღ.ა ყენების გამართული მეთოდებით, მოსწავლეთა წინაშე ფართო პერ-სპექტივის გაშლით, ცოდნის სოციალიზმის შენების პრაქტიკასთან დაკავშირებით, რევოლუციონური ბრძოლისა და ახალი ცხოვრების შენების გმირული სურათების გადაშლით და სხვ. მოსწავლეებში „ცეცხლი დაანთოს“, გაიტაცოს და ინტენსიურად აამუშაოს—და პი-რიქით.

მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერების თვალსაზრისით სასწავლო მასალა უნდა იყოს ბავშვისათვის დასაძლეევი, ახლის მიმცემი, სახა-ლისო. დაუძლეველი ან მეტად მსუბუქი სამუშაო ინტერესს ვერ გა-მოიწვევს. თითონ სასწავლო მუშაობა უნდა იყოს შინაარსიანი, მას-წავლებლის მიერ წინასწარ კარგად დამუშავებული, ცოცხალი, უზ-რუნველყოფდეს მოსწავლეთა აქტივობას ცოდნის შეძენა-გამოყენებაში, მოსწავლეთათვის ცხადყოფდეს, რომ ისინი ყოველი საათობით და ყოველი დღით ცოდნით და უნარით იზრდებიან. ცოდნის შეძენის სიძნელის გადალახვა და ამით გამოწვეული კმაყოფილება უფრო ენერგიული და ნაყოფიერი სასწავლო მუშაობისა და გამარჯვების სტიმულად უნდა იქცეს. მოსწავლის ძლიერი ინტერესი პედაგოგიური მუშაობის მეტი ნაყოფიერების პირობაა და პირიქით: კარგად დაყე-ნებული პედაგოგიური მუშაობა სწავლების მიმართ მოსწავლის ინ-ტერესს აძლიერებს:

მოსწავლის ძლიერი ინტერესი მარტო სასწავლო მასალის ხასი-ათით არ განისაზღვრება — სწავლების მეთოდებს უდიდესი მნიშვნე-ლობა აქვს. მოსწავლეებთან სასწავლო მუშაობის ხალისიანობა გარ-თობად არ უნდა იქცეს, —.სერიოზულობა ერთი წუთითაც არ უნდა დაიკარგოს. სწავლისადმი ინტერესის გაძლიერებას დიდად უწყობს ხელს მოსწავლის მიერ ძიღებული მეცნიერული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება—პრაქტიკაში რწმუნდება მოსწავლე ცოდნის ჭეშმარიტე-ბაში, ცოდნით შეიარაღებული ეჩვევა პრაქტიკული საკითხების გადა-ჭრას, უკეთ იმარჯვებს ცოდნას, როგორც პრაქტიკის იარაღს. შერ-ჩეული ლიტერატურის სათანადოთ დაყენებული კითხვა და მეცნი-ერებისა და ტექნიკის მიღწევათა გაცნობაც ერთერთ ძლიერ სტიმუ-ლად იქცევა ცოდნის მიმართ ინტერესის გაძლიერებისათვის. მაგ-რამ მოსწავლის ინტერესი ფეტიში არ არის. ინტერესი ჩვენთვის სა-შუალებაა და არა ისეთი რამ, რაც პედაგოგიური მუშაობის „შინა-არსსა და ფორმას განსაზღვრავს, როგორც თავისუფალი აღზრდის წვრილ-ბურჟუაზიული თეორიის წარმომადგენლები (რუსო, ლ. ტოლ-სტოი, შარელმანი, ჰანსბერგი და სხვ.) ამბობენ. მოსწავლის ინტე-

რესი კომუნისტური აღზრდისა და სოციალიზმის შენებისაკენ უნდა მივაბრუნოთ — მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა ინტერესი სწავლების მაღალი ნაყოფიერების ერთერთ ბერკეტად.

მაგრამ მარტო გაუმჯობესებული სასწავლო მუშაობით გამოწვეული ინტერესი არ იქნება საკმაო — მოსწავლეთა ასაკის მიხედვით ინტერესი სათანადო მოტივებს უნდა დაემყაროს. ინტერესი სტიქიური კი არ უნდა იყოს, არამედ ორგანიზებული, მტკიცე შეგნებით — და სწავლის მიზნების შეცნობით. ამიტომ ახსნა — განმარტება, მაგალითების მიცემა, დარწმუნება, მოსწავლის მუშაობაზე კონტროლის დაწესება და პასუხისმგებლობის გაძლიერება გამოყენებული უნდა იქნას, როგორც სტიმულირების საშუალება.

სტიმულს აძლიერებს აგრეთვე სასწავლო მუშაობის შედეგების ყოველდღიური და პერიოდული აღრიცხვა. გამოცდა და თითოეული მოსწავლის მომზადების ინდივიდუალური შეფასება. გამოცდა მძიმე მოვალეობად და სასჯელად კი არ უნდა იყოს მიჩნეული და ასეთად გადაქცეული, არამედ ისეთ მომენტად, როდესაც მოსწავლე ამჟღავნებს მთელ თავის ცოდნას და უნარს, მიღწევებს და ნაკლს, აშკარად ხედავს თავის ზრდის მსვლელობას. გამოცდა იმის სერიოზულ საზოგადოებრივ დათვალიერებად და შემოწმებად უნდა იქცეს, თუ როგორ მზადდებიან ახალგაზრდები სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებულ მშენებლებად, თუ როგორ მუშაობენ ამ მიმართულებით მასწავლებლები და მოსწავლეები, რომ მიღებული გამოცდილების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას შემდგომი სასწავლო მუშაობის გაუმჯობესება. ასე დაყენებული აღრიცხვა და გამოცდა სწავლის სტიმულის გაძლიერების ფაქტორად იქცევა.

ყველა აღნიშნულის გარდა, საბჭოთა სკოლას სტიმულირების ისეთი საუკეთესო საშუალება გააჩნია, როგორცაა სოციალისტურს შრომაში უკვე შემოწმებული და დადასტურებული — **სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა**, როგორც მასების ინიციატივის, ენერგიის და შეგნებული დისციპლინის მობილიზაციის, მოწესრიგების და გაწმტკიცების მეთოდი. სოციალისტური შრომის ეს მეთოდები, სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტ ამოცანებზე პედაგოგიურად სწორად დაყენებული, მოსწავლეთა შორის ინდივიდუალური შეჯიბრების ფართოდ გაშლის პირობით, სწავლის საქმეში უდიდეს სტიმულს შექმნის, გააძლიერებს მოსწავლეთა ინტერესს, სურვილს, პასუხისმგებლობას, გააძლიერებს საზოგადოებრივ კონტროლს სკოლის კოლექტივის ყოველი წევრის მუშაობაზე.

8. დამახსოვნება.

ცოდნის ერთადერთი წყარო არის გარეგანი მატერიალური სამყაროს ზექმედება ადამიანის სხეულზე — გარეგრძნობათა ორგანოების ანუ რეცეპტორების გაღიზიანება. სწავლების მეთოდმა ყველა საშუალების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს შესასწავლი მოვლენის დაახლოვება მოსწავლესთან, რომ მოვლენა მასზე სრულად მოქმედობდეს. მეორე მხრივ — უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლე გულდასმით, ყურადღებით და ყოველმხრივ ეცნობოდეს მოვლენას. მარტო ცქერა, სმენა და შეხება არ კმარა — საჭიროა დანახვა, გაგონება, გარჩევა, გადამუშავება და გაგება. რეცეპტორების განვითარებას, მათ მაღალ კულტურას, მათ სწორად გამოყენებას ცოდნის ძიება — შეძენის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გრძნობათა ორგანოების კულტურისა და ფუნქციების განვითარების საკითხში ჩვენ არ გავყვებით **მონტესორის** შეხედულებას, რომელიც რეცეპტორების კულტურის მნიშვნელობის შესახებ საკითხს სწორად აყენებს, მაგრამ ამ კულტურის განვითარების საშუალებად სრულიად ხელოვნურ დიდაქტიურ მასალას და ბავშვის წვრთვნას აღიარებს — ისეთ მასალას და ისეთ ვარჯიშობას, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ბავშვის ყოველდღიურ საქმიანობასთან და ჩვეულებრივ ცხოვრებასთან. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში ფხიზელი და შეუნელებელი ყურადღება უნდა ექცეოდეს რეცეპტორების განვითარებას და მათი შეგნებულად მოხმარის მაღალი კულტურის შემუშავებას. სინამდვილეში კი ზოგჯერ საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე: უყურადღებობისა და უხელმძღვანელობის გამო, მოსწავლეებს სკოლაში ზოგჯერ კიდეც უზიანდებათ მხედველობა, სმენა და სხვ.

სწავლების მეთოდმა სრული და საღი გაღიზიანებიდან მეცნიერულ ცოდნამდე უნდა მიგვიყვანოს და უზრუნველყოს გარეგანი მატერიალური სამყაროს დიალექტიკური პროცესების სწორი ასახვა ცნობიერებაში.

მაგრამ ეს არ კმარა: სწავლების მეთოდს მოეთხოვება ცოდნის შეძენის პროცესი დაამყაროს ისეთ საშუალებებსა და ხერხებზე, რომელნიც უზრუნველყოფენ შეძენილი ცოდნის მტკიცედ დამახსოვნებას. ლენინი საკითხს ასე აყენებს: ახალგაზრდობამ თავისი მეხსიერება უნდა გაამდიდროს კაცობრიობის მიერ დამუშავებული ცოდნით — ამ ცოდნის იმ ელემენტებით, რომლებიც გამოსადეგი არიან კომუნი-

ზმისათვის. არა შეუგნებელი და უაზრო ზეპირობა და წრთენა, არამედ საჭირო მეცნიერული ცოდნის შეგნებულად შეძენა, — თუ რას სწავლობს და რისთვის სწავლობს.

მეხსიერებისა და დამახსოვნების საკითხი პედაგოგიურს მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან მეხსიერებაში განმტკიცების გარეშე არ არის ცოდნა. როდესაც მოსწავლე ცოდნას ინტერესით, ყურადღებით და მონდომებით იძენს — დამახსოვნების ხარისხი მაღალია და პირიქით — ზერელედ და უნებლიე ყურადღებით შეძენილი ადრე იკარგება. შესასწავლი მოვლენის შესახებ სრული შთაბეჭდილება დამახსოვნების მნიშვნელოვანი პირობაა. ცდები ამტკიცებენ, რომ საგნების დამახსოვნება და აღდგენა უფრო მკვიდრია, ვიდრე სიტყვების, ამავე დროს სიტყვის მხილველობითი შეთვისება უკეთეს შედეგებს გვაძლევს, ვიდრე სმენითი. ეს გარემოება გვიკარნახებს სწავლებაში, მით უმეტეს—მცირე ასაკის მოსწავლეებთან, კონკრეტობისა და თვალსაჩინოების გაძლიერებას. **მიუნსტენბერგის** მიერ დაყენებული ცდა გვიჩვენებს, რომ მოსწავლემ მხოლოდ სმენით შეთვისებულ სიტყვებში 17,5 შეცდომა დაუშვა, მხედველობით შეთვისებულში — 13,7, ხოლო როდესაც სიტყვები ერთსა და იმავე დროს შეთვისებული იყვენ მხედველობით და სმენით — შეცდომები 2,5-მდე შემცირდა. დამახსოვნება იმდენად მკვიდრია, რამდენადაც ცოდნის შეძენაში მეტი რეცეპტორი და ნერვული სისტემის მეტი მიმღები ცენტრი იღებს მონაწილეობას. ამიტომაა საჭირო მოსწავლემ შესასწავლი საგანი და მოვლენა შეძლებისამებრ ყოველმხრივ გაიცნოს— ამა თუ იმ მეთოდისა და ხერხის გამოყენების დროს ამ გარემოებას ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. მკვიდრად რჩება მეხსიარებაში ის ფაქტი, რომლის შინაარსი კარგად არის გაგებული. რომ მოსწავლემ კარგად დაიმახსოვნოს — საჭიროა შესასწავლი მასალა კარგად ესმოდეს, მისთვის ყველაფერი გაგებული და ნათელი იყოს. ბევრ დროს ხშირად უნაყოფოდ კარგავს მოსწავლე, როდესაც გაუგებარ სიტყვას, ლექსს ან რაიმე დებულებებსა და ფორმულებს იზეპირებს. ამიტომ მოსწავლეს დასასწავლად და დასამახსოვნებლად ისეთი მასალა უნდა მიეცეს, რომელიც საფუძვლიანად არის დამუშავებული და კარგად გაგებული. მექანიკურად დაზეპირება, გარდა იმისა,რომ ძნელია. — უაზროც არის. „მოსწავლეები გაცილებით უფრო ივიწყებენ ძნელ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის, ვიდრე მარტივ, გასაგებ სიტყვებს. თუ მოსწავლეს არ ესმის ფორმულა, რომელსაც ალგებრის გაკვეთილებზე სწავლობს, ადრე დაივიწყებს მას მასწავლებელმა ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს იმისათვის,

რომ მოსწავლეებმა გაიგონ მიწოდებული მასალა. გრამატიკაში მასწავლებელმა არასოდეს არ უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს წესები მათი სათანადო ახსნისა და პრაქტიკაში გამოყენების გაშუქების გარეშე. არ უნდა იქნას დაშვებული წესებისა და ზოგად დებულებათა თუთიყუშისებური გაზეპირება. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ეკითხებოდეს მოსწავლეს იმის მნიშვნელობის შესახებ, რასაც ის ამბობს" — წერს ამერიკელი ფსიქოლოგი და პედაგოგი პ ა ი ლ ი

სწავლების ყველა მეთოდს სრულიად გარკვეული მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ იმის შესახებ, რომ მოსწავლეები შეიყვანონ შესასწავლი მასალის სრულ გაგებაში და ამ გზით უზრუნველყონ შესასწავლი ობიექტების შეგნებულად შეთვისება და მათი მტკიცედ დამახსოვნება.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ლოგიკური კავშირის გარეშე, მიწოდებული ცოდნა ნაკლებ ღირებულია და თანაც ძნელად დასამასახსოვნებელიც. მაშასადამე, ც. კ. დირექტივი მოსწავლეთათვის დასისტემებული მეცნიერული ცოდნის მიწოდების შესახებ კიდევ იმითაა უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ მიმართულია მეხსიერებაში მეცნიერული ცოდნის განმტკიცებისაკენ. თუ მოსწავლე ცალკე ფაქტებს და ცოდნის ნაწყვეტებს სწავლობს, ძირითადი იდეებისა და მოვლენათა კანონზომიერების გაშუქების გარეშე, მას არ ექნება მეცნიერული, დაორგანიზებული ცოდნა. ნამდვილი ცოდნა და დასამახსოვნებლადაც ადვილი — ეს არის სისტემაში მოყვანილი, შინაგანი მთლიანობით დახასიათებული ცოდნა. ასეთი სისტემა უნდა იქნას მიღწეული ყველა სასწავლო დისციპლინაში. ამის გარდა, ცოდნას უფრო აფართოებს და დამახსოვნებასაც მკვიდრ ნიადაგზე აყენებს სასწავლო საგანთა შორის შინაგანი აუცილებელი კავშირის დამყარება, რაზედაც ც. კ. 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილება მიგვითითებს. როდესაც მოსწავლე, ვთქვათ, ფიზიკიდან ითვისებს სხვადასხვა ფორმულას, უკავშირებს ერთიმეორეს, გამოჰყავს ერთი მეორისაგან და ფიზიკის მეცნიერულ მონაცემებს საწარმოო ძალთა ზრდის პროცესს და სოციალიზმის შენების ამოცანებს უკავშირებს — აქ, გაგების სისრულის გარდა, დამახსოვნების სისრულეც გვაქვს. მოვლენათა დიალექტიკური ერთიანობის სწორი გაგება უზრუნველყოფს მათ სიმტკიცეს ცნობიერებაში.

დამახსოვებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სასწავლო მუშაობის ხასიათს: რამდენადაც მოსწავლე ზერელედ და ნაჩქარევად ითვისებს მასალას, იმდენად სუსტია ცოდნის დონე და სიმტკიცე და — პირიქით. რამდენადაც გულდასმით, ძლიერი ინტე-

რესით და ყურადღებით სწავლობს (მხედველობაში გვაქვს არა ჩამორჩენილი, არამედ სრულიად ნორმალური შეთვისების მოსწავლე) — იმდენად საფუძვლიანია ცოდნა და მეხსიერებაშიც გაცილებით უფრო მკვიდრი. ამიტომაა საჭირო მოსწავლეს დასამუშავებლად იმდენი მასალა მიეცეს, რამდენსაც ის განსაზღვრულ დროში ნორმალურად დაამუშავებს. მოსწავლეთათვის გაკვეთილისა და სხვადასხვა დავალებათა მიცემის დროს ეს გარემოება კარგად უნდა გვახსოვდეს: მივცეთ იმდენი, რამდენსაც ინტერესით, ყურადღებით და საფუძვლიანად დაამუშავებს. პედაგოგიურ ზომაზე გადაჭარბებით დატვირთვა ცოდნის ხარისხის თვალსაზრისით სახიფათოა. „თუ ნელი დასწავლა გამოწვეულია საფუძვლიანი შესწავლის ჩვევით, მაგალითად ისე, რომ ყოველთვის გამოყოს ძირითადი აზრები, შეადგინოს კონსპექტი, ეცადოს, რათა ყველაფერი გაგებული იქნას, ასეთი მეთოდით მომუშავე მოსწავლე უფრო ხანგრძლივად დაიმახსოვნებს, ვიდრე ის, რომელმაც აჩქარებით დაისწავლა და არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება გაკვეთილის ძირითად ელემენტებს“ — ამბობს პაილი. თქმული ცალკე გაკვეთილსაც ეხება: გაკვეთილზე დასამუშავებელად იმდენი მასალა უნდა იქნას მიწოდებული, რამდენიც ჩაეტევა მოცემულ დროში გულდასმით და ინტერესით მისი დამუშავების პირობით. სხვა მოსაზრებათა შორის, ამიტომ აქვს მასწავლებლის მხრივ გაკვეთილის მასალის წინასწარ განსაზღვრას და საფუძვლიან მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა.

იმის გარდა, რომ თეორია რევოლუციონური მოძრაობის პრაქტიკასთან კავშირში ყალიბდება (ლენინი), რომ თეორია პრაქტიკის გარეშე უსაგნოა (სტალინი), სწავლების დამყარება თეორიისა და პრაქტიკის დიალექტიკური ერთიანობის ნიადაგზე საფუძვლიანს ხდის დამახსოვნებას მით, რომ პრაქტიკა ცოდნას ამოწმებს, ასწორებს და ავსებს, ცხადყოფს მეცნიერული ცოდნის პრაქტიკულ დანიშნულებას; ცოდნის შეძენასა და შემოწმება-გამოყენებაში ანხორციელებს თავით და ხელით მუშაობის ერთიანობას და ნერვული სისტემის მეტ ცენტრს აღებინებს მონაწილეობას ცოდნის შეძენა-განმტკიცებაში.

დამახსოვნების სიმტკიცის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საკითხს, თუ როგორი განწყობით იძენს მოსწავლე ცოდნას. დამახსოვნების ხარისხი, ყველა სხვა პირობის დაცვით, უფრო მაღალია, როდესაც ცოდნის შეძენის პროცესი გაცხოველებული ინტერესით და ზომიერი ემოციონალობით მიმდინარეობს. ემოციონალობა ყველა ასაკისათვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ მას განსაკუთრებით დიდი ღირებულება აქვს ბავშვებთან მუშაობაში.

მოსწავლე ცოდნას უნდა იძენდეს განცდებთან დაკავშირებით. შესასწავლი მასალის ხასიათის მიხედვით—სიხარულით, გატაცებით, აღგზნებით (მაგ. რევოლუციონური ბრძოლით, სოციალისტური მშენებლობით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გმირული მოძენტებით გამოწვეული ენტუზიაზმი) და პირიქით — ზიზღს, სიძულვილს და აღშფოთებას უნდა განიცდიდეს, როდესაც ამას მასალა თხოლობს (მაგ. კლასობრივი მტრის მოქმედება, შრომისადმი არასოციალისტური დამოკიდებულება, ზარმაცობა, დაუდევრობა, დანაშაული, უსაქციელობა, სიმხდალე და ა. შ.). ასეთი „მშრალი" საგანიც კი, როგორიცაა მათემატიკა, უნდა გამოცოცხლდეს, რაც მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც მასწავლებელი მათემატიკაში და მის სწავლებაში მცოდნე და კარგი ოსტატია, როდესაც მეცნიერულად და ცოცხლად ამეტყველებს ფორმულებს, ისტორიულ პერსპექტივაში შლის მათემატიკურ მიღწევებს, ნათელყოფს მათემატიკაში კანონზომიერებას, ააშკარავებს მათემატიკის კავშირს ტექნიკისა და სოციალისტური მშენებლობის მიღწევებთან და ა. შ. ეს გარემოებაც გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებს სწავლების მეთოდებს, — მაშასადამე, პირველს რიგში—მასწავლებელს. გაკვეთილზე მასწავლებელი თითონაც უნდა იყოს გატაცებული და მოსწავლეებიც „გაიტაცოს".

დამახსოვნების საქმეში დიდ როლს თამაშობს განმეორება. „განმეორება — სწავლების დედაა" — ამბობდა ძველი დიდაქტიკა. ამ დებულებას მნიშვნელობა არც ჩვენთვის დაუკარგავს: განმეორება იმას ნიშნავს, რომ ნერვულ სისტემაში კიდევ და კიდევ იქნას აღდგენილი და განახლებული ის რეაქციები, რომლებიც დაკავშირებული არიან შესასწავლ ფაქტთან. მაგრამ განმეორება არ უნდა იქცეს მექანიკურ პროცესად და არ უნდა წარმოადგენდეს წრთვნას. განმეორების დროს ცოდნა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ადიოდეს და მტკიცე კავშირს ამყარებდეს ძველსა და ახალ მასალასთან.

განმეორების დროს სასურველი და საჭიროა საკითხი სხვადასხვა მხრივ გაშუქდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ საგნის დასისტემებული კურსის ხასიათი უფრო და უფრო მკვიდრდებოდეს. სწავლების პროცესში სასწავლო საგანთა შორის საჭირო კავშირის დამყარება და წინა ცოდნის მოშველიება ახლის შეთვისების სიმტკიცისათვის განმეორების საშუალებას და საბაბს იძლევა. გაკვეთილზე, ახალი მასალის დამუშავებისას, მოკლედ უნდა იქნას აღდგენილი წინა გაკვეთილის მასალა — ეს ღონისძიება უზრუნველყოფს კავშირის დამყარებას და თანაც განმეორების სახეც იქნება.

მიღწეული უნდა იქნას, რათა მოსწავლე არა მარტო მასწავლებლის წინადადებით იმეორებდეს, არამედ თავის ნებითაც იმეორებდეს და აღრმავებდეს ცოდნას. ამას მივაღწევთ, როდესაც მოსწავლე ინტერესით მუშაობს და გავლილ მასალას ხალისით უბრუნდება, ეს კი, თავის მხრივ, ბევრადაა დამოკიდებული მასალის შინაარსზე და მისი დამუშავების მეთოდებზე. ხალისიანი მასალა თითონ იწვევს მოსწავლეს გასამეორებლად. ხშირიც რომ იყოს განმეორება, შედეგს არ მოგვცემს, თუ მასალა თავიდანვე არ არის საფუძვლიანად დამუშავებული და კარგად გაგებული. სწორედ ასეთ შემთხვევებში გვექნება საქმე უაზრო ზეპირობასთან და მექანიკურ დამახსოვნებასთან. მაგრამ განმეორება ისეთ შემთხვევაშიც არის საჭირო, როდესაც მოსწავლეთა მიერ მასალა მთლიანად გაგებულია და დამახსოვნებაც — შეგნებას, ინტელექტუალურ მუშაობას ემყარება. რაგინდ ძლიერი არ იყოს დამახსოვნების ლოგიკური ხასიათი, ძნელად შესათვისებელ საგნებში უფრო ხშირი განმეორებაა საჭირო.

ფსიქოლოგია აღქმისა და დამახსოვნების სხვადასხვა ტიპს არჩევს: ზოგი უფრო იმახსოვნებს მხედველობის მეშვეობით აღქმულს, ზოგი — სმენის, ზოგი — შეხების საშუალებით და ა. შ. მაგრამ დამახსოვნების ტიპი ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ის ერთი რომელიმე თავისებურობით ხასიათდებოდეს და დანარჩენის არაფერი არ ახლდეს. ამ გარემოებას სწავლებაში ანგარიში უნდა გაეწიოს: მასწავლებელი ყოველთვის უნდა იღებდეს მხედველობაში მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურობას აღქმისა და დამახსოვნების საქმეში და, შესაძლო ფორმებში, უფარდებდეს სასწავლო მუშაობის მეთოდებს და ხერხებს. მკვიდრი შემადგენლობის მთელ ჯგუფთან მეცადინეობა ისეთ მეთოდებს და ხერხებს უნდა ემყარებოდეს, რომლებიც ყოველ თავისებურობას უპასუხებენ. მოსწაელეთათვის ცოდნის მიწოდება ისეთ მეთოდებს და ხერხებს უნდა დაემყაროს, რომლებიც უზრუნველყოფენ მხედველობის, სმენის, მოძრაობის და აზროვნების ფართო მონაწილეობას. თვალსაჩინოება, მასწავლებლის მიერ ცოდნის სიტყიერად გადაცემა, წერა, კითხვა, სახელოსნოებში და ლაბორატორიებში მუშაობა, საზოგადოებრივი მუშაობა, ექსკურსია და სხვა, რაც სწავლებაში გამოყენებული უნდა იქნას — ყველა ეს სწავლების ისეთი საშუალებანია, რომლებიც მოსწავლეთა დამახსოვნების ყველა თავისებურებას დაფარავენ.

დამახსოვნების გაადვილების გზად ფსიქოლოგია შემდეგ ლონისძიებებს სახავს: აღქმის პროცესის გაინტენსიურება, ასაღქმელი ობიექტის შინაარსის ზუსტად გაგება და განმეორების გაძლიერება,

სხვადასხვა წარმოდგენათა შორის დამოკიდებულებისა და ლოგიკური კავშირის დამყარება, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, როგორიცაა: დასამახსოვნებელის ჩაწერა, სქმეებში გამოსახვა, ჩახატვა, სახელოსნოში გაკეთება, ლაბორატორიაში სათანადო მუშაობის ჩატარება და სხვ. საბჭოთა სკოლა შეგნებული დამახსოვნების პრინციპს ემყარება — გარე სამყაროს აღქმა მის სინამდვილეში და აღქმულის შეგნებულად განმტკიცება მეხსიერებაში—(რას ვსწავლობთ და რისთვის ვსწავლობთ) — ეს არის საბჭოთა სკოლის გზა მეცნიერებათა საფუძვლებით ახალგაზრდობის მტკიცედ შეიარაღების მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს დამახსოვნების განსხვავება სხვადასხვა ასაკში. დამახსოვნების ერთი და იგივე საშუალება უცვლელად არ გამოიყენება ბავშვებთან და მოზრდილებთან. მაგ., ბავშვებისათვის უფრო ბუნებრივია კონკრეტულის და მთლიანის დამახსოვნება, ვიდრე განყენებულის, ცალკე ნაწილების და მოვლენათა მთელი რთული კავშირის გაგება — შეთვისება. მოზრდილისათვის კი ეს უფრო ღასაძლევია. დამახსოვნების სიმტკიცისათვის, თვალსაჩინოების გაძლიერების პირობით, უმცროსი ასაკის მოსწავლეებთან უფრო ნაყოფიერია განმეორება, ჩახატვა, ჩაწერა. ზედა ასაკში უკვე მისაწდომია წარმოდგენათა შორის რთული ლოგიკური კავშირის გაბმა, საგანზე უფრო ღრმა ჩაფიქრება, დაკონსპექტება, თეზისების შედგენა და ა. შ.

ასაკის მიხედვით ცვლადია აგრეთვე დამახსოვნების მოცულობაც, სიზუსტე, ხანგრძლივობა. შესათვისებელი მასალის მოცულობა მოსწავლის შესაძლებლობასთან უნდა იყოს შეფარდებული. დამახსოვნების საქმეში გარკვეულ როლს თამაშობს ზოგადი განვითარება: როცა მოსწავლეს მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს, მეტი წაუკითხავს და უნახავს —უფრო ადვილად და საფუძვლიანად იმახსოვნებს, რადგან წარმოდგენათა შორის ლოგიკურ კავშირს ამყარებს, რაც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, დამახსოვნების ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა. „განმეორებითი ხასიათის ვარჯიშობათა უფრო დიდი რაოდენობა 13 წლის ასაკამდე უნდა იყოს ჩატარებული- 13 წლის ზევით მეტი ყურადღება ზოგად განვითარებას უნდა დაეთმოს. მაგ., ენაში ის განყოფილებანი, რომლებიც განმეორებითი ვარჯიშობას მოითხოვენ, როგორიცაა გრამატიკული წესები, ენის კონსტრუქციისა და ორთოგრაფიის საკითხები, დაბალ კლასებში უნდა იქნას საფუძვლიანად შეთვისებული. უფროს კლასებში კი უმთავრესად ყურადღება ლიტერატურას და თხზულებათა წერას უნდა მიექცეს... უფროსი კლასების მოსწავლე ნაკლებად საჭიროებს განმეორებითი ვარჯიშობას, ვიდრე უმცროსი კლასის მოსწავლე, დაგროვილი გა-

მოცდილების გამო, უფროსი კლასის მოსწავლეს მეტი ასოციაციის დამყარების და დასამახსოვნებელი მასალის უკეთ დასისტემების საშუალება აქვს“—ამბობს პაილი. მაგრამ ასაკის ერთგვარობა როდი ნიშნავს დამახსოვნების უეჭველ ერთგვარობას. აქ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურობანი მრავალნაირია. ზოგი სრულიად დეტალურად და ხანგრძლივად იმასხოვნებს, ზოგიც—ნაკლებს და ადრეც ივიწყებს. მიღწეული უნდა იქნას, რათა მოსწავლეები, რომლებიც მძიმედ იმახსოვნებენ და ადრე ივიწყებენ, სწავლობდენ უფრო გულდასმით და საფუძვლიანად და ხშირადაც იმეორებდენ — მათ უფრო მეტი განმეორებითი ხისიპთის სავარჯიშო უნდა მიეცეს — ჯგუფში, განმეორებითი მაცადინეობის დროს, პირველი პასუხები იმ მოწაფეებს უნდა მოეთხოვოთ, რომლებიც კარგად იმახსოვნებენ და ცოდნას სრულად აღადგენენ.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ დამახსოვნებაზე საერთოდ, განყენებულად, არამედ რომელიმე დარგში. სწავლების მეთოდებში გათვალისწინებული უნდა იქნას განსაკუთრებით იმ საშუალებათა გამოყენება, რომლებიც უფრო შეეფერებიან მოცემული დისციპლინის შეთვისება—დამახსოვნებას.

ასაკობრივი თავისებურობისა და განვითარების დონესთან ერთად, მასალის შეთვისება-დამახსოვნებაში უეჭველად გარკვეულ როლს თამაშობს მოსწავლის კლასობრივი კუთვნილება — მისი უახლოესი სოციალური გარემოს კლასობრივი ინტერესი, რაც მოსწავლეშიც მეღავნდება. უნდა ვიფიქროთ — კლასობრივობა შეთვისების საღრმესა და დამახსოვნების სიმტკიცეზე გავლენას ახდენს შესასწავლი მასალისადმი მოსწავლის განწყობა—ინტერესის მეშვეობით: თუ საგანს მოსწავლე უგულოდ ეპყრობა (მაგ. კლასობრივი მტრის გავლენის ქვეშ მოქცეული მოსწავლე — საზზეცნიერებას და სხვ.) მის მიმართ ინტერესიც ნაკლებია, ცოდნას არ ეძებს, არ იმეორებს და არ აღრმავებს. აქედან სუსტი შედეგიც ბუნებრივია.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ მასწავლებელი პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივი და გონებრივი ზრდის პარალელურად, ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს მათი დამახსოვნების უნარიანობის განვითარებას და დამახსოვნების ყოველგვარ თავისებურობას, რათა დროზე მიიღოს პედაგოგიური ზომები განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზთა წინააღმდეგ და სწავლების საქმეში დროზე გამოიყენოს, პირობების მიხედვით, უფრო ნაყოფიერი მეთოდები.

სწავლის პროცესში დასწავლა მნიშვნელოვანი მომენტია. მეცნიერებათა საფუძვლების სიმტკიცე დასწავლის გარეშე არ არეს. აშიტომ დასწავლის პროცესის რაციონალიზაცია ყურადღების ღირსი პედაგოგიური საკითხია.

დასწავლის საქმეში ორ მთავარ მხარეს ვარჩევთ — გარეგანს და შინაგანს.

გარეგან მხარეს შეადგენს: დასასწავლი ტექსტის აზრიანობა, მისი წაკითხვისა და გამოთქმის სიადვილე, შესაძლო რიტმიულობა, მოცულობა (ეს — გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებს ჩვენს სასწავლო წიგნებს), განმეორების რაოდენობის შეძლებისამებრ ფართოდ გაწესრიგება დროში და, დასწავლის შემდეგ, ხშირი განმეორება, დასწავლის საშუალების შეფარდება მოსწავლის აღქმის თავისებურობასთან და სხვ.

დასწავლის შინაგან მხარეში შედის:—მასალისადმი განწყობა და ინტერესი, დასასწავლის აზრისა და დანიშნულების სწორად გათვალისწინება მოსწავლის მიერ, ყურადღების დაბაძვა და სიმტკიცე, ჯანრთელობა, სიმხნევე და სხვ.

შევჩერდეთ საკითხზე, — თუ როგორ ჯობს მასალის (მაგალითად — ლექსის) დასწავლა, მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილად. როგორც შემჩნეულია, სკოლის მოსწავლეები დასაზეპირებელ მასალას ნაწილ-ნაწილად სწავლობენ. დაკვირვება და ცდები ამტკიცებენ, რომ უფრო ნაყოფიერია მასალის მთლიანად დასწავლა, თუ მისი მოცულობა დიდი არ არის. მთლიანად დასწავლა ნაკლებ დროს და ნაკლებ განმეორებას მოითხოვს და უფრო ხანგრძლივად რჩება მეხსიერებაში, ვიდრე ნაწილ-ნაწილად დასწავლილი. ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ 9 სტრიქონიანი ლექსის მთლიანად დასწავლამ 2 წუთი და 47 წამი მოითხოვა, ხოლო ნაწილ-ნაწილად — 3წუთი და 3 წამი. მეორე შემთხვევაში პატარა ლექსის მთლიანად დასწავლას 12-ჯერ განმეორება დასჭირდა, ხოლო ნაწილ-ნაწილად — 45განმეორება. დამახსოვნების სისრულისა და სიმტკიცის მხრივაც უპირატესობა მთლიანად დასწავლას აქვს: აღმოჩნდა, რომ მთლიანობის წესით დასწავლილი მასალიდან ერთი წლის შემდეგ მეხსიერებაში 23% იყო შენახული, ხოლო ნაწილ-ნაწილად დასწავლილიდან — 12%.

როგორც ვხედავთ, ყველა უპირატესობა მთლიანად დასწავლის მხარეზეა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მთლიმნად დასწავლის დროს შეთვისება ზომიერია, თანაბარი რაოდენობით მეორდება ყოველი სტრიქონი, დაცულია ნაწილთა შორის ლოგიკური კავშირი და სასწავლო მასალის შინაარსისა და აზრის მთლიანობა.

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის მთლიანად დასწავლა მაშინაა ნაყოფიერი და პედაგოგიურად მისაღები, როდესაც მოცულობით დასაძლევია ერთბაშად დასასწავლად. თუ მასალა დიდია, მაშინ აღებული უნდა იქნეს დასრულებული აზრის შემცველი ნაწილი და ის უკვე მთლიანად იქნას დასწავლილი.

დასწავლის საქმეში მნიშვნელოვანია აგრეთვე განმეორების წესრიგი. ცდა ამტკიცებს, რომ მასალის შეთვისება — დამახსოვნება იმდენად მტკიცეა, რამდენადაც მეტი დროის მანძილზეა გაწესრიგებული განმეორების პროცესი, მოკლე დროში თავმოყრილი ბევრი განმეორება ნაკლებ შედეგს გვაძლევს. მოსწავლე, რომელიც აჩქარებით და მოკლე დროში მრავალი განმეორების საშუალებით ითვისებს მასალას, რამდენიმე ხნის შემდეგ ნორმალურად მის აღდგენას ველარ ახერხებს, თუ ისევ საფუძვლიანად არ განიმეორა. რაც შეეხება დასწავლის ტემპს, ის დასაწყისში უფრო ნელი უნდა იყოს, ხოლო შემდეგ უფრო ჩქარი. ამის გარდა, სასარგებლოა დასწავლის საქმეში გამოყენებულ იქნას დასასწავლი ტექსტის ლამაზად, სუფთად და ყურადღებით გადაწერა: ამ ღონისძიებით კიდევ უფრო ძლიერდება აღქმაში მხედველობის, მოძრაობის და სხვ. მომენტები.

სწავლის პროცესში ყოველი საშუალებით უნდა იქნას არიდებული შეცდომა. სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის საშუალებით, ზექმედებისა და მოსწავლის აქტივობის სხვადდსხვა გზით, ჩვენ ვაღწევთ აღქმას და სინამდვილის ასახვას. ეს პროცესი თავისებურად ტარდება ნერვულ სისტემაში. ყოველგვარმა გამეორებამ და სხვა ღონისძიებამ, რაც აღქმულისა და დასასწავლის განმტკიცებისაკენაა მიმართული, ხელი უნდა შეუწყოს სწორი რეაქციების გამტკიცებას, ყოველმა გამეორებამ უკვე მიღებული სწორი წარმოდგენა და ცნება გააღრმაოს — სწორად და სრულად. დასწავლილი სწორად და სრულად უნდა გამეორდეს. დაშვებული შეცდომა სწორი აღქმისა და სწორი წარმოეგენის სიმტკიცეს არყევს. ამიტომ შეცდომას უნდა ვერიდოთ, როგორც საშიშარ სენს: ვეცადოთ შეცდომა არ იყოს მოსწავლის აზროვნებაში, მეტყველებაში წერაში. შეცდომას მოსწავლე არ უნდა ისმენდეს და არ ხედავდეს არც სხვა მოსწავლეთაგან, არც მასწავლებლისაგან. დაშვებული შეცდომა ყველა საშუალებით უნდა იქნას აღმოფხვრილი. ეს გარემოებაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მასწავლებელს, რომელმაც სწავლებაში ყველა პირობა უნდა შექმნას იმისათვის, რომ მოსწავლემ ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული ცოდნა შეითვი-

სოს და კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით საპირო ჩვევებით შეიარაღდეს.

დასწავლის ნაყოფიერების საკითხი დროსაც ეხება — სასწავლო მუშაობის მიზანშეწონილად გაწესრიგებას დროში. ცნობილია, რომ ადრე დილის მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ვერც ბავშვის და ვერც მოზრდილის შრომის დიდ ნაყოფიერებას, რადგან, ღამის დასვენების შემდეგ, ორგანიზმს ესაჭიროება მოქნა, მუშაობისათვის განწყობა და მომარჯვება. სასწავლო მუშაობის უნარიანობა დილიდან თანდათან მატულობს და სასწავლო დღის შუადროისთვის უმაღლეს წერტილს აღწევს, შუადღის შემდეგ კი გონებრივი მუშაობის უნარიანობა გარკვეეით კლებულობს და სასწავლო დღის ბოლოსათვის ისევ იწევს. ამის გამო, სასწავლო ცხრილი ისე უნდა შედგეს, რომ უფრო ძნელი და პასუხსაგები საგნები დილის საათების მეორე რიგში მოხვდეს, ხოლო უფრო ადვილი — შუადღეს. მაგალითად, ისეთი საგნები, რომელნიც ყურადღების დიდ დაძაბვას მოითხოვენ (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გრამატიკა და სხვა) დილის 10-12 საათებში უნდა იქნან მოქცეული.

უნდა ვიფიქროთ — შეთვისების ხარისხის თვალსაზრისით ერთი და იგივე გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილსაც აქვს მნიშვნელობა. ზოგი დაკვირვება და ცდები მოწმობს, რომ გაკვეთილის დასაწყისი და დასასრული შეთვისების სიმტკიცის თვალსაზრისით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე გაკვეთილის შუა ნაწილი. ამიტომ მიზანშეწონილია, თუ მასწავლებელი გაკვეთილზე დასამუშავებელ მასალას ისე გააწესრიგებს, რომ უფრო მნიშვნელოვანი და ძნელად შესათვისებელი საკითხები გაკვეთილის დასაწყისში და დასასრულს დაამუშაოს — გასაგებია — იმ პირობით, რომ მასალისათვის სავალდებულო ლოგიკური თანამიმდევრობა ამით არ დაირღვეს. მასალის ლოგიკური კავშირის დაცვა პირველს რიგში უნდა იქნას დაყენებული. მაგრამ საკითხი ლოგიკის მხრივაც თავისთავად მოგვარდება, თუ მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მნიშვნელოვან ფაქტებს მიაწოდებს, შუა ნაწილში მოსწავლეებთან ერთად ფაქტებს გაარჩევს, ხოლო გაკვეთილის დასასრულს სათანადო დასკვნებს გამოიტანს. მოკლე დასკვნა ყველა გაკვეთილს უნდა ახლდეს.

გაკვეთილის დასწავლა უფრო ნაყოფიერია საღამოს — იმ პირობით, რომ ის დილით განმეორებული იქნა.

მეცნიერებათა საფუძვლების სწორი ათვისება და დასწავლა — დამახსოვნება აზროვნების საფუძველია. სწორი წარმოდგენები, მათი გადამუშავება და მართებული დასკვნების გამოტანა ისე, რომ შემეცნების პროცესი მატერიალური სინამდვილის დიალექტიკური პრო-

ცესის სწორ ანარეკლს წარმოადგენდეს, ინტელექტის უმნიშვნელოვანესი მომენტია. განვითარებული რეცეპტორების მეშვეობით მატერიალური სინამდვილის ზექმედების ყურადღებით და ინტერესით მიღება და სწორი აღქმა, გადამუშავება, სწორი წარმოდგენები, სწორი ლოგიკური მსჯელობა და მართებული დასკვნების გამოტანა—ასეთია აზროვნების პროცესი. კონკრეტულ — ფაქტიურ მასალაზე დამყარება, ზუსტი დაკვირვება, გონებრივი და ფიზიკური აქტიობის ერთიანობის განხორციელება — ასეთია სწორი შემეცნების ძირითადი გზა. მაგრამ არა პრიმიტიული ემპირიზმი, არამედ შემოქმედებითი აზროვნება, არა მარტო კონკრეტულით დაკმაყოფილება, არამედ კონკრეტულის საფუძველზე მეცნიერული აბსტრაქცია, მეცნიერული გაზოგადება, ლოგიკურად გადამუშავება,—„ცოცხალი ჭვრეტიდან აბსტრაქტულისაკენ და მისგან პრაქტიკისკენ“ — ლენინის მიერ მოცემული ეს დებულება ურყევ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს შესწავლისა და სწავლების ჩვენი მეთოდიკისათვის.

სწავლების პროცესში მოსწავლეთა აზროვნების სისწორეს და სიცხადეს ფხიზელი ყურადღება უნდა მიექცეს. ბუნდოვანი, აბნეული, გაჭიანურებული აზროვნება უნდა აღიკვეთოს. მოსწავლე სკოლამ ზუსტი და ნათელი აზროვნების კულტურით უნდა შეაიარაღოს. ყოველგვარი უმართებულობა მოსწავლეთა აზროვნებაში, რაც ზეპირ და წერითი მეტყველებასა და მოქმედებაში აშკარავდება, მასწავლებლის მიერ შემჩნეული და გასწორებული უნდა იქნას, მაგრამ გასწორება არა ისეთ ფორმებში, რომლებიც დააფრთხობენ და დააშინებენ მოსწავლეებს და ჩაუკლავენ დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების სურვილს.

ბ) ᲛᲐᲠᲯᲘᲛᲝᲑᲐᲜᲘ

ადამიანის აღზრდის პროცესი მისი მიზანშეწონილად შეცვლის პროცესია. კომუნისტური აღზრდის პროცესი არის ადამიანის შეცვლის პროცესი იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლისათვის საჭირო თვისებათა შემუშავება—განმტკიცებას. მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნა, მატერიალისტური-დიალექტიკური აზროვნება, კომუნისტური მორალი და კომუნისტური ქცევა,— ყველა ეს სწავლებისა და აღზრდის შედეგია. სწავლა-აღზრდაში უდიდესი ადგილი უჭირავს კომუნისტური აღზრდის ამოცანათა თვალსაზრისით საჭირო ჩვევების შემუშავებას და განმტკიცებას—ვგულისხმობთ, როგორც აზროვნების, ისე ფიზიკური მოქმედება—მოქცევის ჩვევას. ჩვევა შეგვიძლია განესა-

ხლეროთ, როგორც ცოდნის საფუძველზე ავტომატირიზებული მოქმედება — ქცევა. შეგნებული მოქმედებისა და ქცევის—ასე ვთქვათ— „გაავტომატიზირებას“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიზანშეწონილი მოქმედების სისწორისა და სისწრაფისათვის; ჩვევათ გადაქცეული „ავტომატიზირებული“ მოქმედება ანთავისუფლებს ნერვიული სისტემის უმაღლეს ფუნქციებს ზედმეტი დიდი მუშაობისაგან. მაგალითად, კითხვის პროცესს, წერას, მეტყველებას, მარტივ არითმეტიკულ ოპერაციებს და ა. შ. ყოველთვის ისეთი სიძნელე რომ ახლდეს, როგორსაც ბავშვი ან მოზრდილი სწავლის დასაწყისში განიცდის—გონებრივი განვითარება მეტად გაძნელდებოდა. მოქმედების „ გაავტომატიზირება“ განმეორებისა და ვარჯიშობის შედეგია. ამიტომ სწავლებაში დიდ როლს თამაშობს მეთოდურად სწორად დაყენებული სისტემატური ვარჯიშობა, რომლის გარეშე შეუძლებელია მტკიცე ჩვევათა შეთვისება. როგორც ახალ ჩვევათა შეძენა, ისე უმართებულო ჩვევათა შეცვლა-გადახალისება მეტი ნაყოფიერებით ბავშვობის ასაკში მიმდინარეობს. ეს გარემოება გვავალებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეპყრათ ჩვევათა შემუშავების საქმეს და ვარჯიშობის სათანადოდ დაყენებას დაწყებითს და საშუალო სკოლაში. სკოლის ყოველმა ჯგუფმა და ყოველმა კონცენტრმა მოსწავლე ისე მტკიცედ უნდა შეაიარაღოს სტაბილური პროგრამებით განსაზღვრული ცოდნა-ჩვევათა ჯამით, რომ შემდგომ საფეხურზე და შემდგომ ჯგუფში აღარ იყოს საჭირო „წინა ცოდვების“ გამოსწორებაზე მუშაობა, როგორც ამას ახლა აქვს ხშირად ადგილი, — როდესაც მოსწაელეებს საშუალო სკოლის უფროს ჯგუფშიაც კი არ აქვთ შეთვისებული გამრავლების ტაბულა და მართლწერის ელემენტები. მოსწავლის ყოველგვარი სასწავლო მუშაობა და ახალი საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული გზადაგზა ვარჯიშობა უეჭველად ხელს უწყობს სათანადო ჩვევათა შემუშავებას, მაგრამ მარტო გზადაგზა წარმოებული ვარჯიშობა არ კმარა მტკიცე ჩვევათა შესამუშავებლად, რაც აუცილებელს ხდის საგანგებოდ დაყენებულ ვარჯიშობას, მაგრამ იმ პირობით, რომ ამან არ მიიღოს წვრთნის მომაბეზრებელი ხასიათი.

ვარჯიშობაშიც საჭიროა მოსწავლის ინტერესი, ყურადღება და შეგნება: მოსწავლეს სწორად უნდა ქონდეს წარმოდგენილი ვარჯიშობის დანიშნულება, —თუ რა ცოდნა-ჩვევა უნდა მისცეს ვარჯიშობამ. სავარჯიშო მასალა ისეთი უნდა იყოს აღებული და ვარჯიშობის დრო ისე განსაზღვრული, რომ მოსწავლე შეუნელებელი ინტერესით და ყურადღებით მუშაობდეს. სავარჯიშოდ ნაირ-ნაირი, მაგრამ ვარჯიშობის დანიშნულების შესაფერი შინაარსის მა-

სალა უნდა იქნას არჩეული. არავითარი ღირებულება არ აქვს ისეთ-ვარჯიშობას, როცა მოსწავლის რვეულში რამდენიმე სტრიქონი და-ხშირად მთელი გვერდიც უჭირავს ისეთ სიბრძნეს, როგორიცაა-„ვირი ბალახით იკვებება“. ასეთი, ვითომდა სავარჯიშო ხშირია მოსწავლეთა რვეულებში. შემჩნეულია, რომ მოსწავლე დასაწყისში სავარჯიშოს მეტი მონდომებით და უკეთესი შედეგებით ასრულებს, ხოლო შემდეგ სავარჯიშოს ხარისხი თუ კლებულობს, — მაგ., ასოების ან სიტყვების დამწერლობა უარესდება ან შეცდომები მატულობს,—ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსწავლე დაიქანცა ან ინტერესი შეუსუსტდა და, მაშასადამე, ვარჯიშობის გაგრძელება უაზროა.

სავარჯიშო მასალა სწავლა-აღზრდის მიზნებსა და მოსწავლის ინტერესს უნდა უპასუხებდეს. სავარჯიშო მასალის დაკავშირება სოციალისტურ მშენებლობასთან მნიშვნელოვანი პირობა არის მოსწავლის ინტერესის გაძლიერებისა და ჩვევების შეძენისათვის, ხოლო ვარჯიშობაში ინტერესის სიძლიერე კი ჩვევათა სიმტკიცის პირობა. მაგალითად, სავარჯიშო მასალა ენაში, მათემათიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, საზმეცნიერებაში და ა. შ. შეიძლება ფართოდ უკავშირდებოდეს სოციალისტური მშენებლობის საკითხებს, ამასთანავე სავარჯიშო-შინაარსის, მოცულობისა და შესრულების ხანგრძლივობის მზრივ მოსწავლის მომზადებასთან და ასაკთანაც უნდა იყოს შეფარდებული. ყველა პირობათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვარჯიშობის ხანგრძლივობას ასაკის თავისებურობათა მიხედვით. მცირე ასაკის ბავშვი ადრე იღლება და მას უფრო მალე უსუსტდება ინტერესი. ამიტომ დაბალ ჯგუფებში ცალკე სავარჯიშო — კითხვა, წერა, ანგარიში და სხვ. — 15-20 წუთს არ უნდა აღემატებოდეს.

„იმის ნაცვლად, რომ მასწავლებელმა მართლწერის წესების შეთვისება დღეში 30 წუთი მოანდომოს და ბევრი მაგალითის დამუშავება განიზრახოს, ჯობს ნაკლები რაოდენობის მაგალითი დამუშაოს ხუთმეტ-ხუთმეტი წუთის განმავლობაში“— ამბობს პაილი.

სწორად დაყენებულ ვარჯიშობაში საგანთა შორის აუცილებელი შინაგანი კავშირის განხორციელება ნორმალურ ხასიათს იღებს: მაგალითად, გეოგრაფიულ რუკაზე მუშაობა, სოციალისტური მშენებლობის საკითხების გარკვევა, სახელოსნოებში მუშაობა და სხვ. მათემატიკურ ჩვევებს მოითხოვენ; დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, ცოდნის გამოსახვა წესიერ სიტყვიერ ფორმებში — ენობრივ ჩვევებს გულისხმობს, ისტორიისა და საზოგადოებათმეცნიერების საკითხების გაშუქება — რუკაზე მუშაობის ჩვევებს იკავშირებს და ა. შ.

საკარჯიშო მასალის არჩევის დროს ეს გარემოება მიღებული უნდა იქნას მხედველობაში. ვარჯიშობის მომენტები ფართოდ უნდა იქნას აგრეთვე გათვალიწინებილი და განხორციელებული ბავშთა თამაშობაში და შრომაში, — შეძლებისამებრ, ასაკის მიხედვით, ისეთი თამაშობანი უნდა იქნან შერჩეული, რომლებიც შეიცავენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ ვარჯიშობას. რაც შეეხება შრომას სახელოსნოებში და მიწის ნაკვეთზე, აქ ფართოდ უნდა იქნას შეტანილი ვარჯიშობის ელემენტები მათემატიკიდან, ფიზიკიდან, ქიმიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და ა. შ. მაგრამ იმ პირობით, რომ ხელოვნურსა და ნაძალადევ დაკავშირებას არ ქონდეს ადგილი.

პოლიტექნიკური სწავლებისა და ადამიანის ყოველმხრივად განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ჩვევათა შესამუშავებლად საჭირო ვარჯიშობის ერთდროულად წარმოებას, მაგრამ ისე, რომ თვისობრივად გსნსხვავებულ ვარჯიშობათა შორის მიზანშეწონილი თანამიმდევრობა იყოს დაცული და რომ თითოეული საგნისათვის საჭირო ვარჯიშობანი, რიგრიგობისა და ცვლის მიუხედავად, სისტემატიურ სახეს ატარებდენ.

შედარებით უფრო რთულ ჩვევათა შესამუშაებლად მიზანშეწონილია ვარჯიშობის მომეტებულად წარმოება მუშაობის დასაწყისში, როდესაც ჩვევებს ჯერ კიდევ საფუძველი არ აქვს ჩაყრილი მხოლოდ იმ პირობით, რომ ვარჯიშობა მცირე მოცულობის მასალაზე და ხშირხშირად წარმოებდეს. ხოლო როცა ჩვევები შეთვისებულია, ვარჯიშობა შესაძლებელია დროს უფრო დიდ მანძილზე იქნას ერთმანეთისაგან დაშორებული, ოღონ დროგამოშვებით ვარჯიშობა-გამეორებას მაინც უნდა დაეთმოს ადგილი.

ვარჯიშობის დროს — ისე, როგორც ახალი საკითხის დამუშავების დროს, მოსწავლეთა მთელი ყურადღება საკარჯიშო მასალაზე უნდა იყოს შეჩერებული. ამიტომ ვარჯიშობის მომენტში არიდებული უნდა იქნას ყოველგვარი მოვლენა, რაც კი ანელებს მოსწავლეთა ყურადღებას ვარჯიშობის პროცესის მიმართ. გარეშე პირების უთავბოლოდ შემოსვლა გაკვეთილზე, მასწავლებლის ყვირილი და უჩვეულო მოძრაობა, მოსწავლეთა ცელქობა და უყურადღებობა, სკოლის ირგვლივ ხმაურობა და სხვ. — ყველა ეს აბრკოლებს სამუშაოს მიმართ მოსწავლეთა ყურადღების დაძაბვას და ამცირებს ვარჯიშობის შედეგს. საზიანოა აგრეთვე, როდესაც მოსწავლეს თავისთავზე დიდი წარმოდგენა აქვს და ყველაფერს ზერელად უყურებს. მუშაობის პროცესში მოსწავლეს უნდა გავუადვილოთ მისი ნაკლისა და სუსტი მხარეების სწორად დაფასება და დახმარება აღმოვუჩინოთ გამო-

სწორების საქმეში — ეს ღონისძიება ვარჯიშობისადმი ყურადღების გაძლიერების სტიმულს წარმოადგენს.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, როდესაც მოსწავლე აშკარად ხედავს თავის ზრდას, როდესაც ამჩნევს ახალი ცოდნით და ახალი ჩვევებით მტკიცედ შაიარაღების უტყუარ ფაქტებს. ამ შემთხვევაში შემდგომი ზრდის და განვითარების სურვილი უზრუნველყოფს სასწავლო მუშაობაში მეტ მონდომებას. მუშაობის ინტენსივობის ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსწავლის პასუხისმგებლობას და მოლოდინს, — რომ მან თავის მუშაობაში პასუხი უნდა აგოს მასწავლებლისა და თავის ჯგუფის წინაშე. ამიტომ მიზანშეწონილია მოსწავლეთა ხშირი გამოწვევა საპასუხოდ და მიმდინარე აღრიცხვის სისტემატურად წარმოება. გაკვეთილებზე უპასუხოდ არ უნდა რჩებოდეს არც ძლიერი და არც სუსტი. მოწაფე, რათა ძლიერი არ გათამამდეს და სასწავლო მუშაობას ზერელეთ ცქერა არ დაუწყოს, ხოლო სუსტმა იმედი არ გადაიწყვიტოს და არ დაამკვიდროს ის აზრი, რომ მას მაინც არაფერს მოსთხოვენ, რომ მისგან მაინც არაფერი არ გამოვა და არ შეუშვას ხელი მეცადინეობას. სწავლისა და ვარჯიშობისადმი ინტერესისა და მონდომების გაძლიერების სტიმულს იძლევა აგრეთვე გამოცდები, — როდესაც მოსწავლეს სწორად აქვს გათვალისწინებული მათი ნამდვილი დანიშნულება და ჩატარების დრო.

ამის გარდა, ფიზიკური ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის მუშაობის სიზუსტეს, რიგიანობას სასწავლო მუშაობაში და პასუხისგებლობის აღზრდას. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლე უნდა შეეჩვიოს დაკისრებული მუშაობის დროზე და მაღალი ხარისხით შესრულებას. აღკვეთილი უნდა იქნას დაუდევრობა, ზარმაცობა, ზერელედ მუშაობა, მასწავლებლის "გაცურება". მტკიცე ხელმძღვანელობა და მტკიცე კონტროლი — ეს უნდა განახორციელოს მასწავლებელმა.

ამასთანავე უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები შეაიარაღოს სასწავლო მუშაობის ძირითადი წესების ცოდნით, კულტურული მეცადინეობის მეთოდიკით, რათა მოსწავლეები იყენებდენ ამ წესებს და ფართოდ სარგებლობდენ გონებრივი მუშაობის ჰიგიენით.

სწავლების მეთოდების ფსიქო-პედოლოგიური საფუძვლების საკითხი დიდი და რთულია. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დარგში ბევრი ჯერ კიდევ დაუმუშავებელი და გაურკვეველია. ამ უდიდესი მნიშვნელობის საკითხს ჩვენი პედაგოგიკა ჯეროვანად არ აფასებდა

და ამ მიმართულებით მუშაობას არ აწარმოებდა. ექსპერიმენტულ-მეცნიერული მუშაობა ამ დარგში ჩვენში ჯერ არ დაწყებულა. ის მცირე ლიტერატურა, რაც პედაგოგიკის დარგში მოგვეპოება, სულ ზოგადი ხასიათისაა,—ბევრი ლაპარაკია პედაგოგიკის გამო, მაგრამ თითონ პედაგოგიკაზე — მეცნიერებაზე ადამიანის კომუნისტური აღზრდისა და სწავლა-განალების პროცესის შესახებ — ჯერ კიდევ სუსტად ვმუშაობთ.

V. სწავლების მეთოდები.

„მასწავლებელს ევალება სისტემატურად და თანამიმდევრობით გადასცეს მოსწავლეებს ის დისციპლინა, რომელსაც ის ასწავლის, ყოველი საშუალებით შეაჩვიოს ბავშვები სახელმძღვანელოებზე წიგნებზე მუშაობას,სხვადასხვა დამოუკიდებელ წერითი მუშაობას, შეაჩვიოს მუშაობას კაბინეტში, ლაბორატორიაში, სასწავლო სახელოსნოებში. ამ ძირითად მეთორებთან ერთად ფართოდ გამოიყენოს სხვადასხვა ხასიათის ცდები და ხელსაწყოების ჩვენება, ექსკურსიები (ქარხანაში, მუზეუმში, მინდორში, ტყეში და ა. შ.).

ამასთანავე მასწავლებელი ყოველგვარი საშუალებით ეხმარება მოსწავლეებს, როდესაც მათ მეცადინეობა უძნელდებათ, სისტემატურად უნდა შეაჩვიოს ბავშვები დამოუკიდებელ მუშაობას და ფართოდ გამოიყენოს სხვადსხვა დავალების მიცემა—ცოდნის განსაზღვრული კურსის შეთვისების ფარგლებში, ამოცანის გარდა, ვარჯიშობა მოდელების დამზადებაში, მუშაობა ლაბორატორიებში, გგრბარიუმების შეგროვება, სასკოლო მიწის ნაკვეთის გამოყენება სასწავლო მიზნით და ა. შ.)“ — ასეთია ც.კ. 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილებაში მოცემული დირექტივი სწავლების მეთოდების შესახებ. მასწავლებლის მიერ ცოდნის გადაცემა, წიგნზე მუშაობა, წერითი და გრაფიკული მუშაობა, თვალსაჩინოება-დემონსტრაცია, ლაბორატორიაში მუშაობა, ექსკურსია და სხვა — ესაა მითითებული სწავლების მთავარ მეთოდებათ, რომელთა სწორად გამოყენება უზრუნველყოფს სწავლებაში მაღალი თვისების მიღწევას.

შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე.

1. ცოცხალი სიტყვა სწავლებაში.

მოსწავლეთათვის სისტემატურად და თანამიმდევრობით ცოდნის გადაცემა ცოცხალი სიტყვის გამოყენებას მოითხოვს. ძველი სქოლასტიკური სკოლის მართებულ უარყოფას სწავლებაში ცოცხალი

სიტყვის უმართებულო უარყოფაც მივაყოლეთ. სიტყვა ფეოდალურ-ბურჟუაზიულ სკოლაში და სიტყვა კომუნისტური აღზრდის სკოლაში კინაღამ გაიგივებული აღმოჩნდა. მაგრამ სქოლასტიკური სკოლის ვერბალიზმი — მისი უაზრო ზეპირობით, წრთვნით, ათასგვარი სიყალბით და სისულელით, მოსწავლეთა დატუქსვით და სრული გაპასიურებით, რათა მათგან მონები აღზრდილიყვნენ — არ შეიძლება გაიგივებულ იქნას საბჭოთა სკოლაში გამოსაყენებელ ცოცხალ სიტყვასთან, რომელიც მარქსისტულ-ლენინური ცოდნის მიწოდების და შეთვისების, კომუნისტური განათლების და მოსწავლეთა აქტიურობის ზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალებათაგანია. რა ვუყოთ, რომ სახელწოდება ზოგჯერ ერთი და იგივეა, — მიზანდასახულობა, შინაარსი და გამოყენების პირობები ხომ სულ სხვადასხვაგვარია.

სასწავლო მუშაობის სიტყვიერი ფორმის უარყოფამ მასწავლებელი სკოლაში დაადუმა, მისი როლი და პასუხისმგებლობა შეამცირა, მასწავლიბლის დაბალი კვალიფიკაციის საფარად იქცა — განსაკუთრებით უმაღლეს სკოლაში: დუმილს დიდი მომზადება არ ესაჭიროება და ლექციას ან დალაგებულ გაკვეთილს იშვიათად თუ ვინმე თხოულობდა — ლექცია და გაკვეთილი კინაღამ დანაშაულადაც კი ჩაითვლებოდა! მასწავლებლის როლის დამცირების „მემარცხენე" თეორიამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სკოლაში სიტყვიერი მუშაობის უარყოფას.

სიტყვის, როგორც კომუნისტური სწავლა-აღზრდის ერთერთ მნიშვნელოვან საშუალების, მიმართ დამოკიდებულება გადაჭრით უნდა შეიცვალოს. სკოლაში მოსწავლე ცოდნას იძენს — იარაღდება კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნათა სიმდიდრით. მეცნიერებათა საფუძვლები მოსწავლემ პირველ რიგში მასწავლებლობისაგან უნდა მიიღოს და, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, წიგნებიდან და ცოდნის სხვადასხვა წყაროდან შეითვისოს. ც. კ. დადგენილებით ამიტომ ევალება მასწავლებელს მოსწავლეებს სისტემატურად და თანამიმდევრობით გადასცეს ცოდნა სასწავლო დისციპლინიდან. ცოცხალი სიტყვა ცოდნის მიწოდება—შეთვისების ერთერთ მნიშვნელოვან საშუალებათაა მიჩნეული.

პროლეტარიატის ხელში სიტყვა მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანესი იარაღია: პროლეტარიატის იდეოლოგია, აგიტაცია, — პროპაგანდა, მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლება, მასების კულტურული დონის ამაღლება და სხვა ყველა ეს გამართულ სიტყვას ემყარება, პროლეტარულ სიტყვას — ძლიერს ბაავის შინაარსით და ფორმით. სიტყვა პროლეტირიატის ხელში რევოლუ-

ციონური ბრძოლის უძლიერესი იარაღია. „თავდაპირველად შრომა, შემდგომ და მასთან ერთად დანაწევრებული მეტყველება იყვენ უმთავრესი სტიმულები, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან ადამიანის ტვინად გადაიქცა“ — ამბობს ენგელსი. ლენინის განსაზღვრით, ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. როგორც ადამიანთა კავშირის უძლიერესი საშუალება, აზროვნების იარაღი, ცნებათა, დასკვნების და მთელი შეგნების გამოთქმის და ადამიანისათვის გაზიარების საშუალება — ენა, შრომასთან ერთად, ადამიანის გონებრივი ზრდისა და განვითარების საქმეში უდიდეს როლს თამაშობს.

ყოველმხრივად გამართული, შინაარსიანი, მახვილი ენა სკოლის მუშაობაში სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეს. ენის, როგორც სწავლების საშუალების, თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველთვის და ყოველგვარი მეთოდით მუშაობის დროს უმდა იქნას გამოყენებული. დარიგება, მითითება, ახსნა-განმარტება, შემოწმება და ა. შ. საჭიროა წერითი ვარჯიშობის დროს, ლაბორატორიაში და სახელოსნოში მუშაობის დროს, ექსკურსიაზე — ყველა ეს ენის გამოყენებას მოითხოვს. საშიშარი ის კი არ არის, რომ ენა გამოვიყენოთ - სკოლაში — საშიშარი ისაა, რომ ენა იყოს და იმავე დროს არ იყოს შინაარსიანი და ყოველმხრივად გამართული. საბჭოთა სკოლაში არა სქოლასტიკური ენა, არამედ ენა სოციალისტური მშენებლობის, ახალი ურთიერთობისა და ახალი ყოფა-ცხოვრების, ენა რევოლიუციონური თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის ერთიანობის გამომსახველი.

მაგრამ თუ სიფხიზლე გვმართებს ენის „მომემარცხენო“ შეუფასებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, კიდევ უფრო მეტი სიფხიზლეა საჭირო სიტყვიერი მეთოდის გაუნივერსალების მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში, — ტენდენციების, რომლებიც გზას უხსნიან ძველი სქოლასტიკური სწავლების აღდგენის ცდებს და ხელს უწყობენ მასწავლებლობის ჩამორჩენილი ნაწილის ზრახვებს ძველი ბურჟუაზიული სკოლის სასარგებლოთ. ცოცხალი სიტყვა სწავლების მხოლოდ ერთერთი მეთოდია, მას საბჭოთა სკოლაში მისთვის შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს და არავითარ შემთხვევაში არ დაურჩეს ადგილი გადაპარბებას. ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანებს ამ საკითხშიც ფხიზლად უნდა მოვეპყრათ.

სწავლებაში სიტყვიერი მუშაობის მთავარი სახეებია: **თხრობა** და **საუბარი**.

თხრობა. სისტემატურად და თანამიმდევრობით ცოდნის გადაცემის დროს მასწავლებლის მუშაობა ხშირ შემთხვევაში თხრობის, ხოლო უმაღლეს სკოლაში ლექციის სახეს მიიღებს — ლიტერატურაში, ისტორიაში, მათემატიკაში, საზოგადოებათმეცნიერებაში, ფიზიკაში და სხვ. დალაგებული თხრობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს მოკლე დროში დასისტემებულ ცოდნას აძლევს, შთაბეჭდილების მთლიანობას უქმნის, მოსწავლის ყურადღებას შესასწავლ საკითხზე ამახვილებს. დალაგებულ თხრობას, თუ ის სრულიად გამართულია მეცნიერული შინაარსით და ენობრივი ფორმით, კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მოსწავლეებს აზროვნებისა და მეტყველების საღ ნიმუშებზე ზრდის.

თხრობის საშუალებით ცოდნის დალაგებულად გადაცემას უმთავრესად მაშინ მივმართავთ, როდესაც მოსწავლეებთან მათთვის უცნობ საკითხებს ვამუშავებთ და ახალ ცოდნას ვაწვდით. თხრობის ხანგრძლივობა ყოველთვის შეფარდებული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკთან და დასამუშავებელი საკითხის ხასიათთან: მცირე ასაკის მოსწავლეები დიდხანს ვერ შეაჩერებენ ყურადღებას თხრობაზე, მით უმეტეს, თუ თხრობის საგანი ძნელია და მოსწავლეებს დაძაბული ყურადღებით უხდებათ სმენა და მუშაობა.

თხრობაში თავიდანვე გარკვევით უნდა იყოს გაშუქებული თხრობის მიზანი, მკაფიოდ გამოჩნდეს თხრობის გეგმა, განმარტებულ იქნას ახალი ცნებანი და ახალი ტერმინები, დამყარდეს კავშირი წინედ მიღებულ ცოდნასთან, გამოტანილ იქნას განზოგადებანი და დასკვნები. თხრობამ თავისი შინაარსით და ფორმით მოსწავლეებს ინტერესი უნდა აღუძრას, ყურადღება გაუმახვილოს და აქტიურად ჩააბას მიწოდებული ცოდნის მტკიცედ შეთვისებაში. როდესაც თხრობაში მასწავლებლის მიერ მასალა დამუშავებული და გაშუქებულია, საჭიროა მოსწავლეები, მასწავლებლის პირდაპირი ხელმძღვანელობით; ჩაბმულ იქნან დასკვნების გამოტანაში, როდესაც ასეთი მუშაობა მათთვის დასაძლევია. არ ივარგებს ისეთი თხრობა, თუნდაც უფროს ჯგუფებში, როდესაც მასწავლებელი მხოლოდ მოუთხრობს და მოსწავლეები კი მხოლოდ უსმენენ. თხრობას საუბარიც უნდა ახლდეს, მოსწავლეთა თხრობა და ცალკე პასუხები, რითაც მასწავლებელი ამოწმებს, თუ რამდენად შეუთვისებიათ მოსწავლეებს დამუშავებული მასალა, საუბარის საშუალებით უადვილებს მათ დასკვნების გამოტანაში აქტიური მონაწილეობის მიღებას.

თხრობა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს გაკვეთილზე ლაპარაკისა და სმენის მეტი არაფერი იყოს. საგნისა და დასამუ-

შავებელი საკითხის მიხედვით, თხრობა უნდა დაემყარის თვალსაჩინოებას (საგნები, მოდელები, სურათები, რუკები, შერჩეული მაგალითები და ა. შ.), დემონსტრაციას (ცდების დაყენება ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ქიმიაში), გრაფიკულ საშუალებათა გამოყენებას (ნახაზები დაფაზე, სქემები, მაგალითები და სხვ.).

თხრობით მოსწავლეებთან საკითხის დამუშავება მასწავლებელს დიდ მოთხოვნილებას უყენებს და პასუხისმგებლობას აკისრებს: თავდაპირველად მასწავლებელთათვის საგალდებულოა თხრობით დასამუშავებელი საკითხის მეცნიერული მხარის და სოციალისტურ მშენებლობაში მისი გაგოყენების საფუძვლიანი ცოდნა, რომ საკითხი მეცნიერული მიღწევის თანამედროვე დონის მიხედვით დაამუშაოს და სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს დაუკავშიროს. თვით თხრობა უნდა იყოს გარკვეული, ცხადი და ნათელი, ლოგიკურად მწყობრი, კონკრეტული, ცოცხალი და სახოვანი. თხრობა შეფარდებული უნდა იქნას მოსწავლეთა მომზადებასთან, მათ წარმოდგენათა მარაგთან. განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ თხრობას მცირე ასაკის მოსწავლეებთან, როგორც შინაარსის, ისე მხატვრულობისა და ხალისიანობის მხრივ.

თხრობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს უცხო სიტყვებს, როდესაც ამის საჭიროება არ არის — ეს სისუსტე უფრო მეტად ახალგაზრდა მასწავლებლებს სდევს: როგორ გაუშვას შემთხვევა და უცხო სიტყვების ხმარებით მოსწავლეებთან არ გამოიჩინოს ცოდნა!

თხრობაში ყოველი სიტყვა თავის ადგილზე უნდა იყოს — არც მეტი, არც ნაკლები. თხრობის შინაარსსა და ფორმაზეა დამოკიდებული მოსწავლის ინტერესის აღძვრა, ყურადღების გაძლიერება და თხრობის მიზნის სრულად მიღწევა. მასწავლებლის თხრობის დროს მოსწავლე თუ რითიმე ერთობა — ვეზობელს ეგაასება, განზე იხედება და თხრობას ყურადღების მიღმა ტოვებს, უმეტეს შემთხვევაში ეს იმის ნიშანია, რომ გაკვეთილი სუსტად მიმდინარეობს, რომ მასწავლებლის თხრობა არაა გამართული.

ეს გარემოება მასწავლებლისაგან მოითხოვს, რომ ის ყოველთვის გულდასმით მოემზადოს თხრობისათვის: დროისა და მოსწავლეთა ასაკის მიხედვით, განსაზღვროს მასალის მოცულობა, შეადგინოს თხრობის გეგმა, გაითვალისწინოს თხრობაში აზრის ლოგიკურად განვითარება, მართებული დასკვნების გამოტანა და ის ხერხები, რომლებსაც გამოიყენებს, რათა მოსწავლეებს აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს დასკვნების გამოტანაში, წინასწარ მოამზადოს თხრობაში გამოსაყენებელი დამხმარე საშუალებანი (თვალსაჩინოება, დემონსტ-

რაცია და ა. შ.), მოიმარჯვოს თხრობის ჩატარების ენობრივი საშუალებანი, ივარჯიშოს, სადაც ეს საჭიროა და სხვ.

საუბარი. საუბარს, როგორც სიტყვიერი მუშაობის ხერხს, ისეთ შემთხვევებში მივმართავთ, როდესაც ნაცნობი მასალის საფუძვლზე ახალი მუშაობა უნდა ჩავატაროთ, როგორიცაა: ახალი საკითხის დამუშავება და ცოდნის მიცემა, დამუშავებული მასალის განმეორება, დასკვნების გამოტანა, მიღებული ცოდნის სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირების საკითხის გარკვევა, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება. ასეთ შემთხვევებში საუბარი უშუალოდ არის მიმართული მოსწავლეთა ცოდნის გაფართოება-განმტკიცებისაკენ.

საუბრის მეორე სახესთან გვექნება საქმე, როდესაც მოსწავლეებს დარიგებას და მითითებას ვაძლევთ — წერითი სამუშაოს შესრულების, ლაბორატორული მუშაობის, ექსკურსიის, სხვადასხვა საკარჯიშოს ჩატარების წინ ან თვით მუშაობის დროს — დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ იმუშაონ, რას მიაქციონ ყურადღება და სხვ. საუბრებისათვის მასალას გვაძლევს: მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის მეცნიერული ცოდნის სისტემატური გადაცემა თხრობით, მოსწავლეთა მუშაობა წიგნზე, გაზეთზე, მუშაობა წარმოებაში, სახელოსნოში, მიწის ნაკვეთზე, კაბინეტში, ლაბორატორიაში, მოსწავლეთა საზოგადოებრივი მუშაობა, ექსკურსია, მოსწავლეთა შთაბეჭდილებანი და ა. შ. ამ წყაროებიდან დაგროვილი მასალა გამოყენებული უნდა იქნას მოსწავლეთა ცოდნის გასაფართოებლად და სისტემაში მოსაყვანად, საფუძვლად უნდა დაედვას, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლის ვარჯიშობას მასალის დამუშავებაში და სათანადო დასკვნების გამოტანაში.

საუბრის ნაყოფიერად ჩატარების ამოცანა მასწავლებელს წინასწარი საფუძვლიანი მომზადების ამოცანას უყენებს: ჩვეულებრივი შემცდარი შეხედულებით — საუბარი თითქოს დიდს არაფერს წარმოადგენს და მისთვის მზადებაც არ არის საჭირო. სინამდვილეში კი საუბრის ჩატარება რთული და პასუხსაგები საქმეა. საუბრის თემის სწორად დასახვა, მისი მიზნის განსაზღვრა და ჩატარების გეგმის წინასწარ შედგენა საუბრის ნაყოფიერად ჩატარების აუცილებელი პირობაა. მასწავლებელს საუბრის დროს კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული მოსწავლეთა მომზადების დონე, რათა სწორად დასმული კითხვებით მან გეზი მისცეს მასალის დამუშავებაში და დასკვნების გამოტანაში აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობის მისა-

ლებად. საუბრის დროს მთელი ჯგუფი ერთსულოვნად უნდა მუშაობდეს, ცოდნას ეძებდეს და ითვისებდეს.

საუბრის ნაყოფიერება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ხელმძღვანელობს მას მასწავლებელი. საუბარში მასწავლებლის კითხვებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კითხვები უნდა იყოს მოკლე, ზუსტი, სრულიად გარკვეული და ცხადი, ცოდნის ძიებისა და აზროვნების გაძლიერების საქმეში სტიმულის მიმცემი. არ ვარგა კითხვა, რომელიც ჰო-თი ან არა-თი ამოიწურება. მიუღებელია ისეთი კითხვაც, რომელიც არ თხოულობს მოსწავლის აზრის ამოქმედებას: წინად მიღებული ცოდნის აღდგენას, შედარებას, გარჩევას, დასკვნას. დასმული კითხვა არ უნდა შეიცავდეს გამზადებულ პასუხს, არამედ მიმართულებას აძლევდეს მოსწავლეების მუშაობას და ხელს უწყობდეს მათ დამოუკიდებელ აზროვნებას. კითხვა მასწავლებლის მიერ მთელი ჯგუფის წინაშე უნდა იყოს დასმული, რომ ამ გზით უზრუნველყოფილი იქნას ყველა მოსწავლის მუშაობა. ცალკე მოსწავლის გამოწვევა და კითხვის მხოლოდ მისკენ მიმართვა არ უზრუნველყოფს მთელი ჯგუფის აქტიურ მუშაობას, თანაც გამოწვეულ მოსწავლეს ართმევს პასუხის მოფიქრების საშუალებას. როცა დასმული კითხვა მოსწავლეთათვის ძნელი აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში საჭიროა დამხმარე კითხვების მოშველება. თუ დასმული კითხვა ძირითადში მოსწავლეთათვის მისაწვდომია, მაგრამ პასუხის მოძებნა დაფიქრებას თხოულობს—ამის საშუალება უნდა მიეცეს მოსწავლეებს. ხშირია შემთხვევა—დასმულ კითხვაზე მოსწავლეები თუ ჩაფიქრდენ და პასუხს ეძებენ, მასწავლებელი აღარ აცლის მოფიქრებას, ერიდება მოსწავლეთა თუნდაც ხანმოკლე დუმილს და ახალ-ახალ კითხვებს უყენებს, რათა სხაპასხუპი პასუხებით აქტივობის შთაბეჭდილება შექმნას. სინამდვილეში კი მოსწავლეთა ჩაფიქრება დასმულ კითხვაზე, რომელიც მათთვის მისაწვდომია. მაგრამ პასუხის მოსაზრებაა საჭირო, აქტივობის ერთერთი სახეა. პირიქით, ისეთი კითხვები, რომლებზედაც მოსწავლეებს მაშინვე აქვთ გამზადებული მექანიკური პასუხები და რომლებიც არ მოითხოვენ გონების ამუშავებას, მოკლებულია პედაგოგიურ ღირებულებას და მიმართული გარეგანი აქტივობისაკენ. ყოველი დასმული კითხვა მოსწავლის ყურადღებას შეგნებული, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი მუშაობისაკენ უნდა მოუწოდებდეს: სწორად დაყენებულმა საუბარმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა მხრივ წინად მიღებული ცოდნის და გამოცდილების აღდგენა და სისტემაში მოყვანა, საუბარში დასმული ახალი საკითხების გარკვევაში და მართებული დასკვნების გამოტანაში მათი აქტიური მონაწილეობა. საუბრის ძირითადი ადგილები და და-

სკვნები განმტკიცებული უნდა იქნან ჩაწერით, წიგნში სათანადო ადგილების წაკითხვით და ა. შ.

საუბრის დროს მასწავლებელი ფხიზლად უნდა ეპყრობოდეს როგორც თავის მეტყველებას, ისე მოსწავლეთა მეტყველებას. ყველა საგნის მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს მოსწავლეთა სწორი აზროვნებისა და მეტყველების სადარაჯოზე დგომა: გარკვეული, სრული, კონკრეტული, ჭკაფიო და ენეობრივად სწორად გაფორმებული პასუხი—ეს მოეთხოვება მოსწავლეს. ჯგუფური ან, როგორც კიდევ უწოდებენ, გუნდური პასუხები (хором) არ უნდა იქნას დაშვებული: ჯგუფურ პასუხში იკარგება ცალკე მოსწავლე, იკარგება ბუნებრივობა და ფორმულირებათა სიზუსტე. არც ერთი უწესობა მოსწავლეთა მეტყველებაში შეუმჩნეველი და გაუსწორებელი არ უნდა დარჩეს. გასწორებაში, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეებიც მონაწილეობენ, მაგრამ შეცდომების გასწორება ისეთ ფორმებში უნდა მიმდინარეობდეს, რომ მოსწავლეები არ დააფრთხოს და პასუხების მოცემის ხალისი არ დაუკარგოს—ადგილი არ უნდა ქონდეს დატუქსვას, დაცინვას, ზედმეტი სახელებიხ წოდებას და ა. შ. უფრო მიზანშეწონილია მოსწავლეთა პასუხსა და თხრობაში დაშვებული უწესობანი და შეცდომები პასუხის დასასრულს გასწორდეს, რომ შიგადაშიგ გასწორებით მოსწავლეს აზრის ძაფი არ გაუწყდეს და არ დაიბნას. დაშვებისთანავე მხოლოდ ისეთი შეცდომები უნდა გასწორდეს, რომლებიც მოსწავლის მთელ შემდგომ პასუხსა და მუშაობას შეცდომის ნიადაგზე დააყენებს. მოსწავლეთა შეცდომების გასწორების დროს ადგილი არ უნდა დაურჩეს შეცდომების ჯერ განმეორებას და შემდეგ გასწორებას (მაგ , ასე: ბახში კი არა, არამედ ბაღში). დაშვებული შეცდომების გასწორება, ასაკისა და მომზადების მიხედვით, ყოველთვის მოსწავლის შეგნებამდე უნდა მივიდეს. მცირე ასაკში, სადაც ახსნა-განმარტების გაგებას ბავშვები ვერ შეძლებენ, ყურადღება უნდა მიექცეს, განმეორების გზით, სწორი შთაბეჭდილების განძტკიცებას.

საუბრის ხასიათისა და ხანგრძლივობის განსაზღვრის დროს მოსწავლეთა ასაკი უნდა იქმნას მხედველობაში მიღებული: დაბალ ჯგუფებში საუბარი შედარებით მოკლე უნდა იყოს და დასმული კითხვები მოსწავლეთაგან უფრო მარტივ და მოკლე პასუხებს თხოულობდეს. დასამუშავებელი მასალის თავისებურობისა და საჭიროების მიხედვით — საუბართან შეთავსებული უნდა იქნას: მასწავლებლისა და მოსწავლეების კითხვა, მოდელებისა და რუკების გამოყენება, დემონსტრაცია (ცდები), საუბრის მთავარი მომენტების ჩახატვა და ჩახაზვა, დრამატიზაცია, უმთავრეს დებულებათა და დასკვნების ჩაწერა.

2. სახელმძღვანელოზე და ბეჭდურ მასალაზე მუშაობა.

სასწავლო წიგნი უდიდეს როლს ასრულებს დასისტემებული მეცნიერული ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღების საქმეში. წიგნი კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის კრიტიკულად შეძენის უმთავრესი წყაროა. მოსწავლე წიგნით სკოლაშიც სწავლობს — ის მისთვის უმთავრესი სასწავლო იარაღია, მაგრამ სკოლის შემდეგაც წიგნის მნიშვნელობა არ მცირდება, რამდენადაც ის ადამიანის შემდგომი განვითარების ძირითადი საშუალებაა. ამიტომ სკოლას მართებს ყურადღებით მოეპყრას წიგნზე მუშაობის საკითხს — სასწავლო წიგნის საშუალებით უზრუნველყოს მოსწავლეთა მიერ დასისტემებული მეცნიერული ცოდნის შეთვისება და წიგნზე და სხვა ბეჭდურ მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარის შემუშავება. ც. კ. 1933 წ. 12 თებერვლის დადგენილებაში სრულიად გარკვეულია სასწავლო წიგნის უდიდესი როლი კომუნისტური აღზრდის საქმეში. სასწავლო წიგნი მთავარი წყაროა, რომლითაც მოსწავლემ პროგრამით განსაზღვრული მასალა უნდა შეისწავლოს, ცოდნა შეიძინოს. წინად სასწავლო წიგნი, როგორც სასწავლო მუშაობის ბაზა, თითქმის მთლიანად უარყოფილი იყო. წიგნზე თუ ვინმე დასწერდა — ბოდიშობდა და ამტკიცებდა, რომ წიგნი საბჭოთა სკოლაში უკანასკნელ ადგილზე უნდა იყოს და ისიც, როგორც ცნობარიო, ცოდნის შეძენის ძირითად წყაროდ — ცხოვრება, შრომა, მოსწავლის დამოუკიდებელი საქმიანობა იყო მიჩნეული. ამ შემცდარ შეხედულებას სათანადო მსჯავრი დაედო ც. კ. აღნიშნულ დადგენილებაში. მართალია, ცოდნის წყაროდ მიჩნეული და გამოყენებული უნდა იქნას შრომა, ბრძოლა, მთელი ცხოვრება და ბუნება, მაგრამ სკოლაში ვერაფერი ვერ შეცვლის წიგნს, სადაც მეცნიერულად, თანამიმდევრობით არის მოცემული შესასწავლი და დასამსახსოვნებელი ფაქტები ობიექტური სინამდვილიდან და მათ შესახებ მეცნიერული დასკვნები. სკოლაში მოსწავლე უნდა შეეჩვიოს წიგნის მასალის შეგნებულად და კრიტიკულად დაუფლება-შესწავლას. ამიტომ დაუშვებელია დასასწავლად ისეთი მასალის მიცემა, რომელიც წინასწარ და საფუძვლიანად არაა დამუშავებული და რომელშიც მოსწავლეები შეგნებულად ვერ გაერკვევიან.

დაბალ ჯგუფში, სადაც მოსწავლეებს არ შეუძლიათ წიგნზე დამოუკიდებული მუშაობის წარმოება, მასწავლებელი უშუალოდ ხელმოვანელობს ამ საქმეს, დაწვრილებით არჩევს მათთან დასამუშავებელ მასალას, შემდეგ აძლევს სახლში სავარჯიშოდ და დასასწავლად.

წიგნის შინაარსის გარჩევაში გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტივობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას—მოსწავლეები უნდა აკვირდებოდენ, აყენებდენ საკითხებს, აზროვნობდენ, არკვევდენ გაურებარ ადგილებს, იგონებდენ წინად მიღებულ ცოდნას და ამყარებდენ კავშირს ახალ ცოდნასთან, წიგნიდან მიღებულ ცოდნას უკავშირდებდენ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა აკეთებდენ დასკვნებს და ეჩვეოდენ დალაგებულად და სწორ სიტყვიერ ფორმებში აზრის გამოთქმას.

მესამე-მეოთხე ჯგუფიდან დაწყებული მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ წიგნზე მეტი დამოუკიდებელი მუშაობის წარმოება. ეს უნარი შემდგომ ჯგუფში კიდევ უფრო იზრდება, მაგრამ აქაც სავალდებულოა მოსწავლისათვის წიგნის მასალა ცხადი და გასაგები იყოს, მასწავლებლის მიერ წინასწარ ჩატარებული მუშაობის საფუძველზე (თხრობა, საუბარი, ძირითად დებულებათა ახსნა-განმარტებანი და მითითებანი) მოსწავლე სრულიად მომზადებული უნდა იყოს წიგნის მასალის სწორად გაგებისა და შეთვისებისათვის. უფროს ჯგუფებში გაკვეთილზე ახსნილი უნდა იქნას წიგნის ტექსტიდან შერჩეული ადგილები, რომლებსაც მოსწავლეები დამოუკიდებლად ვერ გაიგებენ (ენა, ლიტერატურა, მათემათიკა, ფიზიკა, ისტორია და ა. შ.), ასეთი მასალა და ასეთი ადგილები მასწავლებელს ყოველთვის წინასწარ უნდა ქონდეს გათვალისწინებული და არ გამოუშვას მხედველობიდან.

თუ წიგნის მასალა, მასწავლებლის მიერ მისი წინასწარი დამუშავების შემდეგ,მოსწავლეთათვის სრულიად მისაწვდომია, ასეთ შემთხვევებში ზედმეტია გაკვეთილზე მისი კითხვა და მოსწავლეებს ეძლევათ შინ დასამუშავებლად და შესასწავლად.

რაც შეეხება დიდი მოცულობის მხატვრულ-ლიტერატურულ ნიმუშებს, გაკვეთილზე მათი წაკითხვა შეუძლებელიც არის და ამიტომ საჭიროა, ნაწარმოების გასაგებად საუბრის წინასწარი ჩატარება და შემდეგ მიცემა შინ წასაკითხავად და დასამუშავებლად. როდესაც მოსწავლე შინ კითხულობს, მას უნდა ჰქონდეს მიცემული სახელმძღვანელო დარიგება-მითითებანი, თუ როგორ წაიკითხოს, რას მიაქციოს ყურადღება. ამის გარეშე მოსალოდნელია მოსწავლემ გზადაგზა დატოვოს არსებითი და მნიშვნელოვანი და ხელთ შერჩეს მარტოლა მკრთალი შინაარსი. კითხვები და დასწავლის წინ მიცემული მითითებანი კი გაუადვილებენ ჩასწვდეს მასალას, მთავარ მომენტებზე გაამახვილოს ყურადღება და შეითვისონ მნიშვნელოვანი და არსებითი. კითხვის დროს მოსწავლე უნდა ებრძოდეს ტექსტს: კრიტიკულად

და შეგნებით უდგებოდეს მას, ცდილობდეს შინაარსის სიცხადის მიღწევას, არ უნდა კითხულობდეს მხოლოდ, არამედ აზროვნობდეს ტექსტში აღწერილ კანონზომიერ პროცესს, ასე ვთქვათ, „ხედავდეს" მოვლენებს, — მაშინ აღარ იქნება შინაარსის მექანიკური დამახსოვნება. მოსწავლე უნდა სწავლობდეს ავტორის აზრის ლოგიკურ თანამიმდევრობას, მის სიტყვიერ ხერხებს, ტექსტის შინაარსისა და ფორმის ერთიანობას, უნდა აკავშირდებდეს ძველსა და ახალ ცოდნას და ამყარებდეს კავშირს მეცნიერული თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის შორის. როდესაც მასწავლებელი მოსწავლის მიერ წაკითხულისა და დასწავლილის შემოწმებას უდგება, ეს არსებითი მხარეები უნდა ქონდეს მხედველობაში და არა მშრალი შინაარსის მარტოოდენ გადმოცემა, რომელიც შეიძლება მექანიკურადაც კი იყოს დამახსოვნებული.

ხშირად აყენებენ კითხვას — მოსწავლემ დასწავლილი მასალა წიგნის ენით გამოთქვას თუ „თავის" ენით. ფორმულები, განსაზღვრები და ძირითადი დებულებანი (ფიზიკიდან, ქიმიიდან, მათემატიკიდან, ენიდან, პოლიტეკონომიიდან, საზმეცნიერებიდან და სხვ.) უეჭვოა, რომ დასწავლილი უნდა იქნას. დანარჩენში კი მოსწავლე შეზღუდული არ უნდა იყოს. წიგნის მსჯელობა და ენა თუ სანიმუშოა და მოსწავლე მას ადვილად ითვისებს — ფართოდ გამოიყენოს წიგნის ენა, მსოლოდ იმ პირობით, რომ კარგად ესმოდეს და სწორად სარგებლობდეს. შინ მოცემული სავარჯიშო და დავალების შესრულება მტკიცე კონტროლის ქვეშ უნდა დავაყენოთ, რათა შესრულებულ იქნას დროზე და კარგად.

ინტერესსა და ხალისთან ერთად, მოსწავლეს პასუხისმგებლობის შეგნებაც უნდა აძლევდეს მუყაითი მუშაობის იმპულს, უნდა შეეჩვიოს ყოველი დავალების ზუსტად და მაღალი ხარისხით შესრულებას.

სასწავლო წიგნმა უნდა უზრუნველყოს სწავლების დაკავშირება თანადროულობასთან და სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან, მაგრამ ამ დარგში ყველაზე მეტ მასალას გაზეთი მოგვცემს. გაზეთების გამოყენება უკვე შესაძლებელი ხდება მესამე-მეოთხე ჯგუფიდან. ამ შესაძლებლობით უნდა ვისარგებლოთ და მოსწავლეებს გაზეთების მასალებზე დავამუშავებინოთ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სოციალისტური მშენებლობის საკითხები. მასწავლებლის მითითებით ისინი თითონ მონახავენ გაზეთებში შესაფერი შინაარსის წერილებს. გაზეთებიდან ამოღებული მნიშვნელო-

ვანი ადგილები გაკვეთილზედაც დამუშავდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მაგრამ, უმეტესად, მოსწავლეები გაზეთის მასალას შინ ამუშავებენ და გაკვეთილზე, საუბრის გზით, სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. სასარგებლოა აგრეთვე მოსწავლეებმა, ცალკე თემების მიხედვით, გაზეთებიდან ამოჭრილი მასალებიდან ალბომები შეადგინონ. მაგალითად, ასეთ თემებზე: „საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალური ზრდა", „კაპიტალისტური ქვეყნების კრიზისი", „ბრძოლა მოსავლისათვის", „ახალგაზრდობის მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში", „პოლიტექნიკური სკოლის მშენებლობა" და ა. შ. გაზეთის მასალაზე მუშაობა არ უნდა დარჩეს ცალკე, არამედ აქ მიღებული ცოდნაც მეცნიერების საფუძვლებს შეემატოს, როგორც განუყოელი რგოლი.

უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ მოსწავლეთა კითხვის საქმეს. შემჩნეულია, რომ ჩვენი მოსწავლეები ცოტას კითხულობენ, არ აქვთ კითხვის კულტურა. მართალია, ჯერ კიდევ არ გვაქვს საკმაოდ მდიდარი საკითხავი მხატვრული და მეცნიერულ-ტექნიკური პოპულარული ლიტერატურა, მაგრამ რაც გვაქვს—ისიც არ არის სათანადოთ გამოყენებული: მარტო სასწავლო წიგნებით და გაკვეთილებით, გინდ მაღალი ხარისხის არ იყვნენ ისინი, მოსწავლეთა განვითარებაში საპირო დონეს ვერ მივაღწევთ. ყველა მასწავლებელს, თავის საგნის მიხედვით, უნდა ქონდეს შერჩეული საკითხავი წიგნები და მოსწავლეებს ავალებდეს მათ წაკითხვა-დამუშავიბას—არა მარტო ურჩევდეს, არამედ სავალდებულოდ უხდიდის. გაკვეთილზე და სახელმძღვანელო წიგნიდან მიღებულ ცოდნას მოსწავლეები სისტემატურად უნდა აღრმავებდენ და აფართოებდენ — მასწავლებლის ხელმძღვანელობით წარმოებული სკოლის გარეშე კითხვით. სკოლის გარეშე მოსწავლეთა მიერ წაკითხული, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, გარჩეული უნდა იქნას საუბრების გზით და დასკვნების გამოტანით.

ბეჭდურ მასალაზე მუშაობაში მოსწავლეები, ასაკისა და მომზადების მიხედვით, მიმართავენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა: წაკითხულისა და დასამუშავებელი მასალის წერილობითი გეგმის, კონსპექტის და თეზისების შედგენა: ლექსიკონის გამოყენება და შედგენა, წაკითხულის შინაარსის გაშუქება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით; შერჩეული ადგილების ამოკრეფა-ამოწერა, მსჯელობა, რეცენზია, ანოტაცია, წიგნების სიის შედგენა, მოხსენება, შენიშვნების ჩაწერა, დრამატიზაცია, ჩახატვა

და სხვა. ასეთი ვარჯიშობა უზრუნველყოფს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობის ჩვევისა და უნარის განმტკიცებას.

მეცნიერებათა საფუძვლების მიწოდება-განმტკიცების გარდა, წიგნზე მუშაობა გარკვეულ როლს შეასრულებს კომუნისტური ქცევისა და კულტურულ ჩვევათა შემუშავების საქმეში. წიგნის, როგორც საზოგადოებრივი ქონების დაცვა, მისი ფაქიზად შენახვა, მასზე პირნათლად და ზუსტად მუშაობა და სხვ. ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ქონებისა და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განმტკიცებას, რიგიანობისა და სიფაქიზის შეგნება-ჩვევის შემუშავებას.

წიგნზე და საერთოდ ბეჭდურ მასალაზე მუშაობა საუკეთესო მომენტს წარმოადგენს მოსწავლეთა კოლექტიური და ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობისათვის: ვინ უკეთესად დაამუშავებს და შეითვისებს სახელმძღვანელო წიგნის შინაარს, შეგნებულად და საფუძვლიანად ვინ მეტს წიგნს წაიკითხავს და მეტ ცოდნას შეიძენს, ვინ უკეთესად გაატარებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საუკეთესო წიგნებიდან აღებულ იდეებს, ვინ უკეთესად დაუკავშირებს შეძენილ ცოდნას სოციალისტური მეურნეობისა და ცხოვრების შენების საკითხებს, ვინ მეტ დახმარებას აღმოუჩენს თავის ამხანაგებს წიგნების წაკითხვასა და ცოდნის გაფართოებაში, ვინ უკეთესად მოუვლის წიგნს, ვინ უფრო მდიდარ ბიბლიოთეკას გაიჩენს და ა. შ. ამ საკითხების საფუძვლზე გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გააძლიერებს მოსწავლეთა ინტერესს და ინიციატივას მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებასა და განვითარების მაღალი დონის მიღწევაში.

როგორ უნდა კითხულობდენ მოსწავლეები — ხმამაღლა თუ ჩუმად?

„ხმამაღლა კითხვას სკოლები მეორე ხარისხოვან ადგილს უნდა უთმობდენ და ჩუმ კითხვაზე ამახვილებდენ ყურადღებას. ეს საჭიროა ბევრი, ჩქარი, ნაყოფიერი და ჩუმი კითხვის თანამედროვე მოთხოვნილებისათვის. მეორე მხრით, ხმამაღალი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა განვითარების საზოგადოებრივი მოთხოვნილება, რომელსაც ჩვენი ისტორიის უფრო ადრინდელ პერიოდში ჰქონდა ადგილი, თითქმის მთლიანად მოიხსნა“.—წერს ამერიკელი პედაგოგი **პარკერი**. პარკერს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ ჩუმ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს და სკოლამ ჩუმი კითხვის ჩვევის შემუშავებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. მაგრამ ხმამაღალი კითხვის კულტურასაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიის დღევანდელ პერიოდში, როდესაც წიგნი, გა-

ზეთი, მეტყველება და მასური ხმამაღალი კითხვა სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმული მილიონების შეგნებისა და ინიციატივის ორგანიზაციის უძლიერესი საშუალებანია. სულ სხვაა კაპიტალისტური ამერიკა. ამიტომ ჩვენ ძირითად ჩუმ კითხვას უნდა გავყვეთ, ხოლო ხმამაღალი **გამომეტყველებითი** კითხვის გავარჯიშებასაც მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება. გაკვეთილზე—ჯერ ჩუმი კითხვა, შემდეგ ხმამაღალი.

ბეჭდურ მასალაზე მუშაობას დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სკოლაში. მისი სწორად დაყენება მნიშვნელოვანი ამოცანაა. წიგნზე მუშაობა თუ ცუდათ დავაყენეთ, ეს სქოლასტიკური სკოლისაკენ დაგვაქანებს. პირიქით,—წიგნზე მუშაობა თუ მასწავლებლის და მოსწავლის ინიციატივისა და მარქსისტულ-ლენინური ცოდნისათვის ბრძოლის მნიშვნელოვან საფუძვლად ვაქციეთ, მაშინ ის კომუნისტური განათლებისა და აღზრდის უძლიერეს საშუალებათ იქცევა. წიგნზე მუშაობა ჩვენს პოლიტექნიკურ სკოლაში რევოლუციონური თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის ერთიანობას ემყარება, მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანებს ემსახურება, მასწავლებლისა და მოსწავლის ინიციატივას და აქტივობას აძლიერებს. სულ სხვაა ბურჟუაზიულ სკოლაში.

წიგნზე მუშაობის სწორად დაყენება მასწავლებლისაგან ფართო მომზადებას და გულდასმით მუშაობას მოითხოვს. მასწავლებელი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს თავის საგნის სახელმძღვანელო, დამხმარე და საკითხავ ლიტერატურას, მის შინაარსს, მეთოდურ მხარეს, ავსა და კარგს, რომ შეგნებულად ამუშავოს მოსწავლე მასალაზე. დაუშვებელია, რომ მასწავლებელი საპროგრამო მასალის დამუშავებას მხოლოდ მოსწავლის სახელმძღვანელო წიგნით ფარგლავდეს—სახელმძღვანელოდან კითხულობდეს და მერე გაკვეთილზე მოუთხრობდეს. მასწავლებლისათვის საკალდებულოა ფართო მეცნიერული მომზადება და თავის სპეციალობაში მეცნიერული ლიტერატურის სისტემატურად გამოყენება. ყველა ამასთან ერთად მასწავლებელს—ყველა მასწავლებელს და, განსაკუთრებით კი, ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს—გამომეტყველებითი კითხვისა და გამომეტყველებითი თქმის ცოდნა და უნარი ესაჭიროება. მასწავლებელი თითონ კითხულობს ჯგუფში თუ მოსწავლეს აკითხვებს მხატვრულ ნიმუშს—ეს ოსტატურად უნდა იყოს შესრულებული. ამ მხრივაც ესაჭიროება მასწავლებელს მასალაზე მუყაითი მუშაობა.

3. თვალსაჩინოება—დემონსტრაცია.

სწავლებაში ჩვენ გვაინტერესებს მატერიალური სინამდვილის სწორი შემეცნება. ამისათვის მხოლოდ ერთად-ერთი გზა არსებობს:

მატერიალური სამყაროს ზექმედება ადამიანის ორგანიზმზე, . მის გრძნობათა ორგანოებზე. ცოდნის შეძენის პროცესში მოსწავლეები უნდა ვამოქმედოთ მხედველობით, სმენით, შეხებით, ყნოსვით—ვამოქმედოთ მთელი მიმღები აპარატით, მაგრამ ვამოქმედოთ ყურადღებით, მონდომებით, დაკვირვების უნარით და ამ გზით უზრუნველვყოთ ზუსტი აღქმა, ზუსტი წარმოდგენისა და ზუსტი აზრის შემუშავება. ასეთი მუშაობა მოსწავლეს შეაჩვევს რეცეპტორების სწორად გამოყენებას, შეაჩვევს ცქერას და დანახვას, სმენას და გაგონებას, შეხებას და გარჩევას და ა. შ.

ამ თვალსაზრისით კონკრეტობას და საგნობრივობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მოსწავლე უშუალოდ შედიოდეს შესასწავლ მოვლენებთან ურთიერთობაში. თქმულიდან აშკარაა, როთ საგნობრივობის ასეთი ფართო გაგება ვეღარ დაეტევა თვალსაჩინოების ცნებაში: თვალსაჩინოება პირდაპირი მნიშვნელობით შესასწავლი ობიექტის მხოლოდ—ღა ცქერას და დანახვას გულისხმობს. სინამდვილეში კი საჭიროა შესასწავლ საგანს მოსწავლე ეხებოდეს, აკვირდებოდეს და ყოველმხრივ ეცნობოდეს—თვალსაჩინოებაც სასწავლო მუშაობაში ასეთი ფართო შინაარსით უნდა გავიგოთ.

გაკვეთილზე თვალსაჩინოება შეიძლება სამი გზით იქნას მიღწეული:

ა) საგნობრივი თვალსაჩინოება—როდესაც მოსწავლეებს თითონ ნამდვილ საგანზე ვამუშავებთ, როგორიც ის არის—იმის მიუხედავად, ოთახში იქნება საგანი თუ გარედ.

ბ) თვალსაჩინოება დამხმარე სასწავლო ნივთების მეშვეობით—სურათით, მოდელით, რუკით, ნახაზით, სქემით და სხვა საშუალებით, რაც შესასწავლი საგნის გამოსახვას წარმოადგენს.

გ) სიტყვიერ საშუალებათა მომარჯვებით მიღებული „შინაგანი“ თვალსაჩიეოება, როდესაც—მასწავლებლის ოსტატური თხრობით, საუბრით ან კითხვით — მოსწავლეს გონებაში შესასწავლი მოვლენის ნამდვილი სურათი ეშლება.

სწავლებაში, საგნის თავისებურობისა და მუშაობის პირობების მიხედვით, კონკრეტულობა-თვალსაჩინოების სამივე სახე უნდა იქნას გამოყენებული თვალსაჩინოების პირველი სახისათვის ყოველ-გვარი უპერატესობის მინიჭებით: სადაც სწავლებაში მისაწვდომია თითონ საგანი—მაშინ თვალსაჩინოების პირველ სახეს ანუ **ხრულ თვალსაჩინოებას** მივმართავთ, სადაც თითონ საგანი რაიმე მიზეზით არ არის მისაწვდომი —ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡ მეორე სახეს ანუ **უხრულო თვალსაჩინოებას** ვიყენებთ. რაც შეეხება თვალსაჩინოების მესამე

სახეს—მისი გამოყენება მასწავლებელს ავალებს ყველა სიტყვიერ საშუალებას მიმართოს იმისთვის, რომ მოსწავლის გონებაში აღძრას შესასწავლი მასალის ნამდვილი სურათი და ამ გზით გაუადვილოს მოვლენის შეცნობა. თვალსაჩინოების ეს სახე მასწავლებლის მიერ განსაკუთრებული ოსტატობით უნდა იქნას მომარჯვებული, მაგალითად, ისტორიული ამბების, პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლისა და სოციალიზმის შენების საკითხების დამუშავებაში, მეურნეობისა და ტექნიკის განვითარების გათვალისწინებაში, მომავალი კომუნისტური საზოგადოების ცხოვრების განხილვა-დამუშავების საქმეში და ა. შ.

თვალსაჩინოების გამოყენების დროს მასწავლებელმა ერთი წუთითაც არ უნდა გაუშვას მხედველობიდან ის გარემოება, რომ თვალსაჩინოებაში,—მით უფრო უსრულო და შუალობითი თვალსაჩინოებაში—დიდი საშიშროება იშლება, რომელიც სიფხიზლეს თხოულობს: ეს საშიშროება გვიქადის სწავლებაში სინამდვილის შეცვლას სურათით, ქაღალდით, სქემით, სიტყვით.

გადაჭრით უნდა ვთქვათ,—სწორად გაგებული თვალსაჩინოება ჩვენს სკოლას მასურად დაპყრობილი და გამოყენებული ჯერ კიდევ არ აქვს,—საძებარი ჯერ კიდევ არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი მშრალად მოუთხრობს—მაგალითად, მცენარის ორგანოებზე—და, უკეთეს შემთხვევაში, სურათს უჩვენებს, ნამდვილი საგანი კი ხშირად ორ ნაბიჯზე ან თვით სკოლის შენობაშიც კი არის. საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, რომ სკოლას აქვს თვალსაჩინო ხელსაწყო, მაგრამ ის არაა გამოყენებული და უქმად იმტვერება. თვალსაჩინოება—დემონსტრაცია გაგებული და გამოყენებული უნდა იქნას, როგორც სინამდვილის სწორად შემეცნებისა და სწორი აზროვნების განვითარების ერთ-ერთი უძლიერესი საშუალება. მაგრამ თვალსაჩინოება, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, არ უნდა იქცეს პრიმიტიულ ემპირიზმად და არ უნდა ქმნიდეს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ცხვირის იქით ვერაფერს ვხედავთ, არამედ ხელს უწყობდეს კრიტიკული აზროვნების განვითარებას კონკრეტიულიდან აბსტრაქტულისაკენ,—„ცოცხალი ქვრეტიდან აბსტრაქციისაკენ და მისგან პრაქტიკისაგან". პედაგოგიურად სწორად გამოყენებული თვალსაჩინოების დროს თვალსაჩინოდ შესასწავლი ფაქტის საფუძველზე და მის მიღმა უნდა გადაიშალოს სინამდვილე, რომლის ერთერთ რგოლს წარმოადგენს თვით ეს შესასწავლი ფაქტი. მაგალითად, გლობუსის, რუკის და სურათების თვალსაჩინოებით მოსწავლეებთან ვამუშავებთ პოლარულ ქვეყნებს. სურათი და რუკა ამ ქვეყნებს—ჯერ ყოველ შემთხვევაში—სტატიკურ

შდგომარეობაში სახავს, ჩვენ კი გვაინტერესებს დინამიკა, გვაინტერესებს პოლარული ქვეყნების თავისებურობის გაგება სხვადასხვა მოვლენათა კანონზომიერი ურთიერთობის კვანძში,—გაგება, როგორც „პროცესების კომპლექსის“ ერთერთი ელემენტის. მაგრამ აგიც არ კმარა: პოლარული ქვეყნების „ცივი მყუდროების“ გაგებით ვერ დაკმაყოფილდებით, რადგან სამყაროს გარდაქმნა გვაინტერესებს. პოლარული ქვეყნების გარდაქმნა სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში რომ ენერგიული ტემპებით მიმდინარეობს — ეს უნდა დაინახონ და შეითვისონ მოსწავლეებმა,—შეითვისონ, რომ სოციალიზმი ძლევამოსილად უტევს ტუნდრებს და ყინულებს—**ხიბინმშენით**, რკინის გზებით, **სტალინის ხახ. არხით**, ავიაციით, ყინულის მჭრელთა ექსპედიციებით, — ასეთი მუშაობის შედეგად მოსწავლეთათვის აშკარა უნდა გახდეს, თუ როგორ იჭრება ბუნებრივ მოვლენათა კანონზომიერებაში სოციალისტური შეტევის კანონზომიერება, როგორ ცვლის და იმორჩილებს სტიქიურ პროცესს სოციალისტური მშენებლობის გეგმიანი პროცესი.

თვალსაჩინოების ფაქტებმა უამრავი წვრილმანებით არ უნდა შემოფარგლონ მოსწავლეთა აზროვნება, როგორც ეს თვალსაჩინოების საფუძველმდებლების — **კომენსკის, ლ ოკის** და **პესტალოცის**— დიდაქტიურ შეხედულებებში არის მოცემული, არამედ აზროვნება მიმართონ არსებითისა და ძირითადის მარქსისტულ-ლენინური შემეცნებისაკენ.

სწავლის პროცესში თვალსაჩინოება—დემონსტრაციას სკოლის ყველა საფეხურზე და ყველა ასაკში აქვს მნიშვნელობა, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მისი საჭიროება და ღირებულება დაბალ ჯგუფებში, სადაც ბავშვები „სახეებით აზროვნებენ“ და სადაც ამიტომ თვალსაჩინოებას კიდევ უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს. რამდენადაც დაბალ ჯგუფებში ცოდნის ელემენტების შეძენა კონკრეტულობას ემყარება, იმდენად ადრე მზადდება ძლიერი და სწორი გონებრივი მუშაობის მკვიდრი ნიადაგი და იმდენად მტკიცეა ცოდნის საფუძვლები. მოსწავლეებს ზოგჯერ არ გააჩნიათ ელემენტარი წარმოდგენა ბუნებაზე, გეოგრაფიულ ფაქტებზე, მათემათიკის საკითხებზე. მეოთხე ჯგუფში, სასწავლო წლის ბოლოს, ტფილისის ერთერთ სკოლაში მოსწავლემ რიონი მტკვრის შენაკადად დაასახელა—ტფილისში ერთვისო. აშკარაა, რომ ამ მოსწავლის აზროვნებაში ადგილი არ აქვს ნამდვილ ტფილისს და სრულებით ვერ აზროვნობს რუკის საშუალებით. მეორე მოსწავლემ ხვლიკისა და გველის შორის ვერაუიტარი განსხვავება ვერ დაასახელა, თუმცა ქილებში ჩაკეცილი და დასპირტული

უნახავს ერთიც და მეორეც. აგერ კიდევ მოსწავლე—ხის ვერც ერთ ჯიშს ვერ არჩევს. ანდა კიდევ ჯგუფში კვადრატულ მეტრზე ყველაფერს ამბობენს,—რათ იხმარება, რამდენ კვადრატულ—დეციმეტრს, სანტიმეტრს და მილიმეტრს შეიცავსო, მაგრამ თითონ კვადრატული მეტრი არავის არ უნახავს და აბა გაკეთებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებს უძნელდებათ მარტივი არითმეტიკული ოპერაციები, იბნევიან წილადებში, იშვიათად აქვთ კონკრეტი, გრიფიკული წარმოდგენა ასეთ ფორმულებზე, როგორიცაა. $(a+b)^2$ ან $(a-b)^2$. პედაგოგიურ ტექნიკუმში კურსდამთავრებულმა მასწავლებელმა ვერ გამოიყენა მის განკარგულებაში გადაცემული „არითმეტიკული ყუთი",—ვერ გაუგო ვერაფერი. ტექნიკუმის მეორე კურსის მოწაფემ ერთი მაგალითიც ვერ მოიყვანა, თუ სად გამოიყენება ძალების შეკრება და დაშლა. სინამდვილეში კი ძლიერ ადვილი მოსახერხებელია ყველა ამ საკითხის თვალსაჩინოდ დამუშავება და ეს არა თუ არ შელახავს მათემატიკისა ან ფიზიკის სიზუსტეს და „სიწმინდეს" – პირიქით, მკვიდრ საფუძველს შექმნის ნამდვილ მეცნიერულ წარმოდგენათათვის.

თვალსაჩინოება — დემონსტრაცია ისეთ დაყენებას მოითხოვს, რომ იწვევდეს მოწაფეთა ინტერესს—ყურადღებას და ემოციებს, ამ თვალსაზრისით სადემონსტრაციო საგნებს და ხელსაწყოებს მხატვრულობა უნდა ახასიათებდეს (მაგ., სურათები). თვალსაჩინოება—დემონსტრაციის დროს მოსწავლეები აქტიურად უნდა მუშაოდენ. აქტივობა მარტო იმით არ ამოიწურება, რომ ისინი ათვალიერებენ, ეხებიან, სინჯავენ, ვარჯიშობენ დაკვირვებაში და სხვ. საჭიროა, ახალი ფაქტების გამო, იგონებდენ წინეთ მიღებულ ცოდნას, ადარებდენ და აკავშირებდენ, ვარჯიშობდენ გეოგრაფიულ რუკაზე, საკითხს აშუქებდენ სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით, შესაცნობ მოვლენას ჰვრეტდენ განვითარების პროცესში და, მასწავლებლის ხელმძღვანელობით და დახმარებით, აკეთებდენ მართებულ დასკვნებს.

ზემოდ აღნიშნეთ საშიროება, რომელიც თვალსაჩინოებას ახლავს—სახელდობრ ის, რომ ცოცხალი სინამდვილე დამხმარე ხელსაწყოებმა არ დაჩრდილონ. დამხმარე თვალსაჩინო ხელსაწყოს მომარაგება საჭიროა ისეთ შემთხვევაში, როდესაც თითონ საგანი მიუწვდომელია. აუცილებელია, მაგალითად, რუკები, შორეული ადგილების ბუნებისა და ცხოვრების სურათები, უშუალოდ დასათვალიერებლად მიუწვდომელი მცენარეების, მათი ნაწილების, მინერალების და სხვათა კოლექციები. მაგრამ სრულებით არაა საჭირო, კიდევ მეტი—მავნებელიცაა გამხმარ ფოთლებსა და ყვავილებზე, გამხმარ მცენარეებსა და

დასპირტულ ცხოველებზე, მოდელებზე და სურათებზე ისეთი ობიექ-ტების შესწავლა, რომლებიც სკოლას გარს არტყია. იშვიათი არ არის მოსწავლე, რომელსაც ნამდვილი ნიადაგი არ უნახავს მისი არსებობ-ბის ჩვეულებრივ პირობებში—უკეთეს შემთხვევაში უნახავს ერთი მუჭა გამხმარი მიწა. სადაც შესაძლებელია, ცოცხალი სინამდვილე უშუა-ლოდ უნდა იქცეს შესწავლის ობიექტად. ბუნება და საზოგადოებრივი შრომა უამრავ მასალას იძლევა ასეთი შესწავლისათვის და ეს გარე-მოება ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული.

თვალსაჩინოებაში ვათავსებთ აგრეთვე ყოველგვარ ცდებს, რომლებიც, დემონსტრაციის სახით, ჩატარებული უნდა იქნას ჯგუფში—ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ა. შ. ყველა სკოლამ მოფიქრებულად და გეგმიანად უნდა გადასწყვიტოს თვალსაჩინო ხელსაწყოების საკითხი. ხელსაწყოების შეგროვება-დამზადებაში მო-სწავლეების ფართო მონაწილეობა არა თუ შესაძლებელი—აუცილე-ბელიცაა. ც. კ. 25 ავგისტოს დადგენილება პირდაპირ მიუთითებს მოსწავლეთა მიერ ჰერბარიუმებისა და სხვადასხვა კოლექციების შე-გროვებაზე. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები სახე-ლოსნოებში და შრომის ოთახებში ბევრს, მეტად საჭირო, ხელსაწყო-იარაღებს გააკეთებენ (იმ პირობით, რომ პოლიტ. შრომის პროგრამა და დრო არ შეამცირონ), ბუნებიდან და წარმოებიდან საწავლო მასა-ლას შეაგროვებენ, სურათებს, მოდელებს, რუკებს და ნახაზებს და-ამზადებენ. ამ მუშაობას, გარდა იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება სკოლის სასწავლო ბაზის გაძლიერების საქმეში, დიდი პედა-გოგიური ღირებულებაც ექნება იმ მხრივ, რომ მოსწავლეები სასწა-ვლო ხელსაწყოებზე მუშაობის პროცესში საჭირო ცოდნასა და ჩვევებს შეიძენენ და განამტკიცებენ. გარკვეულ შედეგს მოგვცემს აგრეთვე სკოლების ურთერთთან თანამშრომლობა თვალსაჩინო სასწავლო ხელ-საწყოების დამზადება-დაგროვებაში. სხვადასხვა კუთხის სკოლები ერთმანეთს მიაწოდებენ მათი რაიონისათვის დამახასიათებელი მინე-რალების, მცენარეების, ყოფაცხოვრების და სხვ. ნიმუშებს.

თვალსაჩინო სწავლების მნიშვნელოვან ბაზას შეადგენენ აგრე-თვე: სკოლის კულტურული ნაკვეთი, ცოცხალი კუთხე, კინო, სახე-ლოსნო სასკოლო მუზეუმი, და ა. შ., რომელთა მოწყობა ყვე-ლა სკოლის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული. რო-გორც თვალსაჩინო სწავლების ბაზა, ფართოდ უნდა იქნას გამო-ყენებული ყოველი ფაბრიკა, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეუ-რნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ელექტრო-სადგურები, ტრანსპორტი, მაღაროები და სხვ. ყველა სასწავლო დისციპლინამ

მისთვის შესაფერი და საჭირო ფაქტები უნდა ამოკრიფოს გარემომცველი ბუნებიდან და ცხოვრებიდან.

თვალსაჩინო სწავლების დაყენების საქმეში მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს სწორედ შეარჩიოს მასალა და პედაგოგიურად დაეპატრონოს მას, არ აქციოს თვალსაჩინოება თვითმიზნად, არ დაიბნას და არ გაიფანტოს ცალკე ფაქტების გროვაში, არამედ თვალსაჩინოება გამოიყენოს გარემომცველი ბუნებისა და ცხოვრების დიალექტიკური პროცესის შეცნობის ერთერთ საიმედო საშუალებათ, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივის ზრდას ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა გამოკვლეეისა და სწორად შეცნობის საქმეში.

თვალსაჩინოება — დემონსტრაციის ჩატარებას წინ უსწრებს გაკვეთილისათვის მასწავლებლის საფუძვლიანი მომზადება. მომზადებას მით უფრო მოითხოვს ცდების დემონსტრაცია ბიოლოგიიდან, ფიზიკიდან, ქიმიიდან. ხელსაწყოების წინასწარი არჩევა და მოსამზადებელი ცდით მახი შემოწმება, ჯგუფში ცდის გაშლისა და კვლეეითი ხასიათის მუშაობაში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმის და გზების დასახვა, იმ დასკვნების გათვალისწინება, რომლებიც, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ჯგუფში უნდა იქნან გამოტანილი და ჩაწერილი — მთელი ეს მუშაობა დემონსტრაციის ჩატარებამდე უნდა იქნას შესრულებული.

სინამდვილეში ყოველთვის ასე არ ხდება. არის შემთხვევები, რომ სკოლას კარგად მოწყობილი ფიზიკური და ქიმიური ლაბორატორია აქვს და ის არ არის გამოყენებული. არა თუ ლაბორატორული მუშაობა — დემონსტრაციებსაც არ აქვს ადგილი. ასეც ხდება, რომ მასწავლებელი უკვე დაწყებულ გაკვეთილზე ეძებს ხელსაწყოებს, სინჯავს, იბნევა, არაფერი არ გამოუდის და გაკვეთილი ცდება. გაკვეთილის მაღალი კულტურა, რომლის სასწრაფო მიღწევა ჩვენი სადღეისო ამოცანაა, თვალსაჩინოებისა და დემონსტრაციის პედაგოგიური ოსტატობით დაყენებას მოითხოვს. ამ პირობით გადავაქცევთ თვალსაჩინოება — დემონსტრაციას პოლიტექნიკური სკოლის სასწავლო მუშაობის ერთ-ერთ ნაყოფიერ საშუალებად.

4. ლაბორატორული მუშაობა.

სწავლებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სტაბილური პროგრამებით განსაზღვრულ მეცნიერებათა საფუძვლების სიმტკიცის მიღწევა და მოსწავლეებში მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობის და ცოდნის შეძენის ინტერესისა და უნარის შემუშავება. ამ ამოცანის გადაწყვეტას

ემსახურება სწავლების ყოველი მეთოდი და საშუალება. უკანასკნელთა შორის ლაბარატორულ მუშაობას მეტად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია—იმ პირობით, თუ ის განთავისუფლებული იქნება ყველა შეცდომისაგან, რაც მას ახლდა. შეცდომა კი საკმაოზე მეტი იყო.

ლაბორატორული მუშაობის სისტემატად აღიარება, მასში ყოველგვარ მასალაზე და ყოველგვარი მუშაობის მოქცევა, გეგმისა და ცხრილის უარყოფა და მოსწავლის—მის სურვილზე მინდობა; მასწავლებლის შეცვლა უზომოდ გაჭიანურებული და ძნელად გასაგები „ზეწრისებური“ განაკვეთებით; ჯგუფის, როგორც სწავლების მტკიცე მთლიანი ერთეულის, უარყოფა და დეზორგანიზაცია; სასწავლო საქმიანობაში მოსწავლის ინდივიდიალური მუშაობისა და პასუხისმგებლობის გაუქმება და ყველაფრის შეცვლა სავალდებულოდ ჩამოყალიბებული ბრიგადებით—ასეთია ის ძირითადი დამახინჯებანი, რომლებიც ლაბარატორულ მუშაობას ახასიათებდენ.

ლაბორატორული მუშაობა მიმდინარეობს სავანგებოდ მოწყობილ შენობაში ანდა იმავე სამეცადინო ოთახში, მაგრამ უეჭველად დასაკვირებელ და ცდების დასაყენებელ ხელსაწყოებზე. ლაბორატორულ მეცადინეობაში, ხელსაწყოებთან ერთად, წიგნის გამოყენება არ არის გამორიცხული, მაგრამ მარტო ბეჭდურ მასალაზე მუშაობა, თუნდაც ის ისევე საგანგებოდ მოწყობილს საგნობრივ კაბინეტში მიმდინარეობდეს (ენისა და ლიტერატურის, გეოგრაფიის, ისტორიის და ხვ. კაბინეტები), არ არის ლაბორატორული მუშაობა. ლაბარატორული მეცადინეობა, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს (ლათ. **ლაბორერე**—ქართ. **მუშაობა**) ხასიათდება უშუალო დაკვირვების წარმოებით და ცდების დაყენებით: ლაბარატორული მეცადინეობა პირველს რიგში მართებული იქნება ფიზიკისათვის, ქიმიისათვის, ბოტანიკისათვის, ზოოლოგიისათვის, მინერალოგიისათვის და სხვ. ე. ი. ისეთ საგნებში, სადაც შესასწავლელი მასალის უშუალო დაკვირვება და სხვადასხვა ექსპერიმენტის დაყენება სწავლების აუცილებელ ელემენტს შეადგენს.

ლაბორატორული მეცადინეობის დროს მოსწავლეები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ლაბორატორიაში ან სამეცადინო ოთახში დამოუკიდებლად აკვირდებიან შესასწავლად დარიგებულ მასალას (მინერალებს, მცენარეებს, ცხოველებს და ა. შ.), ეჩვევიან სხვადასხვა სასწავლო. იარაღის მოხმარას, ცდების დაყენებას, დაკვირვებას, ცდის პროცესში ამეღავნებენ რაოდენობითი და თვისობრივი ხასიათის ცვლილებათა კანონზომიერებას და გამოაქვთ სათანადო დასკვნები. ლაბარატორული მეცადინეობა მასწავლებლის მიერ წინასწარ გადა-

ცემული ცოდნის საფუძველს უნდა ემყარებოდეს და იმავე დროს ისეთ მომენტებსაც შეიცავდეს, რომლებიც მოსწავლეს დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში აყენებს. ამ შემთხვევაში ლაბორატორული მეცადინეობა წარმოადგენს თავისებურ სასწავლო პრაქტიკულ მუშაობას, რომელმაც უნდა დაამკვიდროს და გააღრმავოს მოსწავლეთა ცოდნის საფუძვლები და თანაც ავარჯიშოს ისინი დაკვირვებაში, ცდების დაყენებაში, მოვლენათა ანალიზში და სწორი დასკვნების გამოტანაში. ამ გზით მოვლენა ყოველმხრივ და ყოველი საშუალებით შეიცნობა: მოსწავლე აქ მუშაობს მხედველობით, სმენით, კუნთებით, აზროვნებით და ეს კი წარმოადგენს ლაბორატორული მეცადინეობის მეტად მნიშვნელოვან პედაგოგიურ ღირებულებას.

ლაბარატორულ მეცადინეობას ჩვეულებრივად წინ უსწრებს მასწავლებლის მიერ ცოდნის დალაგებულად გადაცემა სათანადო დემონსტრაციის მოწყობით. როდესაც მოსწავლეთათვის საკითხი ძირითადათ გარკვეულია თეორიულად და პრაქტიკულად, ამის საფუძველზე შესაძლებელი და საჭიროცაა მოსწავლეებს მიეცეთ ლაბორატორულად გადასაწყვეტი ამოცანები, რომლებიც წინასწარ მიღებული ცოდნიდან გამომდინარეობენ. მოვიყვანოთ მაგალითები: ვთქვათ, ჯგუფში დამუშავებულია ნახშირორჟანგი — მოსწავლეები იცნობენ მის თვისებებს მასწავლებლის თხრობით, დემონსტრაციით და ლაბორატორული მუშაობით. ამის საფუძველზე მოსწავლეები, მასწავლებლის მიერ ზუსტად მითითებული ცდებისა და დაკვირვებების საშუალებით, ადვილად აღმოაჩენენ, რომ ადამიანის ამონასუნთქი ნახშირორჟანგს შეიცავს. კიდევ მაგალითი: როდესაც მოსწავლეებს აქვთ წარმოდგენა ქიმიურ პროცესებზე, მარტივ და რთულ ნივთიერებაზე, იცნობენ ჟანგბადს, წყალბადს, და სხვ., მაგრამ ჯერ არ, იციან წყლის შედგენილობა, შესაძლებელია, მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით, მათ ისეთი ლაბარატორული სამუშაო მიეცეთ, როდესაც ისინი წყალს დაშლიან და გამოიცნობენ მის შემადგენელ ელემენტებს, ანდა კიდეზე „აღმოაჩენენ", რომ წყალბადისა და მეავბადის ქიმიური შეერთებით ისევ წყალი მიიღება.

სიტყვიერ განმარტებამდე დაკვირვებისა და ცდების ჩატარება ლაბორატორიაში დასაშვებია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსწავლეთა ასაკი, მათი მომზადება და მასალის ხასიათი შესაძლებელს ხდის მოსწავლის დაკვირვებისა და ცდის წინასწარ ჩატარებას, ფაქტების შეგნებულად შეგროვებას, რომ მოსწავლეებთან საუბარში მათი ანალიზი გააკეთონ და სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

შედარებით მცირე ასაკის ბავშვებთან ლაბორატორული მეცადინეობა მარტივ ამოცანებზე და მარტივ ხელსაწყოებზე მიმდინარეობს და მასწავლებლის მიერ მასალის საფუძვლიანად დამუშავებას შოჰყვება. მაღალ ჯგუფებში კი, იმ პირობის დაცვით, რომ ლაბორატორული მეცადინეობა ძირითადად დამუშავებულ მასალას ემყარებოდეს,— შესაძლებელია, მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმით და მითითებით, დაკვირვება და ცდა წინ უსწრებდეს თხრობას და ახსნა-განმარტებას და მოსწავლეებს მეტი გასაქანი მიეცეს დამოუკიდებელი აზროვნებისათვის.

ლაბარატორული მეცადანეობა ზუსტად განსაზღვრული გეგმით და ცხრილით უნდა მიმდინარეობდეს. ლაბორატორულად შესასრულებლად ისეთი მოცულობის სამუშაო უნდა იქნას მიცემული, რასაც მოსწავლეები ერთი ჩვეულებრივი მეცადინეობის განმავლობაში შეასრულებენ. იმის გარდა, რომ მოსწავლეებს ლაბორატორული მეცადინეობის ჩასატარებლად მასწავლებლისაგან მიღებული აქვთ ცოდნა და მითითებანი მუშაობის ტექნიკური მხარის შესახებ, გარკვეული აქვთ მუშაობის მიზანი, — ამასთან ერთად სასურველია ყველა მოსწავლეს ქონდეს მოკლე წერილობითი განაკვეთი, სადაც გარკვეული იქნება მუშაობის მიზანი, თანამიმდევრობა, გამოსაყენებელი ხელსაწყოები, ცდების ტექნიკა, დაკვირვების მთავარი მხარეები, მითითება იმის შესახებ, რომ მოსწავლემ მოისაზროს ლაბორატორული მუშაობით მიღებული ცოდნის კავშირი სოციალისტურ მშენებლობასთან — და ა. შ. თუ ტექნიკურად სკოლას არ შეუძლია ყოველ ცალკე მოსწავლეს მიაწოდოს წერილობითი განაკვეთი, მეცადინეობის დროს დაფაზე მაინც ¡უნდა იყოს დაწერილი, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ მისით სარგებლობა.

ლაბორატორული მეცადინეობა მაშინ არის ნორმალური და ნაყოფიერი, როდესაც მას მთელი ჯგუფი ატარებს. ეს იარაღების და ხელსაწყოების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ლაბორატორული მუშაობისათვის ზოგი მასალა ადვილად მოსაგროვებელია (თესლი, ფოთლები, ფესვები, ყვავილები, ნაყოფი, მწერები, მინერალები და სხვა მრავალი), მაგრამ ცდების დასაყენებლად საჭირო იარაღების საქმე უფრო რთულია (ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში). ლაბორატორული მეცადინეობა უფრო ნორმალური მაშინაა, როდესაც მას ყოველი მოსწავლე ინდივიდუალურად ატარებს, როდესაც თითოეული აწესრიგებს ხელსაწყოებს, ახდენს ცდას, აწარმოებს დაკვირვებას, აყენებს მოსაზრებას და ა. შ. ჯგუფი რგოლებად უნდა დაიყოს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელსაწყოების რაოდენობა

შეუძლებელს ხდის ყველა მოსწავლის ცალკე ინდივიდუალურ ლაბორატორულ მუშაობას და ხელსაწყოების ერთ კომპლექტზე ერთდროულად რამდენიმე მოსწავლეს უხდება მუშაობა. ამ შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყოველი მოსწავლის აქტიური მონაწილეობა მეცადინეობაში, ინდივიდუალური დაკვირვების სიზუსტე. პირადი პასუხისმგებლობა, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური მუშაობა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა რგოლის მუშაობის ამოსავალს და საფუძველს უნდა შეადგენდეს. უეჭველად მიღწეული უნდა იქნას რგოლში მუშაობის ისეთ ნიადაგზე დაყენება, რომ ყოველი მოსწავლის სავალდებულო ინდივიდუალური მუშაობის შედეგი კოლექტიურს მუშაობაში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდეს.

ლაბორატორული მეცადინეობის სწორად დაყენების სირთულე ავალებს მასწავლებლებს და მთელ სკოლას ზუსტად დაამუშაოს ჯგუფში და სკოლაში ლაბორატორული მეცადინეობის დაყენების გეგმა. თუ ლაბორატორული მეცადინეობა უთავბოლოდ მიმდინარეობს, დრო ბევრი დაიხარჯება და მისგან, ადვილი შესაძლებელია, ზიანი მეტი მივიღოთ, ვიდრე სარგებლობა.

გეგმის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული: მოსწავლეთა ასაკი და მომზადება (რადგან მცირე ასაკის მოსწავლეთათვის მიუწვდომელია რთული ცდების ლაბორატორიულად ჩატარება), სასწავლო დისციპლინის და მისი ცალკე საკითხების თავისებურობა, დროის ბიუჯეტი, რომელიც საგნის განკარგულებაში იმყოფება, ლაბარატორული მუშაობისათვის საჭირო სასწავლო მოწყობილობა და სხვ. და ამის საფუძველზე შესდგეს რეალური და პედაგოგიურად გამართული გეგმა. ყველა მასწავლებელს, ვინც კი ლაბორატორულ მეცადინეობას ატარებს, თავის სამუშაო გეგმაში უნდა ქონდეს აღნიშნული ყველა საკითხი, რომლებსაც ის ლაბორატორული მეცადინეობის წესით დაამუშავებს.

სწორად წარმოებული ლაბორატორული მეცადინეობის პედაგოგიური ღირებულება გვავალებს ენერგიულად ვიზრუნოთ საჭირო სასწავლო მოწყობილობაზე. აქ არ ვლაპარაკობთ ისეთ მასალაზე, რაც შეიძლება ბლომად იქნას შეგროვილი სკოლის გარემომცველი ბუნებიდან და ცხოვრებიდან. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მეტად მდიდარ შესაძლებლობას ამ დარგში სკოლები ხშირად არ იყენებენ და მასწავლებელი, მაგალითად, ფესვის ან ფოთლების მორფოლოგიის, მწერების. მიმკრიის ან თიხის თვისებათა საკითხებს თხრობით და, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დემონსტრაციით არკვევს. ამ საქმეში

ძირითად გარდატეხას უნდა მივაღწიოთ. მასწავლებელმა მართლაც და ფართოდ უნდა გამოიყენოს ბუნებისა და ცხოვრების უმდიდრესი ლაბორატორია. სადაც საქმის ინტერესი და ინიციატივა არის, იქ, მოსწავლეთა დახმარებით, მასწავლებელი ბევრის გაკეთებას შეძლებს. ერთერთ სოფლის სკოლაში ასეთი ლაბორატორული მუშაობა ვნახეთ: ყველა მოსწავლეს ეწყო მაგიდაზე სხვადასხვა ფერის ქვაკირის ნატეხები და პატარა ქილებში ცხარე ძმარი—სახლიდან მოეტანეთ: გაკვეთილის საგანი იყო ქვაკირი და მისი გამოცნობა. რა ვუყოთ, რომ ღარიბი „ლაბორატორია“ — არარაობას და მშრალ სიტყვიერ მეცადინეობას ხომ ათასჯერ ჯობს!!. მეორე სკოლაში მოსწავლეებს „მწარე კვახისაგან“ სეგნერის ბორბალი ჰქონდათ გაკეთებული და ცდას აყენებდენ. მესამე სკოლაში, ფიზიკის გაკვეთილზე, ყოველ ორ მოსწავლეზე თითო ხის ან თუნუქის სასწორი აღმოჩნდა, პატარა თოპრაკებში გამოწონილი—სუფთა ქვიშის ან ტყვიის—გრამიანი აბრეებით. სახლიდან მოეტანათ ჭიქები, რკინის ნაჭრები, ნავთი და სხვა და... სითხეესის წონაკუთრს ეცნობოდენ. დეე, ეს მოწყობილობა პრიმიტიულია და არ უზრუნველყოფს მუშაობაში სიზუსტეს და სხვ., — ეს მართალია, მაგრამ ის მაინც დიდი მიღწევაა. ყველა ნივთიერი შესაძლებლობა უნდა იქნას გამონახული და გამოყენებული იმისათვის, რომ სკოლას სასწავლო ხელსაწყოების საიმედო ბაზა ჰქონდეს.

განსაკუთრებული ენერგიით და მონდომებით უნდა გაიშალოს მუშაობა თვით სკოლების ინიციატივით და საშუალებით ლაბორატორიების მოსაწყობად და სასწავლო ხელსაწყოთა ბაზის შესაქმნელად. ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლიათ სკოლების პოლეტექნიკურ სახელოსნოებს და შრომის ოთახებს, მხოლოდ საჭიროა მათი ხელმძღვანელობა. ყველა სკოლამ, ,ყველა მასწავლებლის მონაწილეობით, უნდა შეადგინოს და შეასრულოს საკუთარი საშუალებით სასწავლო ხელსაწყოების დამზადება-შეგროვების საგანგებოდ დასახული გეგმა. გამომგონებლობა და რაციონალიზატორული წინადადებანი ამ საქმეშიც ფართოდ უნდა გაიშალოს. ბევრის გაკეთება შეუძლიათ საწარმოებს, რომლებიც სკოლებზე შეფობენ და რომლებსაც მეტალის, ხის, მინის, თიხის და სხვა წარმოება აქვთ. სასწავლო ხელსაწყოებისათვის ბრძოლა მთელი სიფართით უნდა გაიშალოს. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს ფლიუგერი არ უნახავს და თერმომეტრში ჩასხმული სითხე გლიცერინი გონია. (ასეთი სამწუხარო შემთხვევაც იყო ტფილისის ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში).

ლაბორატორულ მეცადინეობაში მოსწავლეთა აქტივობა მარტო იმით არ ამოიწურება, რომ ისინი ხელსაწყოებზე მუშაობენ, აკვირდებიან და დასკვნები გამოაქვთ. ამასთან ერთად ისინი აზოგადებენ ცოდნას, არკვევენ შესასწავლ მოვლენათა კანონზომიერებას და მათ კავშირს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. მაგ., ლაბორატორული მუშაობის გზით მიღებული ცოდნა თესლის, ნიადაგის, წყლის, ჰაერის, სითბოს, ორთქლის, ელექტრობის, ქიმიური მოვლენების და სხვათა შესახებ მოსწავლეებმა უნდა დაუკავშირონ სოციალისტურ მშენებლობას — როგორ არის და როგორ უნდა იყოს გამოყენებული ეს ცოდნა პროლეტარიატისა და მშრომელთა ბრძოლასა და შრომაში, პოლიტექნიკურ სკოლაში ლაბორატორული მეცადინეობა ფორმალური ცოდნით არ იზღუდება, არამედ თეორიისა და პრაქტიკის მარქსისტულ-ლენინურ ერთიანობას ემყარება და მოსწავლეს აიარაღებს ისეთი ცოდნით და ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ლაბორატორული მეცადინეობა სასწავლო მუშაობის სხვა ფორმებსაც ითავსებს: მასთან ერთად — აუცილებელია მასწავლებლის თხრობა, საუბარი, მითითებანი, ცდის დემონსტრაცია; ლაბარატორულ მუშაობაში ხშირად საჭიროა მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელო წიგნებისა და საცნობარო ლიტერეტურის გამოყენება, ჩახატვა-ჩახაზვა, მუშაობის მსვლელობისა და დასკვნების წერილობითი აღნუსხვა.

ლაბარატორული მეცადინეობის ნაყოფიერად ჩატარების ძირითადი პირობაა — იარაღების, სასწავლო ხელსაწყოებისა და ყველა საჭირო მასალის მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადება და გამოცდა, მოსწავლეთა სამუშაო ადგილების ზუსტად განსაზღვრა და ყოველი მეცადინეობის გეგმისა და წესრიგის წინასწარ დასახვა. არაფერი არ გამოვა, თუ მეცადინეობის დაწყებისას იქნება საძებარი ხელსაწყოები და მასალა — ყველაფერი მზად და დალაგებული უნდა იყოს, რომ ერთი წუთიც არ დაიკარგოს და მუშაობის გეგმა არ დაირღვეს. ლაბორატორული მეცადინეობის მომზადებაში, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეთა მოწესრიგებული მონაწილეობა და დახმარებაც სათანადო დონეზე უნდა იდგეს.

ლაბორატორული მუშაობა აგრეთვე გამოყენებული უნდა იქნას მოსწავლეებში შრომის კულტურის განვითაოების ერთერთ საუკეთესო საშუალებად: მიზანდასახული და გეგმიანი მუშაობა; დროისა და აპარატურის მეტი სარგებლიანობით მოხმარა; თანამიმდევარი, ზუსტი და შეგნებული მუშაობა; მოვლენებზე დაკვირვება, მათი ანალიზი და

დასკვნების გამოტანა; სიფრთხილე, სკოლის ქონების დაცვა, სიფაქიზე, მეცადინეობის დასასრულს—ხელსაწყოების დასუფთავება და თავის ადგილზე დალაგება და სხვ., რაც ლაბორატორულს მუშაობაში მთელი სიზუსტით უნდა იქნას გატარებული და დაცული,—ყველა ეს ხელს შეუწყობს შრომის კულტურის განვითარებას და შრომისა და სკოლის ქონებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განმტკიცებას.

თქმულიდან ცხადათ გამომდინარეობს მასწავლებლის წამყვანი როლი ლაბორატორული მეცადინეობის დროსაც, როგორც ყოველგან და ყოველთვის. ის არ არის შორიდან მეთვალყურე ინსტრუქტორი ან კონსულტანტი, არამედ ცოდნის მიმცემი და მოსწავლეთა ხელმძღვანელი ცოდნის ძიებაში, მთელი მუშაობის ორგანიზატორი, რომელიც თავს დასტრიალებს მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მათ ნაყოფიერ მუშაობის მეცნიერებათა საფუძვლების დაპყრობის, დამოუკიდებელი მუშაობის ინტერესისა და უნარის განვითარების მიმართულებით.

5. წერითი და გრაფიკული მუშაობა.

წერა და სხვადასხვა სახის გრაფიკული მუშაობა მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისება-განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს: თხზულების დაწერა, წაკითხულის და დამუშავებულის წერილობითი გეგმის შედგენა, თეზისებისა და კონსპექტების დაწერა, მთავარი ადგილების ამოკრეფა, შინაარსის გადმოცემა და შენიშვნების გაკეთება, წერილობითი ამოცანების გადაწყვეტა, მსჯელობა, მოხსენება, რეცენზია, ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშის შედგენა, ჩახატვა, ნახაზების და სქემების გაკეთება, დიაგრამების, გეგმების და რუკების დამზადება და სხვ.—ყველა ეს ხელს უწყობს ცოდნის შეგნებულად შეთვისებას და სათანადო ჩვევათა განმტკიცებას. ფანქარი და კალამი მოსწავლის კულტურული სასწავლო მუშაობის მუდმივ თანამგზავრად უნდა იქცეს. წერის და გრაფიკული მუშაობის პროცესი, თუ ის მექანიკური არ არის, ემყარება ინტენსიურ გონებრივ მუშაობას — წარმოდგენათა აღდგენას, მათ ანალიზს, სისტემაში მოყვანას. წერის დროს ხელით მუშაობა თავით მუშაობის გამოვლინებაა. მონდომებით, გულდასმით, სწორად, ფაქიზად და ლამაზად წერა იმის მაჩვენებელია, რომ შემსრულებელი შეგნებულად მუშაობს.

წერამ და გრაფიკულმა მუშაობამ რომ თავისი დანიშნულება შეასრულოს და ცოდნის შეძენის, გაღრმავებისა და განმტკიცების სა-

შუალებათ იქცეს, ამისათვის საჭიროა წერითი სამუშაოს მოსწავლე ყურადღებით და ხალისით ასრულებდეს: ამასთან შეფარდებით—შესასრულებელი სამუშაო მოსწავლის ინტერესთან, მის ასაკთან და მომზადების დონესთან უნდა იყოს შეფარდებული. მოსწავლისათვის ცხადი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი. წერილობით შესრულებული სამუშაო ყოველთვის უნდა აკისრებდეს მოსწავლეს რაიმე დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ხასიათის ამოცანის გადაწყვეტას და მექანიკურ ხასიათს არ ატარებდეს. დაბალ ჯგუფებში, უმთავრესად—მართლწერის თვალსაზრისით, ზოგჯერ მიმართავენ დაფიდან და წიგნიდან გადმოწერას — აქაც კი უნდა ქონდეს მოსწავლეს მიცემული ისეთი ხასიათის დავალება, რომელიც მისგან გონებრივ მუშაობას მოითხოვს.

ჩვეულებრივად ისეთი შეხედულებაა გავრცელებული, თითქოს წერითი მუშაობას მარტო ენისა და მათემატიკის მასწავლებელი უნდა მიმართავდეს. სინამდვილეში კი წერა და სხვადასხვა ხასიათის გრაფიკული მუშაობა, საგნის შინაარსის მიხედვით, ყველა დისციპლინის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს – ფიზიკოსმა, ბიოლოგმა, ისტორიკოსმა და ა. შ. წერითი სამუშაოს შესრულების დრო ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული. ეს საჭირო და შესაძლებელია — მით უდრო მაშინ, როდესაც მოსწავლეებს საგანგებოდ შესასრულებელი წერითი სავარჯიშო აქვთ მიცემული. საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს მოსწავლეთა დატვირთვა წერითი სამუშაოებით, რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლე კარგავს ინტერესს, იქანცება, ზერელეთ მუშაობს. ჩვენი მოსწავლეები საკმაოდ ბევრს წერენ, მით უმეტეს, როდესაც, ზოგჯერ სახელმძღვანელოს ნაკლებობის ..ან უქონლობის გამო, კონსპექტების წერა უხდებათ, მაგრამ არავითარი საბაბი არ გვაქვს ვთქვათ, რომ ბევრი წერით მუშაობის ხარისხი უმჯობესდება, მით უმეტეს, როცა წერენ ხელმძღვანელობის გარეშე — პირიქით.

შესრულების ადგილის მიხედვით წერითი სამუშაო ორგვარია: საკლასო და საშინაო. საკლასო სამუშაო უფრო ფართოდ დაბალ ჯგუფებში უნდა იქნას წარმოებული, რადგან მოსწავლის მუშაობა აქ უფრო მეტად საჭიროებს მასწავლებლისაგან უშუალო ხელმძღვანელობას. საკლასო წერითი სამუშაო უფროს ჯგუფებშიც წარმოებს, მაგრამ, ამასთან ერთად, აქ მეტი შესაძლებლობაა მოსწავლეებმა წერითი სამუშაო და სავარჯიშო უფრო ხშირად შინ შეასრულონ და საკლასო მუშაობის დრო ახალი საკითხების დამუშავებას მოანდომონ.

ორივე შემთხვევაში—ჯგუფში სრულდება წერითი სამუშაო თუ შინ,—მიღებული უნდა იქნას ზომები წერითი სამუშაოში ყოველგვარი შეცდომების ასარიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ წერითი სამუშაო მოსწავლეებთან წინასწარ უნდა დამუშავდეს, რომ მათთვის ის დასაძლევი გახდეს და შეცდომებს თავი დააღწიონ. შეცდომების არიდება — პროფილაქტიკა — მთავარია წერითი მუშაობის დაყენებაში. ყოველი შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რათა მოსწავლე წერის დროს სწორად აზროვნებდეს და სწორ აზრს გამართულ სიტყვიერ ფორმებში აყალიბებდეს. წერაში თავიდან ბოლომდე საღი შთაბეჭდილება, შეგნება და სწორი წარმოდგენა—ასეთი დებულების ნიადაგზე უნდა იქნას დაყენებული სკოლაში წერითი სამუშაო.

ის სიმძიმე და დიდი შრომა, რომელიც აწვება კეთილსინდისიერ მასწავლებელს მრავალი შეცდომით შესრულებული წერითი სამუშაოს გასწორების სახით, უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება გადატანილ იქნას წერამდე და თვით წერის დროს: ნაკლები დრო და ენერგია დაიხარჯება, მასწავლებლის მხრივ ნაკლები აღელვება იქნება, ხოლო სასარგებლო შედეგი გაციცებით უფრო მეტი. როდესაც მოსწავლეს, შეცდომებამდე მივიყვანთ და შემდეგ ამ შეცდომებს ვუსწორებთ, ეს იგივე იქნება, რომ ადამიანი შეგნებულად დაასნეულო და შემდეგ უწამლო. წერითი მუშაობის შესრულების დროს მოსწავლე, გარდა იმისა, რომ მასთან საკითხი წინასწარ არის დამუშავებული, დაუბრკოლებლად უნდა სარგებლობდეს მასწავლებლის რჩევით და დახმარებით, სარგებლობდეს აგრეთვე ცნობარებით და ყველა მისაწვდომი დამხმარე საშუალებით. ამ შემთხვევაში არც შინ შესასრულებელი წერითი სამუშაო შეადგენს გამონაკლისს, პირიქით—ის უფრო საფუძვლიანად უნდა იქნას წინასწარ განმარტებული და დამუშავებული, რადგან მასწავლებელი საშინაო წერითი მუშაობის შესრულების დროს მოს წავლეს ვეღარ უწევს უშუალო დახმარებას.

მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის, როდესაც ყოველგვარ წერითი სამუშაოს ინდივიდუალურად, მოფიქრებით, ყურადღებით და კარგად ასრულებს. მას კარგად უნდა ქონდეს გათვალისწინებული ის დიდი ზიანი, რომელსაც ის თავის თავს აყენებს, როდესაც წერითი სამუშაოს ზერელედ, დაუდევრად, უსუფთაოდ, ყურადღებისა და მონდომების გარეშე ასრულებს. მოსწავლე შეგნებულად უნდა ცდილობდეს ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი სწორად მოისაზროს და სწორად დაწეროს. წერითი მუშაობას ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ ვერ ხელმძღვა-

ნელობს. გადაჭარბებული არ იქნება თქმა, რომ მოსწავლეთა რვეულები ჩვენი სკოლის ყველაზე უფრო სუსტი მხარეა—სუსტია შინაარსი, სუსტია ენა, სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ძლიერ სუსტია დამწერლობა და წერითი ნამუშევარის გარეგანი მხარე. ასეთ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოვუღოთ ბოლო. სასწავლო მუშაობის მაღალი კულტურა მოსწავლეთა რვეულებშიც უნდა გამოჩნდეს: გამართული აზრი, გამართული სიტყვიერი გაფორმება, გარკვეული და ლამაზი დამწერლობა, სისუფთავე და სიფაქიზე—ეს უნდა დავამკვიდროთ მოსწავლეთა წერითი ნამუშევარში. კულტურული რვეული მოსწავლის შეგნებისა და პასუხისმგებლობის საგნად უნდა იქცეს. მოსწავლეთა ინდივიდუალური და კოლექტიური სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ობიექტად წერითი სამუშაოც უნდა იქცეს — მოფიქრებული, შინაარსიანი, წესიერი ენით, წესიერი დამწერლობით და სიფაქიზით შესრულებული. ჯგუფისა და მთელი სკოლის საზოგადოებრივი კონტროლი წერითი ნამუშევარზედაც უნდა გავრცელდეს ისე, როგორც მოსწავლის მთელს მეცადინეობასა და მის ქცევაზე. წერითი და გრაფიკული ნამუშევარი, როგორც სკოლის მუშაობის თვისების ერთერთი საუკეთესო მაჩვენებელი, დრო გამოშვებით გამოფენილი უნდა იქნას და მისაწვდომი გახდეს სკოლის გარეშე საზოგადოებრივობისათვისაც დასათვალიერებლად.

მაგრამ წერითი მუშაობაში შეცდომების ამარიდებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებანი მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ შეცდომების მოსპობას. ამიტომ მოსწავლეთა წერითი ნამუშევარის შემოწმების საკითხი და საჭიროება ერთი წუთითაც არ უნდა იქნას შენელებული და საეჭვოდ მიჩნეული. არავითარი სქოლასტიკური კამათი და დავა აქ საჭირო არ არის: მოსწავლის ყოველგვარი წერითი ნამუშევარი, საშინაოა ის თუ საკლასო, მასწავლებლის მიერ გულდასმით უნდა იქნას შემოწმებული და გასწორებული. წერითი ნამუშევარი გასწორებული და შეფასებული უნდა იქნას: აზრის სისწორის, სისრულის და ლოგიკური თანამიმდევრობის, აზრის გამოთქმის სიზუსტისა და ენობრივი წესიერების (გრამატიკა, ორთოგრაფია, სტილი, პუნქტუაცია), დამწერლობის და სიფაქიზის მხრივ. რვეულების შემოწმების და გასწორების საქმე ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ კოჭლობს. ისეთი შემთხვევებიც არის, რომ მასწავლებელმა არ იცის, რა და როგორ გაასწოროს. გარკვეულად უნდა აღვნიშნოთ, რომ წესიერი წერა ჯერ მასწავლებელმა უნდა იცოდეს—უამისოდ ის სხვას ვერ ასწავლის და ვერ გაუსწორებს. ეს კარგად უნდა დაიმახსოვნონ ჩვენმა პედაგოგიურმა სასწავლებლებმა,

რათა მომზადებული მასწავლებლები გამოუშვან. კარგად უნდა დაიმახსოვნონ მასწავლებლებმაც, რათა თავის თავზე სისტემატური მუშაობით გამოასწორონ თავიანთი მომზადების ნაკლი. ეს ყველა საგნის მასწავლებელს ეხება და არა მარტო ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

ხშირად დიდ საკითხად აქცევენ ხოლმე შეცდომების გასწორების წესს—შეცდომას ხაზი უნდა გაესვას თუ გადაიხაზოს, წითელი მელნით გასწორდეს თუ შავით.

კიდევ უნდა ვთქვათ—მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწორად დაყენებული მუშაობით შეცდომები თავიდან ავიცილოთ. როდესაც შეცდომები მაინც გვხდება, ისინი გადაიხაზოს და ზემოდ სწორად დაიწეროს. გასწორების ასეთი ხერხის გამოყენება საჭირო დაბალ ჯგუფებში (დაახლოვებით მე-6 ჯგუფამდე). გასწორების ასეთივე ხერხის გამოყენება მიუღებლად არც ზედა ჯგუფებში უნდა იქნას მიჩნეული—როდესაც საქმე გვაქვს გრამატიკულ და ორთოგრაფულ შეცდომასთან. როდესაც შეცდომა აზრის გამოთქმაშია დაშვებული ან არ არის მოცემული საჭირო თანამიმდევრობა და სისრულე, ასეთ შემთხვევებში შეცდომა გვერდით აღინიშნება—სწორი ან ტალღისებური ხაზით. ტიპიური შეცდომები მასწავლებელმა ცალკე უნდა დაინიშნოს—ამოიწეროს.

შეცდომის გადახაზვას და ზემოდან სწორად დაწერას ის აზრი აქვს, რომ მოსწავლემ ერთხელ კიდევ არ გაიმეოროს მცდარი შთაბეჭდილების მიღება, არამედ სწორად დაინახოს და სწორად წაიკითხოს. ეს საჭიროა, მაგრამ არ კმარა: სადაც კი მოსწავლის ასაკი და მომზადება ამის შესაძლებლობას იძლევა, შეცდომა ყოველთვის განმარტებული უნდა იქნას, მართებული წესი უნდა იქნას გამოყვანილი და შეცდომა შეგნებულად განიდევნოს, შეცდომას მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა უნდა დაუპირისპირდეს. ტიპიური შეცდომები მთელს ჯგუფთან უნდა დამუშავდეს სათანადო დასკვნების და წესების გამოტანით და მხოლოდ ამის შემდეგ იქნას მოსწავლეთა მიერ გასწორებული, ე. ი. სწორად ამოიწეროს შეცდომით დაწერილი ადგილები.

სწორი შთაბეჭდილების გაძლიერების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი იქნება მასწავლებლის მიერ წერითი ნამუშევარის გასწორება ფერადი მელნით—წითლით ან ლურჯით. კალიგრაფიული ხასიათის შეცდომებიც უნდა იქნას შემჩნეული და გასწორებუ-

ლი — მასწავლებელი კალიგრაფიის ნიმუშებს უეჭველად უნდა აძლევდეს რვეულში.

ენაში წერითი ჩვევების შესამუშავებლად საჭიროა შერჩეულ მასალაზე საგანგებო ხასიათის ვარჯიშობა და განმეორება, მაგრამ ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მექანიკური ხასიათი და არ იქცეს მომაბეზრებელ წრთვნად. მოსწავლეთა წერითი ნამუშევარი შეფასებული უნდა იქნას იმ ოთხი ხარისხის მიხედვით, რაც მიღებულია სკოლაში მოსწავლეთა მომზადების შესაფასებლად. შეფასება მოსწავლეს სტიმულს უნდა აძლევდეს, შემდგომი გაუმჯობესებისათვის უნდა აძლიერებდეს ინტერესს, ყურადღებას, პასუხისმგებლობას, შეგნებულ მუშაობას სწავლაში უფრო მაღალი ხარისხის მისაღწევად.

ყოველი ახალი წერითი ნამუშევარის გასწორების დროს, მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად აქვს მოსწავლეს შესრულებული წინა ნამუშევარის გასწორება.

ამის გარდა, მასწავლებელი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს, თუ როგორ იზრდება მოსწავლე, როგორ ფართოვდება მისი ცოდნა, როგორ იძენს წესიერ წერითი ჩვევებს, რამდენად შეგნებულად და ყურადღებით იყენებს წინა შეცდომებს და მათ გასწორებას საღი ცოდნისა და ჩვევების გაფართოვება—განსამტკიცებლად. ამ ზრდასა და გაუმჯობესებას უნდა ადასტურებდეს მოსწავლის ყოველი შემდგომი ნამუშევარი.

გრაფიკული მუშაობის ისეთი სახეები, როგორიცაა ხატვა, ხაზვა, დიაგრამებისა და სქემების შედგენა, კონტურიანი რუკების დამზადება და სხვ., სასწავლო საგანთა შინაარსთან შეფარდებით, გამოყენებული უნდა იქნას, როგორც ცოდნის დაკონკრეტების და განმტკიცების საშუალება. გრაფიკულად გამოსასახავად საგანგებოდ უნდა იქნას არჩეული უფრო მნიშვნელოვანი თემები და არ ექნეს ადგილი ხატვით და დიაგრამების კეთებით მოსწავლეთა დატვირთვას, რაც ახლა საკმაოდ გავრცელებულია.

წერითი და გრაფიკული ვარჯიშობისადმი მოსწავლის ინტერესის სიმტკიცე მუშაობის მაღალი თვისების პირობა არის, მხოლოდ თვით ინტერესის სიმტკიცე, სხვა პირობათა შორის, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ თავის შინაარსით რამდენად იტაცებს მოსწავლეს სამუშაო, რამდენად იპყრობს მის ყურადღებას, თუ რამდენად არის მოსწავლეთათვის მისაწვდომი შინაარსით და მოცულობით. მოსწავლე უნდა შევაჩვიოთ მოფიქრებულ, სუფთა და რიგიან წერას. ვინც მოფიქრებულად და ფაქიზად წერს, მას ჩვეულე-

ბრივად შინაარსიც უკეთესი აქვს. ჯობს მოკლე, მაგრამ მაღალი თვისების ნამუშევარი.

წერითი და გრაფიკული ვარჯიშობა, ცოდნა-ჩვევათა გარდა, აღზრდის სხვა მომენტებსაც იკავშირებს, მაგ., ჰიგიენურ ჩვევებს,— წერის დროს რომ წესიერად იჯდეს და წესიერად ხმარობდეს საწერ ნივთებს. ხშირად ასე არ არის: წელში სამჯერ დაგრეხილი, ცხვირით კინაღამ რვეულზე დაყრდნობილი და ენა გამოყოფილი მოსწავლე იშვიათი მოვლენა არ არის წერის გაკვეთილებზე. დავალებული წერითი და გრაფიკული სამუშაოს ყოველთვის თავის დროზე და ყოველმხრივად მაღალი თვისებით შესრულება ხელს შეუწყობს სისტემატური და შეგნებული მუშაობის ჩვევათა შემუშავებას და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების აღზრდა-განმტკიცებას.

წერითი მუშაობაც სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო ობიექტს წარმოადგენს: ვინ შეასრულებს სამუშაოს უკეთესი შინაარსით, გამართული ენით, სანიმუშო დამწერლობით და სანიმუშო სისუფთავით, ვინ აღმოუჩენს ჩამორჩენილ ამხანაგებს მეტ დახმარებას წერის გაუმჯობესებაში და სხვა.

გაძლიერებულ ხელმძღვანელობასთან ერთად, რათა წერითი მუშაობა მოსწავლეებს დასისტემებულ ცოდნა-ჩვევებს აძლევდეს და მეხსიერებაში ანმტკიცებდეს, მასწავლებელს წერითი და გრაფიკული მუშაობის დაყენებაში მოთხოვნის და კონტროლის სიმტკიცეც მართებს.

6. ექსკურსია სწავლებაში.

ექსკურსია (ლათ. ექსკურერე — ქართ. თავდასხმა) თვალსაჩინოება —დემონსტრაციის უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენს. ობიექტური სინამდვილის გაცნობა ისე, როგორიც ის თავის არსებობის ჩვეულებრივ პირობებში და ჩვეულებრივ პროცესში არის, სწავლებაში მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს. სულ სხვაა ოთახში მოტანილი საგანი (მცენარე, ცხოველი ან მათი მოდელი და სურათი) და თვით საგნის და მოვლენის დათვალიერება და გაცნობა ბუნებაში ან წარმოებაში. იმის გარდა, რომ მოსწავლეს გაცილებით უფრო მეტი და საღი მასალა ეძლევა სწორი დასკვნების და სწორი წარმოდგენის შემუშავებისათვის, როდესაც ის მოვლენებს მათი განვითარების ბუნებრივ პირობებში ეცნობა (მაგალითად, ცხოველთა მიმიკრია, მშრალამტანი მცენარე და მისი გარემო, ტყის შედგენილობა, მდინარის მოქმედება ნაპირებზე, ნიაღვარი და ხრამები, წარმოების სხვადასხვა პროცესი და ა. შ.)—ის კავშირს ამჩნევს მოვლენათა შორის,

უფრო მეტად ვარჯიშობს დაკვირვებაში და მოვლენების ყოველმხრივად და ყოველი გზით შეცნობაში. გამხმარი მცენარე და დასპირტული ცხოველი ძალაუნებურად უნდა გამოვიყენოთ იქ, სადაც სხვა გამოსავალი არ არის, მაგრამ სადაც კი შესაძლებელია, მოსწავლეს მოვლენა უნდა ვანახვოთ იქ, სადაც ეს მოვლენა მიმდინარეობს. ამიტომ ექსკურსიას სასწავლო მუშაობაში დიდი მნიშვნელობის შესაფარი ადგილი უნდა დაეთმოს.

ექსკურსია ჩვენი სკოლისათვის უცხო არ არის, მაგრამ მეთოდურად სწორად დაყენებული ექსკურსია ჯერ კიდევ არც ისე ხშირია. ბევრ შემთხვევაში, შემოდგომაზე და გაზაფხულზე, ექსკურსიის ნაცვლად, სკოლები არსებითად გასეირნებას აწყობენ—ბაღში, მინდორზე, ტყეში, მდინარეზე—და ექსკურსიას უწოდებენ. ეწყობა ექსკურსია საწარმოებშიც (ზოგჯერ მთელი ჯგუფის ექსკურსია დაწესებულებებშიაც კი მიემართება უბრალო სტატისტიკური ცნობების მისაღებად!). მაგრამ სარგებლობა ასეთი ექსკურსიებისაგან მაინცადამაინც დიდი არ არის.

პირველი ძირითადი მოთხოვნილება, რომელიც სკოლას და მასწავლებელს უნდა წავუყენოთ სწავლებაში ექსკურსიის სწორად გამოყენების მხრივ—ეს არის ზუსტი მიზნობრივობა და გეგმიანობა. ყველა მასწავლებელს, თავის საგნის სპეციფიკურობის მიხედვით (საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიულ-ლიტერატურული, საზოგადოებრივ-ეკონომიური და სხვა ექსკურსიები), თავის სამუშაო პროგრამაში უნდა ქონდეს გათვალისწინებული საგნის წლიური კურსის გავლის პროცესში ჩასატარებელი ექსკურსიების რაოდენობა და დანიშნულება. ექსკურსიების ცხრილი, ექსკურსიის ჩატარების დროის, ადგილის და მიზნის აღნიშვნით, წლიური თუ არა—მეოთხედის მაინც—ყველა სკოლაში უნდა იყოს შედგენილი. ეს უზრუნველყოფს საგნების მასწავლებელთა შორის საჭირო შეთანხმებას და ექსკურსიების სწორად დაყენებაში მეტ ორგანიზაციულობას. ექსკურსიის ცხრილი შეიძლება ცალკე შემთხვევებში დაირღვას (მაგ., ამინდის ან სხვა მიზეზის გამო), მაგრამ ძირითად ის სახელმძღვანელოდ უნდა იქნას მიჩნეული.

ექსკურსია ჩატარების დროისა და ადგილის მიხედვით შეიძლება იყოს ორგვარი: ახლობელი და შორეული. ახლობელი ექსკურსია უფრო ნორმალურ ადგილს დაიკერს სწავლების პროცესში. როდესაც საგნის პროგრამიდან საექსკურსიო მასალა მასწავლებელს არჩეული აქვს, საჭიროა მასწავლებლის მიერ ექსკურსიის ადგილის წინასწარი დათვალიერება, ექსკურსიაზე შესასწავლი ობიექტების

ვაცნობა, რათა ექსკურსიაზე უკვე ყოველმხრივად იყოს შეიარაღებული მოსწავლეთა ხელმძღვანელობისა და ცოდნის გადაცემისათვის. საექსკურსიოდ მომზადების დროს მასწავლებელი მიმართავს სათანადო ლიტერატურას და, საჭიროებისამებრ, სარგებლობს სპეციალისტების რჩევა-დახმარებით. როდესაც მასწავლებელი ადგილს არ იცნობს და შესასწავლი ობიექტი ექსკურსიაზე საძებარია ან ახლად გამოსაცნობი, მოსწავლეთა ყურადღება იფანტება, ინტერესი კლებულობს, წესრიგი ირღვევა, ადვილი შესაძლებელია მასწავლებელიც მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს და დროც უნაყოფოდ დაიკარგოს. ამიტომ ექსკურსიაზე გასვლის წინ მასწავლებელი საფუძვლიანად უნდა მოემზადოს ბუნებასა და წარმოებაში მოსწავლეებთან სრულიად გამართული სასწავლო მუშაობის ჩასატარებლად.

საექსკურსიო მუშაობის მეორე მნიშვნელოვანი მხარე არის მოსწავლეთა მომზადება ექსკურსიისათვის: მოსწავლეთათვის აშკარა უნდა იყოს ექსკურსიის მიზანი, მისი გეგმა. მოსწავლეთა მონაწილეობით უნდა შედგეს კითხვარი, მოსამზადებელი მუშაობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ექსკურსიაში მოსწავლეთა დაორგანიზებული და შეგნებული მონაწილეობა, განაწილებული უნდა იყოს მოვალეობანი და ყველა გრძნობდეს პასუხისმგებლობას დაკისრებული ფუნქციების ზუსტად შესრულებაში. ექსკურსია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აგრეთვე საექსკურსიო მასალის დაკვირვებისა და შეგროვებისათვის საჭირო ხელსაწყოებით. ამის გარდა, ყველა მოსწავლეს უნდა ქონდეს რვეულები და ფანქრები შენიშვნების ჩასაწერად და ჩასახატავად.

რადგან ექსკურსიას მეტი დრო უნდება, ვიდრე გაკვეთილს, და მას ყოველი ხელის წამოკვრაზე ვერ ჩავატარებთ, ამიტომ ზოგჯერ საჭირო ხდება ერთ ექსკურსიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მონათესავე საკითხის დამუშავება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს დიდი მოცულობის მასალისა და მრავალნაირი საკითხების აღებას. უპირატესობა, გასაგებია, იმას უნდა მიეცეს, როდესაც ექსკურსიაზე დასამუშავებლად ერთი გარკვეული თემაა არჩეული. მოსწავლეები ექსკურსიაზე ზუსტად მოხაზული ამოცანით უნდა მიდიოდენ, ზუსტად განსაზღვრული მასალის ფარგლებში მუშაობდენ. მასწავლებლისათვის ამ წესის დაცვა სავალდებულოა. წინაამღვდეგ შემთხვევაში, ბუნებაში იქნება თუ წარმოებაში, მოსწავლეთა ყურადღება გაიფანტება, ბევრ ახალ საკითხს წამოაყენებენ — რაც ფოთოლი, კენჭი და ხოჭო შეხვდებათ — ყველაფერს მასწავლებელს მოურბენინებენ და შეეკითხებიან. კარგადაც რომ იყოს მასწავლებელი მომზადებული და ყველაფერზე

განიზრახოს პასუხის გაცემა — მაშინაც კი ექსკურსიის მთავარი ამოცანა დაიჩრდილება და გადაუწყვეტელი დარჩება. გადამეტებული ლაპარაკი არსად არ ვარგა, მაგრამ ეს წესი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით უნდა იყოს დაცული ექსკურსიაზე — ფაქტები, მოვლენები უნდა მეტყველობდენ: მოსწავლეთა დაკვირვება, საუბარი, განმარტება და მითითებანი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის ინტერესის გაძლიერებას და, ამის საფუძველზე, მოვლენის უკეთ შეცნობას.

იმის მიხედვით, თუ რაგვარია ექსკურსიაზე შესასწავლი მასალა, ექსკურსია სამი სახისაა: **ხაორიენტაციო, დემონსტრაციული** და **კვლევითი.**

ხაორიენტაციო ექსკურსიასთან მაშინ გვექნება საქმე, როდესაც მოსწავლე ექსკურსიაზე პირველად იძენს ამა თუ იმ დარგში ცოდნის ელემენტებს (მაგ, მოსწავლე ექსკურსიაზე პირველად ეცნობა გეოგრაფიულ ფაქტებს, ფაბრიკას, მანქანას და ა. შ.).

დემონსტრაციული ხასიათის ექსკურსია მაშინ იქნება, როდესაც მოსწავლე ექსკურსიაზე ფაქტებით ადასტურებს იმ ცოდნას, რომელიც ექსკურსიამდე მიიღო: მაგალითად, გაკვეთილზე დამუშავდა საკითხი ქანების გამოქარვის შესახებ და შემდეგ ექსკურსიაზე ამის დამასაბუთებელი ნიმუშები დაათვალიერეს. დემონსტრაციული ხასიათის ექსკურსიას ზოგჯერ კიდევ ილუსტრატიულს უწოდებენ.

კვლევითი ხასიათის ექსკურსიაზე (ბუნებაში, წარმოებაში და სხვა) მოსწავლეები მოვლენებს აკვირდებიან, მასალას აგროვებენ, ეძებენ, არკვევენ და, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, დასკვნები გამოაქვთ. ვთქვათ — რამდენიმე ექსკურსია ჩატარდა ბაყაყის განვითარების სიკითხის გამოსარკვევად და მოსწავლეებმა შეაგროვეს მასალა თავაკომბალას განვითარების ძთავარი საფეხურების შესახებ — ქვირითიდან ბაყაყამდე. შეგროვილი და დამუშავებული მასალა გაუადვილებს დასკვნის. გამოტანას ბაყაყის გარდაქმნის შესახებ. საექსკურსიო კვლევითი ხასიათის ობიექტები შეიძლება არჩეული იქნას სხვადასხვა ტიპის საწარმოში. ასეთი კვლევითი ხასიათის ექსკურსიები უფრო მოზრდილ ჯგუფებთან იქნება მისაწვდომი. სხვადასხვა სახის ექსკურსიის გამოყენება — მოსწავლეთა ასაკთან, მათი მომზადების დონესთან და შესასწავლი მასალის ხასიათთან უნდა იქნას შეფარდებული. ყველა შემთხვევაში ექსკურსიაზე მოსწავლეები აკვირდებიან, არკვევენ დამოკიდებულებას მოვლენათა შორის, იძენენ დამოუკიდებელი დაკვირვების, მანძილზე, დროში, ბუნებაში და სოციალისტურ წარმოებაში ორიენტირობის ჩვევებს. ამით განისაზღვრება მასწავლებლის როლი ექსკურსიაზე: ის ცოდნას აძლევს

ცოცხალი ფაქტების უშუალოდ გაცნობის საფუძველზე, იწვევს და მიმართულებას აძლევს მოსწავლეთა ინტერესს, ხელმძღვანელობს მათ ვარჯიშობას დამოუკიდებელ დაკვირვება-კვლევაში და დასკვნების გამოტანაში.

ზოგჯერ ექსკურსიაზე საჭირო ხდება, რომ მოსწავლეებს განმარტებას აძლევს არა მასწავლებელი, არამედ სხვა, მაგ. საწარმოს სპეციალისტი. ასეთ შემთხვევებშიც აუცილებელია მასწავლებელმა წინასწარ გაიცნოს ზოგადათ წარმოება, გააცნოს ექსკურსიაში დამხმარე სპეციალისტს ექსკურსიის მიზანი, მოსწავლეთა მომზადება და ამგვარად სწორი მიმართულება მისცეს საუბარს და განმარტებას.

საექსკურსიო მასალის დამუშავების დასრულება ექსკურსიის ადგილზე იშვიათად ხდება. შეგროვილი ფაქტიური მასალა სისტემაში უნდა იქნას მოყვანილი და საფუძვლიანად დამუშავდეს ჯგუფში: აღდგენილი უნდა იქნას ექსკურსიის მნიშვნელოვანი მომენტები — მასწავლებლის და მოსწავლეების თხრობით, საუბრით, ბეჭდური მასალის გამოყენებით, ლაბორატორიაში მუშაობით, ჩაწერით და სხვა საშუალებით, მოსწავლეთა კუთვნილებათ უნდა იქცეს ის ცოდნა და ჩვევა, რომელნიც ექსკურსიის მიზანს შეადგენენ. ექსკურსიის ნივთიერი შედეგი შესაბამად გამოყენებული უნდა იქნას ცოცხალი კუთხისა და სასკოლო მუზეუმის შესავსებად.

მარქსისტულ-ლენინურ პრინციპზე სკოლის შენების გადაუდებელ ამოცანებთან დაკავშირებით, სხვა ღონისძიებათა შორის, განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებითი ხასიათის ექსკურსიებს ფაბრიკა ქარხნებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, ელექტრო-სადგურებზე. წარმოებითი ექსკურსიის ამოცანას შეადგენს წარმოებითი გარემოცვის ტექნიკური ბაზის, ტექნოლოგიური პროცესების, ეკონომიკის, სოციალისტური შრომის, წარმოების მეთოდებისა და ორგანიზაციის გაცნობა და, ამის საფუძველზე, მოსწავლეთა შეიარაღება ახალი ტექნიკური ცოდნით. ამის გარდა, სოციალისტური წარმოების სხვადასხვა დარგის ელემენტების ანალიზის საფუძველზე (ენერგეტიკა და მანქანები, სხვადასხვა მასალა და მისი დამუშავების პროცესები, გეგმიანობა, სოციალისტური შრომის ორგანიზაცია და მეთოდები) მოსწავლეებს გაუადვილებს წარმოებათა საერთო მეცნიერული პრინციპებისა და ინდუსტრიის საფუძვლების გაცნობას და შეთვისებას. სოციალისტური წარმოების გაცნობამ მოსწავლეთათვის აშკარა უნდა გახადოს გეგმიანობის, ტექნიკური რეკონსტრუქციისა და მთელი წარმოების მექანიზაციის ბორბლებზე გადაყვანის, მშრო-

შელთა შემოქმედებითი ენტუზიაზმის და შრომის სოციალისტური შეთოდების უდიდესი როლი და მნიშვნელობა სოციალიზმის აშენების საქმეში. წარმოების საფუძვლების გაცნობის პროცესში მოსწავლეთათვის აშკარა უნდა გახდეს წარმოებაში მეცნიერებათა უდიდესი როლი, კერძოდ,— ფიზიკის, ქიმიის, ტექნოლოგიის, მათემატიკის, თუნდაც ენის და, ამის საფუძველზე, მოსწავლეთა შეგნებაში სწორად და გარკვევით აისახოს მეცნიერებისა და ტექნიკის ურთიერთ დამოკიდებულება და მეცნიერებისა და სოციალისტური წარმოების კავშირი. მასწავლებლის თხრობიდან, საუბრიდან, წიგნებიდან და ლაბორატორული მუშაობიდან შეძენილი მეცნიერული ცოდნა კიდევ უფრო კონკრეტ და აქტიურ სახეს მიიღებს წარმოებაში, სადაც მეცნიერება შრომისა და ბრძოლის იარაღადაა გამოყენებული.

წარმოებითი ხასიათის ექსკურსიებმა ხელი უნდა შეუწყოს ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის ზრდას, ტექნიკის და სოციალისტური წარმოების დარგში აზროვნების განვითარებას, გამომგონებლობას, ტექნიკისა და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განმტკიცებას და საერთოდ ისეთი ინტერესისა და განწყობის შემუშავებას, რომელნიც საფუძვლად დაედებიან ყოველი მოსწავლის ინტენსიურ მუშაობას მეცნიერებათა საფუძვლების შესაძენად და პოლიტექნიკური განათლების მისაღებად.

ასეთი ამოცანების წინაშე წარმოებითი ხასიათის ექსკურსიების მიმართ კიდევ უფრო გაძლიერებული მოთხოვნილება უნდა იქნას წაყენებული გეგმიანობის, წინასწარი მომზადების, მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების დონესთან შეფარდების, ექსკურსიის შინაარსის, მისი შედეგების დამუშავების და საერთოდ მეთოდური საფუძვლების სიმტკიცის მხრივ.

წარმოებითი ხასიათის ექსკურსია შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს **საორგანიზაციო**, რომელიც ამოცანად ისახავს წარმოების ზოგადათ გაცნობას, და **თემატიური**, როდესაც ექსკურსიის ამოცანას უმთავრესად ერთი რომელიმე საკითხის შესწავლა შეადგენს, მაგალითად — წარმოების ტექნოლოგიური პროცესიდან, წარმოების ორგანიზაციიდან ან მისი ისტორიიდან და ა. შ.

წარმოებითი ექსკურსიების სწორად დაყენების საქმე მოითხოვს, რომ წარმოების სპეციალისტებისა და პედაგოგების მონაწილეობით დამუშავებულ იქნას სკოლების გარემოცვაში მოქმედ მნიშვნელოვან საწარმოთა პოლიტექნიკური პროფილი. სადაც მსხვილი სოციალისტური საწარმო საესკურსიოთ სკოლისათვის მისაწვდომი არ არის,

ის, ამავე მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას ყოველგვარი ობიექტი, სადაც კი ტექნიკის მაჯისცემა ისმის.

ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა შესწავლა მათ ცვლაში და დინამიკაში ზოგჯერ მოითხოვს ერთსა და იმავე ადგილზე ექსკურსიის რამოდენიმეჯერ ჩატარებას, რათა შესაძლებელი გახდეს მოვლენის განვითარების უმთავრესი ეტაპების უშუალოდ გაცნობა (მაგ, წარმოების პროცესი, ორგანიზმების განვითარება და სხვ.).

საპროგრამო მასალის თავისებურობის მიხედვით, ექსკურსია ყველა სეზონში ეწყობა. ბუნებაში საექსკურსიოთ ზამთარი ჩვეულებრივად გამორიცხულია—და ეს მაშინ, როდესაც ზამთარი მეტად საინტერესო მასალას იძლევა, მაგალითად, ბიოლოგიური ექსკურსიებისათვის.

შორეული ექსკურსიები, ხარჯებისა და ხანგრძლივობის გამო, სკოლებისათვის ყოველთვის არ არის მისაწვდომი, თუმცა ამ სახის ექსკურსიები, სწორად ჩატარების პირობებში, ცოდნისა და აღმზრდელობითი გავლენის მხრივ დიდი მნიშვნელობისანი არიან. ასეთი ექსკურსიების ჩასატარებლად სკოლას და მასწავლებელს კიდევ უფრო მეტი მომზადება და წინდახედულობა ესაჭიროებათ, რათა შორეულმა ექსკურსიამ თავისი დანიშნულება გაამართლოს და მოსწავლეებს მისცეს, რის მიცემაც შეუძლია.

აღნიშნულის გარდა, ექსკურსიები შეიცავს აღზრდის თვალსაზრისით მეტათ მნიშვნელოვან მომენტებს, რომლებიც მასწავლებლის მიერ ფართოთ უნდა იქნან გამოყენებული. ექვსკურსიებზე საკმაო ადგილი აქვს ემოციებს და მხატვრული აღზრდის ფაქტებს: სოციალისტური შრომით აღმართული სამეურნეო გიგანტები, მეცნიერებისა და ტექნიკის მომარჯვებული იარაღით ბუნების წინააღმდეგ ძლევამოსილი სოციალისტური შეტევა, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ გზაზე დაყენება, სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმული მასების სოციალისტური ენტუზიაზმი და სხვა მრავალი-ყველა ეს სოციალისტური განწყობისა და ემოციების გამოწვევა-გაძლიერების მდიდარი წყაროა, რომელსაც, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები ხარბად უნდა დაეწაფონ.

ამის გარდა, გეგმიანად და ორგანიზებულად ჩატარებული ექსკურსია მოსწავლეებს აჩვევს გეგმიანობას, მუშაობაში სიზუსტეს, რიგიანობას, პასუხისმგებლობას მოვალეობის შესრულებაში, უნვითარებს კოლექტივიზმს, ორიენტირობის, დაკვირვებისა და კვლევის უნარს. ექსკურსია ბევრ საბაბს იძლევა მოსწავლეებში ურთიერთის მიმართ

კომუნისტური მოპყრობისა და თავაზიანობის შესამუშავებლად, რაც უეჭველად მნიშვნელოვანია და რაც ყურადღების გამახვილებას მოითხოვს. მაგრამ ექსკურსია ჩხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას, როდესაც მას მასწავლებელი მთლიანად დაეპატრონება, როგორც სასწავლო მუშაობის ერთ-ერთ საიმედო სახეს.

7. კვლევითი მუშაობა სკოლაში.

როგორც არა-ერთხელ აღვნიშნეთ, საბჭოთა სკოლაში გამოსადეგი მეთოდის პედაგოგიური ღირებულება იმით განისაზღვრება, თუ რამდენად უწყობს ის ხელს სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა აღზრდას. სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეს კი ესაჭიროება: მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მეცნიერული ცოდნით და ახალი ტექნიკით შეიარაღება, რევოლუციონური თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის ერთიანობის განხორციელება, დამოუკიდებელი მუშაობის და ცოდნის ძიება-შეძენის უნარი, ურყევი ნებისყოფა, მუშაობაში სიზუსტე, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, კოლექტივის ინტერესებით გამსჭვალვა და პასუხისმგებლობის შეგნება, ორგანიზატორული უნარი, გეგმიანობა და ა. შ. ამ თვისებათა შემუშავება აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია. მოსწავლე პატარაობიდან და სკოლაშივე უნდა იძენდეს საჭირო ცოდნა-ჩვევებს და სისტემატურად ვარჯიშობდეს აღზრდის მიზნების თვალსაზრისით შერჩეულ თვისებათა განვითარებაში. კერძოდ-შეეჩერდეთ დამოუკიდებელი მუშაობისა და დამოუკიდებელი ნაყოფიერი კვლევა-ძიების ინტერესსა და უნარზე, რაც ადამიანის ცნობიერების გაფართოების ძირითადი პირობაა.

ცოდნის შეძენის პროცესის მიმართ მოსწავლის მხრივ შეიძლება ორგვარი დამოკიდებულება იყოს: ერთ შემთხვევაში შეიძლება მოსწავლე მხოლოდ იმას ითვისებდეს და იმახსოვნებდეს, რასაც მასწავლებელი სრულიად გამზადებულად აწვდის და თითონ კი არავითარ მონაწილეობას არ იღებდეს საკითხის გამოკვლევაში და ცოდნის აქტიურად შეძენაში. ამგვარი მუშაობით შესაძლებელია მოსწავლემ ცოდნის საკმაო დიდი ჯამი მიიღოს, ცოდნით „აივსოს", მაგრამ ეს ცოდნა კიდევ არ იქნება ნამდვილი ცოდნა, არ იქნება სრული და მტკიცე. ამავე დროს მოსწავლეს არ ექნება ძიების უნარი.

მეორე შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლე, წინად შეძენილი ცოდნის საფუძველზე და მასწავლებლის სისტემატური ხელმძღვანელობით, ცოდნის ძიებაში ჩ მის შეთვისებაში მომქმედი იყოს, ინიციატივას იჩენდეს, ეძებდეს, მასალას აგროვებდეს, ამუშავებდეს, აზროვნო-

ბდეს, მიღებულ ცოდნას პრაქტიკას უკავშირებდეს, ე. ი. ვარჯიშობდეს იმ თვისებათა განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია სოციალიზმის მებრძოლისთვის. ასეთი იქნება სწავლაში კვლევითი მუშაობის გზა.

ცოდნის შეძენის ამ გზების შეფასებაში ორ უკიდურესობას ვხვდებით: ერთი უკიდურესობა სრულებით უარყოფს მოსწავლისათვის გამზადებული ცოდნის მოწოდებას მოსწავლის მთლიანი დაძოუკიდებელი კვლევითი მუშაობის სასარგებლოდ. მეორე კი, პირიქით, ისევე მთლიანად უარყოფს მოსწავლის ყოველგვარ კვლევითი მუშაობას ცოდნის „გადაღეჭილად" მიღების სასარგებლოდ. ორივე უკიდურესობა და შეცდომაა.

ც. კ. 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილება მასწავლებელს ავალებს „სისტემატურად და თანამიმდევრობით გადასცეს მოსწავლეებს ის დისციპლინა, რომელსაც ის ასწავლის". კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნათა სიმდიდრეს მოსწავლე მასწავლებლისაგან და მასწავლებლის ხელმძღვანელობით იძენს. მოწაფემ ყველაფერი რომ თავიდან გამოიკვლიოს და ხელახლა აკეთოს, თითქოს კაცობრიობას არაფერი გაეკეთებინოს — უაზრობა იქნებოდა, თუ მეტი არა. მასწავლებელი ცოდნას აწვდის, მაგრამ ეს არაა დოგმატიკა და სქოლასტიკა, რადგან ცოდნა მეცნიერულია, მისი შინაარსი და დანიშნულება მოსწავლეს ესმის, ცოდნას შეგნებულად, ინტერესით და მონდომებით იძენს და იყენებს.

ც. კ. იგივე დადგენილება მიუთითებს მასწავლებელს ყოველნაირად შეაჩვიოს ბავშვები მუშაობას სახელმძღვანელოებზე, წიგნზე. შეაჩვიოს სხვადასხვა დამოუკიდებელ წერითი მუშაობას, შეაჩვიოს მუშაობას კაბინეტში, ლაბორატორიაში, სასწავლო სახელოსნოში, ე. ი. შეაჩვიოს ბავშვები დამოუკიდებელ მუშაობას. დირექტივა ლესავით ცხადია. ბავშვი სიარულს ვერ შეეჩვევა ვარჯიშობის გარეშე — სიარულში მაგრდება. ფეხები, ვითარდება მოძრაობის კოორდინაცია და ორიენტაცია სივრცეში, მტკიცდება გამბედაობა და ა. შ. დამოუკიდებელი მუშაობისა და ცოდნის ძიება — შეძენის ინტერესი და უნარიც, რაც, მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, ვარჯიშობის და განვითარების შედეგია. მოსწავლის კვლევა-ძიებითი და დამოუკიდებელი მუშაობა საშუალებაა, რომლითაც უნდა უზრუნველვყოთ შეძენილი ცოდნის მაღალი თვისება და სიმტკიცე და კვლევისა და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა—უნარის აღზრდა. როგორც საშუალება, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანი, ის არასოდეს მიზნად არ უნდა იქცეს და არ გაბატონდეს, არ დაჩრდილოს სწავლისა და აღზრდის

ნამდვილი მიზანი, რომელსაც ექვემდებარება ყოველგვარი საშუალება.

„პირადი ძალღონით მოპოებული სრული გადაწყვეტა პრობლემისა კიდევ უფრო მეტ კმაყოფილებას იძლევა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო ძლიერად აღიბეჭდება გონებაში და იმუშავებს დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევას, რაც ზედმეტად ხდის სხვისი ხელიდან და კერძო დახმარებით გამზადებული ცოდნის მიღების მისწრაფებას“—ასე ახასიათებს **კილპატრი კი** მოსწავლის დამოუკიდებელ-კვლევითი მუშაობის ღირებულებას. კილპატრიკს არ დაევთანხმებით სასკოლო კვლევითი მუშაობის გაგებაში და არც იმაში, თითქოს კვლევითი მუშაობის საუკეთესოდ წარმოების გზა „პროექტებზე“ საქმიანობა იყოს,—დავეთანხმებით მხოლოდ იმაში, რომ პედაგოგიურად სწორად დაყენებულ სასკოლო მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის საქმეში,—დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც მოსწავლე, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ცოდნას იძენს ბუნებაში, წარმოებაში, ლაბორატორიაში, სახელოსნოში, სკოლის მეურნეობაში, მუზეუმებში, როდესაც აკვირდება, მასალას აგროვებს, ცდებს აყენებს, ეძებს, ადარებს, აზროვნობს, დასკვნები გამოაქვს, შეძენილი ცოდნის ჰეშმარიტებაში პრაქტიკის საფუძველზე რწმუნდება. ასეთი მუშაობის გზით რიცხვობრივად და თვისობრივად იზრდება ცოდნა, იზრდება კლევისა და ახალი ცოდნის ძიება-შეთვისების ინტერესი და უნარი.

როგორც ზემოდ აღნიშნეთ, სკოლაში კვლევითი მუშაობის ელემენტების საკითხი ბურჟუაზიულმა პედაგოგიკამ ჯერ კიდევ **ბეკონ-ვერულამელის** დროიდან დააყენა. მოსწავლის კვლევა ბურჟუაზიულ სკოლაში ფორმალური ხასიათისაა-კვლევა-კვლევისათვის-ან ვიწრო პრაქტიციზმს, „დოლარის შემქნელი“ ადამიანის აღზრდის ამოცანებს ემსახურება. ორივე შემთხვევაში მას ბურჟუაზიული კლასობრივობა უდევს საფუძვლად. კვლევითი მუშაობა, ბურჟუაზიული გაგებით, ინდუქციის ვიწრო გზას მიყვება.

სულ სხვა თვალსაზრისით აფასებს კვლევითი მუშაობას ჩვენი პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც დიალექტიკური ლოგიკის ნიადაგზე დგას-ლოგიკის, რომელიც სინთეზისა და ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის ერთიანობას აღიარებს. „ინდუქცია და დიდუქცია ისეთივე აუცილებლობის სახით არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, როგორც სინთეზი და ანალიზი. იმის ნაცვლად, რომ ერთი მათგანი ცამდე ავიყვანოთ მეორის ხარჯზე, ჯობს თითოეული მათგანი თავის ადგილზე გამოვიყენოთ, ამას კი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც მხედველობაში გვექნება მათი კავშირი, რომ ისინი ურთიერთის დამატებას წარმოადგენდენ“ — წერს ენგელსი. ან კიდევ: ... „განვი-

თარების თეორიის წარმატების გამო, ორგანიზმების მთელი კლასიფიკაცია ჩამოერთვა ინდუქციას და დედუქციაზე—წარმოშობის შესახებ მოძღვრებაზე—იქნა დაყვანილი, რომელიმე სახე პირდაპირ დედუქტირებული ხდება, წარმოშობის გზით მეორე სახიდან გამოიყვანება, განვითარების თეორიის დამტკიცება მარტივი ინდუქციის დახმარებით შეუძლებელია, რადგან ის მთლიანად ანტიინდუქტიურია. ინდუქციის მიხედვით ცნებანი იყოფიან-სახე, გვარი, კლასი; განვითარების თეორიით კი ისინი დენადი, მაშასადამე—მიმართებითი გახდენ, ხოლო მიმართებითი ცნებანი ინდუქციას არ ემორჩილებიან". ლენინიც გარკვეულ მითითებას იძლევა იმავე საკითხზე, როდესაც აღიარებს „ანალიზისა და სინთეზის შეერთებას". „ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში და ცალკეულის გზით. ყოველი ცალკეული (ასეა თუ ისე) ზოგადი არის. ყოველი ზოგადი ცალკეულის (ნაწილაკი, მხარე ან არსი) არის. ყოველი ზოგადი მხოლოდ მიახლოვებით იტევს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში. ყოველი ცალკეული ათასი გზით უკავშირდება მეორე გვარის ცალკეულებს", — წერს ლენინი და კვლევის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გზას გვაძლევს.

ჩვენი პოლიტექნიკური სკოლა, მოსწავლეთა ასაკთან და მომზადებასთან შეფარდებით, მოსწავლეთა კვლევის დაყენებაში ამ გზას უნდა დაადგეს, უნდა გამოიყენოს აზროვნების მრავალნაირი ფორმა —სინთეზი და ანალიზი, ინდუქცია და დედუქცია. აზროვნების ამ ფორმებს ემყარება მასწავლებელი, როდესაც მოსწავლეებს დალაგებულად გადასცემს ცოდნას, აზროვნების იმავე ფორმებზე აყენებს და ავარჯიშებს მოსწავლეებს, როდესაც მათ ხელმძღვანელობს დამოუკიდებელ კვლევაში და დასკვნების გამოტანაში.

ვინც უარყოფს მოსწავლეთა კვლევითი მუშაობას, ამ უარყოფას ასე ასაბუთებს: ნამდვილი კვლევითი მუშაობა მეცნიერთა საქმეა. მეცნიერი ჯერ კიდევ გამოურკვეველ საკითხს იკვლევს, თითონ აყენებს პრობლემას და თითონვე სახავს მისი გადაწყვეტის გზებს. მოსწავლე კი უკვე გამოკვლეულს და ყველასათვის ცნობილს ხელახლა იკვლევს, საქმეს იძნელებს და დროსაც კარგავსო.

მართალია, სასკოლო კვლევასა და ნამდვილი მეცნიერული კვლევის შორის დიდი განსხვავებაა, მოსწავლე ახალს არაფეს არ იკვლევს (ახალი მხოლოდ მისთვისაა), კვლევითი მუშაობას დროც მეტი უნდა, ვიდრე მზამზარეული ცოდნის მოსმენას და შეთვისებას, მაგრამ კვლევითი მუშაობა სკოლაში ის საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს ინიციატივის მქონე ადამიანის აღზრდას, უზრუნველყოფს

მეცნიერებათა საფუძვლების მაღალ თვისებას და ცოდნის შეძენისა და გამოყენების ჩვევა—უნარის შემუშავებას. ამიტომ კვლევითი მუშაობას სკოლაში მნიშვნელობის შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს.

პოლიტექნიკურ სკოლაში კვლევა სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს უნდა უკავშირდებოდეს. მიღებული ცოდნა შეფასებული უნდა იქნას სოციალისტურ მშენებლობაში გამოყენების თვალსაზრისით. ვთქვათ, მოსწავლეებმა შეისწავლეს თესლის გადარჩევის ტექნიკა და ლაბორატორული მუშაობით გამოიკვლიეს მისი აღმოცენების უნარიანობა. თუ აქ დაისვა წერტილი და ამით ამოიწურა კვლევა, მაშინ ბურჟუაზიულ ფორმალიზმს ვერ გაუშორდებით: საჭიროა თესლის გადარჩევა და აღმოცენების უნარიანობა მოსწავლეებმა გასჭერიტონ სოციალისტური მინდვრების მოსავლის გადიდების, კოლმეურნეთა—შეძლებულებად გადაქცევის, პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერების თვალსაზრისით და ა. შ. და ყოველივე ეს არა მარტო ცოდნად უნდა დარჩეს მოსწავლეთა თავში, არამედ ყოველმა მოსწავლემ გამოკვლევისა და შესწავლის შედეგი პრაქტიკულ საქმედ უნდა აქციოს სკოლის ნაკვეთზე, კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში. ანდა კიდევ: ლაბორატორიაში გამოიკვლიეს და შეისწავლეს ელექტრობის მოვლენები, ელექტრობის სხვადასხვა თვისება. თუ მუშაობა ოთახის კედლებს არ გაშორდა—შედეგი ძლიერ უმნიშვნელო იქნება. ლაბორატორიიდან ძაფი უნდა გადავიდეს ელექტროფიკაციის ამოცანებზე, ელექტროფიკაციის ბუნებრივ რესურსებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებაზე და ა. შ. ამგვარად, სასკოლო კვლევითი მუშაობის პატარა ბილიკებიც გაშლილი სოციალისტური შეტევის ფართო ფრონტისაკენ უნდა იყოს მიმართული. ცალკეული ცდიდან და ცალკეული ფაქტიდან ზოგადი კანონებისაკენ, აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და შემდეგ პრაქტიკისაკენ, როგორც ცოდნის სისწორისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმისაკენ—ლენინის მიერ მითითებული ამ გზით უნდა წავიდეს სასკოლო კვლევითი მუშაობაც. ამის გარეშე კვლევითი მუშაობა საბჭოთა სკოლაში არ იქნება მომარჯვებული, როგორც კომუნისტური აღზრდის საშუალება და ხელს ვერ შეუწყობს სოციალიზმის მშენებლობის ყოველმხრივად განვითარებულ მონაწილეთა აღზრდას.

პედაგოგიურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით, რომ კვლევითი მუშაობას უპირისპირებენ თვალსაჩინოება—დემონსტრაციას, ლაბორატორულ მუშაობას, ექსკურსიას. ჩვენის აზრით ასეთი დაპირისპირება არ არის სწორი. მართლაც და: კვლევითი მუშაობა სკოლაში ჩვენ განსაზღვრეთ, როგორც მოწაფეთა აქტიური მონაწილეობა

ცოდნის შეძენაში—მასალის შეკრების, დაკვირვების, ცდების, ანალიზის, დასკვნების გამოტანის და პრაქტიკასთან დაკავშირების გზით. ასეთ მონაწილეობას, მოსწავლის ასაკის, მომზადების და შესასწავლი საკითხის შინაარსის მიხედვით, ადგილი უნდა ქონდეს ლაბორატორულ მუშაობაში, ექსკურსიაზე, საუბარში, თვალსაჩინოება—დემონსტრაციის დროს. ამ გარემოებას ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ სასწავლო მუშაობის ყველა მნიშვნელოვანი მეთოდის დახასიათებაში (თვალსაჩინოება—დემონსტრაცია, თხრობა, ლაბორატორული მუშაობა, ექსკურსია და ა. შ.). დემონსტრაციის დროს, ექსკურსიაზე ან ლაბორატორულ მუშაობაში შესაძლებელია მასწავლებელმა ყველაფერი თითონ უთხრას, დასკვნები თითონ მიაწოდოს, შემდეგ უჩვენოს და მოსწავლეებს გაამეორებინოს და გააკეთებინოს. ამ შემთხვევაში დემონსტრაცია, ექსკურსია და ლაბარატორული მუშაობა ილუსტრაციული ხასიათის იქნება—იმას ადასტურებს და ამტკიცებს, რაც მასწავლებელი მზამზარეულად აწოდებს. მაგრამ იმავე დემონსტრაციაზე, ექსკურსიაზე და ლაბორატორულ მუშაობაში შესაძლებელია და საჭიროც არის მასწავლებელმა გეგმიანად, წინასწარ მიწოდებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, მოსწავლეებს უხელმძღვანელოს საკითხების დაყენებაში, ფაქტების შეგროვებაში, დამუშავებაში და მართებული დასკვნის გამოტანაში. აქ უკვე დემონსტრაცია, ექსკურსია და ლაბარატორული მუშაობა კვლევითი ხასიათს მიიღებს. ასე რომ სასკოლო კვლევის განხორციელება სასწავლო მუშაობის ჩვეულებრივ ფორმებში უნდა განხორციელდეს და არა ისე, რომ მისთვის რაღაც კიდევ განცალკევებული ფორმები ვეძიოთ.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ვთქვათ, საზოგადოებათმეცნიერების გაკვეთილზე კოლექტივიზაციის საკითხს ვარჩევთ და, როგორც თვალსაჩინო—სადემონსტრაციო მასალას, ვიყენებთ მხატვრების— ჯაფარიძის და მაისაშვილის სურათებს: **„ტრაქტორის შეხვედრა“** ტ **„ვინ ვის“**. პირველ სურათზე ვხედავთ — მიმავალ ტრაქტორს გაშმაგებით მისდევენ უღელში შებმული ხარები. სურათზე განსახებულია ინდივიდუალური და კოლექტიური წარმოების ფორმათა წინააღმდეგობა და ძველი სოფლის—ახალი ცხოვრებისაკენ ღონიერი დაძვრის პროცესი. მეორე სურათზე ტრაქტორი და გუთნეული შეჯიბრებულან. ტრაქტორი ძლევამოსილად და შეუჩერებლივ მიიწევს წინ და მის მბარეზე კოლმეურნეთა ჯგუფი დგას, ხოლო გუთნეულის მხარე—კულაკები და ერთი მათგანი სცემს აპაურებდაწყვეტილ და ყალყზე შემდგარ ხარს.

შესაძლებელია მასწავლებელმა გაკვეთილზე თითონ მოუთხროს კოლექტივიზაციაზე, კლასობრივ ბრძოლაზე სოფლად, ახალ ტექნიკაზე და მის უპირატესობაზე, ერთპიროვნულ ღარიბ და საშუალო მეურნეებზე, როგორც ხვალინდელ კოლმეურნეებზე, სოციალისტურ სოფელზე და ამასთანავე უჩვენოს სურათები და უთხრას—ესა და ესაა დახატული, დაიმახსოვნეთ და შემდეგ მიპასუხეთო. აქ მოსწავლეები მხოლოდ უსმენენ, ათვალიერებენ და ისე ითვისებენ. მაგრამ უმჯობესია მასწავლებელმა ამ მასალის დამუშავებაში მეორე გზა აირჩიოს: გამოიყენოს ის ცოცხალი ფაქტები, რომლებიც გასარჩევი საკითხის ირგვლივ მოსწავლეებს აქვთ პირადი დაკვირვებიდან, გამოცდილებიდან, წაკითხულიდან, გაგონილიდან,—მოუწოდოს მოსწავლეებს ჩაუკვირდენ სურათების შინარსს, ჩასწვდენ მის დედა აზრს, შეადარონ სინამდვილიდან ამოღებულ ფაქტებს და გამოიტანონ დასკვნები. ამ შემთხვევაში კვლევითი ხასიათის თვალსაჩინოება—დემონსტრაცია გვეძნება საუბართან დაკავშირებით.

ავიღოთ გეოგრაფიის გაკვეთილი. საკითხი — პირველი ორიენტაცია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ რუკაზე. აქაც შეიძლება გაკვეთილმა დოგმატური ხასიათი მიიღოს—სასწავლებელმა უთხრას საბჭოთა კავშირის გიგანტურ ეკონომიურ ზრდაზე და უჩვენოს რუკაზე, სად რა არის. მაგრამ საკითხის განსახილველად განვითარების პროცესში, დინამიკაში—მასწავლებელი მეორე გზას არჩევს: აიღებს მეფის რუსეთის ეკონომიურ რუკას და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ რუკებს (ხვადასხვა დროის), მიმართულებას მისცემს მოსწავლეთა ყურადღებას, რას დააკვირდენ რუკებზე: მეფის რუსეთის ეკონომიური სისუსტე — რუკის მიხედვით, მრეწველობის კონცენტრაცია რამდენიმე ცენტრში, განაპირა და „ინოროდცების“ ქვეყნების სიცარიელე“, ხელუხლებელი ველები, ტუნდრები და ტაიგები—ეს მეფის რუსეთის ეკ. ცხოვრების დამახასიათებელია და პირიქით; სოციალიზმის მშენებლობის ქვეყნის ეკ. რუკა ყოველწლიურად ივსება მრეწველობის ახალი გიგანტებით; წინად ხელუხლებელი ადგილები დაბზარულია მაღაროებით და ჭაბურღილებით; წინედ გაუვალ უდაბნოებსა და ველებს რკინის გზები სერავს და სოციალისტური წარმოება იზრდება, განაპირა ქვეყნები იქსელება ფაბრიკებით, ქარხნებით, ინტენსიური სოფლის მეურნეობის დარგებით, ელექტროსადგურებით; წინად ადამიანის წარმოდგენაშიც კი უცვლელ და უძრავ ტუნდრებში ალმართულა სოციალისტური წარმოება, ნავთსადგურები, გაწოლილა რკინის გზები და არხები და ა. შ. მოსწავლეები ადარებენ და უდიდეს განსხვავებას ხედავენ მეურ-

ნეობის დარგებში, მათი განვითარების ტენდენციებსა და მათ სიძლიერეში, მათ ტერიტორიალურად გაწესრიგებაში, ეძებენ და ააშკარავებენ განსხვავების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საფუძველს და გამოაქვთ დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ ცვლის პროლეტარიატის დიქტატურა ქვეყნის ეკონომიკას, ფეოგრაფიულ ელემენტებს და გეოგრაფიულ ტერიტორიას. ასეთი ხასიათის მუშაობა საკმაოდ შეიცავს კვლევის ელემენტებს, რაც მოსწავლეთა ინტერესს და აზროვნებას ფართო გასაქანს მისცემს.

კვლევის ელემენტების კიდევ უფრო გაძლიერება შეიძლება და აუცილებელიცაა ლაბარატორულ მუშაობაში, ექსკურსიაზე. ცდების დემონსტრაციის დროს, როდესაც მოსწავლე უშუალოდ დგას ნოვლენათა და ფაქტების წინაშე, აკვირდება, ცდებს აყენებს, მასალას აგროვებს, ამუშავებს, აბამს კავშირს სხვა მოვლენასთან და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, გამოაქვს დასკვნები. ასეთ პირობებში დანაშაულიც კი იქნება მასწავლებელმა მოსწავლის აზროვნება და მოქმედება არ დააყენოს დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის გზაზე და ფხიზელი ხელმძღვანელობით არ უზრუნველყოს მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერება, ცოდნის სიმტკიცისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარის ზრდა.

მოსწავლეთა კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა მასწავლებელს განსაკუთრებულად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. საკვლევი საკითხის სწორად არჩევა—მოსწავლეთა ასაკის, საკითხის შინაარსის და სასწავლო მოწყობილობის პირობების მიხედვით, სასწავლო დროის მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენება ისე, რომ არც ერთი წუთი უნაყოფოდ არ დაიკარგოს; სასწავლო მოწყობილობით და დასამუშავებელი მასალით გონიერულად სარგებლობა; მოსწავლეთა წინაშე შესასწავლი საკითხების ცხადათ დაყენება, ინტერესის გამოწვევა; მოსწავლის აზროვნებისა და მოქმედების მიმართვა დასახული მიზნისაკენ; ყოველი სიძნელის შემთხვევაში მათთვის დახმარების აღმოჩენა და მართებულ დასკვნამდე მიყვანა—ასეთი მუშაობა მასწავლებლისაგან გაცილებით უფრო მეტ მომზადებას და უნარს მოითხოვს, ვიდრე ცოდნის გადაცემა თუნდაც საუკეთესოდ ჩატარებული თხრობით, საუბრით და ა. შ. სამაგიეროდ სწორად დაყენებული კვლევითი მუშაობის სასწავლო შედეგიც გაცილებით უფრო მაღალ ხარისხოვანი იქნება.

არის შემთხვევები, როდესაც დამახინჯებულად ესმით დირექტივი იმის შესახებ, რომ მასწავლებელი სისტემატურად და თანამიმდევრობით უნდა გადასცემდეს მოსწავლეებს ცოდნას იმ დისციპ-

ლენინიდან, რომელსაც ასწავლის: ასე ჰგონიათ, თუ ცოდნის გადაცემაა, მაშასადამე მასწავლებელი ყველგან და ყოველთვის მხოლოდ უნდა მოუთხრობდეს — სულ თითონ ლაპარაკობდეს. მასწავლებელი სწავლებაში სხვადასხვა მეთოდს და ხერხს იყენებს. ყველა შესაძლო და პედაგოგიურად ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობს მოსწავლეთა თვითმოქმედებისა და კეთილსინდისიერ მუშაობის გაძლიერებას და ყველა ღონისძიებას მიმართავს იქითკენ, რომ მოსწავლეს მისცეს დასისტემებული მეცნიერული ცოდნა, მაგრამ ამასთანავე მისცეს მეცნიერული ცოდნის ძიება-შეძენის და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში გამოყენების ძლიერი უნარიც.

V. სწავლებისა და საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომის დაკავშირება.

„ჰეშმარიტება, როგორც პროცესი, თავის განვითარებაში სამ საფეხურს გაივლის: 1. ცხოვრება, 2. შემეცნების პროცესი ადამიანის პრაქტიკისა და ტექნიკის ჩართვით, 3. აბსოლუტური იდეების (ე. ი. სრული ჰეშმარიტების) საფეხური“ — ამბობს ლენინი. პრაქტიკას მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკა შემეცნების პროცესის ელემენტად, მის განუყრელ საფეხურად აღიარებს. პრაქტიკა მეცნიერული ცოდნის კრიტერიუმია, რადგან ის ამტკიცებს „ჩვენს წარმოდგენათა შესატყვისობას იმ ნივთთა ობიექტურ ბუნებასთან, რომელთაც ჩვენ ვითვისებთ“ (ლენინი) და არა იმიტომ, რომ პრაქტიკა განსაზღვრულ დროში ხელსაყრელია ვისმესთვის ცალკე შემთხვევებში. პრაქტიკის გარეშე არ არის გარემომცველი ბუნებისა და ცხოვრების შემეცნება და გარდაქმნა. ნამდვილი მეცნიერული ცოდნა, მოვლენათა სწორი შემეცნება თეორიისა და პრაქტიკის დიალექტიკურ ერთიანობას ემყარება. სწავლებაში ჩვენ დაინტერესებული ვართ მოსწავლეთა შეიარაღებით მეცნიერებათა საფუძვლებით, სინამდვილის სწორი შემეცნებით. ამიტომ სწავლების მეთოდში განხორციელებული უნდა იყოს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა — ამის გარეშე ვერ უზრუნველყოფთ მოვლენათა სწორ შემეცნებას და მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისებას. ბურჟუაზიულმა სკოლამ იცის ბურჟუაზიული აღზრდის მიზნების თვალსაზრისით გაგებული და გამოსაყენებელი ცალკე შრომითი მეთოდი. საბჭოთა პედაგოგიკაც ლაპარაკობდა ცალკე შრომითი მეთოდზე, კერძოდ — საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის მეთოდზე. მაგრამ შრომის მეთოდის ცალკე მეთოდათ მიჩნევა და გამოყოფა იმას ნიშნავს, თითქოს შეიძლება იყოს სხვა მისაღები მეთოდი — შრო-

მისა დი რევოლუციონური პრაქტიკის ერთიანობის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერულ შემეცნებას. როგორც ვთქვით, ასეთი არ არის. ამიტომ ცალკე შრომითი და პრაქტიკული მეთოდის შემოღების საკითხის დასმა შეცდომა იქნება.

რევოლუციონური პრაქტიკასა და რევოლუციონური თეორიის დიალექტიკური ერთიანობა უნდა მოვთხოვოთ პოლიტექნიკურ სკოლაში გამოსაყენებელ სწავლების ყველა მეთოდს. შრომა და პრაქტიკა, გამოყენებული როგორც სწავლა-აღზრდის აუცილებელი ელემენტი, კომუნისტური განათლების და აღზრდის მიზნებს ექვემდებარება. შრომა, რომელიც კერძო ამოცანებს ემსახურება და აღზრდის პროცესიდან განზე მიდის, არ არის კომუნისტური აღზრდის ელემენტი. „არც მშობლებს, არც სამუშაოს მიმცემთ არ უნდა მიეცეთ ბავშვთა და მოზარდთა შრომით სარგებლობის უფლება იმ პირობის გარეშე, თუ წარმოებითი შრომა განათლებასთან არ იქნა დაკავშირებული“,—ვკითხულობთ მარქსის მიერ პირველი ინტერნაციონალის პირველი კონგრესისათვის დაწერილ რეზოლუციებში. ენგელსი, სადაც კი ეხება აღზრდის საკითხებს, ყველგან ხაზს უსვამს სისტემატური მეცნიერული ცოდნის შეძენის აუცილებლობას. „კომუნისტი მხოლოდ მაშინ გახდები, როდესაც შენს მეხსიერებას გაამდიდრებ კაცობრიობის მიერ შემუშავებული ცოდნით... ახალგაზრდობას შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი იმ პირობით, თუ თავის სწავლის, განათლების და აღზრდის ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტართა და მშრომელთა უწყვეტ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ“— ასეთი სწავლისაკენ მოუწოდებს ლენინი ახალგაზრდობას. მეცნიერული ცოდნის შეძენა მასების რევოლუციონურ პრაქტიკას უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ სწავლების დაკავშირება საზოგადოებრივ—წარმოებითს შრომასთან სრულებით არ ნიშნავს სწავლების ათქვეფას შრომაში, მეცნიერული ცოდნის შეძენის ამოცანების შრომისათვის დაქვემდებარებას. მარქსი ყოველგან ლაპარაკობს სწავლებისა და ფიზიკური შრომის შ ე ე რ თ ე ბ ა ზ ე: „შათმა (საფაბრიკო კანონის დადგენილებათა—გ. გ.) ცდამ პირველად დაამტკიცა სწავლებისა და გიმნასტიკის შეერთების შესაძლებლობა ფიზიკურ შრომასთან, მაშასადამე ფიზიკური შრომისაც—სწავლებასა და გიმნასტიკასთან“,—წერს მარქსი. სწავლების შეერთებას მშრომელთა რევოლუციონურ ბრძოლასა და შრომასთან ლენინი კომუნისტური აღზრდის ძირითად პრინციპად აღიარებს. სწავლისა და შრომის კავშირის გარეშე მას არ წარმოუდგენია სოციალიზმის აქტიური მშენებლის აღზრდა.

არც მარქსი და არც ლენინი არ დაკმაყოფილებულან სწავლების და შრომის დაკავშირებაზე ზოგადი მითითებით: მარქსმა კომუნისტური აღზრდის ნორმალური სასწავლო გეგმის შედგენის სახელმძღვანელო პრინციპი მოგვცა მით, რომ აღზრდაში სამი ღერძეული ელემენტი დასახა: 1) ზოგადი ანუ გონებრივი განვითარება. 2) პოლიტექნიკური სწავლება და 3) ფიზიკური განვითარება. მარქსის მიერ მოცემული დებულებანი ლენინმა პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პირობებში კომუნისტური აღზრდის მთავარი კერის — პოლიტექნიკურის სკოლის — შენების გზა დასახა. „მეორე საფეხური (12-17 წლის) სკოლის ამოცანაა: მოგვცეს თავისი საქმის სრულად მცოდნე, ოსტატად გახდომის უნარის მქონე და ამისათვის პრაქტიკულად მომზადებული დურგლის, ხუროსი, ზეინლის და სხვაოა „შეცვლის“ უნარის მქონე, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ „ხელოსანს“ ფართო ზოგადი განათლება ქონდეს“, — ამბობს ლენინი. ის სწაკლებას—წარმოებითი შრომის პარალელურად აღიარებს და ყოველგან ხაზგასმით აღნიშნავს მათი დაკავშირების აუცილებლობას. მარქსი და ლენინი პროლეტარიატს მეცნიერული ცოდნის დაპყრობისაკენ მოუწოდებდენ, რევოლუციონური პრაქტიკის საფუძველზე დამყარებულ მეცნიერულ თეორიას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და სოციალიზმის შენების აუცილებელ იარაღად აღიარებდენ. მარქსისა და ლენინის საქმის გამგრძელებელი მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის ხელმძღვანელობისა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში—ამბ. **სტალინი** საყოველთაო სავალდებულო აწავლის განხორციელებას „კულტურული რევოლუციის საქმეში გადამწყვეტ ნაბიჯად“ აღიარებს, ტექნიკის შესწავლის, მეცნიერების დაუფლების და პროლეტარიატის საკუთარი ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პრაქტიკულ ამოცანებს აყენებს. ამის შემდეგ, საფიქრებელი იყო, ადგილი არ უნდა ქონებოდა ჩვენში მეცნიერული ცოდნის შეუფასებლობას, ბურჟუაზიულ პრაგმატიზმში და პრაქტიციზმში შეტოპვის, თეორიის—პრაქტიციზმში ათქვეფას, სკოლისა და მასწავლებლის უარყოფას და სკოლის „მოკედმის“ თეორიის ერთერთი წამომწყებთაგანის—**კრუპენინას**—ასეთ განცხადებას: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგადი განათლების მასალას — წარმოებითი და საზოგადოებრივი შრომისადმი დაქვემდებარების დრო დადგა. არა საგანმანათლებლო პროგრამიდან უნდა გამოვდიოდეთ, როგორც აქამდე იყო, არამედ საზოგადოებრივ — სასარგებლო და წარმოებითი შრომიდან.

წერაკითხვისა და ანგარიშის ჩვევები უნდა ემსახურებოდეს იმ საქმეებს, რომელთა შესრულებაში ჩაბმულნი არიან ბავშვები".

ც. კ. 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილებამ მკვიდრად დააყენა საბჭოთა სკოლა მარქსისტულ-ლენინური პოლიტექნიზმის გზაზე. მტკიცედ დაუსახა მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისების ამოცანა და დირექტივი მისცა სწავლების და საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომის შეერთების შესახებ ისეთ საფუძველზე. რომ მოსწავლეთა მთელი შრომა სწავლა-აღზრდის მიზნებს ექვემდებარებოდეს. თეორიისა და პრაქტიკის, გონებრივი და ფიზიკური შრომის გათიშვა ბურჟუაზიული წყობილების დამახასიათებელია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში გონებრივი საქმიანობა შეადგენს იმ კლასის უპირატესობას, რომლის კერძო საკუთრებაში იმყოფებიან საწარმოო საშუალებანი და რომელიც ცოდნას და გონების მიღწევებს მოწინააღმდეგე კლასის — პროლეტარიატის — დამონავების იარაღად ხმარობს. ფიზიკური შრომა კი ჩაგრულთ აწევს მძიმე უღლად.

სულ სხვაა ჩვენში. გაშლილი შეტევით უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას ვაშენებთ და კომუნიზმისაკენ მივდივართ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მექანიზაციის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საფუძველზე ისპობა დაპირისპირება ქალაქსა და სოფლის შორის. „მატერიალური და სულიერი შრომის ყველაზე დიდ გაყოფას ქალაქისა და სოფლის გაყოფა წარმოადგენს", — ამბობს მარქსი. ჩვენში შრომა აღარ არის ექსპლოატაციის წყარო, არ არის სათაკილო და დამამცირებელი, როგორც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, — პირიქით, სოციალისტური შრომა პატიოსნების, სასახელო და გმირობის საქმედ იქცა (სტალინი). კლასების მოსპობა ყველა ადამიანის სოციალისტური შრომის პატიოსან მონაწილედ გადაქცევას ნიშნავს. კომუნისტურ საზოგადოებაში ერთი და იგივე ადამიანთა ფუნქციას შეადგენს როგორც ნივთიერი, ისე გონებრივი წარმოება, ერთსა და იმავე ადამიანებში ხორციელდება ფიზიკური და გონებრივი შრომის ერთიანობა, ხელით და თავით მუშაობა. „წარმოება მთელი საზოგადოების ძალებით, წარმოების ახალი განვითარება სრულიად ახალ ადამიანებს მოითხოვს და კიდევაც შექმნის მათ", — მიგვითითებენ მარქსი და ენგელსი. ახალი ადამიანები „ყოველმხრივად განვითარებული და მომზადებული ადამიანებია, რომელთაც ყველაფრის კეთება შეუძლიათ" (ლენინი). ასინი განვითარებული უნდა იყვენ: გონებრივად, ფიზიკურად, პოლიტექნიკურად, ხოლო ყოველმხრივად განვითარებული ადამიანის აღზრდის პროცესი ფიზიკური და გონებრივი შრომის, თეორიისა და

პრაქტიკის დიალექტიკურ ერთიანობას უნდა დაემყაროს. სწავლების შეერთებას წარმოებითს შრომასთან მარქსი და ენგელსი აღიარებენ საზოგადოებრივი წარმოების ამაღლების საშუალებათ და იმავე დროს ყოველმხრივად განვითარებულ ადამიანთა მომზადების ერთადერთ მეთოდათ.

ამგვარად აღზრდის პროცესში სწავლებისა და წარმოებითი შრომის შეერთებას ჩვენ ვაფასებთ, როგორც მატერიალური სინამდვილის მარქსისტულ-ლენინური შეცნობის ერთადერთ საშუალებას და ადამიანის ყოველმხრივად განვითარების მეთოდს. „შრომის განაწილება თანამედროვე საზოგადოებაში იმით ხასიათდება, რომ სპეციალობებს, სპეციალისტებს წარმოშობს და, ამასთან ართად, მათთვის დამახასიათებელ პროფესიონალურ იდიოტიზმს... შრომის განაწილება ავტომატურ ფაბრიკაზე იმით ხასიათდება, რომ შრომა აქ სრულიად კარგავს სპეციალობის ხასიათს, მაგრამ, წყდება თუ არა ყოველი სპეციალური განვითარება, წარმოიშობა უნივერსალობის მოთხოვნილება, აშკარა ხდება ინდივიდის მისწრაფება ყოველმხრივივი განვითარებისაკენ, ავტომატური ფიბრიკა სპობს სპეციალობებს და მათ დამახასიათებელ პროფესიონალურ იდიოტიზმს“, — წერს მარქსი „ფილოსოფიის სიღატაკე“-ში.

ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ. მთელი ჩვენი მეურნეობა-მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვა — მექანიზაციის ძლიერ ბორბლებზე შედგა. ამ საქმეში პირველმა სოციელისტურმა ხუთ წლედმა უდიდესი მიღწევები მოგვცა. გიგანტური ტემპებით მავალი ელექტრიფიკაცია მექანიზირებული და ავტომატიზირებული მეურნეობის ენერგეტიულ ბაზას წარმოადგენს. ამის საფუძველზე მზადდება პროფესიონალიზმისა და, მით უმეტეს, „პროფესიონალური იდიოტიზმის “მოსპობის პირობები. წარმოების ავტომატიზაცია გულისხმობს წარმოების მრავალ დარგთა შორის ერთიანობის დამყარებას, მრავალსახოვან წარმოებათა მეცნიერულად შეცნობის ერთიანობის საფუძველზე. მექანიზაცია-ავტომატიზაციის ნიადაგზე მზადდება პირობები წარმოების მრავალსახოვან დარგთა შორის ზღვარის წასაშლელად და მწარმოებელთა შრომითი ფუნქციების დასაასლოვებლად. ავტომატიზირებულ წარმოებაში მუშის ფუნქცია მანქანების მართვაში მდგომარეობს. ავტომატიზირებულ წარმოებაში ერთში მრავალგვარობაა განსახებული, ხოლო მრავალგვარში—ერთიანობა.

აქედან გამომდინარეობს პოლიტექნიზმის აუცილებლობა და ვადაუდებელი საჭიროება. მსხვილმა განქანურმა წარმოებამ ჯერ კიდევ კაპიტალიზმის პირობებში დააყენა საკითხი პოლიტექნიზმის

შესახებ. მაგრამ კაპიტალისტური წყობილების ზღუდეებში შეუძლებელია პოლიტექნიზმის, როგორც რევოლუციონური აღზრდის მნიშვნელოვანი მომენტის, განხორციელება. მარქსისტულ-ლენინური პოლიტექნიზმი, როგორც კომუნისტური აღზრდის ძირითადი ელემენტი, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში განხორციელდება—მისი განხორციელება არა თუ შესაძლებელია, სავალდებულოცაა, რადგან ის უდიდესი როლის მატარებელია სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა მასურად აღზრდის საქმეში და სოციალიზმის კადრები ხომ მილიონებია! პოლიტექნიზმი — „თანამედროვე ინდუსტრიის საფუძვლების ცოდნაა ზოგადად“ (ლენინი) და სოციალისტური ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი პირობა არის. საჭიროა ისეთი მასები, რომელთაც არა თუ შეეძლებათ მაღალი ტექნიკის მიღწევათა კულტურულად გამოყენება და სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაცია, არამედ შეეძლებათ ტექნიკის განვითარებაში ნაყოფიერი შემოქმედებითი მონაწილეობის მიღება. ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალური განვითარება მოითხოვს მასების კულტურული დონის გადაჩრით ამაღლებას და პოლიტექნიკური მომზადებით შეიარაღებას, მაგრამ ამავე დროს ყველა პირობას ქმნის მარქსისტულ-ლენინური პოლიტექნიზმის განსახორციელებლად. წარმოების ავტომატიზაცია, ქალაქისა და სოფლის შორის დაპირისპირების მოსპობა, ფიზიკური და გონებრივი შრომის შორის ზღვარის წაშლა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება—ყველა ეს იმავე დროს ახალი ადამიანის შექმნისაკენაა მიმართული — ისეთი ადამიანის, რომელიც ძლიერი იქნება გონებით და შეგნებით და თავის მოქმედება-ქცევაში გაანაღდებს ფიზიკური და გონებრივი შრომის ერთიანობას.

სკოლებში პოლიტექნიზმის განხორციელების საქმეში უკანასკნელი წლების განმავლობაში თვალსაჩინო ნაბიჯებია გადადგმული: იზრდება სამუშაო ოთახებისა და სახელოსნოების ქსელი, სკოლები უკავშირდებიან ფაბრიკებს, ქარხნებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, საბჭოთა და კოლმეურნეობებს. საზოგადოებრივობის ინიციატივა პოლიტექნიზმის განხორციელებაში დღითიდღე იზრდება, მაგრამ მიღწეული შედეგები არაა საკმარისი და პოლიტექნიზმის განხორციელების საქმეს მნიშვნელოვანი ნაკლი ახლავს.

მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სახელოსნოებში შრომა ხშირად ხელოსნურია და არა პოლიტექნიკური: ხელოსნური და პოლიტექნიკური შრომის ძირითადი განსხვავება იმაში ეხგომარე-

ობს, რომ პირველი მხოლოდ პრაქტიკაა მეცნიერული ცოდნის გარეშე, ხოლო მეორე — მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება. უმეტეს შემთხვევაში შრომას ჩვეულებრივი მცირემცოდნე ხელოსანი ხელმძღვანელობს. შრომასთან არ არის დაკავშირებული მეცნიერული ცოდნის მიღება —მასალის, სამუშაო იარაღების, შრომის პროცესებისა და შრომის ორგანიზაციის შესახებ. სახელოსნოში შრომა ჩვეულებრივად რაიმე ნივთის პრაქტიკულად დამზადებით ამოიწურება. სკოლის სახელოსნო არ წარმოადგენს მოსამზადებელ საფეხურს მსხვილ წარმოებასთან დასაკავშირებლად. სასწავლო დისციპლინების მასწავლებლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ბიოლოგია) ხშირად განზე დგანან სახელოსნოებში და საწარმოებში მოსწავლეთა შრომისაგან. დედა — საწარმო არ არის გაგებული და გამოყენებული პოლიტექნიკური სწავლებისა და პოლიტექნიკური განათლების საქმეში. სუსტადაა დაყენებული პოლიტექნიკური ექსკურსიები წარმოებაში. შორმითი პოლიტექნიკური სწავლება და სახელოსნოებში მუშაობა იმ ნიადაგზე უნდა იქნას დაყენებული, რომ მოსწავლე ითვისებდეს ინდუსტრიის საფუძვლებს, იძენდეს ისეთ ცოდნა-ჩვევებს, რომელნიც გაუადვილებენ სოციალისტურ წარმოებაში ორიენტაციას და მასში შეგნებულად შესვლას. სამუშაო ოთახში და სახელოსნოებში მოსწავლის ინტერესი და ყურადღება მიმართული უნდა იყოს შემოქმედებისაკენ, გამომგონებლობისაკენ. მოსწავლე აქაც უნდა ეძებდეს, იკვლევდეს, ქმნიდეს, ვარჯიშობდეს იმ თვისებათა და უნარის განვითარებაში, რომელნიც საჭიროა სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეთათვის. როგორც აღვნიშნეთ, სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმული მშრომელი მზად უნდა იყოს ტექნიკის უმაღლეს მიღწევათა შეგნებულად და მეტი სარგებლიანობით გამოყენებისათვის. მაგრამ ეს არ კმარა. სოციალიზმის მშენებლობის ქვეყნის ყოველი მშრომელი ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებაში უშუალოდ დაინტერესებულია, ის მეცნიერებათა საფუძვლებითაც მომზადებული უნდა იყოს სოციალისტური ტექნიკის შემდგომ განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. მშრომელთა მილიონები თავით და ხელით აშენებენ ახალ ქვეყანას. ამიტომ გამომგონებლობა, ახალი კონსტრუქციების ძიება, მოსწავლეთაგან ტექნიკური ხასიათის რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვება პოლიტექნიკურ სწავლებაში ფართოდ უნდა იქნას შემოღებული და გამოყენებული. ჩვენი ინდუსტრიალური გარემოცვა აქაც მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ბავშვთა ინტერესი ტექნიკისადმი ჩვენში ძლიერია. ბავშვები აკეთებენ სათამაშო ავტომობილს, ტრაქტორს, მატარებელს, აეროპლანს, გემს.

აწყობენ ნამდვილ რადიოს, თამაშობენ კოლმეურნეობიას და სხვ. ეს ინ-ტერესი გამოყენებული უქდა იქნას პოლიტექნიზმის სწორად დაყენების საქმეში. ტექნიკაში და ტექნოლოგიურ პროცესებში, — მექანიკური ხასიათის იქნება ტექნოლოგიური პროცესი თუ ქიმიური, — მოსწავლემ უნდა დაინახოს ადამიანის მოქმედებაში გამოყენებული მეცნი-ერული ცოდნა, შეიცნოს მეცნიერული თეორიისა და რევოლიუ-ციონური პრაქტიკის ერთიანობა, გაიგოს ადამიანის აზროვნების განვითარება საზოგადოებრივი წარმოებისა და საწარმოო ურთიერ-თობათა საფუძველზე. აზროვნების განვითარების ისტორია კულტუ-რის, ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარების ისტორიას უნდა დაუკავშიროს. „ჰეგელისა და მარქსის საქმის გაგრძელება კაცობრი-ობის აზროვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის დიალექტიკურ დამუ-შავებაში უნდა მდგომარეობდეს," — წერს ლენინი. „დარვინმა, — აღ-ბობს მარქსი, — ბუნებრივი ტექნოლოგიის ისტორიისაკენ მიმართა ინ-ტერესი, ე. ი. მცენარეულ და ცხოველურ იმ ორგანოების წარმო-შობისაკენ, რომელნიც მცენარეთა და ცხოველთა არსებობაში საწარ-მოო საშუალებათა როლს ასრულებენ. ნუთუ ასეთი ყურადღების ღირსი არაა საზოგადოებრივი ადამიანის საწარმოო ორგანოების წარმოშობის ისტორია, ყოველი ცალკეული საზოგადოებრივი ორგა-ნიზაციის ამ მატერიალური ბაზის ისტორია? ნუთუ უფრო ადვილი არ იქნებოდა მისი დაწერა, რადგან, ვიკოს თქმით, კაცობრიობის ისტორია იმით განსხვავდება ბუნების ისტორიისაგან, რომ პირველი ჩვენს მიერაა გაკეთებული, ხოლო მეორე არა. ტექნოლოგია ააშკა-რავებს ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებასთან, ააშკარა-ვებს წარმოების უშუალო პროცესს და, მაშასადამე, მისი ცხოვრების წარმოების უშუალო ურთიერთობას და მათგან გამომდინარე სული-ერ წარმოდგენებსაც".

სახელოსნოში მოსწავლე შეგნებულად უნდა მუშაობდეს: „მექა-ნიზირებულსა და სხვა სამუშაო იარაღებში, მასალაში და მის ტექნოლოგიურ პროცესში უნდა ეძებდეს და იყენებდეს მეცნიერულ პრინციპებს და ცოდნას ფიზიკიდან, ქიმიიდან, ტექნოლოგიიდან, ბიოლოგიიდან, მათემატიკიდან. პოლიტექნიკური შრომის პრო-ცესშიც მოსწავლეები უნდა აკვირდებოდენ, ამჩნევდენ და აყენებდენ სასწავლო დისციპლინებში თეორიულად კიდევ უფრო გასაღრმავებელ საკითხებს და ამ გზითაც ამყარებდენ კავშირს მეცნიერული ცოდნის შეძენისა და პოლიტექნიკური შრომის შორის.

სამუშაო ოთახში და სახელოსნოში მოსწავლის მიერ გაკეთებუ-ლი ყოველი ნივთი ღირებულების შემცველი და გამოსადეგი უნდა

იყოს. მაგრამ ეს არ კმარა. პოლიტექნიკურ შრომაში პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა ცოდნა-გამოცდილება და რა უნარი შეიძინა და განავითარა მოსწავლემ სასარგებლო ნივთის დამზადების პროცესში, რა ცვლილება მოხდა მოსწავლეში მის მიერ ჩატარებული ტექნოლოგიური პროცესის ნიადაგზე, — გვაინტერესებს პოლიტექნიკური შრომის, ასე ვოქვათ, შიწაგანი მხარე.

თქმულიდან ცხადათ გამომდინარეობს პოლიტექნიკური შრომის ხელმძღვანელის უდიდესი როლი და პასუხისმგებლობა, რომელსაც ვერ ზიდავს მცირემცოდნე ხელოსანი, ვერ შესძლებს პოლიტექნიკურ შრომაში მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკული მუშაობის ერთიანობის განხორციელებას. მაშასადამე, გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს პოლიტექნიკური შრომის კვალიფიციურ მასწავლებელ-ხელმძღვანელთა მომზადების საქმე. ამასთანავე — ძირიანად უნდა შეიცვალოს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, და სხვ. საგნის მასწავლებელთა დამოკიდებულება პოლიტექნიკური შრომისადმი. მათთვის სავალდებულოა პოლიტექნიკური სახელოსნოების, წარმოების მოწყობილობისა და ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა და თავიანთი საგნის სწავლებაში გამოყენება. — საგნის გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შესაბამი ელემენტები მოსწავლეებს პოლიტექნიკურ სახელოსნოსა და საწარმოებში უნდა მიქონდეს, იქ იყენებდენ და ამტკიცებდენ, ხოლო სახელოსნოებიდან და საწარმოდან სამეცადინო ოთახებსა და ლაბორატორიებში შრომისა და დაკვირვებების პროცესში წამოჭრილი საკითხები გადმოქონდეს შესაფერი სასწავლო დისციპლინების თვალსაზრისით გასარკვევად და შესათვისებლად.

პოლიტექნიკური სწავლების თვალსაზრისით ყველა სკოლისათვის, კარგად დაყენებულ სამუშაო ოთახებთან და სახელოსნოებთან ერთად, სავალდებულოა მიწის კულტურული ნაკვეთის გაჩენა, მაგრამ ნაკვეთი მართლაც კულტურული და სანიმუშო. უნდა იყოს. არა თუ მოსწავლეს — მოზრდილ მოსახლეობასაც უნდა უჩვენებდეს მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებულ სასოფლო-სამეურნეო შრომის ნიმუშს. იმის გარდა, რომ ნაკვეთმა სკოლას გარკვეული მატერიალური შედეგიც უნდა მისცეს მოსავლით და ამით ხელი შეუწყოს ნივთიერი ბაზის გაძლიერებას, სკოლის ნაკვეთი თავისებურ სასწავლო ლაბორატორიად და ცოცხალ კუთხედაც უნდა იქცეს, სადაც მოსწავლეები აწარმოებენ დაკვირვებას და აყენებენ ცდებს არაორგანიული ბუნებისა და ბიოლოგიის საკითხებზე და ეწევიან მწარმოებელ შრომას. როგორც პოლიტექნიკური სახელოსნოების მოწყობაში კურსი-მექანიზაციისაკენ უნდა გვქონდეს აღებული, ისე სკოლის ნაკვეთზე მუშა-

ობა გაუმჯობესებულ ტექნიკას და აგრო-ზოოცოდნას უნდა დაემყაროს. ნაკვეთის საკმაოსიდიდის პირობებში სკოლის ნაკვეთზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურის, საბჭოთა მეურნეობის და მსხვილი კოლმეურნეობის ტექნიკური საშუალებანი და მოსახლეობის შრომითი დახმარებაც უნდა იქნას გამოყენებული. როგორც პოლიტექნიკურ სახელოსნოში, ისე მიწის ნაკვეთზე შრომას უნდა დაუკავშირდეს ცოდნა სასწავლო დისციპლინებიდან — მინერალოგიიდან, ნიადაგთმცოდნეობიდან, ფიზიკიდან, ქიმიიდან, ბიოლოგიიდან და ა. შ. მოსწავლეთა ინტერესი და ყურადღება აქაც უნდა იქნას მიმართული გამოშგონებლობა-გაუმჯობესებისაკენ, რაც შეიძლება გამოისახოს სამუშაო იარაღებისა და დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებაში, მცენარეებისა და ცხოველების გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანაში და ა. შ. კვლევა-შემოქმედებითი ელემენტები, სოციალისტური მეურნეობის გაუმჯობესება-განვითარებისაკენ მიმართული, აუცილებლად უნდა შედიოდეს პოლიტექნიკურ შრომაში და ხელს უწყობდეს სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ და ინიციატივის მქონე მონაწილეთა აღზრდას.

სამუშაო ოთახი, პოლიტექნიკური სახელოსნო და კულტურული ნაკვეთი წარმოადგენს მოსამზადებელ ხაფეხურს, რომელიც მოსწავლეს გაუადვილებს მსხვილ სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში (ფაბრიკა, ქარხანა, ელექტროსადგური, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა და სხვ.) შეგნებულად შესვლას, იქ შრომას და სწორი ორიენტაციის აღებას მსხვილი წარმოების ენერგეტიულ-ტექნიკური ბაზის, რთული ტექნოლოგიური პროცესების, სოციალისტურ მეურნეობაში ჩაბმულ ადამიანთა კოლექტივში რთული თანამშრომლობისა და სხვა საკითხების გარკვევაში. პოლიტექნიკურ სწავლებაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას მეცნიერებათა საფუძვლების კავშირი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან. მარტივი იარაღიდან და მანქანიდან ხიდი უნდა გაიდოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და მექანიზაციის საკითხებზე; ელექტრობისა და ელექტროტექნიკის საკითხებიდან მოსწავლის წინაშე უნდა გაიშალოს საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის მიღწევები, შემდგომი უდიდესი ამოცანები და პერსპექტივები. მსხვილმა სოციალისტურმა წარმოებამ მოსწავლისათვის კიდევ უფრო აშკარა უნდა გახადოს მეცნიერებისა და ტექნიკის წარმოებითი მნიშვნელობა, ცხადყოს ფიზიკის, ქიმიის, ტექნოლოგიის და სხვათა გამოყენებითი როლი წარმოების პროცესში და ხელი შეუწყოს მოსწავლის ინტერესის გაძლიერებას ტექნიკის და-

უფლებისა და დასისტემებული მეცნიერული ცოდნის შეძენის მიმართულებით, რადგან წარმოების შესწავლა და მისი დაუფლება შეუძლებელია მეცნიერებათა საფუძვლებით მტკიცეთ შეიარაღების გარეშე.

წარმოების შესწავლა არ იქნება პოლიტექნიკური, თუ მოსწავლისათვის ცხადი არ გახდება ჩვენი წარმოების სოციალისტური ბუნება მისი ზუსტი გეგმიანობით, ორგანიზაციით, სოციალისტური რაციონალიზაციით, შრომის სოციალისტური მეთოდებით, მშენებლობისა და გამარჯვების ენტუზიაზმით, ახალი ტექნიკის ათვისებადაუფლებისათვის ბრძოლით, შრომისა და საზოგადოებრივი ქონებისადმი სოციალისტური მოპყრობით, მტკიცე შეგნებული დისციპლინით, კომუნისტური მორალით და სოციალისტური შრომის მაღალი კულტურით. სადაც ყველა ეს ჯერ მთლიანად მიღწეული არ არის — მიღწეული უნდა იქნას უახლოეს დროში—ამაში უნდა დარწმუნდეს ყოველი მოსწავლე და ამან ხელი უნდა შეუწყოს მისი ინტერესისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას კომუნისტურად მომზადების საქმეში. პოლიტექნიკურმა სწავლებამ მოსწავლეთათვის აშკარა უნდა გახადოს ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ადგილი და სავადასხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობა კაპიტალისტური და სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის პირობებში, აშკარა უნდა გახადოს კაპიტალსტურ ქვეყნებში ათასგვარ კრიზისთა შორის მეცნიერებისა და ტექნიკის კრიზისიც და, პირიქით,—მეცნიერებისა და ტექნიკის გიგანტური ზრდა და მათი შემდგომი უდიდესი პერსპექტივები სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაში სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობის ნიადაგზე.

მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურობასთან შეფარდებული და პედაგოგიურად სწორად დაყენებული შრომითი პოლიტექნიკური სწავლება სხვა საჭირო თვისებათა აღზრდის თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვან მომენტებს შეიცავს: მოსწავლე ეჩვევა მიზანდასახულ, გეგმიან სასარგებლო შრომას, მასში მუშავდება და ვითარდება შრომის კულტურა, იზრდება შრომის ინტერესი, მახვილდება ყურადღება, წინდახედულობა, მოსაზრების და შემოქმედებითი მუშაობის, თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების უნარი; მოსწავლეებში მუშავდება სიზუსტე, სიმტკიცე, რიგიანობა, შრომისა და საზოგადოებრივი ქონებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შეგნება და ჩვევა. პოლიტექნიკური შრომის პროცესში ვითარდება მოძრაობის ის ფორმები, რომლებშიაც მჟღავნდებიან ადამიანის სხეულის წარმოებითი მოძრაობანი, სწორად დაყენებული პოლიტექნიკური შრო-

მა ფიზიკური აღზრდის ამოცანების თვალსაზრისითაც მეტად მნიშვ-
ნელოვანია. შრომითი პოლიტექნიკური სწავლების დაყენების დროს
ჩამოთვლილი მომენტები არ უნდა იქნას მხედველობიდან გაშვებული.

მოკლედ შევჩერდეთ საზოგადოებრივ შრომაზე. „მემარცხენეთა“ თეორიით, დამსახურებად და დიდ მიღწევად ითვლებოდა, რამდენადაც სკოლა სასწავლო დროის მეტ ნაწილს საზოგადოებრივ შრომას მოანდომებდა სწავლის ამოცანების აშკარად საწინააღმდეგოდ. ასეთი შეხედულება სკოლის „მოკვდომის“ თეორიიდან გამომდინარეობს და გადაჭრით უნდა აღიკვეთოს. მაგრამ ამავე დროს მეორე საშიშროების წინაშეც დიდი სიფრთხილეა საჭირო. ეს საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ სკოლა აქა-იქ ოთახებში იკეტება, საზოგადოებრივ ცხოვრებას გაურბის, ივიწყებს ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „ჩვენ არ გვწამს სწავლა, აღზრდა და განათლება, თუ ის მხოლოდ სკოლაშია ჩაკეტილი... ახალგაზრდობას შეუძლია შეისწავლოს კომუნიზმი მხოლოდ იმ გზით, თუ სწავლის, აღზრდის და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტარიატისა და მშრომელთა უწყვეტ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ“. მშენებლობისა და ბრძოლისაგან გამდგარი სკოლა სქოლასტიკური იქნება, თუნდაც ბევრი ილაპარაკოს კომუნიზმზე და დიალექტიკურ მატერიალიზმზე, რადგან დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი რევოლუციონური თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის ერთიანობაა. მოსწავლეები, სასწავლო გეგმისა და ზუსტად განსაზღვრული ცხრილის მიხედვით, ატარებენ მუშაობას საწარმოებში მთელი მუშაობის სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნებისათვის დაქვემდებარების პირობით.

ამის გარდა, სკოლა და ყოველი ცალკე მოწაფე ათასი გზით არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და სოციალისტურ მშენებლობასთან. ჩვენი სკოლა არ იქნება კომუნისტური აღზრდის სკოლა, თუ ის შორს იქნება მნიშვნელოვანი სამეურნეო პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ამოცანებისაგან. სკოლა სოციალისტური მშენებლობის ფაქტებზე აწარმოებს კომუნისტურ აღზრდას და მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლებს სოციალისტურ მშენებლობის აუცილებელი იარაღის თვალსაზრისით აწვდის. ყოველი მოსწავლე საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მოდის სკოლაში და ისევ ყოველდღიურად საზოგადოებრივ ცხოვრებას უბრუნდება. მოსწავლე შრომობს წარმოებაში, კოლმეურნეობის მინდვრებზე, მონაწილეობას იღებს კულტურულ მუშაობაში, ახალი ყოფაცხოვრების შენებაში. ეს გარემოება ფართოდ უნდა იქნას გამოყენე-

ბული კომუნისტური აღზრდის საქმეში. საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომიდან მოსწავლეთა მიერ სკოლაში მოტანილი შთაბეჭდილებანი და ფაქტები კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით გადამუშავების ობიექტად უნდა იქცეს მეცნიერული ცოდნის სისტემატური ხასიათის დაცვის აუცილებელი პირობით. თანაბრად — სკოლაში მიღებული მეცნიერული ცოდნა ყოველმა მოსწავლემ თავის ქცევაში უნდა გამომამღავნოს—საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაიტანოს და საზოგადოებრივ შრომაში გაანაღდოს. საზმეცნიერების, ისტორიის, ტექნიკის, სანიტარია-ჰიგიენის, ფიზიკის, ქიმიის და სხვათა ცოდნა ყოველმა მოსწავლემ საფუძვლად უნდა დაუდოს კომუნისტურ ქცევას და თავის საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობას. განხორციელებული უნდა იქნას ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების საქმე მასში კომუნისტური მორალის აღზრდათ უნდა იქცეს". მოსწავლე კულტურული აგენტია, რომელმაც სკოლის კომუნისტური გავლენა მასებში უნდა გადაიტანოს და საქმეთ აქციოს. მოსწავლის ქცევის ყოველი ნაბიჯი უნდა წარმოადგენდეს მეცნიერული ცოდნისა და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისაკენ მიმართული პრაქტიკის ერთიანობას — იცოდეს და აკეთებდეს. მოზარდმა თაობამ თავის სწავლის ამოცანები ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღიურად — რომელ სოფელში და რომელ ქალაქში გინდა—ახალგაზრდობა წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ ამოცანას, თუნდაც სულ პატარას, თუნდაც სულ მარტივს" (ლენინი). მეცნიერული კომუნიზმის ცოდნა კომუნისტურ ქცევაში უნდა მეღანდებოდეს. არაფრად არ ღირს ცოდნა, რომელსაც მოსწავლე გაკვეთილებზე გადმოგვცემს და მის ქცევას კი არ ეტყობა, სოციალიზმის მშენებლობაზე და კომუნისტურ მორალზე გაკვეთილებზე გვიპასუხებს და ქცევა კი არ აქვს კომუნისტური: არღვევს წესრიგს სკოლაში და სკოლის გარეგ, დაუდეგრად ეპყრობა შრომას და საზოგადოებრივ ქონებას, არ იბრძვის სოციალიზმის მშენებლობის მონაწილისათვის საჭირო ცოდნა-ჩვეულებით შესაიარაღებლად.

საზოგადოებრივ-წარმოებითს შრომაში და სოციალიზმის მშენებლობაში აქტიურად ჩაბმა კომუნისტური აღზრდის უძლიერესი ფაქტორია — ეს დებულება თანაბრად სწორია, როგორც მოზარდების, ისე მოზრდილთა მიმართ. სოციალიზმის მშენებლობის ენტუზიასტთა რიგებში შრომა და სოციალიზმისათვის ბრძოლა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის აღზრდა—განვითარებაში.

„ეს ჯილდო ჩვენთვის, ყველა ტიმარ ინჟენერისა და ტექნიკოსისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობის შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში. ამ საქმეში ჩვენთვის არ აქვს იმდენი მნიშვნელობა თეთრზღვამშენე ჩვენს მიერ ჩატარებულ მუშაობას, რომელიც თავის სიდიდით სრულიად შეუზომელია ჩვენს წინანდელ გამოცდილებასთან, რამდენადაც აქვს მნიშვნელობა იმ შინაგან გარდატეხას, რომელიც ჩვენ განვიცადეთ მშენებლობაზე, ბევრმა ჩვენთაგანმა პირველად ამ შენებლობაზე გაიცნო მებრძოლთა განსაკუთრებული ენერგია და ერთგულობა სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ჩვენი დაჯილდოვება შრომის წითელი დროშის ორდენით ჯვარს ასვამს ჩვენს მძიმე წარსულს და ამასთანავე სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე აქტიური მონაწილეობის ფართო პერსპექტივებს გვიშლის“ — ამბობს ყოფილი მატიმარი თეთრი ზღვის არხის მშენებლობის მთავარი ინჟენერი. თეთრიზღვისშენმა მრავალი ათასი გზააბნეული და ანტისოციალური ელემენტი კომუნისტურად გადაახალისა და აღზარდა.

მოსწავლეთა საზოგადოებრივი შრომა უეჭველად სასარგებლო უნდა იყოს. ბავშვებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ზოგჯერ მეტად დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ, — მაგალითად, სოციალისტური მოსავლის დაცვაში მავნებლისაგან, სარეველებისაგან, კლასობრივი მტრისაგან. ბავშთა მხრივ ასეთ დიდ ორგანიზებულ დახმარებაზე ლაპარაკობს 1913 წ. 9 აგვისტოს „პრავდა“-მოწინავე.

მაგრამ მოსწავლეთა საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა ჩვენთვის თავდაპირველად კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით არის საინტერესო, თუ მოსწავლე რამდენად სწავლობს კომუნიზს პრაქტიკაში, მოზრდილებთან ერთად, სოციალიზმის სასარგებლო შრომა და ბრძოლა მოზარდთა კომუნისტური აღზრდის ფაქტორია, რაც სკოლას შველის ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ახალგაზრდობა ეჩვევა სოციალისტურ შრომას, სოციალისტური ქონებისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას. მოსწავლის საზოგადოებრივი შრომის შედეგების შეფასების დროს, ანგარიშს გავუწევთ, თუ რამდენად საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მუშაობა, რა მისცა საზოგადოებას შრომამ, მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ დაინტერესებული ვართ საკითხით, თუ თითონ მოსწავლეებს რა მისცა საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობამ — რა ცოდნა, ჩვევა, განწყობა, გამოცდილება და უნარი შეათვისებინა მათ, რა ცვლილება შეიტანა მათში კომუნისტური მორალის შემუშავების მიმართულებით. მოსწავლეთა ასაკის მიხედვით გეგმიანად და სისტემატურად

წარმოებული საზოგადოებრივი შრომა სკოლის სასწავლო აღმზრდელობითი ამოცანებს უნდა დაექვემდებაროს: ხელი შეუწყოს დასისტემებული ცოდნის შეთვისებას, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის განხორციელებას, მიზანდასახული და გეგმიანი მუშაობის ჩვევათა შემუშავებას, პასუხისმგებლობის შეგნების გაძლიერებას, მუშაობის სიზუსტეს, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განმტკიცებას, კომუნისტური მორალის შემუშავებას და ა. შ.

სკოლაში პრაქტიკა ჩვეულებრივად წარმოდგენილი აქვთ ვიწროდ, როგორც მხოლოდ სამეურნეო პრაქტიკა სახელოსნოში, მიწის ნაკვეთზე, საწარმოში. ამიტომ მასწავლებელი ხშირად აყენებს კითხვას — როგორ უნდა დაუკავშირდეს სახელოსნოში მუშაობას, მაგალითად, გრამატიკა, ასტრონომია, ისტორია, გეოგრაფია და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის კავშირი სწავლებაში ისე ესმით, თითქოს მოსწავლემ ყველაფერი, რასაც კი შეისწავლის მეცნიერული დისციპლინებიდან, უსათუოდ და მხოლოდ სამეურნეო ფიზიკური შრომის პრაქტიკას უნდა დაუკავშიროს. სინამდვილეში კი პრაქტიკა გაგებული უნდა იქნას ფართოდ — როგორც ადამიანის შეგნებული მოქმედება გარკვეული საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზნების მისაღწევად. ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებაში მეღავნდება ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან და ადამიანებთან — საზოგადოების ფარგლებში. ადამიანის პრაქტიკული საქმიანობა, კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციონური მოძრაობის პრაქტიკის ფორმებში გამომჟღავნებული, საზოგადოების გარდაქმნის და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის საშუალებას წარმოადგენს. პრაქტიკა გულისხმობს მეცნიერული ცოდნისა და დასკვნების გამოყენებას ცხოვრების ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტაში და განვითარებაში. სამეურნეო საქმიანობა, კლასობრივი ბრძოლა, კულტურული მუშაობა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, კომუნისტური შეგნებისა და მორალის შემუშავება, ახალი ყოფა-ცხოვრების შენება — ყველა ეს პრაქტიკული საქმიანობაა და მეცნიერული ცოდნის დაკავშირებას და გამოყენებას მოითხოვს. ისტორიული პროცესის მთელს მანძილზე კაცობრიობის აზროვნების განვითარება პრაქტიკულ საქმიანობას ემყარება. ამიტომ მარქსიზმი ჰეშმარიტების დადგენაში პრაქტიკას გადამჭრელ მნიშვნელობას ანიჭებს. პრაქტიკა სკოლის მუშაობაშიც ასე ფართოდ უნდა იქნას გაგებული.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად მილიონების მიერ წარმოებული შრომა და ბრძოლა მოსწავლემ უნდა შეიცნოს, როგორც მარქსისტულ-ლე-

ნინური მეცნიერული ცოდნისა და მასების პრაქტიკის ერთიანობა. სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში მიღებული ცოდნის საფუძვლები მოსწავლემ თავის ქცევის ყოველ ნაბიჯს უნდა დაუკავშიროს, კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით გამართლებული პრაქტიკის მრავალსახეობაში უნდა გამოამეღავნოს. მოსწავლის ქცევას, ასაკისა და მომზადების მიხედვით, ყოველთვის უნდა ქონდეს საფუძვლად შეგნება, მიზნის შეცნობა და პრაქტიკული საქმიანობის მეცნიერული საფუძველი. მოსწავლე მუშაობს სახელოსნოში, სკოლის ნაკვეთზე, საწარმოში, კოლმეურნეობაში, გაკვეთილზე, მონაწილეობს სოციალისტურ მშენებლობაში, ეცნობა ბუნებას, ზრუნავს ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე — თავის მოქმედებაში ყოველგან და ყოველთვის უნდა ემყარებოდეს ცოდნას, შეგნებას და განხორციელებდეს მეცნიერული თეორიისა და მიზანშეწონილი მოქმედება-ქცევის ერთიანობას.

VI. გაკვეთილის ორგანიზაცია.

სასწავლელო მუშაობის ორგანიზაციული ფორმების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანდასახულობის, შინაარსისა და მეთოდების საკითხთან. ც.კ. 25 აგვისტოს დირექტივები გაკვეთილს სასწავლო მუშაობის ძირითად ფორმად აღიარებს — იმ ამოცანებიდან გამოსული, რომ მოსწავლეებმა საბჭოთა სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლები უნდა შეითვისონ, რომ მასწავლებელმა სისტემატურად, თანამიმდევრობით უნდა გადასცეს მოსწავლეებს ის დისციპლინა, რომელსაც ის ასწავლის.

კრიზისში მოქცეული ბურჟუაზიული პედაგოგიკა ცდილობს სასწავლო მუშაობის ორგანიზაციულ ფორმებში მოახდინოს ცვლილება. კაპიტალისტური წყობილების ამოცანებთან შეფარდებით, ცდილობს სასწავლო მუშაობის გადახალისებული ფორმებით ხელი შეუწყოს ბურჟუაზიული აღზრდის მიზნების უკეთ განხორციელებას. პრაგმატიზმი, ინდუვიდუალიზმი, „სრულქმნილი“ პიროვნების აღზრდის იდეა, მეტოქეობა — ეს ახასიათებს „მოწინავე“ ბურჟუაზიის სასწავლო მუშაობის ფორმებს, როგორიცაა: დალტონპლანი, პლეტუნპლანი, ვინეთკაპლანი და სხვ. ბურჟუაზია სასწავლო მუშაობის ორგანიზაციული ფორმების საკითხში ისეთ „მემარცხენეობასაც“ კი იჩენს, როგორიცაა „თავისუფალი აღზრდის“ თეორიიდან გამომდინარე ანარქიზმი სწავლებაში. ბურჟუაზიული პედაგოგიკა სულ პლანზე და სისტემაზე ლა-

პარაკობს, „აბსოლუტურ სისტემას“ ეძებს, მეტაფიზიკურ ერთადერთს და ყოველის შემძლეს, რომლითაც ერთბაშად სურს გადასწყვიტოს ბურჟუაზიის მიზნები აღზრდაში.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციული ფორმების საკითხებშიც ქონდა ადგილი საბჭოთა სკოლის მიერ ბურჟუაზიულ შეხედულებათა და გამოცდილების უკრიტიკოდ გადმონერგვას. ამის შედეგი იყო ჩვენი სკოლის პრაქტიკაში დალტონ-პლანი — ლაბორატორული სისტემა — ლაბორატორულ-ბრიგადული მეთოდი — ჯგუფის მტკიცე შედგენილობის უარყოფით, ბრიგადების თავისუფალი მოძრაობით, ცხრილის გაუქმებით, სავალდებულო მყარი ბრიგადების ჩამოყალიბებით, მოსწავლეთა გაუპიროვნებით, მეცადინეობაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოხსნით, მასწავლებლის როლის შესუსტებით და სხვ. იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა სკოლას ბურჟუაზიული სკოლის გამოცდილებიდან კრიტიკულად და მოფიქრებით გადმოეტანა ზოგი—კომუნისტური აღზრდის მიზნების თვალსაზრისი — გამოსადეგი ელემენტი, ადგილი ქონდა მთელი „სისტემის“ განუკითხავად გადმოლებას. სწავლების ამა თუ იმ მეთოდის თვითმიზნად გადაქცევა, გაუნივერსალება, ერთადერთად გამოცხადება მეთოდს ძალაუნებურად სისტემად აქცევდა და ისეთ მავნე გაუგებრობას იწვევდა, როგორიცაა მეთოდისა და სისტემის გაიგივება.

გაკვეთილის, როგორც ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლის სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, დამახასიათებელია: მტკიცედ განსაზღვრული სამეცადინო ცხრილი, ჯგუფის მთლიან შედგენილობასთან მუშაობა, მასწავლებლის წამყვანი როლის განხორციელება, ზუსტი გეგმიანობა, მოსწავლეთა აქტივობა, სწორად დაყენებული და ურთიერთთან სწორად შეთავსებული მოსწავლეთა ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობა, მოსწავლეთა მუშაობაზე მტკიცე კონტროლის განხორციელება, სწავლების მეთოდებისა და ხერხების შერჩევით და შეგნებულად გამოყენება და მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურად და თანამიმდევრობით გადაცემა.

გაკვეთილი გულისხმობს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გარკვეული სასწავლო მუშაობის ჩატარებას. მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით, გაკვეთილი ტარდება არა მარტო ჯგუფის ჩვეულებრივ სამეცადინო ოთახში, არამედ ლაბორატორიაში, (ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის) კაბინეტში, თუ ასეთი არის (ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის და სხვა), სამუშაო ოთახში, სახელოსნოში და ა. შ. ყოველი გაკვეთილის ყოველი წუთის მაქსიმალური ნაყო-

ფიერებით გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს გაკვეთილის მიზნის მთლიანი მიღწევა. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არის გაკვეთილი მომზადებული და მაღალი კულტურის მატარებელი.

გაკვეთილის მაღალი კულტურის მიღწევის აუცილებლობა მასწავლებელს გაკვეთილისათვის საფუძვლიანად მომზადების მხრივ დიდ მოთხოვნილებას უყენებს. მასწავლებელს ევალება პედაგოგიური მუშაობის მთელი ოსტატობით გაკვეთილის ჩატარება. იმის გარდა, რომ მასწავლებელი აღჭურვილი უნდა იყოს თავისი დისციპლინის მტკიცე მეცნიერული ცოდნით და მისი სწავლების მეთოდიკით, იგი ვალდებულია ყოველი ცალკე გაკვეთილისათვის წინასწარ საფუძლიანად მოემზადოს. არაფრად არ ვარგა გაკვეთილი, როდესაც მასწავლებელი ჯგუფში მოუმზადებლად შედის, არ იცის, რით დაიწყოს და რით გაათავოს, გაკვეთილზე ეძებს და იგონებს, იბნევა, ბორძიკობს, წვალობს და მოსწავლეებსაც აწვალებს, ააშკარავებს თავის მოუმზადებლობას, დაუდევრობას, ხშირად—სისუსტეს. მოუმზადებელი მასწავლებელი აშკარად ხელს უწყობს და ქმნის უდისციპლინარობას. მოუმზადებელ გაკვეთილზე — როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებს ერთი „სული აქვთ“ გაკვეთილის გათავებამდე.

გაკვეთილის მასალას მასწავლებელი უნდა იცნობდეს როგორც სასწავლო წიგნის მიხედვით, ისე სხვა—უფრო ღრმა და საფუძვლიანი—წყაროებიდანაც. გაკვეთილისათვის მომზადების დროს, მასწავლებელმა, გაკვეთილის დროის მიხედვით, ზუსტად უნდა განსაზღვროს მიზანი და შინაარსი, ზუსტად მოხაზოს დასამუშავებელი მასალის მოცულობა იმ პირობით, რომ გაკვეთილი ზედმეტად არ დაიტვირთოს, გაითვალისწინოს წინად დამუშავებულ მასალასთან დაკავშირება, საზოგადოებრივ-წარმოებითს შრომასთან შეერთება და მისი გამოყენება კომუნისტური აღზრდის ამოცანების თვალსაზრისით, წინასწარ. მოამზადოს და გამოსცადოს გაკვეთილზე გამოსაყენებელი სასწავლო ხელსაწყოები და იარაღები (თვალსაჩინოება-დემონსტრაცია, ცდები), რომ გაკვეთილზე არ მოუხდეს ძებნა და სინჯვა, შეადგინოს თხრობის და საუბრის გეგმა-კონსპექტი; მოფიქრებით აირჩიოს გაკვეთილის მასალის ცალკე ნაწილების დამუშავებაში უფრო გამოსადეგი მეთოდები და ხერხები; წინასწარ გააკეთოს მოსწავლეებთან დასამუშავებელი ამოცანები, თეორემები; სავარჯიშოები, განსაზღვროს გაკვეთილის ცალკე მომენტების თანამიმდევრობა და გაკვეთილის დროის ბუჯეტის ზუსტად გამოყენება, ჩაიწეროს გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეთათვის მისაწოდებელი დებულებანი და დასკვნები; მასალის თავისებურობის, მოსწავლეთა ასაკის, სასწავლო მოწყობი-

ლობის და სხვა პირობათა მიხედვით გაითვალისწინოს გაკვეთილზე მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის მომენტები, მოისაზროს, მასალასთან დაკავშირებით, მოსწავლეთა საკარჯიშო ამოცანები და შინ მისაცემი დავალება.

ყოველი გაკვეთილის გეგმა—მოკლე კონსპექტი—მასწავლებელს თავის დღიურში უნდა ქონდეს ჩაწერილი. როდესაც მასწავლებელს ერთიდაიგივე საგნის და ერთიდაიგივე მასალის დამუშავება პარალელურ ჯგუფებში უხდება, ყოველთვის უნდა ცდილობდეს ტრაფარეტს თავი დაღწიოს და ყველა ჯგუფში, განსხვავებულობის მიხედვით, მასალის დამუშავებასაც განსხვავებული იერი მისცეს.

გაკვეთილის მომზადებისას კიდევ უფრო იზრდება მასწავლებლის პასუხისმგებლობა, როდესაც ერთდროულად ორ ჯგუფთან უხდება მეცადინეობა. ამ შემთხვევაში, გაკვეთილის მომზადების ყველა ჩამოთვლილ მომენტის გარდა, მასწავლებელს სწორად უნდა ქონდეს დასახული შეერთებულ ჯგუფებში მუშაობის ჩატარების გეგმა იმ პირობით, რომ ორივე ჯგუფში ნაყოფიერი სასწავლო მუშაობა იყოს, რომ ორივე ჯგუფის მუშაობა, მასწავლებელთან და დამოუკიდებლად, ისეთი თანამიმდევრობით და ისეთ მასალაზე მიმდინარეობდეს, რომ მოსწავლეები ცოდნას იძენდენ, ხალისით და სასარგებლოდ ვარჯიშობდენ და არ ქონდეს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა მოსწავლე რამდენიმე გვერდზე წერდეს უაზრო სიტყვებს, ოღონდ კი მასწავლებელს ხელს არ უშლიდეს მეორე ჯგუფთან მეცადინეობაში.

ახალი გაკვეთილისათვის მომზადების დროს, ჩვეულებრივად წინა დღით, მასწავლეებლი, როგორც წესი, მოკლედ უნდა აჯამებდეს იმ დღეს ჩატარებულ სასწავლო მუშაობას და ამის საფუძველზე ადგენდეს მორიგი გაკვეთილების გეგმას.

გაკვეთილის დასაწყისი წინა გაკვეთილის მასალის სრულად და მტკიცედ შეთვისების შემოწმებას ხმარდება. ახალი მასალის დამუშავებას მასწავლებელი გაკვეთილის მიზანდასახულობის გარკვევიდან იწყებს — აცნობს მოსწავლეებს, თუ რას გააკეთებენ გაკვეთილზე და რისთვის, აბამს კავშირს წინა გაკვეთილების მასალასთან და გაკვეთილს ზუსტად განსაზღვრული გეგმის მიხედვით ატარებს. გაკვეთილის კარგად მომზადება სასწავლო მუშაობის ნაყოფიერებას იმითაც ზრდის, რომ მასწავლებელი „გაბედულად“ და ხალისით შედის მეცადინეობაზე და პირველი წუთიდანვე აყენებს მთელ ჯგუფს გეგმიანი და ცოცხალი მუშაობის კალაპოტში.

ყოველი გაკვეთილისათვის წინდაწინ უნდა იქნას გამზადებული და შემოწმებული საჭირო სასწავლო ხელსაწყოები და, მოსწავლეთა

დახმარებით, თავის ადგილზე მომარაგებული, ასეთებია: რუკები, სურათები, ცდებისათვის საჭირო ხელსაწყოები, ცარცი, ჩვარი და სხვ., რათა გაკვეთილის ნორმალური მსვლელობა ერთი წუთითაც არ დაბრკოლდეს უთადარიგობისა და დაუდევრობის გამო.

გაკვეთილზე მასწავლებელი იყენებს მუშაობის როგორც ჯგუფურ ანუ ფრონტალურ, ისე ინდივიდუალურ და ბრიგადულ ფორმებს. ყოველ ცალკე შემთხვევაში გაკვეთილზე მუშაობის ორგანიზაციის ფორმა დამოკიდებულია საპროგრამო მასალის ხასიათზე, მოსწავლეთა ასაკზე და სასწავლო მოწყობილობაზე. ჯგუფური ანუ ფრონტალური ფორმა გამოიყენება: როდესაც მასწავლებელი გაკვეთილზე ახალ მასალას ხსნის, მოუთხრობს, საუბრობს, ცდებს აწენებს, უკითხავს, აწერინებს, ამეორებინებს და ჯგუფის ცოდნას ამოწმებს, ავარჯიშებს (მაგ. ამოცანების გაკეთება), ექსკურსიას ატარებს და ა. შ.

ბრიგადული ანუ რგოლური ფორმა გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ გამოიყენება მოსწავლეთა ასაკის, სასწავლო მასალის ხასიათის და სასწავლო მოწყობილობის მდგომარეობის მიხედვით. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები საჭიროებისამებრ იყოფიან რგოლებად დასახული მუშაობის ჩასატარებლად. დაწყებითს სკოლაში რგოლური ფორმა გამოიყენება: მიწის ნაკვეთზე მუშაობის დროს, მოდელების, პლაკატების, კოლექციების დამზადებაში, საზოგადოებრივი მუშაობის ჩატარების დროს, მარტივ გამოკვლევათა ჩატარების დროს (კოლმეურნეობა, კლუბ-სამკითხველო და ა. შ.), გაზომვაში ვარჯიშობის დროს და სხვ. ამის გარდა, დაწყებითი სკოლის უფროს ჯგუფებში რგოლური მუშაობა გამოიყენება მოსწავლეთა მიერ ცდების დაყენების დროს, მიკროსკოპით მუშაობაში, წიგნზე და გაზეთზე მუშაობის დროს. საშუალო სკოლაში მასწავლებელი რგოლურ მუშაობას მიმართავს მოსწავლეთა ლაბორატორული მუშაობის დროს (ცდები ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და სხვ.), ექსკურსიაზე, ბეჭდურ მასალაზე მუშაობის დროს, საზოგადოებრივ-წარმოებითს შრომაში, მარტივ გამოკვლევათა ჩატარების დროს და სხვ.

სასწავლო მუშაობაში მასწავლებლის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ყოველი ცალკე მოსწავლის მეცადინეობა, რათა ყველამ შეითვისოს პროგრამებით სავალდებულოდ განსაზღვრულ ცოდნა-ჩვევათა ჯამი. მოსწავლე — მთელს ჯგუფში, რგოლში თუ ცალკე მუშაობს — ყოველთვის და ყოველგან უნდა იქნას უზრუნველყოფილი მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. მუშაობის კოლექტიური ფორმა ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ ის ხელს

უწყობდეს ინდივიდუალური მუშაობის ხარისხისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, უფრო მაღალ საფეხურზე აყავდეს ინდივიდუალური მუშაობის შედეგები, არავითარ შემთხვევაში არ იქცეს გაუპიროვნების ფაქტორად და ადგილი არ მისცეს ვისიმე ყოფნას სხვის „აკადემიურ ხარჯზე“.

სასწავლო მუშაობის პროცესში ყოველი მოსწავლე უნდა შეეჩვიოს: წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, წერითი მუშაობის შესრულებას, ამოცანების კეთებას, სასწავლო ხელსაწყოების მოხმარას (მარტივის დამზადებასაც) და ცდების დაყენებას, კოლექციების შეგროვებას, მიწის ნაკვეთზე და სახელოსნოებში მუშაობას, დაკვირვების წარმოებას, მარტივი საკითხების გამოკვლევას ლა დასკვნების გამოტანას, გეგმიან მუშაობას, საზოგიდოებრივი მუშაობის საკითხების წამოყენებას და შესრულებას, მიღებული ცოდნის სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებას, კომუნისტურ ქცევას და ა. შ.

„ეს ფორმა (გაკვეთილი) უნდა შეიცავდეს საერთო ჯგუფურ, ბრიგადულ და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მუშაობას“ მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ამასთან ყოველნაირად უნდა განვითარდეს სასწავლო მუშაობის კოლექტიური ფორმები სავალდებულო ბრიგადების ჩამოყალიბების გარეშე“ — მიგვითითებს ც. კ. 25 აგვისტოს დადგენილება.

მითითება იმის შესახებ, რომ გაკვეთილი, ჯგუფური და ინდივიდიალური მუშაობის გარდა, ბრიგდულ ფორმასაც უნდა შეიცავდესო, ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს იგი ყველა გაკვეთილზე, ყველა პირობაში, — არის საჭირო და შესაძლებელი თუ არა, — მაინც იქნას შემოტანილი. მაგრამ არც ის არის დასაშვები, რომ სკოლა ხშირ და საჭირო შემთხვევაშიც, გაურბის კოლექტიურ მუშაობას. ც.კ. მითითება ლაბორატორულ-ბრიგადული მეთოდის დამახინჯებათა ლიკვიდაციის აუცილებლობისა და სავალდებულო ბრიგადების დაუშავებლობის შესახებ ზოგჯერ ისეა გაგებული, თითქოს არავითარი ბრიგადები და არავითარი კოლექტიური მუშაობა სკოლაში არ უნდა იყოს. ფრონტალური, ინდივიდუალური და რგოლურ-ბრიგადული მუშაობა გეგმიანად უნდა იქნას ურთიერთთან შეთავსებული და მოფიქრებით გამოყენებული მასალის თავისებურობის, მოსწავლეთა ასაკისა და სასწავლო მოწყობილობის მიხედვით. ამგვარად საქმე გვაქვს ერთი უკიდურესობიდან და შეცდომიდან მეორე უკიდურესობასა და მეორე შეცდომაში გადავარდნასთან.

გაკვეთილზე მოსწავლეთა ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმას ყოველთვის ერთნაირი ადგილი და ერთნაირი მნიშვნელობა როდი აქვს: როდესაც მასწავლებელი ახალ მასალას ამუშავებს, მაშინ მეტი დრო და ადგილი ფრონტალურ ფორმას ეთმობა, როდესაც სასწავლო მოწყობილობა ძლიერია და ლაბორატორული მუშაობისათვის ხელსაწყო ყველა მოსწავლისათვის საკმაოა — მაშინ ლაბორატორიაში (მთელ ჯგუფის შედგენილობით) ინდივიდუალური მუშაობა გაცილებით უფრო მეტ ადგილს დაიპყრობს. მოზრდილი ასაკის მოსწავლეებთან დამოუკიდებელი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა უფრო გამოიყენება, ვიდრე დაბალ ჯგუფებში.

გაკვეთილზე მასწავლებელი ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რათა ყველა მოსწავლე აქტიურად მუშაობდეს, უსმენდეს, აზროვნებდეს, აკვირდებოდეს, ვარჯიშობდეს. გაკვეთილზე მასწავლებელი ყოველთვის უნდა ამჩნევდეს იმ მოსწავლეს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება და მას დროზე ეხმარებოდეს. დამოუკიდებელი ინდივიდიალური და ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი თავს დასტრიალებს მოსწავლეებს, ხშირად ჩამოუვლის მათ, აძლევს პასუხს შეკითხვებზე, უსწორებს და ეხმარება. ფრონტალური მუშაობის დროს მიღწეული უნდა იქნას მთელი ჯგუფის აქტიური მოქმედება — მასწავლებელმა ჯგუფის მთელი შედგენილობა უნდა დააყენოს ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ, ყველა ჩააბას მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოექცეს ჩამორჩენილ მოსწავლეებს, ხშირად გამოიწვიოს საპასუხოდ, მოსთხოვოს ანგარიში ჩატარებულ მუშაობაში, დაეხმაროს და ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყოს დაწინაურებას. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს დამუშავებული მასალის შესახებ დასკვნები უნდა მიაწოდოს. თუ დასკვნები სახელმძღვანელოებში არ აქვთ და მათი დამახსოვნება კი საჭიროა — დაფაზედაც კი დაუწეროს და ჩააწერინოს.

გაკვეთილის მაღალი კულტურისა და ნაყოფიერების მნიშვნელოვანი პირობა არის გაკვეთილზე მტკიცე დისციპლინა, რომლის დამკვიდრებას მასწავლებელი ფხიზელი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს. ძველი პედაგოგიკა ამბობდა — სკოლა უდისციპლინოთ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოთო. ახლა უწყლოდ წისქვილს აკეთებენ— უკეთესიც არის მექანიზირებული წისქვილი,—მაგრამ გაკვეთილი უდისციპლინოთ არ არის გაკვეთილი, უდისციპლინოთ არ არის სკოლა. მტკიცე დისციპლინის გარეშე არ არის ცოდნის შეძენა და კომუნისტური აღზრდა. გეგმიანი, მოფიქრებული, ყოველმხრივად მომზადებული, შინაარსიანი, ცოცხალი და ხალისიანი გაკვეთილი — ეს უკვე

ბევრ. წინამძღვარს ქმნის მტკიცე დისციპლინის დასამყარებლად და თითქმის მთლიანად მასწავლებლის კეთილსინიდისიერ და ნაყოფიერ მუშაობაზეა დამოკიდებული. შინაარსიანმა და ოსტატურად აგებულმა გაკვეთილმა მთლიანად უნდა დაიპყროს მოსწავლეთა ყურადღება და სასარგებლო მიმართულება მისცეს მათ ინტერესსა და ქცევას.

დისციპლინის განმტკიცების თვალსაზრისით საჭიროა: მასწავლებელი გაკვეთილზე დარეკისთანავე შედიოდეს სამეცადინო ოთახში და თვალყურს ადევნებდეს მოსწავლეთა დაუგვიანებლივ და წესიერად შემოსვლას, მოსწავლეთა მიერ თავიანთი ადგილების დაკავებისთანავე ამყარებდეს სრულ წესრიგს გაკვეთილის ნორმალურად დაწყებად. მოსწავლეები გაკვეთილზე უნდა შედიოდენ წყნარად, დასუფთავებული ფენებით, ზედატანსაცმელის გახდით. შემოსვლისთანავე მოსწავლე იკავებს თავის ადგილს. გაკვეთილის გადაცემის დროს მასწავლებელს სამეცადინო ოთახში ისეთი ადგილი უკავია, რომ ის მთელ ჯგუფს ხედავდეს და მასწავლებელსაც ყველა მოსწავლე ხედავდეს. მასწავლებელი ფხიზლად ადევნებს თვალყურს მოსწავლეთა მუშაობას და ქცევას. მასწავლებელს გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის არც ერთი უმნიშვნელო მოშენტიც არ უნდა გამოეპაროს, რათა დროზე შენიშნოს, გააფრთხილოს, სადაც საჭიროა—მტკიცედაც მოსთხოვოს და უზრუნველყოს ურყეი დისციპლინის დამკვიდრება. გაჭიანურებულ დარიგებას და „ნოტაციებს" დისციპლინის შესახებ ადგილი გაკვეთილზე არ უნდა ქონდეს — დარიგებისათვის სხვა დრო უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ცალკე მოსწავლესთან, ისე მთელ ჯგუფთან მოსალაპარაკებლად. გაკვეთილის გადაცემის დროს მასწავლებლის შესვლა რიგებში დაუშვებელია — ეს იწვევს მოსწავლეთა ზედმეტ მოძრაობას, მიბრუნებ-მობრუნებას, ხმაურობას, ყურადღების შენელებას და დისციპლინის დარღვევას. მუშაობის დროს მასწავლებლის ხმა ზომიერი უნდა იყოს. ზედმეტად ხმადაბლა ლაპარაკს მოსწავლეები ვერ გაიგონებენ, გადაჭარბებით ჩქარი და ხმამაღალი ლაპარაკიც დაუშვებელია მოსწავლეები ადრე დაიქანცებიან, ყურადღება შესუსტდება და დისციპლინის დარღვევისა თვის მეტი განწყობა და პირობა იქმნება. მოსწავლეები პასუხს იძლევიან ადგომით — ეს თავდაპირველად საჭიროა იმისათვის, რომ პასუხი მთელმა ჯგუფმა კარგად გაიგოს. მჯდომარე პასუხები დასაშვებია ლაბორატორილი მუშაობის, წერის და სხვა ამნაირად მუშაობის დროს. როდესაც მოსწავლემ შედარებით ვრცელი პასუხი უნდა მოგვცეს (თხრობა, შინაარსის გადმოცემა, მოხსენება, რეფერატი, ცდების დაყენება—ახსნა და სხვ.), მიზანშეწონილი იქნება საპასუხოდ

ჯგუფის წინ გამოწვევა, რათა მისი მეტყველება მთელი ჯგუფისაკენ იყოს მიმართული. ამის უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: გამოწვეული მოსწავლის პასუხისმგებლობა მატულობს, საზოგადოების წინაშე თავის დაპერის და სიტყვის მომარჯვების უნარი იზრდება, გამოწვეულის ლაპარაკი ყველასათვის გასაგონი ხდება, დისციპლინა უმჯობესდება — ყველა უსმენს და ემზადება მოსმენილის შესწორებაშენიშვნებისათვის.

ზიანის გარდა არაფრის მოტანა არ შეუძლია — ვითომდა დისციპლინის დასამყარებლად — ყვირილს, ფეხების ბაკუნს, სახაზაეით, ჯოგით ან წიგნით მაგიდაზე რაკუნს, მოსწავლეების გაკვეთილიდან გაძევებას. ყველა ეს, პირიქით, ხელს შეუწყობს დისციპლინის კიდევ უფრო მეტად დარღვევას. შინაარსიანი და წარმტაცი გაკვეთილი, მოსწავლეთა ხალისიანი და შეგნებული მუშაობა, მასწავლებლის სიფხიზლე, რომ ყველაფერს ამჩნევდეს, ყველას აგრძნობინებდეს, რომ არაფერი არ გამოეპარება, მოსწავლეთა ორგანიზაციების შეგნებული ბრძოლა დისციპლინისა და გაკვეთილის მაღალი კულტურისათვის და ა. შ. — ყველა ეს, ერთად აღებული, საიმედო საფუძველს შექმნის გაკვეთილზე მტკიცე დისციპლინის დასამუშავებლად.

მასწავლებლის ქცევა გაკვეთილზე მოსწავლეთათვის მიძაბაძ ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. იშვიათი არ არის შემთხვევა, რომ მასწავლებელი გაკვეთილზე პალტოთი და კალოშებით შედის, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის დროს თამბაქოს სწევს, წიგნს ან გაზეთს კითხულობს, გაკვეთილიდან გამოდის და კერძოდ საუბრობს, რაც დაუშვებელია. დაუშვებელია აგრეთვე მოსწავლეთა მიმართ უდიერი შოპყრობა, დაცინვა, დამცირება, ზედმეტი სახელების დარქმევა და სხვ. ადამიანებთან დამოკიდებულებაში და მთლიანად თავის ქცევით სკოლაში და სკოლის გარეშე მასწავლებელი მაღალი კულტურის საუკეთესო მაგალითებს უნდა იძლეოდეს და ამითაც გარკვეულ როლს თამაშობდეს მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდაში.

გაკვეთილზე დისციპლინა კიდევ მაშინ ირღვევა, როდესაც ყველა საჭირო ხელსაწყო დროზე არ არის მომზადებული და გაკვეთილზე იწყება მასწავლებლის სიარული და მოსწავლეთა გზავნა — რუკის, ცარცის, ხელსაწყოების, რვეულების, მელნის და სხვათა საძებრად. ამიტომ გაკვეთილის ეს მხარე ზუსტად უნდა იქნას მოწესრიგებული. ამის გარდა, მასწავლებელს მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროს გაკვეთილზე, როგორც ყოველთვის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის ამოცანები. ტალახისა და მტვერის შემოტანა, ქაღალდების ნაგლეჯებით ოთახის მონაგვიანება, ფურთხება და სხვა — ყველა

ეს სახიფათოა ჯანმრთელობისათვის და თანაც ასუსტებს დისციპლინის დაცვის სტიმულს: სისუფთავე, სიფაქიზე და მტკიცე წესრიგი აძლიერებს თავდაჭერილობას, აძლიერებს კულტურული ქცევის სტიმულს და, პირიქით, აფერხებს დაუშვებელი ქცევის მომენტებს. დისციპლინა გაკვეთილზე მაშინაც ირღვევა, თუ მოსწავლეები დაიქანცენ. ამიტომ გაკვეთილის მსვლელობაში მასწავლებელი, უფრო — დაბალ ჯგუფებში, მიმართავს სიმღერას, ფიზკულტურის წუთის გამოყენებას და სხვ. კიდევ ერთი გარემოება, რაც წესრიგს არღვევს და გაკვეთილის ნაყოფიერებას ამცირებს — ეს არის სხვადასხვა პირების გაკვეთილზე შესვლა. თუ ვისმეს ნება აქვს გაკვეთილს დაესწროს, სამეცადინო ოთახში გაკვეთილის დაწყებამდე უნდა იყოს მასწავლებელთან ერთად. გაკვეთილის მსვლელობის დროს რომ კარი იღება და უცხო პირები შემოდიან—ამით გაკვეთილი ირღვევა, მოსწავლეთა ყურადღება ამის შემდეგ კარგა ხანს ვერ ჩადგება შეწყვეტილი მუშაობის ნორმალურ კალაპოტში. ჩვეულებათ არის დარჩენილი, როგორი სახის მეცადინეობაც არ მიმდინარეობდეს — წერენ, ლაბორატორულ მუშაობას ატარებენ და სხვ. – სულ ერთია ყოველი ახალი პირის შემოსვლის დროს მთელი ჯგუფი ფეხზე დგება, მუშაობა გარკვეულად ირღვევა, ხმაურობა ძლიერდება.

ამავე სკოლის გამგე ან მასწავლებელი დღეში ხუთჯერ რომ შევიდეს გაკვეილზე, ხუთივეჯერ უნდა ადგეს ფეხზე მთელი ჯგუფიარ არის ეს საჭირო. არავისთვის არ არის საჭირო გაკვეთილის დარღვევით ვითომდა პატივისცემის გამოსახვა. სასწავლო მუშაობის ნსვლელობა არაფრით არ უნდა დაირღვეს და არ დაბრკოლდეს. გაკვეთილის დასრულებისას მოსწავლეთა წესიერი და მწყობრი გამოსელა გაკვეთილიდან დასასვენებლად ისევ მასწავლებლის მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

VII. სასკოლო მუშაობის გეგმიანობა და ალრიცხვა.

სკოლის წინაშე დასმული უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა ზუსტ გეგმიან მუშაობას მოითხოვს. სასწავლო დრო, სასწავლო მუშაობის ნიეთიერი ბაზა და აღზრდის პროცესში მონაწილე ყველა ცოცხალი ძალა მაქსიმალური. შედეგებით უნდა იქნას გამოყენებული სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების მისაღწევად.

ამავე დროს სასწავლო მუშაობის შედეგების სისტემატური შესწავლა — მისი ზუსტი აღრიცხვა—მთელი პედაგოგიური პროცესის

სისწორისა და მისი ნაყოფიერების უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელიც გვიადვილებს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას კომუნისტური აღზრდის მიმართულებით. ამგვარად აღრიცხვა განუყრელად უკავშირდება გეგმიანობას მით, რომ ააშკარავებს მუშაობის ძლიერს და სუსტ ხარეებს და გვიადვილებს გეგმიანობას საფუძვლად მეტი გამოცდილება დავუდვათ და უფრო სწორი მიმართულება მივცეთ. ზუსტი გეგბიანობა და აღრიცხვა-კონტროლი სოციალისტური ნშენებლობის დამახასიათებელი და აუცილებელი მომენტია. გეგმიანობისა და აღრიცხვა-კონტროლის საფუძველზე ახალი თაობის მოზეიდება კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი ელემენტია. სკოლა, რომლის ყოველი ნაბიჯი შეგნებულად უნდა იყოს მიმართული კომუნისტური აღზრდის მიზნებისაკენ და რომელიც არ ემყარება მტკიცე გეგმიანობას და სასწავლო მუშაობის შედეგების შესწავლა-აღრიცხვას, ვერ იქცევა კომუნისტური აღზრდის ,ერად, ვერ უზრუნველყოფს ნაყოფიერ ბრძოლას სასწავლო მუშაობის მაღალი თვისებისათვის. ამიტომ პედაგოგიურ მუშაობაში გეგმიანობის დამკვიდრება და რაციონალიზაციის მიღწევა გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას დასახული.

სკოლის გეგმიანი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს სკოლის წლიურ სასწავლო-საწარმოო გეგმა, რომელიც კონკრეტად სახავს ღონისძიებებს სკოლის წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად, ითვალისწინებს ამ ღონისძინბათა გატარების წესრიგს, დროს, განსაზღვრავს სკოლაში მომქმედი ყველა ორგანიზაციის როლს და პასუხისმგებლობას სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, აპიროვნებს სკოლის ყოველი მუშაკის მოვალეობას და პასუხისმგებლობას. სკოლის წლიური სასწავლო—საწარმოო გეგმა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის დეკლარაცია და გეგმა გეგმისათვის, არამედ სკოლის მთელი კოლექტივის მოქმედების სახელმძღვანელო დოკუმენტს უნდა წარმოადგენდეს. სასწავლო-საწარმოო გეგმისათვის საკალდებულოა კონკრეტულობა, ოპერატიულობა, მასში უნდა ჩანდეს მოცემული სკოლის მუშაობის თავისებურობანი, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები.

სკოლის მუშაობის ძირითადი ამოცანების საფუძვლებზე სასწავლო-საწარმოო გეგმაში შემდეგი მომენტები უნდა აისახოს:

1. სკოლისა და ჯგუფების დაკომპლექტება: მოსწავლეთა ახალი კონტიგენტის მიღება და ჯგუფების დაკომპლექტება ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დატვირთის განსაზღვრული ნორმების შესრულების პირობით.

2. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გადაპრით გაუმჯობესება და მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლებით. ამისათვის, მაგალითად, ასეთი საკითხები უნდა იქნას გათვალისწინებული და გადაწყვეტილი:

ა) ოფიციალური სავალდებულო პროგრამების მთლიანად და საფუძვლიანად შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) სოციალისტური მშენებლობის ადგილობრივი საკითხების შერჩევა — სასწავლო მუშაობაში, საგნებთან დაკავშირებით, მათი გამოყენების მიზნით;

გ) თითოეულ საგანში სამუშაო გეგმის შედგენა ოფიციალური პროგრამების ყველა მოთხოვნილების ზუსტად შესრულების პირობით;

დ) სწავლების მეთოდების საკითხის დამუშავება მოსწავლეთა ასაკის, საგნის შინაარსის, სკოლის სასწავლო მოწყობილობისა და სხვ. პირობათა მიხედვით;

ე) სწავლების წლებისა და სასწავლო პროგრამების მიხედვით, მოსწავლეთა საზოგადოებრივ — წარმოებითი შრომის გეგმის დასახვა იმ საფუძველზე, რომ მოსწავლეთა მთელი საზოგადოებრივ — წარმოებითი შრომა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნებს ექვემდებარებოდეს;

ვ) მოსწავლეთა წერითი ვარჯიშობის გადაპრით გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა დასახვა — გატარება (შინაარსი, ორთოგრაფია, დამწერლობა, რვეულების სისუფთავე, წერითი მუშაობის სისტემატური გასწორება, მოსწავლეთა ყოველგვარი ჩანაწერის გაუმჯობესება);

ზ) ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის აკადემიური დახმარების ორგანიზაცია — მასწავლებელთა მონაწილეობით;

ვ) პოლიტექნიკური სწავლების დაყენების გასაუმჯობესებლად საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა და ზუსტად გატარების წესრიგის გათვალისწინება: არსებული სამუშაო ოთახებისა და სახელოსნოების შევსება და ახლის შექმნა; სკოლასთან კულტურული საასწავლო მიწის ნაკვეთების მოწყობა; სასწავლო გეგმის მიხედვით, საწარმოებში უფროსი ჯგუფების მოსწავლეთა პრაქტიკის მოწესრიგება, გადამჭრელ ღონისძიებათა მიღება იმისათვის, რომ სწავლება მართლაც პოლიტექნიკური იყოს; სასწავლო საგნების — ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის და ა. შ. — შრომითი პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირება.

4. ღონისძიებათა დასახვა და მათი გატარების წესრიგის შემუშავება სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად

მარქსისტულ — ლენინური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური ქცევის განმტკიცების მიმართულებით; სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის, აქ საბრძოლო ამოცანად უნდა დაისახოს შრომისადმი და საზოგადოებრივი ქონებისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცება.

5. მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის დაყენება ყველა აქ შემავალი საკითხის დროზე და სწორად დაყენებით და პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებით, როგორცაა: ფიზიკური აღზრდის სათანადოთ დაყენება, ცხელი საუზმის ორგანიზაცია და მოსწავლეთა კვების გაუმჯობესება, სკოლის სანიტარულ — ჰიგიენური პირობების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება და საექიმო — პროფილაქტურ ღონისძიებათა გატარება.

9. მოსწავლეთა თვითმართველობისა და ახალგაზრდათა კომორგანიზაციების მოწესრიგებული ხელმძღვანელობა — დახმარების გაწევა მათი მუშობის გარდასაქმნელად სასწავლო მუშაობის მაღალი თვისებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების მიმართულებით.

7. სკოლაში მეთოდური მუშაობისა და მეთოდური ხელმძღვანელობის ორგანიზაცია და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება; მეთოდური მუშაობის გეგმებისა და პროგრამების დროზე დამუშავება, განხილვა და დამტკიცება; მასწავლებელთათვის სისტემატური მეთოდური დახმარების ორგანიზაცია და ახალგაზრდა გამოუცდელ მასწავლებელთა შორის მეთოდური ხელმძღვანელობის სათანადო დონეზე დაყენება; სანიმუშო გაკვეთილების მოწყობა და გამოცდილების სისტემატური გაზიარება; რაიონის მეთოდბიუროსთან, სანიმუშო და სხვა სკოლებთან კავშირის დამყარება გამოცდილების მიღება — გაზიარების მიზნით; მასწავლებელთა აქტიური მუშაობა პედაგოგიურ წრეებში და მეთოდკაბინეტებში; ლექციების, საუბრებისა და კონსულტაციის მოწყობა მასწავლებელთა საზოგადოებრივ — პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიურ - მეთოდური კვალიფიკაციის ასამაღლებლად; პედაგოგიური ბიბლიოთეკის შექმნა.

8. სკოლის სასწავლო მოწყობილობის გაუმჯობესება: განათლების ორგანოებისაგან გაღებული სახსრების მიზანშეწონილად გამოყენება; სკოლის საკუთარი საშუალებით ხელსაწყოების შეძენა, შეკეთება და დამზადება ამ — საქმეში სამუშაო ოთახების, სახელოსნოების, დედაწარმოებისა და ყველა სხვა შესაძლებლობის გამოყენებით; მოსწავლეთა ბიბლიოთეკის მოწყობა.

9. მოსწავლეთა შორის—სკოლაში. დასვენებებზე—მასურ-კულ-ტურული მუშაობის გაშლა და მოცალების გონიერული ორგანიზაცია: მასური თამაშობანი, ხმამაღლა კითხვა, ცოცხალი გაზეთი, გუნდი, ორკესტრი, მხატვრული გამოფენები, დეკლამაცია და ა. შ.

ახალგაზრდობის კომორგანიზაციებთან, პროფკავშირებთან, დამ-ხმარე საბჭოებთან, მოსწავლეთა თვითმართველობასთან, კლუბებთან, თეატრებთან და სხვა კულტურულ დაწესებულებებთან ერთად — ღო-ნისძიებათა გატარება სკოლის გარეშე მოსწავლეთა შორის დასვენება-მოცალებისა და არდადეგების დროს კულტურული მუშაობის სათა-ნადოთ დასაყენებლად.

10. სკოლის მუშაობის განვითარება-განმტკიცებისა და აღზრდის საქმეში საზოგადოებრივობის შეგნებული მონაწილეობის გაძლიერების მიზნით მშობელთა და მშრომელთა ფართო მასებში პედაგოგიური პროპაგანდის დაყენება, მათი ინიციატივისა და ნივთიერი დახმარე-ბის მობილიზაცია — გამოყენება სკოლის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

11. სკოლის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგება: შენობისა და ინვენტარის შეკეთება-დაცვა; განათების, გათბობის, წყლისა და სხვა სამეურნეო საკითხების დროზე და სრულად მოგვარება; სასწავლო ნივთების მოპარაგება და დაცვა; მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოპარაგების მიზნით სკოლის მეურნეობის შექმნა; ბიუჯეტისა და ად-გილობრივი სახსრების მიზანშეწონილად და მეტი სარგებლობით გამოყენების გეგმის შედგენა-გატარება.

12. სასკოლო საბჭოს, ციკლობრივი ან საგნობრივი კომისიე-ბის, დამხმარე საბჭოს და სკოლაში მომქმედი სხვადასხვა ორგანიზა-ციის მუშაობის გაუმჯობესება სკოლის წინაშე დასმულ ამოცანებთან შეფარდებით.

სკოლის წლიური სასწავლო საწარმოო გეგმა სდგება სკოლის გამგის უშუალო ხელმძღვანელობით — მასწავლებელთა, დამხმარე საბ-ჭოს აქტივის, ახალგაზრდობის კომორგანიზაციისა და მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით. გეგმა გა-ნიხილება მშობელთა კრებაზე, მოსწავლეთა თვითმართველობაში, პარტიულ ორგანიზაციაში, სოფლის საბჭოში და სასკოლო საბჭოში.

წლიური სასწავლო-საწარმოო გეგმის მთლიანად განხორციე-ლება სასწავლო წლის მეოთხედის კალენდარულ სამუშაო გეგმას ემ-ყარება, რომელიც შეიცავს: შესასრულებელი სამუშაოს დასახელებას, შესრულების დროისა და შემსრულებლის აღნიშვნას.

სკოლის წლიური და მეოთხედური გეგმის საფუძველზე სკოლაში მომქმედი ყველა ორგანიზაცია — სასკოლო საბჭო, საგნობრივი კომისიები, დამხმარე საბჭო, ახალგაზრდათა კომორგანიზაცია, მოსწავლეთა თვითმართველობა — ადგენენ თავის მუშაობის წლიურსა და მეოთხედურ გეგმებს.

სკოლის წლიური სასწავლო საწარმოო გეგმის საფუძველზე ყველა მასწავლებელი ადგენს საგნის წლიურ გეგმას, რომელიც იძლევა საბალდებულო პროგრამების სრულად გავლის გარკვეულ სურათს: საგნის წლიურ გეგმაში, სასწავლო წლის მეოთხედები მიხედვით, პროგრამების მოცულობისა და სისტემის ზუსტად დაცვის პირობით, აღნიშნული უნდა იყოს საგნიდან დასამუშავებელი თემები და მნიშვნელოვანი საკითხები თითოეული თემისათვის დამუშავების დროის ბიუჯეტის განსაზღვრით საათებში — სასწავლო გეგმის მიხედვით.

საგნის წლიური გეგმის საფუძველზე ყოველი მასწავლებელი ადგენს მეოთხედურ სამუშაო გეგმას მთელი საპროგრამო მასალის გამლით და ცალკე საკითხების შორის დროის ბიუჯეტის განაწილებით.

მეოთხედის გეგმის საფუძველზე ყოველი მასწავლებელი ადგენს ყოველდღიური მუშაობის მოკლე გეგმას, სადაც აღინიშნება: დასამუშავებელი მასალა, დამუშავების მიზანი, ძეთოდები. ყოველი გაკვეთილის გეგმაში მოცემული უნდა იყოს გაკვეთილის სტრუქტურა გაკვეთილის დროის განაწილებით.

მეოთხედის გეგმაში მკაფიოდ უნდა იქნას აღნიშნული სოციალისტური მშენებლობის ადგილობრივი საკითხები, რომლებიც დაუკავშირდებიან საგნის შესწავლას და სკოლის საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომის ობიექტად იქცევიან — ისევ საგნის გავლისა და სწავლა-აღზრდის ამოცანების საფუძველზე.

სკოლის ყველა მუშაკს, გამგიდან დაწყებული, უნდა ქონდეს შედგენილი თავისი მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, სკოლის საერთო გეგმაზე აგებული და მისი განხორციელებისაკენ მიმართული. კერძო გეგმები სასკოლო საბჭოში უნდა იქნას განხილული და სკოლის გამგის მიერ დამტკიცებული. ზუსტად დამუშავებული გეგმის დროზე, მთლიანად და მაღალი თვისობრივი მაჩვენებლებით შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მტკიცე ხელმძღვანელობით და კონტროლით. ყოველი მეოთხედისა და წლის სასწავლო-საწარმოო გეგმის შეჯამების საფუძველზე ხდება შემდგომი მეოთხედისა და შემდგომი წლის სასწავლო-საწარმოო გეგმის შედგენა.

როგორც აღვნიშნეთ, გეგმიანობის შეგნებისა და გეგმიანი მუშაობის უნარიანობის შემუშავება კომუნისტური აღზრდის მნიშვნე-

ლოვანი ამოცანაა. ყოველი ნაბიჯი მიზანდასახული და გეგმიანი უნდა იყოს. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მტკიცედ განსაზღვრულ ცხრილს უნდა ემყარებოდეს. სკოლაში ზუსტი გეგმიანობის, დისციპლინის, პასუხისმგებლობისა და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ატმოსფერო უძლიერეს სტიმულს ქმნის მოსწავლე ახალგაზრდობაში სათანადო განწყობის, შეგნებისა და ჩვევათა შემუშავება-განმტკიცებისათვის.

მაგრამ სოციალიზმის მშენებლობის ინიციატივის მქონე და მომქმედ მონაწილეთა აღზრდის ამოკანების თვალსაზრისით არ იქნება საკმარისი, რომ მოსწავლე მტკიცე გეგმიანობის პირობებში მუშაობდეს და გეგმიანობის შექმნა-განმტკიცებაში მონაწილეობას არ იღებდეს. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ყოველი ცალკე ჯგუფი და მთელი სკოლა აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, გეგმიანობის განმტკიცებისა და მისი შესრულებისათვის ბრძოლაში. ყოველი ცალკე მოსწავლე შეგნებულად უნდა იქცეოდეს და თავის მოქმედებას სკოლაში და სკოლის გარედ სკოლის სასწავლო — აღმზრდელობითს მიზნებს უფარდებდეს. ამ საკითხ'მიც გვქონდა გადაჭარბება და შეცდომები: მოსწავლეებს — შეეძლოთ თუ არ შეეძლოთ — მაინც ახვევდენ თავზე აგეგჭვას. წვალობდენ ბავშვები, წვალობდენ მასწაელებლები და დიდი დროც უნაყოფოდ იკარგებოდა.

შეგნებული აგეგმვა გულისხმობს ასაგეგმავ მასალასა და საკითხებზე გარკვეული წარმოდგენის ქონებას — მათ ცოდნას. შესასწავლი პროგრამო მასალის აგეგმვაში მოსწავლეები ნაკლებად მიიღებენ მონაწილეობას, რადგან არ იცნობენ. მათ მონაწილეობის მიღება უფრო შეუძლიათ სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის მუშაობის აგეგმვაში, მაგალითად: სკოლის ნაკვეთზე კულტურული მეურნეობის მოწყობა და მოვლა, სახელოსნოებში მუშაობის ორგანიზაცია, საზოგადოებრივი შრომის ჩატარება, სკოლის ქონების დაცვა, სასწავლო მოწყობილობის შეესება, ჯანმრთელობის პირობათა გაუმჯობესება, სკოლაში აკადემიური თვითდახმარების ორგანიზაცია და ჩამორ ნილობასთან ბრძოლა, სკოლაში და სკოლის გარედ მოს ავლეთ დისციპლინის განმტკიცება, სკოლაში დასვეხების ორგანიზაცია, ც ხალი კუთხისა და სასკოლო მუზეუმის შექმნა, გამოფენის მოწყობა, სკოლის გარედ მოსწავლეთა შორის მუშაობა, ექსკურსიის მოწყობა და ა. შ. აგეგმვაში მოსწავლეთა მონაწილეობა მარტო იმით არ არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი გეგმიანობაში ჩვევებს მიიღებენ და პასუხისმგებლობის შეგნებით იმუშავებენ, არამედ იმითაც, რომ მათი მონაწილეობა

და წინადადებანი ზოგჯერ არსებითი ხასიათის გაუმჯობესებასაც შეიტანენ მუშაობაში.

ალრიცხვა. როგორც აღვნიშნეთ, გეგმიანობა აღრიცხვის მომენტებსაც შეიცავს. გეგმის შედგენა და მისით მუშაობა უაზრო იქნება, თუ ჩატარებულ მუშაობას არ გადავხედეთ, შედეგები არ გამოვარკვიეთ იმასთან შედარებით, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. აღრიცხვა მუშაობის პროცესისა და მისი შედეგების შესწავლა-შეფასება არის. იგი ნათელყოფს მუშაობის მიღწევებს და სუსტ მხარეებს და მით გვიადვილებს მიღწევების განმტკიცებას და ნაკლის წინააღმდეგ ბრძოლას, გვიადვილებს გეგმიანობას და მუშაობის ორგანიზაციაში საჭირო ცვლილებათა დროზე შეტანას და უკეთესი შედეგების მიღწევას.

პედაგოგიური მუშაობის შედეგების აღრიცხვა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე, მაგალითად, მხატვრის, მოქანდაკის, — ხუროსი, ინჟენერის, აგრონომის და სხვათა მუშაობის აღრიცხვა, რადგან მეორე შემთხვევაში უშუალოდ ვხედავთ მუშაობის შედეგს მისი ავკარგით: სურათს, ქანდაკებას, შენობას, ხიდს, მეურნეობას და სხვ. — სულ სხვაა სასწავლო — აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვა. სასწავლო მუშაობის შედეგებისათვის ერთბაშად და უშუალოდ თვალის მოვლება შეუძლებელია. სასწავლო—აღმზრდელობითს მუშაობაში გვაინტერესებს ის ცვლილებანი, რომელნიც მოსწავლეებში უნდა შევიტანოთ: მეცნიერული ცოდნა, მსოფლმხედველობა, უნარი, ჩვევანი, კომუნისტური მორალი და სხვ. პედაგოგიურს პროცესში მოსწავლეში მომხდარი ცვლილება მის მოქმედებაში, მის ქცევაში უნდა გამომჟღავნდეს, სწორი ცოდნა სწორ ქცევაში უნდა გამოაშკარავდეს — ამის გარეშე ცოდნას არ აქვს ღირებულება. მიზანდასახული პედაგოგიური ზემქმედებისა და სასწავლო მუშაობაში მოსწავლის აქტივობის ყოველი ელემენტი შეფასებული უნდა იქნას სწორედ იმ ცვლილებათა თვალსაზრისით, რომელნიც მოსწავლეში ხდებიან — ეს ცვლილებანი სწორად უნდა იქნან გაგებული და, ამის საფუძველზე, პედაგოგიური ღონისძიებანი გაუმჯობესებული, რადგან მოსწავლის მიზანშეწონილად შეცვლა — ზრდის ფაქტი პედაგოგიური მუშაობის სისწორის კრიტერიუმს წარმოადგენს. სკოლაში შეგვაქვს ახალი სისტემატიზირებული პროგრამები, გაუმჯობესებული მეთოდები, პოლიტექნიკური სწავლება, წარმოებასთან კავშირი და სხვა. პედაგოგიური ღონისძიებანი — ამის შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ცვლილება მოხდა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში, რა შესძინა მოსწავლეს, ვთქვათ, პოლიტექნიკურმა შრომამ სახელოსნოში

ან წარმოებასთან კავშირში და ა. შ. სასწავლო — აღმზრდელობითი მუშაობის ყოველი ელემენტის პედაგოგიური ღირებულება და მიზანშეწონილობა შეფასებული უნდა იქნას იმ შედეგების თვალსაზრისით, რომლებსაც ისინი გვაძლევენ. მხოლოდ ამ ნიადაგზე წარმოადგენს სასწავლო მუშაობის აღრიცხვა ამ მუშაობის რეგულიატორს.

ც. კ. დირექტივის თანახმად, სასწავლო მუშაობის აღრიცხვა უნდა იყოს მარტივი, მოქნილი და იმავე დროს უზრუნველყოფდეს მუშაობის მთელი პროცესის ნამდვილი სურათის გადაშლას. აღრიცხვის ფორმები პედაგოგიური პროცესის თავისებურობით და თვით აღრიცხვის ამოცანით განისაზღვრება

აღრიცხვის ამოცანას შეადგენს: 1. გამოამჟღავნოს პედაგოგიური პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელი შეუწყოს მიღწევის განმტკიცებას და ნაკლის აღმოფხვრას. 2. სისტემატური კონტროლით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სტიმულირებას — სასწავლო მუშაობის ინტერესისა და მონდომების ზრდის სახით, 3. უზრუნველყოს სასწავლო მუშაობაში მოსწავლეთათვის საჭირო დახმარების დროზე მოგვარება და 4. გაუადვილოს მასწავლებელს პედაგოგიური პროცესის სწორი შეფასება და მუშაობის მაღალი თვისებისათვის ნაყოფიერი ბრძოლა.

პედაგოგიური პროცესის თავისებურობის ნიადაგზე აღრიცხვა უნდა იყოს ყოველდღიური — " მასწავლებელმა სასწავლო მუშაობის პროცესში ყურადღებით უნდა შეისწავლოს თითოეული მოსწავლე" — აჩვენებს ც. კ. 25 აგვისტოს დადგენილება.

მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე აგროვებს თითოეული მოსწავლის მუშაობის დამახასიათებელ მასალას (გაკვეთილზე — ჩვეულებრივ საკლასო ოთახში, ლაბორატორიაში, სახელოსნოში და სხვ.). გაკვეთილს მასწავლებელი წინა გაკვეთილის შედეგების აღრიცხვით იწყებს: მიცემული დავალების მიხედვით, მოსწავლეები, მასწავლებლის წინადადებაზე, სიტყვიერად გადასცემენ დამზადებულ მასალას, აკეთებენ დაფაზე ამოცანებს, აჩვენებენ და სწავლეტენ სხვადასხვა ამოცანას გეოგრაფიულ რუკაზე, აყენებენ ცდებს ფიზიკასა და ქიმიაში, იმეორებენ შესაბამი შრომის პროცესებს პოლიტექნიკურ სახელოსნოში, კითხულობენ შესრულებულ წერითი ნამუშევარს, მოყავთ შეძენილი ცოდნის სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირების ფაქტები და სხვ. ასეთ მუშაობაში მასწავლებელი ამჩნევს, თუ ვის როგორ შეუსრულებია სამუშაო, ვინ სუსტია და ვინ ძლიერი, ვის როგორი ინტერესით უმუშავნია და სხვ. გაკვეთილის მეორე ნაწილშიც, ახალი მასალის დამუშავებაში, მასწავლებელს ფართო გასაქანი

აქვს აწარმოოს დაკვირვება მოსწავლეთა მუშაობაზე — ვინ ყურადღებით და ინტერესით მუშაობს, ვინ რამდენად შეგნებულ პასუხებს იძლევა, ვის რა ეადვილება და რა ეძნელება, ვის როგორ უჭირავს თავი გაკვეთილზე. გაკვეთილის დასასრულს, საკონტროლო კითხვებისა და დასკვნის დროს, მოსწავლეთა პასუხებიდან მთელი ჯგუფის მუშაობის ნათელი სურათი გადაიშლება, რაც მასწავლებელს გაუადვილებს თითოეულ მოსწავლეზე გარკვეული შთაბეჭდილების შემუშავებას.

ყოველდღიურ აღრიცხვაში შედის აგრეთვე მოსწავლეთა ყოველგვარი წერითი და გრაფიკული სავარჯიშოს შემოწმება, პრაქტიკული მუშაობის შედეგების დათვალიერება — შეფასება (ლაბორატორიაში, სახელოსნოში, მიწის ნაკვეთზე, საწარმოში).

ყოველდღიური აღრიცხვის შედეგები აღინუსხება ჯგუფის დღიურში და მასწავლებლის დღიურში. ყოველდღიურ აღრიცხვაში ყოველმა მოსწავლემ უნდა იგრძნოს მტკიცე კონტროლი და მოთხოვნა, არავის არ უნდა დაურჩეს, „იოლად გასვლის“ შესაძლებლობა. მთელს მუშაობას საფუძვლად უნდა ედვას ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და ინდივიდუალური აღრიცხვა — შეფასება ყოველდღიური ინდივიდუალური აღრიცხვის საფუძველზე. სასწავლო წლის ყოველი მეოთხედის ბოლოს მეოთხედური აღრიცხვა ტარდება. მეოთხედის აღრიცხვა არ წარმოადგენს ყოველდღიური აღრიცხვის მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულის მექანიკურად გამოყვანას, არამედ მიზნად ისახავს საფუძვლიანად შეამოწმოს მეოთხედის განმავლობაში დამუშავებული საპროგრამო მასალის შეთვისების ხარისხი და უზრუნველყოს შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული დასკვნების გამოტანა და გატარება.

მეოთხედური აღრიცხვის ჩატარება შემდეგი სახით უნდა წარმოვიდგინოთ:

1. მეოთხედის დასრულებამდე, 6—8 დღით ადრე, მეოთხედის განმავლობაში სასწავლო საგნებიდან გავლილი მასალის საფუძველზე, მასწავლებელი ადგენს ძირითად საკონტროლო კითხვებს, რომლებიც გამოარკვევენ მთელი დამუშავებული მასალის შეთვისების ხარისხს. საკანტროლო კითხვები მოსწავლეებს წინდაწინ უნდა ეცნობოს.

2. დანიშნულ დღეებში, გაკვეთილების წესით და შინ მიცემულ დავალებათა გზით, საკონტროლო საკითხების მიხედვით, ტარდება გავლილი მასალის გამეორება და მასწავლებლის მხრივ მოსწავლეთათვის საჭირო დამატებითი ახსნა-განმარტების მიცემა.

3. მეოთხედის უკანასკნელ დღეებში, ცხრილის მიხედვით დანიშნულ საათებში, ტარდება აღრიცხვა, ე. ი. მთელი ჯგუფის წინაშე მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება დასმულ საკონტროლო კითხვებზე პასუხებით, დაფაზე ამოცანების გაკეთებით, რუკაზე ჩვენებით, ცდების დაყენებით და სხვ. გამოწვეული მოსწავლე სააღრიცხვო პასუხებს ჯგუფის მეცადინეობის ჩვეულებრივ პირობებში და ფორმებში იძლევა. აღრიცხვა ჯგუფის მთელ შემადგენლობას — ყველა მოსწავლეს — უნდა შეეხოს.

4. ყველა საგანში სააღრიცხვო გამოკითხვის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები, ისევ ცხრილით ზუსტად განსაზღვრულ საათებში, სააღრიცხვო თემებზე წერითი სამუშაოს ასრულებენ (მშობლიურ ენაში, მათემატიკაში). წერილობით საპასუხოდ ისეთი თემები და ამოცანები უნდა იქნას არჩეული, რომელთა შესრულება მოსწავლეთაგან მოითხოვს მეოთხედის განმავლობაში საგნიდან მასალის სისტემატურ და საფუძვლიან ცოდნას. შესრულებულ წერითი სამუშაოს მასწავლებელი ყურადღებით ასწორებს და აფასებს შინაარსის, ენისა და გარეგანი გაფორმების მხრივ და წერითი მუშაობის საშუალებითაც არკვევს ყოველი მოსწავლის ზრდას, მიღწევებს და ნაკლს.

5. მეოთხედის განმავლობაში ყოველი მოსწავლის მუშაობის ინდივიდუალური აღრიცხვისა და მეოთხედური აღრიცხვის შედეგების საფუძველზე ყოველი ცალკე მოსწავლის წარმატების შესახებ მასწავლებლის მიერ საბოლოო დასკვნები გამოიტანება.

მეოთხედის დასასრულს აღრიცხვის შედეგები დამუშავდება ჯგუფში (ეცნობება ყოველ მოსწავლეს) და მშობელთა სხდომებზე.

აღრიცხვა მაშინ იქნება ნაყოფიერი და პედაგოგიური მუშაობის რეგულიატორად მაშინ იქცევა, როდესაც ნათელ სურათს მოგვცემს თითოეული მოსწავლის წარმატების შესახებ. ამისათვის მოსწავლის მარტო შეფასება — **სუსტი, დამაკმაყოფილებელი, კარგი** და **წარჩინებული** — არ კმარა. საჭიროა მოსწავლის კონკრეტი დახასიათება, იმის აღნიშვნა, თუ რაშია ძლიერი და რაში სუსტი. ამასთანავე მკაფიოდ უნდა იქნას გამომჟღავნებული მოსწავლის ჩამორჩენის თუ სხვა ნაკლის მიზეზი, რომ ამის საფუძველზე მოსწავლის დასახმარებლად და გამოსასწორებლად მიზანშეწონილი მუშაობა გაიშალოს

მოვიყვანოთ დახასიათების რამდენიმე მაგალითი. „მასალა დაბაკმაყოფილებლად აქვს დამუშავებული. აქტივობას იჩენს. გაუმჯობესება ესაჭიროება". ან კიდევ: „საშუალო მოსწავლეა. თუ მოინდომებს, მეტის გაკეთება შეუძლია". ასეთი დახასიათება ფორმალურია, არა-

ვის არაფერს .არ ეუბნება და კონკრეტი მუშაობის საფუძვლად არ გამოდგება. „მეოთხედის დასაწყისში უარესად მუშაობდა, შემდეგ გაუმჯობესება დაეტყო. ალგებრულ წილადებში სუსტია, რადგან არითმეტიკის საფუძვლები არ აქვს. მეოთხედში 17 გაკვეთილი გამოტოვა. შინ მიცემულ მათემატიკურ სავარჯიშოს შესრულებას გაურბის. წერს ცუდათ — შეცდომებით და უსუფთაოდ. ბინის პირობები არ უვარგა. გაკვეთილზე სიფხიზლე აკლია, უფრო ფხიზლად მუშაობს სახელოსნოში და ტექნიკა აინტერესებს. ქუჩაში ხშირად დადის. დაუშვებელი სიტყვების ხმარებაში არაერთხელ არის შემჩნეული. თავის ამხანაგებისაგან სწორ შენიშვნებსაც ვერ ურიგდება“.

არც ეს დახასიათება შეიძლება ჩაითვალოს სრულად, მაგრამ მას მეტი კონკრეტობა ეტყობა. აქ გარკვეულად ჩანს მოსწავლის მეცადინეობის და ქცევის ახსნის ტენდენციადა ამით მეტ საფუძველს იძლევა მდგომარეობის გამოსწორებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა გასატარებლად. მოსწავლეთა დახასიათების მეთოდიკა ჯერ არ არის დამუშავებული. აქაც საჭიროა სკოლის გამოცდილების შესწავლა. დახასიათებაში მოცემული უნდა იყოს მოსწავლის აკადემიური მუშაობისა და მისი ქცევის მნიშვნელოვანი მომენტების მოკლე აღნუსხვა და მათი ახსნა.

დახასიათებაში, დაახლოებით, შემდეგი მომენტები უნდა იყოს მოცემული: რამდენად მტკიცედ და შეგნებულად აქვს მოსწავლეს შეთვისებული დამუშავებული პროგრამული მასალა; შეძენილ ცოდნას რამდენად უკავშირებს პრაქტიკას და რამდენად ამეღავნებს ქცევაში; რამდენად აქვს შეთვისებული დამოუკიდებელი მუშაობისა და ცოდნის შეძენის უნარი; რამდენად ზუსტად და მაღალი თვისებით ასრულებს დავალებებს; რამდენად მუყაითია მეცადინეობაში და რამდენად იყენებს დროსა და საშუალებებს სასწავლო მუშაობის გასაუმჯობესებლად; რა მიღწევა და ნაკლი აქვს მოსწავლის ქცევას. დახასიათება უნდა შეეხოს მოსწავლის მუშაობას ყოველ სასწავლო საგანში. მოსწავლის აკადემიური მუშაობისა და ქცევის შეფასება (სუსტი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, წარჩინებული) დახასიათებას უნდა ემყარებოდეს. დახასიათების კონკრეტობა, მისი სისწორე და ოპერატიული ხასიათი მასწავლებლის ფხიზელ დაკვირვებას და სისტემატურ საფუძვლიან მიმდინარე აღრიცხვას უნდა დაემყაროს — ტრაფარეტი აქაც დაუშვებელია. დახასიათებას უნდა იცნობდენ როგორც მოსწავლე, რომელსაც ის ეხება, ისე მისი მშობლები.

მასწავლებლის მიერ ყოველი მოსწავლის საფუძვლიანი შესწავლა ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობის აუცილებელი პირობაა. მოსწა-

ვლეთა ინდივიდუალური დახასიათების საფუძველზე მასწავლებელი სახავს და ატარებს ჯგუფთან შემდგომი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, ითვალისწინებს ცალკე მოსწავლის მიმართ გამოსაყენებელ პედაგოგიურ საშუალებებს სკოლის ფარგლებში თუ მის გარეთ. ასეთ საშუალებათ შეიძლება გამოყენებულ იქნას: მასწავლებელთა მონაწილეობით, ცხრილის გარეშე, დამატებითი მეცადინეობა; მოსწავლისათვის მეტი სავარჯიშოს მიცემა — გადატვირთვის არიდებით; ძლიერ მოსწავლეთა მხრივ დახმარების ორგანიზაცია; ჩამორჩენილ მოსწავლეთა მიმართ ყურადღებისა და კონტროლის გაძლიერება; მშობლებთან მოლაპარაკებით შინ მუშაობის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმა და სხვ. დახასიათება, რაგინდ სწორად არ იყოს ის შედგენილი, ფორმალურ ხასიათს მიიღებს და უსარგებლო იქნება, თუ მასზე არ არის აშენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტი გეგმა.

მოსწავლეთა სწორი დახასიათების სისტემატური შედგენა და, ამასთან შეფარდებით, სასწავლო — აღმზრდელობითი ღონისძიებათა გატარება, მოსწავლის მიზანშეწონილად შეცვლისა და პედაგოგიური პროცესის ზრდის მაჩვენებელი უნდა იყოს.

აღრიცხვის შემდეგი საფეხური წლიური აღრიცხვა არის, რომელიც იმავე წესით და იმავე პრინციპებზე ტარდება, როგორც მეოთხედური აღრიცხვა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ **წლიური აღრიცხვა, ც. კ. 25 აგვისტოს დირექტივების თანახმად, შეიცავს მოსწავლეთა გამოცდას მთელი წლის განმავლობაში დამუშავებული პროგრამების საფუძველზე.**

წლიური აღრიცხვა-გამოცდებისათვის სამზადისს სკოლა ნაადრევად უნდა შეუდგეს: 20 – 25 დღით ადრე დაამუშაოს ყველა საგანში საკონტროლო კითხვები (15 — 20 ღერძეული კითხვა საგანში) — ისეთები, რომლებიც ამოსწურავენ მთელი წლიური კურსის ყველა მნიშვნელოვან თემას — და აცნობოს მოსწავლეებს; ახალი მასალის დამუშავებასთან პარალელურად, გაკვეთილებზე, ზუსტი გეგმის მიხედვით, აწარმოოს გავლილი მასალის განმეორება; ამავე მიზნით გამოყენებული უნდა იქნას მოსწავლეთა შინ მუშაობა. ყველა საგნისათვის ცალკე საგამოცდო დღე და საათი ინიშნება – ცხრილით. გამოცდები ჯგუფის ჩვეულებრივი მუშაობის ფორმებში მიმდინარეობს, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველი მოსწავლე და მასწავლებელი გამოცდის საქმეს მთელი სერიოზულობით ეპყრობოდენ. გამოცდა ყველე მოსწავლეს უნდა შეეხოს, — ყველამ უნდა გამოაჩენინოს მთელი წლის კურსის

სისტემატური ცოდნის დონე და თვისება. წერითი გაპოცდებისათვისაც წლიური კურსის ღერძეული თემები უნდა იქნას არჩეული.

მიზანშეწონილი იქნება, რომ წლიური აღრიცხვა-გაპოცდების პროცესი წლიური მუშაობის შედეგების გამოფენას დაემყაროს — მოწესრიგებულად გამოფენილ მასალას, რომელიც წლიური მუშაობის პროცესში დამზადდა და შესრულდა. გამოფენისათვის მასალის საგანგებოდ დამზადების ცოცხალებას სკოლაში ადგილი არ უნდა ქონდეს. აღრიცხვაში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია და მოსწავლეთა თვითმართველობა, (გაკვეთილებზე დასწრება, დისციპლინა და სხვ.), მაგრამ მთელი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა და მოსწავლეთა აკადემიური მომზადების აღრიცხვა-შეფასებაში მთელი როლი და პასუხისმგებლობა მხოლოდ მასწავლებელს ეკისრება.

წლიური აღრიცხვის დასრულებისას სასარგებლო იქნება საგანგებო დილის მოწყობა, საბჭოთა საზოგადოებრივობის მოწვევა და ამ გზით საზოგადოების წინაშე სკოლის კოლექტიური აღრიცხვა — ანგარიშის ჩატარება. საღრიცხვო დილის პროგრამაში შეტანილი უნდა იქნას როგორც მხატვრული ნომენტები, ისე ნოკლე მოხსენებები, რომლებიც ზოგად ხაზებში ნათელყოფენ სკოლის წლიური მუშაობის რიცხვობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს და გამოამჟღავნებენ იმ შედეგებს, რომლებსაც მიაღწია სკოლამ ც. კ. დადგენილებათა მიერ დასმულ ამოცანების განხორციელების მიმართულებით.

წლიური აღრიცხვა მოსწავლეთა და მშობელთათვის წლიური მუშაობის შედეგების გამოცხადებით უნდა დასრულდეს — აღინიშნება ძლიერი და სუსტი მოსწავლეები და მიეცემათ საზაფხულო სამუშაო. სასწავლო წლის დასასრულს, მეოთხედურ დახასიათებათა და გამოცდების შედეგების საფუძველზე, სდგება ყოველი მოსწავლის წლიური დახასიათება, რომელშიაც უნდა გამოჩნდეს: ა) მოსწავლის მომზადება ცალკე სასწავლო დისციპლინებში (სავალდებულო კურსის შეთვისება — რა არ ხარის შეთვისებული და რატომ, დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება, საგნისადმი ინტერესი და ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარი), ბ) ზოგადი ცნობები მოსწავლის ზრდა-განვითარების შესახებ (ფიზიკური განვითარება, კულტურული ჩვევები, შრომისა და საზოგადოებრივი ქონებისადმი დამოკიდებულება და კომუნისტური მორალი, საზოგადოებრივი მუშაობა, დისციპლინა, ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობა) და გ) დასკვნები (მოსწავლის გადაყვანის საკითხის გადაწყვეტა, ღონისძიებანი მისი შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად).

მოსწავლის კონკრეტი წლიური დახასიათება შემდგომს წელიწადში, ამ მოსწავლესთან მუშაობის დაწყებისას, სახელმძღვანელო მასალად უნდა იქნას გამოყენებული.

წლიური აღრიცხვა-გამოცდები წლიური სასწავლო მუშაობის დამასრულებელი რგოლია, რომელიც სისტემატურ მიმდინარე და მეოთხედურ აღრიცხვის შედეგებს ემყარება და რომელიც სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უნდა იქნას გათვალისწინებული. აღრიცხვაში, როგორც მთელს პედაგოგიურ პროცესში, მასწავლებელი წამძღოლია. აღრიცხვის და სასწავლო მუშაობის შედეგების შეფასებას ის არა მარტო მოსწავლეთ მისამართით ატარებს, არამედ თავის მისამართითაც. აღრიცხვის ობიექტურ შედეგებზე მასწავლებელმა თავის მუშაობის შესახებ მართებული დასკნა უნდა გააკეთოს — სწორად შეამჩნიოს თავისი მუშაობის ნაკლი და ღირსება. მოსწავლეთა მუშაობის სუსტ რიცხვობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებში მან გაბედულად და მთელი პედაგოგიური პატიოსნებით უნდა მონახოს თავისი მუშაობის სუსტი მხარეებიც და იბრძოლოს, რათა სასწავლო მუშაობაში სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მთლიანად შესრულება მაღალ თვისობრივ მაჩვენებლებს დაემყაროს. ყოველდღიური სასწავლო მუშაობის სისტემატური აღრიცხვა მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს, როგორც თავის მუშაობის გაუმჯობესების რეგულიატორი, დროზე გამოააშკარაოს სუსტი და ძლიერი მხარეები და, მოსწავლეთა მთელი შემადგენლობის მტკიცე კოლექტივთან ერთად, დროზე მიიღოს ზომები ყოველგვარი ნაკლისა და ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად.

VIII. შეგნებული დისციპლინა სწავლა-აღზრდაში.

„როზგით ბავშთა ცემას სულიწმინდა გვიბრძანებს. როზგი ჯანმრთელობას არ ავნებს, არამედ თავსა შინა სიბრძნეს ამკვიდრებს... როზგი ბავშვებს მორჩილებაში ზრდის... მოხედე, ღმერთო, მშობელთ, და მასწავლებელთ საქმესა ბავშთა ცემისასა. აკურთხე ტყენი, რომელნიც ზრდიან შოლტებს ჟამსა მრავლისას“.

„თავისუფალი თარგმანით“—როზგის მიმართ მთელ „ოდას“ ვკითხულობთ მე-17 საუკუნეში დაბეჭდილ რუსულ საანბანო წიგნში.

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა: ფეოდალურ-ბურჟუაზიული სკოლა დასჯა-წამების ნაირნაირი საშუალებით ასახიჩრებს მოსწავლეებს და ცდილობს შიშსა და მორჩილებაში აღზარდოს. „ერთ ნაცემში ორ უცემს იძლევიან და მაინც არ იღებენო“ — ამბობდა ბატონყმური რუსეთის ანდაზა, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს ფეოდალურ—ეკ-

დარმულ სიბრძნეს იმის შესახებ, რომ ნაცემი ყმა უფრო მორჩილი და თვინიერია. გერმანელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი და პედაგოგი პაულსენი მორცხვად ლაპარაკობს ფიზიკურ დასჯაზე, როგორც აღზრდის საშვალებაზე. ჰიტლერიხ საშუალო საუკუნეებისებურ რეაქციას კი გერმანეთის სკოლა აშკარად გადაჰყავს დასჯაზე: 1933 წ. 17 მარტს კანონიც კი გამოიცა „ფიზიკური დასჯის აღკვეთის შეზღუდვის შესახებ“ ფაშიზმი ჯოხით ზრდის „არიელს“.

სულ სხვაა სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში: აქ მებრძოლი და ინიციატივის მქონე თაობა უნდა აღვზარდოთ — ისეთი, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ აშენებას. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ფოლადისებური დისციპლინა, მაგრამ დისციპლინა ძლიერი პიროვნების ძლიერს კოლექტივში, დისციპლინა მებრძოლის და მშენებლის, დისციპლინა ისეთი ადამიანების, რომელთა სოციალისტურ შეტევას ვერც ერთი სიმაგრე დაუძლეველი და აუღებელი არ გადაურჩება. ასეთი არის **შეგნებული დისციპლინა**, დისციპლინა შინაგანი, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტურად აღზრდილი ადამიანის ქცევა ყოველგან და ყოველთვის.

კომუნისტური და ბურჟუაზიული აღზრდის მიზნებს შორის ძირითადი წინააღმდეგობა დისციპლინის ძირითადათ განსხვავებულ გაგებასა და მისი დამყარების განსხვავებულ საშუალებებშიც აშკარად ჩანს.

დისციპლინა ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ინდივიდისა და კოლექტივის ისეთი შეგნებული ქცევა, რომელიც უზრუნველყოფს დროის, საშუალებათა და ენერგიის მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენებას საზოგადოებრივად სასარგებლო და შეგნებული მიზნების მისაღწევად. ამ თვალსაზრისით-უდისციპლინობა იქნება, როგორც შრომისა და საზოგადოებრივი ქონებისადმი არა სოციალისტური დამოკიდებულება — „აქტიური“ უწესრიგობა, უზნეო საქციელი და სხვა, ისე... „წყნარი“ და „დინჯი“ ზარმაცობაც, დაუდევრობა, უგულობა, პასივობა.

დისციალინის საკითხს ჩვენ არ განვიხილავთ აბსტრაქტულად, არამედ განვიხილავთ სხვადასხვა მოვლენასთან კავშირში. როდესაც მოსწავლე წესრიგს არღვევს, უდისციპლინობის პირველ და საბოლოო მიზეზად ჩვეულებრივად მოსწავლეს თვლიან, ჩვეულებრივი წარმოდგენით უდისციპლინობა მოსწავლით იწყება და თავდება—ამის იქით არ მიდის ვიწრო შეხედულება.

პირველ ყოვლისა დისციპლინის საკითხი უნდა განვიხილოთ პედაგოგიური პროცესის თვისობრივ დონესთან დაკავშირებით: თუ პედაგოგური მუშაობა ძლიერი, მიზნობრივი, ყოველთვის გეგმიანი,

შინაარსიანი და სახალისოა, თუ ის მტკიცე აღმზრდელობითი გავლენის ქვეშ აყენებს მოსწავლეს, აძლევს მას მეცნიერულ ცოდნას, აქტიურად ამუშავებს, აჩვევს შეგნებულ მოქცევას, უღვიძებს ცოდნისა და განვითარების წყურვილს, თუ ხელმძღვანელობს და ეხმარება მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმეში-ასეთი პედაგოგიური პროცესის მონაწილე მოსწავლე არც ისე ხშირად დაუშვებს უდისციპლინობას გაკვეთილებზე, დასვენებაზე, სკოლის გარედ.

ყოველმხრივად გამართულმა პედაგოგიურმა მუშაობამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეში მტკიცე შეგნების შემუშავება, რათა მოსწავლე თავისი ქცევის ყოველ ნაბიჯს შედეგების თვალსაზრისით აფასებდეს და ისე იქცეოდეს, რომ მისი ქცევა მთლიანად ხელს უწყობდეს სწავლა-აღზრდის მაქსიმალურ ნაყოფიერებას და, საბოლოოდ სოციალიზმის შენების ფრონტის გამტკიცებას. კარგად დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში და ჯგუფში მტკიცე შეგნებული დისციპლინის მნიშვნელოვანი პირობაა და პირიქით: **სუსტი მუშაობა უდისციპლინობის მიზეზად და წყაროდ იქცევა.**

როდესაც სკოლა და მასწავლებელი ჩივიან უდისციპლინობაზე, მათ მართებთ პირველს რიგში საფუძვლიანად გამოარკვიონ უდისციპლინობის მიზეზი; მოურიდებლად, კეთილსინდისიერად ამხილონ უდისციპლინობაში სკოლისა და თვით მასწავლებლის როლიც-აღმოჩნდება, რომ ხშირად სკოლა და მასწავლებელი იწვევენ და ხელს უწყობენ უდისციპლინობას-რა თქმა უნდა-სურვილისა და ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე. მაგრამ ამით მდგომარეობა უკეთესისაკენ არ იცვლება. სადაც არ არის შინაარსიანი და გეგმიანი მუშაობა, არ არის მტკიცე რეჟიმი და წესრიგი-იქ უდისციპლინობისათვის ყველა კარი ღია არის. როცა მასწავლებელი სუსტადაა მომზადებული, არ იცის თავის საგანი და მისი მეთოდიკა, არ ემზადება, გაკვეთილებზე იბნევა, შეცდომას უშვებს, გაკვეთილებს აცდენს და მეცადინეობაზე აგვიანებს, იქ დისციპლინაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. თუ შედარებით რიგიანი ქცევის მოსწავლეც გაკვეთილებზე წესრიგს არღვევს, აქ უდისციპლინობის მთავარი მიზეზი გაკვეთილში უნდა ვეძიოთ. ამიტომ კულტურული გაკვეთილისა და მთელი პედაგოგიური პროცესის რაციონალიზაციისათვის ბრძოლა იმავე დროს არის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა. რაციონალურად დაყენებული პედაგოგიური მუშაობით დამკვიდრებული დისციპლინა ხელს უწყობს პედაგოგიური მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და პირიქით: სუსტი მუშაობით გამოწვეული უდისციპლინობა კიდევ უფრო აღრმავებს მუშაობის დეზორგანიზაციას.

აქედან ცხადად გამომდინარეობს სკოლისა და მასწავლებლის მოვალეობა დისციპლინის გამტკიცების ამოცანის წინაშე: ეს არის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაშინაარსიანება და გაძლიერება, ცოდნისა და შემოქმედებითი შრომისადმი მოსწავლის ინტერესის გამოწვევა, მისი დაკმაყოფილება, შეგნების დადება მოსწავლეთა ქცევის საფუძვლად-ეს არის მთავარი და არა გრძელი ნოტაციები, ყვირილი, მუქარა, გაკვეთილიდან გაძევება, მშობლების გამოწვევა „დასაბეზღებლად" და სხვა.

სასწავლო მუშაობის გაშინაარსიანებისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებასთან ერთად, მოსწავლე უნდა გრძნობდეს მასწავლებლის, სკოლისა და თავის კოლექტივის მტკიცე კონტროლს. **უდისციპლინობის არც ერთი ფაქტი არ უნდა იქნას გაშვებული შეუმჩნეველად.** საბჭოთა სკოლის გაკვეთილი შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს-გეგმიანობით, შინაარსიანობით, შერჩეული მეთოდებით, ყურადღებით, ინტერესით, შეგნებით, წესრიგით და პასუხისმგებლობით.

დისციპლინის დარღვევა დასვენებაზე — გაკვეთილების შუა — ჩვეულებრივი მოვლენაა. დასვენება ხშირად ისეა გაგებული, თითქოს ამ დროს მოსწავლეებმა ყველაფერი უნდა ჩაიდინონ, რასაც მოისურვებენ. გაკვეთილზე თუ წესრიგს მოითხოვენ, სამაგიეროდ დასვენებაზე სრული თავაშვებულობაა. სწორედ ამ დროს აქვს ადგილი უთავბოლო სირბილს, კინკლაობას, ხმაურობას, აურზაურს, სკოლის ქონების გაფუჭებას, კედლების ჩხაპნას და სხვა მრავალს. სკოლაში დასვენება ისე უნდა იქნას გაშინაარსიანებული, რომ იგი აღმზრდელობითი მუშაობის გეგმიან რგოლს წარმოადგენდეს. კოლექტიური მოძრავი თამაშობანი, გაზეთების კითხვა, ცოცხალი გაზეთი, რადიოს მოსმენა, მხატვრული გამოფენის დათვალიერება, დეკლამაცია, ორკესტრი, გუნდი და სხვ. — სწორად დაყენებული კულტურული გართობების ეს სახეები სასარგებლოდ შეავსებენ მოსწავლეთა დასვენებას და დისციპლინის დაცვაში ამარიდებელ როლს შეასრულებენ. გართობის სახის შერჩევა შეფარდებული უნდა იყოს ასაკთან, დროსთან და მეტი ნაყოფიერებით მეცადინეობის ამოცანებთან. დასვენების პედაგოგიური ორგანიზაცია ხელს უნდა უწყობდეს შემდგომი გაკვეთილისათვის მოსწავლეთა დასვენებას და გახალისებას, მაგრამ დასვენებაზე ისეთი გართობა დაუშვებელია, რომელიც მოსწავლეს დაქანცავს ან ძლიერ აღგზნებას იწვევს მასში — ამ შემთხვევაში შემდგომი გაკვეთილების ნაყოფიერება ნაკლები იქნება: დაქანცული მოსწავლე ვერ იმუშავებს

ყურადღებით და გარეთობიდან მიღებული ძლიერი შთაბეჭდილებაც ხელს უშლის გაკვეთილებზე ყურადღების შეჩერებას.

დასვენებაზე, მოსწავლეთა შორის მასურ-კულტურული მუშაობის სათანადოთ დაყენებასთან ერთად, წესრიგის დაცვის საქმეზე განხორციელებული უნდა იქნას მტკიცე მეთვალყურეობა. დასვენების მოგვარებაში გეგმიანად უნდა ჩაებან მასწავლებელთა შემადგენლობა, ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები, მოსწავლეთა თვითმართველობა, დამხმარე საბჭო. დასვენების პედაგოგიურად მოწყობის საკითხი ყველა სკოლამ უნდა გადასწყვიტოს — ამის გარეშე ძნელია დისციალინის საკითხის მოგვარება.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენება გულისხმობს, რომ მასწავლებელს კარგად უნდა ყავდეს შესწავლილი ყოველი ცალკე მოსწავლე. დისციპლინის დაყენების შესახებაც იგივე უნდა ვთქვათ. მოწაფის ყველა თავისებურობის ცოდნის გარდა, აქ საჭიროა მისი სოციალური პროფილის ცოდნა, რადგან დისციპლინის აღზრდისა და კომუნისტური ქცევის შემუშავების საკითხში კლასობრივობა მკვეთრად გამომჟღავნებულ როლს თამაშობს. პირველი და მეორე საფეხურის სკოლის ფარგლებში ჩვენ საყოველთაო საალდებულო სწავლას ვანხორციელებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სკოლაში ლიკვიდირებული და ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კაპიტალისტური ელემენტების შვილებიც სწავლობენ. არის შემთხვევები, რომ მოსწავლეები სკოლაში კლასობრივი მტრის გავლენითაც არღვევენ წესრიგს, მათი მეშვეობით კლასობრივი მტერი მოქმედობს — ცდილობს სკოლის მუშაობა და ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს ხელი შეუშალოს: — აფუჭებენ სკოლის ქონებას, მასწავლებელს ხელს უშლიან მეცადინეობაში, ააშკარავებენ უცხო იდეოლოგიას. ერთ-ერთ სკოლაში დაბალი ჯგუფის მოსწავლეს მასწავლებელს გაკვეთილზე განუცხადა: მეორე ხუთწლედი არ გვინდა — ასე თქვა მამამო.

დაბალი ჯგუფის მოსწავლე უფრო გულუბრყვილოდ ამჟღავნებს იმ გავლენას, რომლითაც კლასობრივი მტერი ცდილობს ბავშვის მიმხრობას. უფროსი ასაკის მოსწავლე კი ასეთ გავლენას ისე აშკარად არ ამხელს, — აქ საჭიროა მასწავლებლის ფხიზელი ყურადღება და გულდასმითი დაკვირვება, რომ მოსწავლის ქცევაში (დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი ქონებისადმი, დამოკიდებულება ამხანაგებისადმი, კითხვები და პასუხები, მაგ, სეზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისციპლინების გაკვეთილებზე და სხვ.) შეამჩნიოს ისეთი მომენტები, რომლებიც კლასობრივი მტრის გავლენისაგან გამომდინარეობენ.

მასეთ შემთხვევაში საჭიროა მოსწავლესთან კიდევ უფრო „ახლოს მისვლა", მისი კლასობრივი კუთვნილების, ინტერესისა და ცხოვრების პირობების კარგად გამორკვევა და გაძლიერებული აღმზრდელობითი უშაობის მომარჯვება.

დისციპლინის თვალსაზრისით, რეჟიმთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას და სკოლის კეთილმოწყობას. მოსწავლეთა თვალში სკოლა მისი გარეგნობითაც კულტურული დაწესებულების საუკეთესო მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს მხატვრულად გაფორმებული სასკოლო შენობები, რომ მოსწავლეები ამაყობდენ ასეთ სკოლაში სწავლით და პატარეებიც ნატრულობდენ შიგ შესვლას და სწავლის დაწყებას. სისუფთავე და სიფაქიზე-შენობის, სასწავლო მოწყობილობის, ეზოსი, სკოლის ტერიტორიაზე ყველა ადგილის, სკოლის ქუჩის და სხვ. მოსწავლის ყურადღებას უნდა იპყრობდეს და უწესრიგო საქციელის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდეს. დიდი საქმეა აგრეთვე სკოლის ეზოს დამშვენება ხეებით, ყვავილებით, ქანდაკებებით, დერეფნებისა და დარბაზების მორთვა იდეოლოგიურად გამართული მხატვრული სურათებით — მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის ბელადების, მოღვაწეების, მეცენიერთა და მწერლების სურათებით.

წესრიგი, სიფაქიზე და სილამაზე მოსწავლეში უნდა ზრდიდეს სიფრთხილეს, მორიდებას და თავდაჭერილობას.

ყველა სკოლას, რომელიც საკითხს აყენებს დისციპლინაზე, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ჭუჭყი, ფანჯრებჩალეწილი შენობა, დამსხვრეული და დაჩეხილი დგამი, აბლაბუდა კედლებზე, დამტვრეული და ჟანგიანი სასწავლო ნივთები, დაჩხაპნული კედლები, უსუფთაობა და უწმაწურობა სხვადასხვა ადგილში, უთავბოლობა სახელოსნოში, სარეველებით სავსე სკოლის ნაკვეთი, გარღვეული და გაპარტახებული ეზო, ჭუჭყიანი და გაბურძგნული მოსწავლეები — ყველა ეს, სხვაზე რომ არ ვთქვით, უდისციპლინობის აშკარა ხელისშემწყვეა. ამიტომ სკოლა გარეგნულადაც კულტურული ცხოვრების და საქმიანობის მისაბაძ ნიმუშად უნდა იქცეს. ამ ამოცანის გადაწყვეტას სერიოზული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ.

დისციპლინის განმტკიცებაში ფრიად მნიშვნელოვანია სასწავლო დროის რეჟიმის ზუსტად დაცვა. არც ეროი წუთი უნაყოფოდ არ უნდა დაიკარგოს. მეცადინეობის დაწყება და დამთავრება მტკიცედ დადგენილ დროში, დაგვიანებისა და გაკვეთილების გაცდენის გადაჭრით აღმოფხვრა დისციპლინის დამკვიდრების მნიშვნელოვანი

პირობაა, რომელიც გადაუდებლად და მთლიანად უნდა იქნას შესრულებული.

მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინისა და კომუნისტური ქცევის საკითხის გადაწყვეტა მარტო სკოლის ფარგლებით არ განისაზღვრება. მოსწავლე კომუნისტური ქცევის საუკეთესო ნიმუშს უნდა იძლეოდეს სკოლაში და სკოლის გარეთ. მოსწავლეთა კულტურული ქცევის საუკეთესო მაგალითზე უნდა იზრდებოდენ სხვები. მოსწავლე ნამდვილი სოციალისტური ქცევითაც კულტურული აგენტი უნდა იყოს. ხშირად ასე არ არის. მოსწავლეები წესრიგს არღვევენ ქუჩაში: ხმაურობენ, აურზაურს აყენებენ, გამვლელთ შეურაცყოფენ, არღვევენ წესრიგს ბაღებში, კინოში, თეატრში ტრამვაით და მატარებლით მოგზაურობის დროს, ზოგჯერ წვრილმანით ვაჭრობენ ქუჩებსა და მოედნებზე. კინო და თეატრიც, თუ შერჩევით და პედაგოგიური წინდახედულობით არ მუშაობენ, ხშირად ხელს უწყობენ უდისციპლინობას. მაგ., კინო-სურათმა „ახალი ცხოვრებისაკენ" არა ერთი და ორი ათეული პალტო იმსხვერპლა თბილისის სკოლებში: მოსწავლეები ჩუმად უჭრიდენ პალტოებს თავის ამხანაგებს — სურათში ნახულის მსგავსად!

კომუნისტური აღზრდით დაინტერესებული სკოლა არ შეიძლება ფხიზელი ყურადღებით არ ეპყრობოდეს სკოლის გარეთ მოსწავლეთა ქცევას და ცხოვრებას. ზოგჯერ ეჭვობენ — დასაშვებია თუ არა, რომ მასწავლებელმა და სკოლამ მოსწავლე სკოლის გარეთაც დააყენოს კონტროლის ქვეშ და აქვე იგონებენ წინადროინდელ სკოლას და მის რეჟიმს, როდესაც საზოგადოების ყველა საღი ელემენტი გმობდა სკოლის გარეთ მოსწავლეებზე მეთვალყურეობას. აქ აშკარა გაუგებრობაა: მაშინ ვიბრძოდით სკოლის გარეთ მოსწავლეებზე კონტროლის დამყარების წინააღმდეგ, რადგან ის ძველი წყობილების ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული: სკოლა, რომელსაც მონები და მოხელეები უნდა აღეზარდა, ცდილობდა მოსწავლე სკოლის გარეთ „დაეცო უკუღმართი იდეებისაგან", ე. ი. რევოლუციონური იდეებისაგან, არიდებდა პროგრესიული ლიტერატურის კითხვას, კრებებს, პროგრესიულ გავლენას. ასეთ პირობებში სკოლის გარეთ მოსწავლეებზე კონტროლის დაწესების წინააღმდეგ ბრძოლა რევოლუციონური ნაბიჯი იყო.

მაგრამ ჩვენს პირობებში, როდესაც კომუნისტური აღზრდისათვის ვიბრძვით, როდესაც კლასობრივი მტრის ნაშთები ათასი გზით და საშუალებით ცდილობენ ახალგაზრდობაზე გავლენა მოიპოვონ და, როდესაც ამ თვალსაზრისით სკოლის გარეშე გარემო

ყველაზე მეტ სიფხიზლეს თხოულობს — ასეთ პირობებში სკოლის გარეშე მოსწავლეთა ცხოვრებაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის საჭიროების უარყოფა კონტრ—რევოლუციონური ნაბიჯი იქნებოდა, რადგან ხელმძღვანელობა — კონტროლის მოხსნა შეასუსტებდა მარქსისტულ—ლენინური აღზრდის პოზიციებს კლასობრივი მტრის ზრახვების სასარგებლოდ.

დასასვენებელ დღეებში და არდადეგებზე მოსწავლეთა შორის მასურ — კულტმუშაობის სათანადო დონეზე დაყენებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივად სკოლაში მოსწავლე 4-5 საათს ატარებს, დანარჩენს — სკოლის გარეშე. თუ მოსწავლეს არ აქვს მოცალების კულტურულად გატარების საშუალება, ის მით უფრო ადვილად დგება უდისციპლინობის ნიადაგზე. ფიზკულტურა და სხვადასხვა სახის სპორტი, კინო — თეატრში კოლექტიურად, ხელმძღვანელობით, წასვლა; ახალმშენების დათვალიერება; ტექნიკურ, სასოფლო — სამეურნეო, ლიტერატურულ, მეცნიერულ და ხელოვნების წრეებში მუშაობა; საზოგადოებრივ — კულტურულ საქმიანობაში გეგმიანი მონაწილეობა; სამხატვრო გალერეების და სხვადასხვა გამოფენის დათვალიერება, კლუბებსა და ბაღებში ახალგაზრდობის საათების ორგანიზაცია, სკოლის გარეშე კითხვის სწორად დაყენება — მოცალების კულტურული ორგანიზაციის ყველა ეს სახე შერჩეულად და გეგმიანად უნდა იქნას გამოყენებული. სკოლისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის შეთანხმებული მუშაობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას აღზრდის პროცესის მარქსისტულ — ლენინური მთლიანობის განხორციელება. „მოწესრიგებული“ და „მოუწესრიგებელი“ პროცესის არა ანტიმარქსისტულ—ანტილენინური დაპირისპირება და ერთის მეორეთი გამორიცხვა, არამედ, **სკოლის ძირითადი და წამყვანი როლის განხორციელების ნიადაგზე**, სკოლის გარეშე ფაქტორების ისე გაჯანსაღება და გამოყენება, რომ ისინი სკოლას ეხმარებოდენ და ხელს უწყობდენ კომუნისტური აღზრდის ამოცანების სრულად გადაწყვეტაში. მოსწავლის გარემოს ორგანიზაცია სკოლის საბრძოლო ამოცანად უნდა იქნას დასახული.

უდისციპლინობაში დიდი ადგილი უჭირავს სქესობრივი სიმწიფის მომენტებს. უწმაწური სიტყვები, წარწერები, მიწერმოწერა, დაუშვებელი სურათები, კინკლაობა, ზოგჯერ მეცადინეობაზე გულის აცრუება, ჯიუტობა, თავხედობა, მითქმა — მოთქმა, მოსწავლე ქალების შევიწროება, ტუალეტებსა და ქოჩორზე ზოგჯერ ზედმეტი ზრუნვა და ა. შ.— ყველა ამაში, როდესაც გარდამავალ ასაკთან გვაქვს საქმე, აღმზრდელის მახვილმა თვალმა დროზე და სწორად უნდა

შეამჩნიოს უდისციპლინობის გამომწვევი ნამდვილი მიზეზი. აქ საჭიროა მეცნიერული ცოდნით და პედაგოგიური ტაქტით განხორციელებული ხელმძღვანელობა, რომ მოსწავლეებს გაეუადვილოთ სიმწიფის მეტად პასუხსაგები პერიოდის შეგნებულად და კომუნისტური ქცევით გავლა. მასწავლებელი — აღმზრდელი და ექიმი მოსწავლეთა სქესობრივად დამწიფების პერიოდში ფხიზლად უნდა იდგენ პედაგოგიური პროცესის სადარაჯოზე, რათა გარდამავალ პერიოდში მოსწავლე არ იყოს მინდობილი „უკანა კარებიდან" შემოსულ ყალბ და მავნე გავლენაზე, არამედ აღიზარდოს ცხოვრების მოვლენათა სწორად გაგების ნიადაგზე, სწორი შეხედულებით, პასუხისმგებლობის შეგნებით და მტკიცე კომუნისტური ქცევით.

აღზრდის ეს მეტად მნიშვნელოვანი მხარე ჯერ კიდევ არ დგას ყურადღების ცენტრში. ამ საკითხში მოსწავლე ახალგაზრდობა მართლაც რომ „სტიქიურობაზეა" მინდობილი, რაც ჩარევას და მდგომარეობის ძირითადათ შეცვლას მოითხოვს.

განზრახ ჩადენილ უდისციპლინობას მახინჯ ფორმებში გამომჟღავნებული სოციალური მომენტი ახლავს. მოსწავლე, როდესაც ის მარტო არის, განზრახ იშვიათად დაარღვევს წესრიგს და იშვიათად ჩაიდენს უწესრიგობას. მავნე ცელქობა და სხვადასხვაგვარი „ყოჩაღური" უდისციპლანობა უფრო მეტად დამსწრეთა ყურადღებისაკენაა მიმართული: სხვამ რომ დაინახოს და მოუწონოს მოხერხებულობა, „შემოქმედების" უნარი, გამბედაობა და სხვ. ეს გარემოება გვიკარნახებს, ყველა პედაგოგიური ღონისძიების გამოყენებით, მოსწავლის ყურადღება, ინტერესი და ამხანაგებსა და საზოგადოებაში „თავისგამოჩენის" სურვილი საზოგადოებრივ—სასარგებლო მუშაობის კალაპოტში ჩავაყენოთ: მოსწავლე დავაინტერესოთ და გავიტაცოთ მეცნიერებით, ტექნიკით, ხელოვნებით, სოციალისტური მშენებლობით, თვითგანვითარებით, ბუნებისა და ცხოვრების გარდაქმნით, საზოგადოებრივი მუშაობით, — აქეთკენ მივმართოთ მოსწავლეთა განწყობა, ყურადღება, სასარგებლო შემოქმედებითი მუშაობით და გმირობით დიდ მიღწევათა სურვილი. სწორად დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობით მიღწეული უნდა იქნას, რომ მოსწავლე თავის მოქმედება — ქცევის ყოველ ნაბიჯს შეგნებულად, შედეგების გათვალისწინება — შეფასებით, უმორჩილებდეს და უფარდებდეს კომუნისტური აღზრდისა და მშენებლობაში ჩაბმული პროლეტარიატის ამოცანებს. ასეთია სოციალისტური დისციპლინის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

უდისციპლინობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ცალკე მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურობანი უნდა იქნან შესწავლილი როგორც უდისციპლინობის გამომწვევი მიზეზების, ისე მისი ხასიათის მხრივ და ამის მიხედვით იქნას დასახული და გამოყენებული მიზანშეწონილი ღონისძიებანი. დისციპლინისათვის ბრძოლაში ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა, მთელი პედაგოგიური პროცესის გადაჭრით გაუმჯობესებასთან ერთად, ძირითად პედაგოგიურ ღონისძიებათ უნდა იქნას მიჩნეული.

დისციპლინის გამტკიცების საქმეში მასწავლებელი მთავარია. შეგნებული დისციპლინის გამტკიცებას მხოლოდ ისეთი მასწავლებელი შესძლებს, რომელიც საფუძვლიანად არის მომზადებული სოციალისტური მშენებლობის ახალი კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღსაზრდელად, რომელიც მტკიცედ არის შეიარაღებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოთ დაყენების ოსტატობით. მომზადებასთან და პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობის ჯეროვანად დაყენების უნართან ერთად, მასწავლებლისათვის სავალდებულოა თავისი ქცევითაც მოსწავლეთათვის და მთელი მოსახლეობისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდეს. ახალი ცხოვრებისა და კომუნისტური ქცევის საუკეთესო ნიმუშს უნდა აძლევდეს მოსწავლეებს და ამით აც გ ;ოკვეულ როლს თამაშობდეს შეგნებული დისციპლინის დამკვიდრებისა და კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში. შეგნებულ დისციპლინაზე მხოლოდ ის აღზრდის, ვინც თითონ არის ძლიერი შეგნებული დისციპლინით. როგორც ავღნიშნეთ, არავითარ წესრიგზე და დისციპლინაზე არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც მასწავლებელი სუსტია, განუვითარებელი, ზარმაცი და დაუდევარი, სადაც მოსწავლეები და მოსახლეობა ხედავენ მასწავლებლის სხვადასხვა სახის დაუშვებელ საქციელს. ლენინის ანდერძი მასწავლებლის მაღალ დონეზე აყვანის შესახებ მარტო ნივთიერი მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების (ესეც ხომ მნიშვნელოვანი ამოცანაა) თვალსაზრისით კი არ უნდა იქნას გაგებული, არამედ მოსახლეობის კომუნისტურად აღმზრდელისათვის მაღალი დონის აუცილებელი მიღწევის თვალსაზრისითაც. ეს უდიდესი საქმეა. ახალი ადამიანის აღმზრდელი თითონ უნდა იყოს ახალი ადამიანი. კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელი ყოველმხრივ მომზადებული უნდა იყოს კომუნისტური აღზრდის სწორად და სრულად განხორციელებისათვის.

დისციპლინის გამტკიცების საქმეში, პედაგოგიური დახმარების პირობით, ბევრის გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდობის კომორგანიზაციებსა და მოსწავლეთა თვითმართველობას. „სკოლაში მოსწავლეთა

თვითმართველობის მუშაობა ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ ის სწავლების ხარისხის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის გამტკიცებისაკენ იყოს უმთავრესად მიმართული", — ამბობს ც. კ. 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილება. „ნორჩ პიონერთა რაზმების საზოგადოებრივი მუშაობის შინაარსის გადაჭრით გარდაქმნა გაშლილი უნდა იქნას იმ მიმართულებით, რომ მასში, კომკავშირის ხელმძღვანელობით და სკოლის ორგანიზაციებთან და განათლების ორგანოებთან მჭიდრო კავშირის დამყარების პირობით, ცენტრალური ადგილი ეკავოს თვით ბავშვთა ორგანიზაციულ ბრძოლას სწავლის თვისებისათვის, შეგნებული დისციპლინისათვის, პოლიტექნიზმისათვის, სკოლაში ბავშვთა ფიზიკური კულტურისათვის, ბავშვთა მოცალების სწორი ორგანიზაციისათვის და ბავშვთა გარემოში პროლეტარიატისათვის უცხო იდეოლოგიის შემოპარების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ", — ვკითხულობთ პიონერ-ორგანიზაციის შესახებ ც. კ. 1932 წ. 21 აპრილის დადგენილებაში.

აქ მთელი სიცხადით არის გარკვეული ახალგაზრდობის სკოლაში მომქმედი ორგანზაციების მუშაობის მიმართულება და შინაარსი. სწორი ხელმძღვანელობით, სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებაში და, კერძოდ, დისციპლინის განმტკიცებაში მათ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ სკოლა და მასწავლებლობა მეტი ყურადღებით მოეპყრან ამ ორგანიზაციების მუშაობას, ვიდრე ამჟამად არის. ხშირია შემთხვევა, რომ სკოლაში თვითმართველობის არაფერი არ ჩანს და არ ისმის, ორგანიზაცია ქაღალდზე რჩება და მოსწავლეებს კიდევაც ავიწყდებათ, ვინ, რომელ კომისიაში ან სექციაშია გამოყოფილი, ვის რა მოვალეობა აქვს დაკისრებული. მოსწავლეთა ორგანიზაციების მიმართ ყურადღებისა და ხელმძღვანელობის სრულიად გაუქმება ან, უკეთეს შემთხვევაში, ხელმძღვანელობის შესუსტება ნაწილობრივად იმ ყალბი აზრის შედეგია, რომლის მიხედვით, მასწავლებელი თუ პედაგოგიური პროცესის ცენტრალური ფიგურაა და წამყვანი როლის შემსრულებელი — მაშასადამე მოსწავლე და მისი ორგანიზაციები აღარაფერს ნიშნავსო. ასეთი მავნე შეხედულება და პრაქტიკა გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას.

მოსწავლეთა ორგანიზაციებს დიდი მუშაობის გაშლა შეუძლიათ დასვენებებზე მოსწავლეთა შორის მასური კულტმუშაობის მოწესრიგების, დასასვენებელი დღეებისა და საერთოდ მოსწავლეთა მოცალების ორგანიზაციის დარგში მოსწავლეთა მასიური მონაწილეობით. ამ საქმეში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სხვადასხვა სამეცნიერო, ლიტერატურული, სახვითი ხელოვნების, მუსიკა-სიმღერის,

ფიზკულტურისა და სპორტის, ნორჩ ნატურალისტთა, რადიომყვარულთა, ელექტროტექნიკოსების, მოდელებზე მომუშავეების, მებაღეების, მებოსტნეობის, მეკურდღლეების, მეფრინველეთა და სხვათა წრეების ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა. ამის გარდა, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მასური თამაშობანი, ექსკურსიები, გასეირნება, ტექნიკის საღამოების ორგანიზაცია და ა. შ.

შეგნებული დისციპლინის დაცვა — გამტკიცებისათვის საჭირო კულტურულ წინამძღვართა შექმნისა და ხელმძღვანელობის გარდა, ახალგაზრდობის ორგანიზაციებს სკოლაში და სკოლის გარეშე შეუძლიათ მოსწავლეთა ქცევაზე მტკიცე კონტროლის განხორციელება, რომ თვალყურს ადევნებდენ და, მასწავლებელთან ერთად, მტკიცედ მოითხოვდენ შეგნებულ დისციპლინას, შრომისა და საზოგადოებრივ-ქონებისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას, მეცადინეობაში მუყაითობას და კომუნისტურ ქცევას — გაკვეთილზე, დასვენებაზე, ქუჩაში, ოჯახში, საზოგადოებრივ დაწესებულებაში — ე. ი. ყოველგან და ყოველთვის. თავისივე ამხანაგების კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობა მოსწავლისათვის საკმაოდ ძლიერ სტიმულს წარმოადგენს დისციპლინის დაცვისა და წესიერი ქცევის საქმეში. როგორც ავღნიშნეთ, ხშირად წესრიგის დამრღვევი და დეზორგანიზატორი მოსწავლეთა მცირე თუ მოზრდილი ჯგუფის „მოწონებას“ და „კარგ შეხედულებას“ ეძებს და მას ემყარება. დისციპლინისათვის ბრძოლაში მიღწეული უნდა იქნას წესრიგის დამრღვევთა და დეზორგანიზატორთა გამხოლოება, რომ მათ უდისციპლინობაში არავინ არ უთანაგრძნობდეს — პირიქით, ყველა უწუნებდეს საქციელს, ყველა მოითხოვდეს გამოსწორებას და ეხმარებოდეს გამოსწორებასა და გაუმჯობესების საქმეში. სკოლების გამოცდილება ადასტურებს, რომ მოსწავლეთა მასური კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს შეგნებული დისციპლინის გამტკიცებას. ტფ. ერთ სკოლა ში, პიონერორგანიზაციის ინიციატივით, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შეერთებულ სხდომაზე, დისციპლინის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ მოხსენებით და ანგარიშით გამოიყვანეს დისციპლინის მბრივ ყველაზე უფრო სუსტი ჯგუფი და ამან ხელი შეუწყო გამოსწორებისაკენ გარდატეხას. მეორე სკოლაში, კომკავშირის ინიციატივით, დეზორგანიზატორმა მოსწავლემ საჯაროდ აღიარა და დაგმო თავისი დანაშაული და შეცდომები, გადაჭრით გამოსწორებაში თავი დამკვრელად გამოაცხადა, დაასახელა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია... რამდენიმე სხვა დეზორგანიზატორი, რომლებიც თურმე ისე ჩუმად და თადარიგით არღვევდენ დისციპლინას, რომ, ვიწრო ჯგუფის ჯარდა, არა-

ჭინ იცოდა. მესამე სკოლაში, წლიური აღრიცხვის უკანასკნელ დღეს, როდესაც მოსწავლეთა დახასიათებას უკითხავდა მასწავლებელი მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, 9 წლის მოსწავლემ საჯაროთ განაცხადა: მისი ამხანაგი ქუჩაში პაპიროსებით ვაჭრობს, ელექტრონის ნათურებს ქვებს ტყორცნის, ქალაქის ბაღში ყვავილებს გლეჯს. ამას მოყვა დასახელებულის აცრემლებული გაცხადება, რომ ამის შემდეგ აღარ ჩაიდენს. თავის ნაკლის გამომძღავნებაში, მასწავლებლისა და თავისი ამხანაგების მხრივ წამოყენებულ გამოსწორების მოთხოვნაში მოსწავლე ყოველთვის უნდა ხედავდეს და გრძნობდეს სიახლოვეს, ყურადღებას, სიყვარულს— უნდა იგრძნოს, რომ მასწავლებელი და ამხანაგები მისი გაუმჯობესებით არიან დაინტერესებულნი და კიდეც ეხმარებიან განვითარებისა და გაუმჯობესების მაღალ და მაღალ საფეხურებზე ასვლაში. „ჩამტერება“, მოსწავლის ათვალისწუნება, გამუდმებული „ჩიჩინი“ და—ვარგა თუ არ ვარგა — მაინც დაწუნება სასარგებლოს არაფერს არ მოიტანს. სწორი პეტაგოგიური შეგნებით და ალღოთი წარმოებულმა აღმზრდელობითმა მუშაობამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეში გაძოსწორების და გაუმჯობესების ძლიერი სურვილის გამოწვევა, ამ მიმართულებით მოსწავლის შეგნებული მოქმედება, გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ნაბიჯით და მისი შედეგებით მოსწავლის წახალისება და ამით კი შემდგომი ზრდის ხალისისა და იმპულსის კიდევ უფრო გაძლიერება. მოსწავლის ასაკი და ინდივიდუალური თავისებურობა ზოგჯერ თხოულობს დარიგებას და გაფრთხილებას ცალკე, პირისპირ, ზოგჯერ კიდევ მოსწავლეთა კოლექტივში და საჯაროდ. მნიშვნელობა აქვს გაუმჯობესებისაკენ ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო მიღწევის აღნიშვნას — წაქეზების და წახალისების მიზნით, ზოგჯერ კიდევ მცირე მიღწევების გამო უკმაყოფილების გამოსახვას და სხვა. აქაც საჭიროა, გარემოებათა და პირობების მიხედვით, აღმზრდელობითი მუშაობის ნაირ-ნაირ საშუალებათა გამოყენება.

როგორც ჩანს, მასწავლებლისათვის არ კმარა მხოლოდ თავის საგნისა და მისი მეთოდიკის თუნდაც საუკეთესოდ ცოდნა, რადგან ყველა მასწავლებელი იმავე დროს აღმზრდელია და აღმზრდელს კი კომუნისტური აღზრდის ამოცანებისა და მათი გადაწყვეტის საშუალებათა ცოდნა და პრაქტიკულად მომარჯვების უნარი ესაჭიროება.

მთელს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში და, კერძოთ, შეგნებულ დისციპლინაზე აღზრდის საქმეში აუცილებლად საჭიროა მტკიცე რეჟიმი და ურყევი სიზუსტე პეტაგოგიურად სწორ და მიზანშეწონილ ღონისძიებათა გატარების საქმეში. არ ვარგა დაპირება-ასე ვიზამ, ისე ვიზამ — და შემდეგ დანაპირების შეუსრულებლობა-

პედაგოგიური წინდახედულებით შეფასებული ღონისძიება დროზე და ყოველთვის მტკიცედ უნდა გატარდეს. მოსწავლე უნდა ხედავდეს რიგიანობას და სიზუსტეს მასწავლებლის და ორგანიზაციების მოქმედება — ქცევაში, რათა ამან ხელი შეუწყოს თვით მასში რიგიანობისა და სიმტკიცის შემუშავებას.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დასახულ ღონისძიებათა გატარებაში ურყევი სიმტკიცე და ერთსულოვნება მართებთ მთელ პედაგოგიურ შემადგენლობას და სკოლაში მომქმედ ორგანიზაციებს. დისციპლინის დამკვიდრების საქმეს დიდათ აბრკოლებს, როდესაც, მაგალითად, გაკვეთილზე ერთი მასწავლებელი ფხიზლად და მტკიცედ იცავს სიწყნარეს და წესრიგს, ხოლო მეორე ამას ყურადღებას არ აქცევს, როცა ერთი ენერგიულად იბრძვის ყოველგვარი უდისციპლინობის წინააღმდეგ, ხოლო სხვა კი მოსწავლეებში მდარე ფასიან პოპულარობას ეძებს და ამიტომ ყველაფერს უშვებს, ყველაფერში ექომაგება, ვითომდა მოსწავლეთა ერთგულია, სინამდვილეში კი მაინც „ლიბერალობას“ იჩენს და ამით ხელს უწყობს დისციპლინის შერყევას პედაგოგიურმა კოლექტივმა ამ მხრივაც უნდა განამტკიცოს თავის პოზიციები.

შეგნებული სოციალისტური დისციპლინის აღზრდასთან ერთად, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეებში ისეთ თვისებათა შემუშავებას, რომელთაც უეჭველად აქვთ მნიშვნელობა სოციალისტური შრომის კოლექტივში ჩასაბმელათ და ადამიანთა შორის მტკიცე ამხანაგური ურთიერთობის დასამყარებლად. მაგალითად, ყოყოჩა, ტრაბახი, უხეში, მატყუარა, თავის თავზე გაზვიადებული წარმოდგენის მქონე, ფლიდი და ა. შ. სოცაიალიზმის მშენებელთა რიგებში არ ვარგა. ზოგს ბურჟუაზიულ ატრიბუტათ მიაჩნია სიდინჯე, საქმირო თავაზიანობა და, პირიქით, რევოლუციონურ ქცევათ თვლის, მაგალითად, თუ, ქუჩაში ან დერეფანში გავლისას, გვერდებს ჩაგილეწავს და ვითომც არაფერი, გელაპარაკება და ფურთხებს გესვრის, სახეში მოგიხველებს და იქვე დააფურთხებს, ზის და ათასნაირათ იკეცება, დგას და მაგიდაზე წვება, ითახში შედის და თავზე ვერ მოიხდის, სწევს და ნამწყავს იატაკზე ყრის, ლაპარაკობთ და არ გაცლის, მართებულად გაუსწორებთ და შაურაცყოფას მოგაყენებს. ჩვენ არ გვინდა მონა-მორჩილის ე. წ. ზრდილობა-რეველანსებით, გადაწყობილი ხელებით, განზე გადაგდებული თავით და „ტკბილ-საზიზღარი“ ღიმილით, პირმოთნეობით და ფლიდობით — ყველა ეს დაუზოგველათ უნდა ამოიდაგოს, როგორც ძველი ცხოვრებისა და ურთიერთობის ნაშთები. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ უხეშობა და

„გაუთლელობა“ ვარგოდეს და მას არ ვებრძოდეთ. თანასწორუფლებიანი ადამიანები, ერთი საქმისათვის მებრძოლი ამხანაგები — ერთმანეთს კულტურული ქცევითაც უნდა იზიდავდენ, არ უნდა ეზარებოდეთ ერთმანეთთან ყოფნა და შრომა. კოლექტივიზმის განმტკიცებაში კულტურულ ქცევას დიდი მნიშვნელობა აქვს და მის შემუშავებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. „კომუნ-სტს სიდინჯე ამშვენებს“ —ამბობს სტალინი. ახალ ადამიანში შეხამებული უნდა იყოს ბოლშევიკური ძალა, — რომლის წინაშე ქედს იხრის ყოველი სიძნელე და ციხე-სიმაგრე-შამაცობა, სიდინჯე, კომუნისტური მორალი, კომუნისტური ქცევა.

აღმზრდელობითს მუშაობაში ამ მხარესაც ყურადღებით უნდა მოვეპყრათ, მით უმეტეს, რომ კულტურული ქცევის შესამუშავებლად უკანასკნელ ხანებამდე სათანადოთ არ გვიმუშავია.

როგორც ყოველგან და ყველაფერში, მასწავლებელი აქაც საუკეთესო მაგალითს უნდა იძლეოდეს — კულტურულად და პატივისცემით ეპყრობოდეს მოსწავლეებს და ყველა პატიოსან მოქალაქეს, რათა თავის ქცევის ეს მხარეც მოსწავლეთათვის მისაბაძ ნიმუშად აქციოს.

შეგნებულ დისციპლინაზე აღზრდის საქმეში თვით მოსწავლეთა აქტიური, შეგნელებელი და მთელი მონდომებით მონაწილეობა მნიშვნელოვანი მომენტია. ყურადღების და ინიციატივის მობილიზაციის, პასუხისმგებლობის შეგნების გაძლიერებისა და საზოგადოებრივი კონტროლის განმტკიცების საქმეში სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა დიდ როლს შეასრულებს. ინდივიდუალური და კოლექტიური შეჯიბრების საფუძველზე მოსწავლეები ვალდებულებას იღებენ: გაკვეთილზე, დასვენებაზე, სკოლაში და სკოლის გარედ ზუსტად დაიცონ დისციპლინა, არ გააცდინონ სამუშაო დროის არც ერთი წუთი, სოციალისტურად მოეპყრან საზოგადოებრივ ქონებას, თავიანთ ქცევაში არსად არ მისცენ ადგილი ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებს, კომუნისტური ქცევის საუკეთესო მაგალითები გადაიტანონ და დაამკვიდრონ მოსახლეობაში, ბუქსირზე აიყვანონ დისციპლინის მხრივ ჩამორჩენილი ამხანაგები, ფხიზელი მეთვალყურეობა დააწესონ სკოლაში და მის გარედ შეგნებული დისციპლინის მტკიცედ დაცვაზე და ყველასაგან სავალდებულო კომუნისტური ქცევის განხორციელებაზე. როგორც ყველა საკითხში, ისე აქაც სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის კონკრეტ. პირობათა შესრულება უეჭველად განსაზღვრულ დროზე და მთელი სიზუსტით უნდა იქნას აღრიცხული და შეფასებული — მხოლოდ ამ ნიადაგზე იქცევა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა კომუნისტური აღზრდის

საუკეთესო საშუალებათ. ამის გარეშე შრომის სოციალისტური მეთოდების ნამდვილი სახე და შინაარსი დამახინჯდება და საწინააღმდეგო შედეგსაც მოგვცემს: ხელს შეუწყობს ფორმალიზმს, თვალის ახვევას, მატყუარობას, უპასუხისმგებლობას. სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა კომუნისტური აღზრდის ისეთი მეთოდია, რომლითაც ადამიანი, შეგნებული და მონდომებული მოქმედებით, კოლექტივის დახმარებასა და კონტროლზე დაყრდნობით, სწრაფად ადის განვითარებისა და გაუმჯობესების ახალ საფეხურებზე. შრომის სოციალისტური მეთოდის ეს ძლიერი მხარე მთელი სიღრმით უნდა იქნას გამოყენებული კომუნისტური აღზრდის საქმეში და, კერძოთ, შეგნებული დისციპლინისა და კომუნისტური ქცევის განმტკიცებაში. სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსწავლემ უნდა იგრძნოს და დაინახოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, აშკარად დაინახოს თავისი ზრდა და აღიქვამდეს კიდევ უფრო ძლიერი ინტერესით შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიმართულებით.

ეს მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც აღრიცხვა-შეფასებაში სწორად გამომჟღავნდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, როდესაც თავის ნაკლის გამომჟღავნებაში მოსწავლე დამცირების ფაქტს კი არ იგრძნობს, არამედ ისეთ ფაქტს, რომელიც მასწავლებელს, მთელ ჯგუფს და და მთელ სკოლას ამოძრავებს და ამოქმედებს გაუმჯობესებისაკენ დასახმარებლად, როდესაც ყოველი მოსწავლის სუსტი მხარეებისა და ნაკლის გამოსწორება სკოლაში საერთო საბრძოლო ამოცანად იქცევა.

მოსწავლეთა ქცევისა და დისციპლინის საკითხი მრავალი ფესვით უკავშირდება სოციალურ გარემოს — ოჯახს, უახლოეს წრეს, რომელშიაც მოსწავლე იმყოფება, ორგანიზაციებს, კულტურულ დაწესებულებებს და ა. შ.

ამიტომ შეგნებული დისციპლინისათვის ბრძოლაში სკოლა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს გარემოს და მასთან სათანადო მუშაობა აწარმოოს მასში კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით საჭირო წესრიგის შესატანად. რაგინდ ნაყოფიერი იყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა შიგნით, სკოლაში—სკოლა ამით ვერ დაკმაყოფილდება. სკოლამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ გარდამავალ პერიოდში სოციალური გარემოს ზოგი ელემენტი — შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჯერ ეწინააღმდეგება სკოლის მუშაობას. სკოლამ, როგორც კომუნისტური აღზრდის მთავარმა კერამ, შეუნელებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს იმისათვის, რომ სკოლის გარეშე ფაქტორები დამხმარედ გამოიყენოს კომუნისტური აღზრდის საქმე-

ში, შეასუსტოს მოსწავლეებზე მათი უარყოფითი გავლენა, ებრძოლოს პედაგოგიური პროცესის შემაფერხებელ მხარეებს.

ამ მიმართულებით სკოლამ ფართოდ უნდა გაშალოს პედაგოგიური პროპაგანდა, სისტემატური მუშაობა აწარმოოს მშობლებთან კომუნისტური აღზრდის ამოცანებისა და საშუალებათა გასარკვევად, მშობლები შეაიარაღოს სწორი ცოდნით, რომელიც უზრუნველყოფს მათ შეგნებულ მონაწილეობას აღზრდის საქმეში. მშობლებთან კავშირი სკოლას ახლაც აქვს — იწვევენ სკოლაში, მაგრამ ხშირად იწვევენ იმისათვის, რომ ბავშვი „დააბეზღონ". ამას ზოგჯერ მოსდევს ბავშვის ფიზიკური დასჯა, რაც გადაჭრით უნდა აღიკვეთოს. მშობლებმა მასწავლებლისა და სკოლისაგან უნდა გაიცნონ თავიანთი შვილების სწორი დახასიათება, მათი კარგი და ავი, უნდა მიიღონ კონკრეტი მითითება, თუ როგორ მოიქცენ, რას მიაქცევენ ყურადღება, რა გავლენა გააძლიერონ, რას მოარიდონ (მოსარიდებელი ზოგ ოჯახში ხომ არც ისე ცოტაა!), რა მიმართულებით გააძლიერონ ყურადღება და მუშაობა, როგორ შეუწყონ ხელი მოსწავლეთა კომუნისტური მორალისა და ქცევის განმტკიცებას. აკადემიური მუშაობისა და მოსწავლეთა ქცევის აღრიცხვა — შეფასების დროს მშობლებისათვის ნათელი უნდა გახდეს მათი საკუთარი დაუდევრობა, უყურადღებობა თუ სისუსტე, რასაც მეღავნდება მათი შვილების მომზადებასა და ქცევაში. მშობელი, რომელიც არ უწყობს ან ვერ უწყობს ხელს ბავშვის კომუნისტურ აღზრდას, თითონაც საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ უნდა იქნას დაყენებული. ამ საქმეში სრულიად გარკვეული როლი უნდა შეასრულონ სკოლებთან მომქმედმა დამხმარე საბჭოებმა, რომლებიც, რაც აკეთებენ — უმთავრესად სკოლის მხოლოდ ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავენ. მათი დიდი მოვალეობა კი იმაშიც მდგომარეობს, რომ კომუნისტური სწავლა - აღზრდის იდეები მოსახლეობაში გადაიტანონ, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სოციალური გარემოს ორგანიზაციას და უზრუნველყონ საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო ფენების შეგნებული მონაწილეობა ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდაში.

ამავე მიზნით სკოლას უახლოესი კავშირი უნდა ქონდეს ახალგაზრდათა კომორგანიზაციებთან, საბჭოს სათანადო სექციებთან, კოლმეურნეობასთან, მშრომელ ქალთა შორის მომუშავე ორგანიზაციებთან, კინოსთან, კლუბ — სამკითხველოსთან, თეატრთან — ყოველგან უნდა აყენებდეს და აშუქებდეს საკითხს აღზრდის ამოცანების შესახებ, არკვევდეს სხვადასხვა ორგანიზაციის ნაკლს აღმზრდელობითი მუშა-

ობაში მონაწილეობის მიმართულებით და მთლიანი ფრონტისათვის იბრძოდეს კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

ასეთია ის პროფილაქტურ — აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რომლებიც სკოლის მიერ გამოყენებული უნდა იქნან დისციპლინასათვის ბრძოლაში. საბჭოთა სკოლას მტკიცე შეგნებული დისციპლინა ესაჭიროება — ეს კომუნისტური აღზრდის მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარეობს. ჯოხით და შიშით დამყარებული წესრიგი — მონის წესრიგია. თანაც შიშით და ჯოხით დამყარებული დისციპლინა არაა მყარი, — ის მაშინვე ირღვევა, რაკი სასჯელის საშიშროება რაიმე გზით არიდებულია. ჩვენ შეგნებული დისციპლინისათვის ვიბრძვით. შეგნებული დისციპლინა — „შინაგანი" დისციპლინაა. კომუნისტური ქცევის აუცილებლობის მტკიცე შეგნებამ უნდა განსაზღვროს ადამიანის მოქმედების ყოველი ნაბიჯი. საუკეთესოდ დაყენებული პედაგოგიური პროცესით, აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებით, მოსწავლეთა მასებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის მონაწილეობით — ჩვენი პოლიტექნიკური სკოლა შესძლებს შეგნებული კომუნისტური დისციპლინის განმტკიცებას. შეგნებული დისციპლინის დამკვიდრების ნიადაგზე უნდა გაიშალოს გადამწყვეტი შეტევა სკოლის „ძირითადი ნაკლის" აღმოსაფხვრელად.

მაგრამ, როგორ მოვიქცეთ, როდესაც ხანგრძლივი, ყოველმხრივად მომარჯვებული აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლის გამოსწორებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში საპირო შედეგებს არ გვაძლევს?

„... გამოუსწორებელი მოსწავლეები, რომლებიც ხულიგნობენ, მასწავლებლებს შეურაცყოფენ, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა განკარგულებას არღვევენ, სკოლის ინვენტარს ამტვრევენ, სკოლის ქონებას აფუჭებენ და იტაცებენ, დათხოვნილი უნდა იქნა სკოლიდან 1 — 3 წლამდე", — ასეთ დირექტივს იძლევა ც. კ. 25 აგვისტოს დადგენილება.

სკოლიდან დათხოვნა დაშვებულია, როგორც უკანასკნელი და უკიდურესი ღონისძიება, როდესაც ამოწურულია მტკიცე აღმზრდელობითი ღონისძიებანი, ამოწურულია საზოგადოებრივობის, მშობლების, კომკავშირისა და. პიონერ — ორგანიზაციების დახმარება და მონაწილეობა.

მაგრამ სკოლების პრაქტიკა ამ საკითხში ზოგჯერ ნაკლები წინააღმდეგობის სიპრტყით ეშვება. გახშირდა მოსწავლეთა გამორიცხვა სკოლებიდან აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტების ხარჯზე. არის შემთხვევები, რომ სკოლიდან ერთბაშად, მოკლე დროში, დათხოვნილია

8 — 12 მოსწავლე. ასეთი გაუკებრობა და დანაშაული გადაწყვეტით უნდა აღიკვეთოს ც. კ. მითითების სწორად გაგების სასარგებლოდ: სკოლიდან მოხსნა მხოლოდ მტკიცე აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლის შემდეგ და უკიდურეს შემთხვევაში.

ასედაც უნდა იყოს: ჩვენი სკოლა შეგნებული დისციპლინისა და კომუნისტური აღზრდის კერაა და არა წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტული აღზრდის ჭაობი. ჩვენ უარვყოფთ ლ. ტოლსტოის ფილოსოფიას ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის შესახებ, უარვყოფთ მისი "ივანუშკა-დურაჩოკის" შეხედულებას — ვისაც რა უნდა ის ქნასო. მოსწავლეს სკოლაში პედაგოგიური ღონისძიებით ვასწორებთ და ვზრდით. ძლიერ იშვიათი იქნება ისეთი შემთხვევები, რომ სწორი აღმზრდელობითი მუშაობით ვერ გამოვასწოროთ, ვერ გადავახალისოთ, მაგრამ როდესაც ეს არ გასჭრის, მაშინ მოსწავლეს დროებით ვითხოვთ და სკოლას ვიცავთ თავაშვებულობისა და უწესრიგობისაგან.

სკოლიდან მოსწავლის დათხოვნის ფაქტიც აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა, ისიც აღზრდის მიზნებს ემსახურება. ასედაც უნდა იქნას გაგებული და გამოყენებული. მოსწავლეთა მასებისათვის ცნობილი უნდა იყოს ის აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რომელნიც სკოლამ დეზორგანიზატორ — მოსწავლის მიმართ გამოიყენა: დათხოვის მიზეზები და ამ უკიდურესი ღონისძიების პედაგოგიური აზრი დამუშავებული უნდა იქნას მოსწავლეებისა და მშობელთა შორის, რათა მათი შეგნებული და კიდევ უფრო გაძლიერებული მონაწილეობით უზრუნველყოფილ იქნას შეგნებული დისციპლინის განმტკიცება.

საკითხის ასეთი დამუშავების გარეშე მოსწავლის სკოლიდან დათხოვნის ფაქტი ვერ გაამართლებს თავის, როგორც უკიდურესი პედაგოგიური ღონისძიების, დანიშნულებას.

როგორ უნდა ვუყუროთ სკოლიდან დათხოვნილ მოსწავლეს.? რა თქმა უნდა — არა ისე, თითქოს ის სამუდამოდ გაკიცხული და დაკარგული იყოს. სკოლიდან მოხსნა მის მიმართაც გამასწორებელ ღონისძიებათ უნდა იქნას მიჩნეული და სწორედ ასეთად გამოყენებული. შეცვლილი პირობები, ახლობელთაგან რჩევა — დარიგებანი და აღმზრდელობითი გავლენის გაძლიერება, გამოუსწორებლობის შემთხვევაში სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის საფრთხის შეგნება და სხვ. — ეს გარემოებანი უეჭველად ხელს შეუწყობენ სათანადო შეგნების შემუშავებას და მოზარდის გამოსწორებას. ეს კი იმის მომასწავებელი იქნება, რომ მის წინაშე კვლავ გაიღოს სწავლის კარი

და კვლავ გაიშალოს მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებისა და კომუნისტურად აღზრდის გზა.

სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმული პროლეტარიატი და მშრომელი მასები შრომის და ბრძოლის ყოველ დარგში მტკიცე, შეგნებული სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის იბრძვიან.

მოზარდ თაობაში ასეთივე დისციპლინის აღზრდა პროლეტარიატის ამ დიდი ბრძოლის ერთ-ერთი რგოლია. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში — ან უდიდეს ამოცანას მეორე სოციალისტურ ხუთწლედში გადავწყვეტთ. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბურჟუაზიული და წვრილმესაკუთრული ფსიქოლოგიის ისეთი „ჟუჟეი", როგორცაა ზარმაცობა, ალანცარიობა, დეზორგანიზატორობა, ხულიგნობა, უპასუხისმგებლობა, კარიერიზმი, თავაშვებულობა და სხვადასხვაგვარი უდისციპლინობა. მთელ მშრომელ მოსახლეობაში და, კერძოდ, მოსწავლე ახალგაზრდობაში შეგნებული სოციალისტური დისციპლინისა და კომუნისტური მორალის აღზრდა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის დაჩქარებით და სრულად გადაწყვეტა უნდა შესძლონ საბჭოთა მასწავლებლებმა და საბჭოთა სკოლამ.

ამ ამოცანის გადაწყვეტას და ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის განხორციელებას ის გარემოება უადვილებს სკოლას, როგორც კომუნისტური აღზრდის ძირითად კერას, რომ მისი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტთაგანია უდიდესი რევოლუციონური პროცესის, რომელსაც ვუწოდებთ გაშლილ ძლევამოსილ სოციალისტურ შეტევას სოციალისტური მეურნეობისა და კულტურული რევოლუციის ფრონტზე და რომელსაც ხელმძღვანელობს **ლენინ-სტალინის** კომუნისტური პარტია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მეთაურობით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვერ.
I. სწავლების მეთოდების პრინციპული საფუძვლები	3
II. ცოტა ისტორია სწავლების მეთოდების შესახებ	23
III. სწავლების მეთოდების ფსიქო-პედოლოგიური საფუძვლები	38
1. სტიბულირება	40
2. დამახსოვნება .	43
3. ვარჯიშობანი .	54
IV. სწავლების მეთოდიკა	59
1. ცოცხალი სიტყვა .	59
2. წიგნზე მუშაობა	67
3. თვალსაჩინოება-დემონტრაცია	72
4. ლაბორატორული მუშაობა .	78
5. წერითი და გრაფიკული მუშაობა	85
6. ექსკურსია	91
7. კვლევითი მუშაობა სკოლაში . . .	98
V. სწავლებისა და საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომის შეერთება .	106
VI. გაკვეთილის ორგანიზაცია	121
VII. სასკოლო მუშაობის გეგმიანობა და აღრიცხვა .	130
VIII. შეგნებული დისციპლინა სწავლა-აღზრდაში . . .	144